

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლა (ფაკულტეტი)
სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „თარგმანმცოდნეობა“

ნანა ნათელაძე

ქართული ხალხური ზღაპრების ინგლისური თარგმანები

სადოქტორო ნაშრომი შესრულებულია ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად

*სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის დოქტორი,
პროფესორი თამარ მღებრიშვილი*

თბილისი

2016

სარჩევი

ანოტაცია (ქართულად)	3
ანოტაცია (ინგლისურად)	4
შესავალი.....	5
თავი 1. ხალხური ზღაპარი, როგორც ფოლკლორის უძველესი ჟანრი და მისი თარგმნის სპეციფიკა	11
§1. ზღაპრის არსი: ხალხური ზღაპარი, როგორც ხალხური პროზის ნაწილი.....	11
§2. მხატვრული თარგმანისა და ზღაპრის თარგმნის სპეციფიკის შესახებ	25
§3. ქართული ხალხური ზღაპრის თავისებურებათა ინგლისურ თარგმანში გადატანის პრობლემა.....	43
3.1. ქართული ხალხური ზღაპრის სათაურის თარგმანში გადატანის პრობლემა.....	44
3.2. ქართული ხალხური ზღაპრის დასაწყისისა და დასასრულის თარგმნის შესახებ.....	50
3.3. აგრესია ზღაპარში და აგრესიული ლექსიკის თარგმნის სპეციფიკა	55
3.4. ქართული ხალხური ზღაპრების ეროვნული კოლორიტის შენარჩუნების პრობლემა თარგმანში	64
თავი 2. უცხოელი მთარგმნელების მიერ თარგმნილი ქართული ხალხური ზღაპრები.....	93
§1. ქართული ხალხური ზღაპრების მარჯორი უორდროპისეული თარგმანები.....	94
§2. დევიდ ჯ. ჰანტის თარგმანები	113
თავი 3. ქართველი მთარგმნელების მიერ თარგმნილი ქართული ხალხური ზღაპრები.....	121
§1. ნ. რუხაძის თარგმანები	122
§2. ნ. ცისკარიშვილის თარგმანები	129
§3. ა. ხანთაძის თარგმანები.....	131
§4. ქართული ხალხური ზღაპრების უახლესი ინგლისურენოვანი თარგმანები.....	138
დასკვნა	174
გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის სია	177
დანართი	187

ანოტაცია

სადისერტაციო ნაშრომში ქართული ხალხური ზღაპრების ინგლისურ ენაზე თარგმნის პრობლემები წარმოდგენილია ქართველ (ნ. რუხაძე, ნ. ცისკარიშვილი, ა. ხანთაძე, ს. წერეთელი, თ. ჩეკურიშვილი, ზ. კოშკაძე და სხვ.) და ბრიტანელ მთარგმნელთა (მ. უორდროპი და დევიდ ჯ. ჰანტი) მიერ სხვადასხვა დროს შესრულებული თარგმანების შესწავლის საფუძველზე.

საკვლევი მასალის სიღრმისეული გააზრებისათვის განსაზღვრულია ქართული ხალხური ზღაპრის თავისებურებანი და მისი ინგლისურ ენაზე თარგმნის მნიშვნელობა. ზღაპრის თარგმნის სპეციფიკა გაანალიზებულია ქართველ (გ. გაჩეჩილაძე, გ. წიბახაშვილი, დ. ფანჯიკიძე, ე. გორდეზიანი და სხვ.) და უცხოელ მკვლევართა (ნ. ბარხუდაროვი, ა. ფიოდოროვი, ვ. კომისაროვი, ი. ნაიდა და სხვ.) მოსაზრებების გათვალისწინებით.

ქართული ხალხური ზღაპრების ინგლისური თარგმანების დედანთან შეპირისპირებისას წინა პლანზე წამოწეულია ის ძირითადი პრობლემები, რომლებიც, ჩვეულებრივ, თარგმნის პროცესს ახლავს, ყურადღება გამახვილებულია ზღაპრის ეროვნული კოლორიტის შენარჩუნების სირთულეზე, გამოვლენილია მთარგმნელთა მიერ ქართული ზღაპრის დასაწყისისა და დასასრულის ფორმულების, ე. წ. უთარგმნელი, უეკვივალენტო ლექსიკის, რეალიების, ფრაზეოლოგიის, ანთროპონიმიკის და სხვ. თარგმანში გადატანისას გამოყენებული ხერხები და საშუალებები, თარგმანთა დეტალური გაანალიზების საფუძველზე დადგენილია თითოეულის შესაბამისობა დედანთან და წარმოჩენილია მათი ღირსება-ნაკლოვანებანი. გამოვლენილია თითოეული მთარგმნელის წვლილი ქართული ხალხური ზღაპრის თარგმნისა და პოპულარიზაციის საქმეში.

Annotation

This Ph.D. thesis, which deals with problems of translation of Georgian folk tales into English, studies translations performed at various times by Georgian (N. Rukhadze, N. Tsiskarishvili, A. Khantadze, S. Tsereteli, T. Chekurishvili, Z. Koshkadze and so on) and British translators (M. Wardrop, David G. Hunt).

For the in-depth study of the research topic peculiarities of the Georgian folk tales and the importance of their translation into the English language are defined. The specifics of the translation of fairy tales are presented considering the views of Georgian (G. Gachechiladze, G. Tsibakhashvili, D. Panjikidze, E. Gordeziani and so on) and foreign researchers (N. Barkhudarov, A. Fiodorov, V. Komisarov, E. Nida, and etc.).

While comparing English translations with original fairy tales the major problems that typically accompany the translation process are brought to the fore. In particular, the attention is focused on the difficulties of preserving the national spirit of tales, the techniques used by translators for the translation of culture-specific vocabulary (phraseology, ethnic realia, anthroponyms, the beginning and the end of a fairy tale) are revealed, based on the detailed analysis of translations, correspondence of each of them to the source texts is defined and their strengths and weaknesses are identified.

შესავალი

ზღაპარი ხალხური შემოქმედების მრავალფეროვანი და საინტერესო მოვლენაა რომელსაც, გარეგნული სიმარტივისა და სწორხაზოვნების მიუხედავად, უდიდესი ადგილი უჭირავს ადამიანთა მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში. იგი კაცობრიობის პირველქმნილი ინტელექტუალიზმის უტყუარი ანარეკლია, რომელიც მუდმივ მოძრაობაშია და საუკუნეების მანძილზე მთქმელიდან მთქმელს, თაობიდან თაობას გადაეცემა.

ზღაპარი ხალხური სიბრძნის ერთ-ერთი უძველესი და პოპულარული სახეა, რომელიც შეიცავს მარადიულ და უკვდავ ფასეულობებს და დღესაც სასიკეთო წვლილი შეაქვს კაცობრიობის განვითარებაში. იგი არა მარტო ფანტასტიკური თავგადასავლებით, არამედ ხალხის გამოცდილებითა და ყოფითი რეალიებით, ძველი ადათ-წესებით, შეხედულებებითა და მრწამსით ხიზლავს თანამედროვე მკითხველს.

მსოფლიოს ზღაპრებს იდეურ-თემატიკურად, შინაარსობრივად, გმირთა ხასიათებით, ამბის გადმოცემით, კომპოზიციით, დასაწყისითა თუ დასასრულით ბევრი რამ აქვთ საერთო. მათში ამავე დროს აისახება იმ ერის თავისებურებანი, ტრადიციები, წეს-ჩვეულებანი, რომლის წიაღშიც აღმოცენდნენ, იკვეთება მათი შემქმნელი ხალხის ისტორიისა და ყოფისთვის დამახასიათებელი თემები, იდეები და მოტივები. ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია ქართული ხალხური ზღაპარი, რომელშიც არეკლილია ჩვენი ხალხის ბედუკუდმართი წარსული, სოციალურ-პოლიტიკური თუ ეროვნული ძნელბედობა, ჩაგვრისა და უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლა.

ქართულმა ხალხურმა ზღაპარმა „ღირსეულად გაუძლო მრავალსაუკუნოვან კონტაქტებს და მთლიანად შეინარჩუნა თავისი ეროვნული სახე, უნიკალური თვისებები და ნიშნები, მაღალი მხატვრული დონე და ის ზნეობრივ-ესთეტიკური კრიტერიუმები, რომლებიც აქცევენ მას განუმეორებელ ფენომენად” (გორდეზიანი 1995:18). ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ხალხური ზეპირსიტყვიერების ეს ერთ-ერთი საინტერესო ჟანრი დღემდე ფოლკლორისტთა, ენათმეცნიერთა, ლიტერატურათმცოდნეთა ყურადღების ცენტრშია და არც ჩვენი მკითხველის ინტერესს არის მოკლებული, მაგრამ თარგმანმცოდნეობის კუთხით თითქმის შეუსწავლელია.

დღეს ჩვენი ლიტერატურული მემკვიდრეობის ნებისმიერი ნიმუშის თარგმნა და საერთაშორისო ასპარეზზე გატანა უაღრესად მნიშვნელოვანია. ვფიქრობთ, არანაკლებ მნიშვნელოვანია, თარგმანის ხარისხი - დედნის სათქმელის უცხოენოვან მკითხველამდე სწორად მიტანა და მისი ადეკვატური შთაბეჭდილების შექმნა. მით უმეტეს, თუ ეს ეხება ხალხურ ზღაპარს, რომელიც „სრულიად უნიკალური, განუმეორებელი ეროვნული ფენომენია და ერთგვარი სავიზიტო ბარათი სხვა ხალხთა წინაშე წარდგომისათვის“ (წიბახაშვილი 2000: 83).

სწორედ ამის გარკვევას შევეცადეთ წინამდებარე ნაშრომში, რომელშიც შესწავლილი და გაანალიზებულია ქართული ხალხური ზღაპრების ინგლისური თარგმანები.

ქართული ხალხური ზღაპრის თარგმნის პრობლემები საქართველოში მონოგრაფიულად, ძირითადად, რუსული თარგმანების ბაზაზეა შესწავლილი ე. გორდეზიანისა (გორდეზიანი: 1995) და გ. წიბახაშვილის (წიბახაშვილი: 2000) მიერ.

ზღაპრის თარგმნის სტილისტიკის საკითხებია წამოჭრილი ცნობილი გერმანისტის, მთარგმნელისა და თარგმანის თეორეტიკოსის დ. ფანჯიკიძის ნაშრომში „თარგმანის თეორია და პრაქტიკა“ (ფანჯიკიძე: 1988).

რაც შეეხება ქართული ხალხური ზღაპრების ინგლისურ თარგმანებს, მხოლოდ მათი პირველი, მ. უორდროპისეული თარგმანებია შესწავლილი ლ. თაქთაქიშვილი-ურუშაძის მიერ დისერტაციაში „ქართული ლიტერატურის ნიმუშთა მარჯორი უორდროპისეული ინგლისური თარგმანები“ (ლ. თაქთაქიშვილი-ურუშაძე: 1964) აღსანიშნავია მისივე სტატიებიც - „ქართულიდან ინგლისურ ენაზე თარგმნის პირველი ცდა“, „მარჯორი უორდროპი“, „მარჯორი უორდროპი და ქართული საზოგადოება (დაბადების 90 და გარდაცვალების 50 წლისთავის გამო)“, „ილია ჭავჭავაძე და მისი ინგლისელი მეგობარი“, ასევე მონოგრაფია „მარჯორი უორდროპი“, სადაც მკვლევარი მარჯორი უორდროპის მთარგმნელობით შემოქმედებას, მათ შორის ქართული ხალხური ზღაპრების მ. უორდროპისეულ თარგმანებსაც მიმოიხილავს.

ქართული ხალხური ზღაპრების მ. უორდროპისეული თარგმანების კრებული (Georgian Folk tales:1894) სამ ნაწილად, ქართულ (Georgian), მეგრულ (Mingrelian) და გურულ (Gurian) ზღაპრებად არის დაყოფილი. გამომდინარე იქიდან, რომ უშუალოდ დედნიდან მხოლოდ ქართული ზღაპრები (Georgian Tales) ითარგმნა (დანარჩენების

პირველწყარო კი რუსული თარგმანებია), სადისერტაციო ნაშრომში მიზანშეწონილად მხოლოდ პირველი ნაწილის 16 ქართული ზღაპრის (1. „ოსტატი და შეგირდი“, 2. „დედინაცვალი და სამი ქალი“, 3. „ნაცარქექია“, 4. „ბაყაყის ხოკერა“, 5. „ბედი“, 6. „ღვთისავარი“, 7. „გველი და გლეხი“, 8. „გულამბარა და სულამბარა“, 9. „ორნი ძმანი“, 10. „ხელმწიფის შვილი“, 11. „კონკიაჟდარუნა“, 12. „ასფურცელა“, 13. „მეცხვარე და იღბლიანი ყმაწვილი“, 14. „ორი ქურდი“, 15. „მელია და ხელმწიფის შვილი“, 16. „მეფის ძე და ვაშლი“) თარგმანების განხილვა მივიჩნიეთ.

ნაშრომში ასევე გაანალიზებულია:

▪ ცნობილი ჟურნალისტის, ტელეწამყვანისა და ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალისტის ნუგზარ რუხაძის მიერ შესრულებული ხუთი ქართული ხალხური ზღაპრის („მელია და დათვი“, „ობოლი და ქოსატყუილა“, „მამა და შვილი“, „ხარბი და ალალ-მართალი“, „მეთევზის შვილი“) თარგმანები (Rukhadze:1974).

▪ „ნაცარქექიასა“ (Tsiskarishvili: 1991) და „კომბლეს“ (Tsiskarishvili: 1992) თარგმანები, შესრულებული ცნობილი ინგლისური ენის პედაგოგისა და მთარგმნელის ნინო ცისკარიშვილის მიერ.

▪ ცნობილი ბრიტანელი ფოლკლორისტის, კავკასიოლოგისა და ლიტერატურათმცოდნის დევიდ. ჯ. ჰანტის მიერ თარგმნილი „ორი ქურდის“ მაგალითზე ნაჩვენებია პირველწყაროდ გამოყენებული რუსული, ნ. დოლიძისეული თარგმანის ზეგავლენით გამოწვეული ის მთარგმნელობითი ცდომილებანი, რომლებიც მის მიერ ნათარგმნ სამოცივე ზღაპარში შეინიშნება (Hunt:1999).

▪ ხუთი ქართული ხალხური ზღაპრის („არც შენ შეგრჩება, მეფეო“, „სამი ქაჩალი“, „როგორ გაჩნდა ღვინო“, „თავგაუტეხელი კაცი“, „ერთი მანეთის შოვნა“) არჩილ ხანთაძისეული თარგმანები (ხანთაძე: 2012).

▪ ამავე წელს გამოცემული 9 ქართული ხალხური ზღაპრის („ნაცარქექია“, „ასფურცელა“, „კომბლე“, „მზეთუნახავი“, „ცეროდენა“, „მუჟანახევარა“, „რწყილი და ჭიანჭველა“, „ხუთკუნჭულა“, „წიქარა“) სხვადასხვა მთარგმნელის (ს. წერეთელი, თ. ჩეკურიშვილი, ზ. კოშკაძე, ლ. ხარბედია, ი. ცომაია, მ. იმნაიშვილი, მ. ჯამასპიშვილი, ბ. კუტუბიძე, ვ. ბილანიშვილი) მიერ შესრულებული თარგმანები (ქართული ზღაპრები: 2012).

საკვლევ მასალად შეირჩა როგორც პოპულარული, ისე ნაკლებად ცნობილი ქართული ხალხური ზღაპრების ის ინგლისური თარგმანები, რომელზეც ხელი მიგვიწვდა.

გამომდინარე იქიდან, რომ მთარგმნელები ზღაპრების სხვადასხვა ვერსიით სარგებლობდნენ და თარგმანებს ერთმანეთთან საუკუნე და ზოგიერთს მეტი დრო აშორებს, მათი დედანთან ერთდროული შეპირისპირება ვერ მოხერხდა. თითოეული მათგანი შესატყვის (დედნისეულ) ვერსიას ცალ-ცალკე შევუდარეთ, ხოლო სათარგმნი ტექსტისადმი მთარგმნელთა მეთოდოლოგიური მიდგომების გამოსაკვეთად ქართველ და ბრიტანელ მთარგმნელთა თარგმანები ერთმანეთისგან გამოვყავით და ქრონოლოგიური თანმიმდევრობით განვიხილეთ.

ვფიქრობთ, ქართული თარგმანმცოდნეობისათვის მნიშვნელოვანია ზემო-დასახელებული თარგმანების ანალიზის საფუძველზე იმის გარკვევა, რამდენად შეძლეს ქართველმა და ბრიტანელმა მთარგმნელებმა ქართული ხალხური ზღაპრის სპეციფიკის, მისი იდეურ-მხატვრული ღირებულებების ინგლისურენოვან მკითხველამდე მიტანა.

წინამდებარე დისერტაცია ქართული ხალხური ზღაპრების სხვადასხვა დროს შესრულებული ინგლისური თარგმანების დედანთან შეპირისპირების პირველი ცდაა, აქედან გამომდინარე, სადისერტაციო ნაშრომი გარკვეულ მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს.

ჩვენი საკვალიფიკაციო ნაშრომის მიზანია, ქართული ხალხური ზღაპრების ინგლისური თარგმანების შესწავლის საფუძველზე წარმოვაჩინოთ ის ძირითადი პრობლემები, რომლებიც ამ სპეციფიკური სრტუქტურისა და ფსიქოლოგიურ-ესთეტიკური დატვირთვის ტექსტების თარგმნას ახლავს.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ნაშრომში განზოგადოებულია მთელი **რიგი კონკრეტული ამოცანები**: 1) ზღაპრის არსი; მხატვრული თარგმანისა და ზღაპრის თარგმნის სპეციფიკა; 2) ქართული ხალხური ზღაპრის თავისებურებათა -სათაურის, დასაწყისისა და დასასრულის თარგმნის სპეციფიკა; 3) ქართული ხალხური ზღაპრების ეროვნული კოლორიტის შენარჩუნების პრობლემა თარგმანში; 4) ქართველ და უცხოელ მთარგმნელთა მიერ შესრულებული თარგმანების დედანთან შეპირისპირების საფუძველზე მათი ადეკვატურობის ხარისხის დადგენა.

ქართული ხალხური ზღაპრების თარგმანების ანალიზმა გვიჩვენა, რომ მათში ბევრი რამ დასახვეწია და ზოგიერთი ზღაპარი ხელახლა სათარგმნია. აქედან გამომდინარე, წარმოდგენილი ნაშრომის პრობლემატიკა დღეს მეტად **აქტუალურია**.

ნაშრომის თეორიულ და პრაქტიკულ მნიშვნელობას განსაზღვრავს ქართული ხალხური ზღაპრების არსებული თარგმანების დედანთან შეპირისპირება და იდეურ-მხატვრული ანალიზი. ასევე მნიშვნელოვანია თანამედროვე მთარგმნელობითი საქმიანობის ბაზაზე ენობრივ შესატყვისობათა კანონზომიერებების შერჩევა და შეძლებისდაგვარად მათი დადგენა, რასაც ჩვენი საკვალიფიკაციო ნაშრომი ემსახურება. პრაქტიკულად დიდი მნიშვნელობა ენიჭება კვლევის შედეგად შემუშავებულ დასკვნებსა და დებულებებს, რაც გარკვეულ დახმარებას გაუწევს როგორც ლიტერატურის და თარგმანის მკვლევრებს, ასევე ხალხური ზეპირსიტყვიერებით დაინტერესებულ მკითხველს.

კვლევის პროცესში მიღებული შედეგები შესაძლებელია, გამოყენებული იქნას უმაღლეს სასწავლებლებში შესაბამისი სპეცკურსის მოსამზადებლად: თარგმანის თეორია და პრაქტიკა, კულტურათმორისი კომუნიკაცია და ა.შ.

ქართული ხალხური ზღაპრების ინგლისური თარგმანების **კვლევისას** გამოყენებულია კომპლექსური მეთოდი, რომელიც დედანთან თარგმანების შეპირისპირებასთან ერთად თარგმანის ამ სფეროში არსებული მდგომარეობის წარმოჩენასა და ზოგადი თავისებურებების გამოვლენას ემსახურება.

სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა და ძირითადი კომპონენტები დაყოფილია სამ თავად და მოიცავს ქვეთავებს საკვლევი ობიექტის მიხედვით.

შესავალში დასაბუთებულია საკვლევი თემის აქტუალურობა, მეცნიერული სიახლე, მისი თეორიული და პრაქტიკული ღირებულება. განსაზღვრულია კვლევის მიზნები და ამოცანები, მათი გადაჭრის მეთოდოლოგიური საფუძველი და ანალიზის კონკრეტული მეთოდები.

პირველ თავში - ხალხური ზღაპარი, როგორც ფოლკლორის უძველესი ჟანრი და მისი თარგმნის სპეციფიკა - განხილულია: 1. ზღაპრის არსი: ხალხური ზღაპარი, როგორც ხალხური პროზის ნაწილი; 2. მხატვრული თარგმანისა და ზღაპრის თარგმნის სპეციფიკა; 3. ქართული ხალხური ზღაპრის თავისებურებანი და ინგლისურ თარგმანში მათი გადატანის პრობლემა, რომელიც მოიცავს ოთხ ქვეთავს:

- 3.1. ქართული ხალხური ზღაპრის სათაურის თარგმანში გადატანის პრობლემა;
- 3.2. ქართული ხალხური ზღაპრის დასაწყისისა და დასასრულის თარგმნის შესახებ;
- 3.3. აგრესია ზღაპარში და აგრესიული ლექსიკის თარგმნის სპეციფიკა;
- 3.4. ქართული ხალხური ზღაპრების ეროვნული კოლორიტის შენარჩუნების პრობლემა თარგმანში.

მეორე თავში - უცხოელი მთარგმნელების მიერ თარგმნილი ქართული ხალხური ზღაპრები - წარმოდგენილია მარჯორი უორდროპის ღვაწლი ქართულ-ინგლისურ ლიტერატურულ ურთიერთობათა განვითარების საქმეში და მის მიერ ნათარგმნი ქართული ხალხური ზღაპრების ანალიზი. მეორე ქვეთავში განვიხილავთ ცნობილი ფოლკლორისტისა და კავკასიოლოგის - დევიდ ჯ. ჰანტის თარგმანებს.

მესამე თავი - ქართველი მთარგმნელების მიერ თარგმნილი ქართული ხალხური ზღაპრები - ეთმობა ქართული ხალხური ზღაპრების ინგლისურ თარგმანებს გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან დღემდე.

ნაშრომის **დასკვნით** ნაწილში შეჯამებულია ჩატარებული კვლევის შედეგები.

ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული **ლიტერატურის სია**.

დანართის სახით წარმოდგენილია ზღაპარ „ნაცარქექიას“ ჩვენეული თარგმანი და გამოთქმულია ჩვენი აზრი კონკრეტული სათარგმნი მასალის თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებზე.

თავი პირველი

ხალხური ზღაპარი, როგორც ფოლკლორის უძველესი ჟანრი და მისი თარგმნის სპეციფიკა

§1. ზღაპრის არსი: ხალხური ზღაპარი, როგორც ხალხური პროზის ნაწილი

ხალხური შემოქმედება მრავალფეროვანი და საინტერესო მოვლენაა. კაცობრიობის განვითარებაში მას დღესაც შეაქვს სასიკეთო წვლილი. ხალხის გენიის უმთავრესი წარმონაქმნი არის ზღაპარი, რომელსაც, გარეგნული სიმარტივისა და სწორხაზოვნების მიუხედავად, ადამიანთა მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში უდიდესი ადგილი უჭირავს. ზოგადად, ზღაპარი ხალხური სიბრძნის ერთ-ერთი უძველესი და პოპულარული სახეა, „იგი მხატვრულ გამოწვლილსა და ფანტასტიკურ ამბავზეა დაფუძნებული“ (ჭილაია... 1984: 107). ზღაპარი საზოგადოებასთან ერთად იცვლებოდა, იხვეწებოდა და ბოლოს, ჩამოყალიბდა, როგორც დამოუკიდებელი ზეპირსიტყვიერი ჟანრი (თუმცა ჟანრის მნიშვნელობა დღესაც იგივეა, რაც მას წარსულში ჰქონდა), რომელიც იყო და დღესაც რჩება იდეური აღზრდის, გართობისა და დასვენების ერთ-ერთ საშუალებად.

როგორც ცნობილი რუსი ფოლკლორისტი ვლადიმერ პროპი აღნიშნავს, „ზღაპარი კლასიკური ნიმუშია ფოლკლორისა, რომელიც შეიცავს მარადიულ და უკვდავ ფასეულობებს“ (Пропи 1984: 27). ფოლკლორული ნაწარმოების თარგმნა კი ორივე კულტურის - მიმღები და წყარო კულტურის საფუძვლიან ცოდნას მოითხოვს, რადგან ფოლკლორი ასახავს კულტურულ თავისებურებებს. ბრიტანელი ანთროპოლოგის ბ. მალინოვსკის განმარტებით, „ტექსტი...ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ კონტექსტის გარეშე ის უსიცოცხლოა. რაც ნიშნავს, რომ ტექსტის სრულად გაგება შეუძლებელია მისი კულტურული კონტექსტის გარეშე“ (ციტატა Dundes, 1965: 282).

საკითხის სიღრმისეული გააზრებისათვის თავდაპირველად ქართველ და უცხოელ სპეციალისტთა მოსაზრებებზე დაყრდნობით მიმოვიხილავთ ზღაპრის არსს; მხატვრული თარგმანის (და, ზოგადად, თარგმანის) განხილვისას გამოვყოფთ ზოგად მახასიათებლებს და საგანგებო ყურადღებას ვუთმობთ ზღაპარს, მისი თარგმნის

სპეციფიკას, ამასთანავე, ქართული ხალხური ზღაპრის თავისებურებებს და ინგლისურ თარგმანში მათი გადატანის პრობლემებს.

ხალხური პროზა ხალხური სიტყვიერების ანუ ფოლკლორის ნაწილია, ეს უკანასკნელი კი ეროვნული კულტურის შემადგენელი. ხალხური შემოქმედება საუკუნეების განმავლობაში ზეპირად გადაეცემოდა თაობებს, როგორც წინაპართა გზავნილი და სულიერი საგანძური. აურელიო ნ. ესპინოზას აზრით, „თავისი ბუნებრივი ფორმით ფოლკლორი მჭიდროდაა დაკავშირებული ხალხის მეხსიერებასთან, ტრადიციასთან, ადათ-წესებთან. წლების განმავლობაში ხალხის დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება ფოლკლორშია რეალიზებული“ (ციტატა **Boswell and Reaver 1962: 11**).

სიტყვა ფოლკლორი (ინგლ. Folklore) პირველად ინგლისელმა სწავლულმა უილიამ ჯონ თომსმა გამოიყენა (1803- 85) 1846 წელს. ფოლკლორი ნიშნავს „ხალხურ სიბრძნეს“.

უილიამ რ. ბესკომბის განმარტებით, „ფოლკლორი არის კულტურის სარკე, ხალხის სულიერი ცხოვრების ამსახველი ხელოვნება, რომელსაც ახასიათებს ანონიმურობა, კოლექტიურობა, ვარიანტულობა და იმპროვიზაციულობა“ (ციტატა **Dundes 1965:284**).

ცნობილი ამერიკელი ფოლკლორისტის რიჩარდ დორსონის მიხედვით, ფოლკლორი შეიძლება დაიყოს ოთხ კატეგორიად: ზეპირი ლიტერატურა, მატერიალური კულტურა, ხალხური ტრადიციები და საშემსრულებლო ხალხური ხელოვნება. თითოეული მათგანი, თავის მხრივ, იყოფა სხვადასხვა ქვედანაყოფებად. პირველ კატეგორიაში შედის ხალხური ნარატივი, ხალხური სიმღერა ან პოეზია. ხალხურ თხრობაში (ნარატივი) შედის, მაგალითად, მითები, ლეგენდები, ხალხური ზღაპრები, ანდაზები, გამოცანები და ა.შ., რომელთა უმეტესობა თაობიდან თაობას ზეპირად გადაეცემა და ცნობილია, როგორც უავტორო ქმნილებები (**Dorson 1972 : 2**).

ხალხურ შემოქმედებაში ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი ზღაპარს უკავია. ზღაპარი ხალხური სიბრძნის ერთ-ერთი ყველაზე ძველი ჟანრია. იგი სრულად გამოხატავს ხალხის მხატვრული აზროვნების თავისებურებებს, მის იდეალებსა და მისწრაფებებს. „ზღაპრის წარმოშობა, მისი ისტორია წარსულის სიღრმეშია ჩაკარგული. ფოლკლორი საუკუნეების მანძილზე ზეპირად იქმნებოდა და ასე

გადაეცემოდა თაობიდან თაობას. ამიტომ ჩვენთვის უცნობია, თუ როდის, როგორ წარმოიშვა ესა თუ ის ჟანრი, ჩამოყალიბების როგორი გზა განვლო” (Norton 1987: 203).

ამერიკელი ფოლკლორისტის ს. თომპსონის განმარტებით, „ზღაპარი გამონაგონია, შეთხზული ამბავი. იგი ეპიკურ (ანუ თხრობით) ჟანრს განეკუთვნება და მხატვრულ გამონაგონს ეფუძნება. ზღაპარი, ერთი შეხედვით, გასართობი ამბავია, თუმცა მას დიდაქტიკური ფუნქციაც ეკისრებოდა - თაობათა მხატვრულ-ესთეტიკური და ზნეობრივი აღზრდა” (Thompson 1951: 34).

მრავალ მნიშვნელობათა შორის, როგორც ფოლკლორისტი მ. ჩიქოვანი აღნიშნავს, „პირველ რიგში ზეპირსიტყვიერების ისტორიულ და მხატვრულ-ესთეტიკურ მხარეს გამოყოფდნენ და მის წერილობით აღბეჭდვას ცდილობდნენ. ამ ნიადაგზე დაიწყო ხალხური სიბრძნის შეკრება, ჩაწერა, გამოჩნდნენ შემკრებ-ენტოუზიასტები, რომელთა უდავო დამსახურებას უმდიდრეს კოლექციათა შექმნა და გამოცემა წარმოადგენს” (ჩიქოვანი 1964: 61). ამ მხრივ გამორჩეულ ყურადღებას იმსახურებს ბერნარდე ნეაპოლელის, იტალიელი მისიონერის მიერ საქართველოში ჩაწერილი და სამასი წლის განმავლობაში იტალიაში დაცული ქართული ხალხური მხატვრული შემოქმედების თვალსაჩინო ძეგლები (მე-17 ს-ში ჩაწერილი ქართული ზღაპრები 1964:206).

ზღაპარი ხალხის მიერ შექმნილი ინდივიდუალური და კოლექტიური აზროვნების მხატვრული ნაყოფია. ინდივიდუალურია იმდენად, რამდენადაც მას ერთი მეზღაპრე მოგვითხრობს, კოლექტიური - რამდენადაც იგი თაობიდან თაობას გადაეცემა და გზადაგზა, დროდადრო ინტერპოლაცია-ჩამატებებს ითავსებს და ახალ-ახალ ვერსიულ სიუჟეტურ განვითარებას იძენს.

ხალხური ზღაპრის განსაზღვრის მცდელობისას პროფ. რიჩარდ დორსონი აღნიშნავს, რომ ზღაპარი მიეკუთვნება მხატვრული ზეპირსიტყვიერების ჟანრს, რომელსაც შედარებით თანამიმდევრული, დასრულებული ფორმა აქვს. მათი წარმოშობა, მიზნები და თემები მრავალფეროვანია. ისევე როგორც რომანი და მოთხრობები, ხალხური ზღაპრებიც პირველ რიგში, გასართობად გამოიყენება, თუმცა შესაძლოა მათ სხვა დანიშნულებაც ჰქონდეთ. ზღაპრებს მოთხრობელის მიერ გამოგონილ, ტყუილ ამბავად მიიჩნევენ. რაც ნიშნავს, რომ ზღაპრები ადამიანის ფანტაზიის ნაყოფია (Dorson (1972: 60).

ზღაპრები, დ. ნორტონის განმარტებით, „მიეკუთვნება თხრობით პროზას, რომლებიც განიხილება, როგორც გამონაგონი ამბავი. ისინი არ განიხილება, როგორც დოგმა ან ისტორია. ზღაპარში გადმოცემული ამბავი, რომელსაც სერიოზულად არ აღიქვამენ, შეიძლება მოხდა ან არ მოხდა. ხალხური ზღაპრები არ არის დროში და სივრცეში შეზღუდული, რადგან ისინი ხდება ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილას (Norton, 1987: 203).

ა. გელოვანის დაკვირვებით, მეცხრამეტე საუკუნის „მეზღაპრეების“ აზრით, ზღაპარი არასდროს ყოფილა მხოლოდ გასართობი საშუალება, არამედ მისი მეშვეობით ადამიანის ცნობიერების განვითარების ეტაპები და ტრადიციები ინახებოდა” (გელოვანი 1986: 10-11).

ქ. იორამაშვილის სამართლიანი შენიშვნით, „ზღაპარი ხშირად სცილდება რეალობას, მაგრამ მასში ესა თუ ის სინამდვილე ყოველთვის რჩება. სიუჟეტის მთავარი კვანძი მაინც მჭიდრო კავშირშია რეალურ სიტუაციასა და საზოგადოებრივ კონფლიქტთან” (იორამაშვილი 2011: 127). ზღაპარში ინდივიდი საზოგადოების გარეშე არ არსებობს და, პირიქით – პირველი თუ მეორეხარისხოვანი პერსონაჟები გამუდმებით, ცნობიერად თუ ქვეცნობიერად საზოგადოების ყურადღების ცენტრში არიან მოქცეულნი.

ზღაპარი ყოველთვის ძლიერ მორალურ და ზნეობრივ ზეგავლენას ახდენდა საზოგადოებაზე. მასში აისახებოდა იმ ერის თავისებურებანი, ტრადიციები, წეს-ჩვეულებანი, რომელშიც ის აღმოცენდა, მისი შემქმნელი ხალხის ისტორიისა და ყოფისთვის დამახასიათებელი თემები, იდეები, მოტივები. ქართულ ხალხურ ზღაპარში არეკლილია ჩვენი ხალხის ბედუკუდმართი წარსული, სოციალურ-პოლიტიკური თუ ეროვნული ძნელბედობა, ჩაგვრისა და უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლა.

მსოფლიოს ზღაპრებს იდეურ-თემატიკურად, შინაარსობრივად, გმირთა ხასიათებით, ამბის გადმოცემით, კომპოზიციით, დასაწყისითა თუ დასასრულით ბევრი რამ აქვთ საერთო. „მეზღაპრის მოყოლილი ამბავიც თითქოს ყველგან გარკვეულ ჩარჩოებშია მოქცეული – იგი მოგვითხრობს ადამიანთა ან ცხოველთა თავგადასავალს, ზებუნებრივ ძალებზე, სასწაულებზე და ისეა გააზრებული და მოწოდებული, რომ ძირითადი აქცენტი კარგისა და ცუდის, კეთილისა და ბოროტის

დაპირისპირებაზეა გადატანილი, თუმცა ეროვნული კოლორიტი, მისი თვითმყოფადობა ყველა ხალხის ზღაპარში მკვეთრად არის გამოხატული” (Norton 1987:203).

ხალხური ზღაპრებისათვის დამახასიათებელ თემებთან დაკავშირებით ნორტონი აღნიშნავს, რომ ხალხური ზღაპრები ასახავს საყოველთაო ჭეშმარიტებას და ტრადიციულ ღირებულებებს იმ დროისა და საზოგადოებებისა, სადაც ისინი წარმოიშვა. ზღაპრის გმირები, მათი ქმედებები, ჯილდოები და სასჯელი განავითარებს თემებს, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანის მორალური და მატერიალური მიღწევების ყველაზე მაღალ წარმოდგენებთან: კეთილი სძლევს ბოროტს, გონებამახვილობა - ფიზიკურ ძალას; სამართალი ზეიმობს; უანგარო სიყვარული იმარჯვებს. ზღაპრები ასევე აჩვენებს რა ემართებათ მათ, ვინც არ აკმაყოფილებს ტრადიციულ სტანდარტებს: ეჭვიანი დედოფალი, ბოროტი დედინაცვლის შვილები ისჯებიან; უგუნური მეფე კარგავს თავის ავლადიდებას, ხარბი ადამიანი კარგავს წყაროს თავისი წარმატებისა ან კეთილდღეობას, ბავშვი, რომელიც არ უსმენს რჩევას ისჯება სხვადასხვაგვარად. ამ თემების უნივერსალურობა მიგვანიშნებს, რომ ხალხს ყველგან მსგავსი იდეალები და რწმენა აქვთ (Norton 1987: 211).

როგორც ფ. ზანდუკელი აღნიშნავს: „ზღაპარში მოთხრობილი ამბავი დისტანციიდან არის დანახული, ამიტომ თხრობა წარსულ დროშია გადმოცემული და დომინირებს „იყო“ ზმნა (ზანდუკელი 1980: 46).

საინტერესოა თვით ტერმინი „ზღაპარი“ და მისი განმარტების ცდები. სულხან-საბას აზრით, ზღაპარი არის „მოგონებული ტყუილი, ამბავად შემჭევრებული და არა ქმნილი მყოფობით” (ორბელიანი 1965: 295). დავით ჩუბინაშვილი ამ სიტყვა-ტერმინს ასე განმარტავს: „ზღაპრის მწერალი, баснописець, сказочник, მუცლით მეზღაპრე, მუცლით გამო მომგები სამისნოთა პასუხთა, чрево вещатель” (ჩუბინაშვილი 1984: 697). ანალოგიურია ნიკო ჩუბინაშვილის მოსაზრებაც: „მუცლით მეზღაპრე, გრძნეული, მკითხავი ანუ მუცლით გამო მიმღები სამისნოთა პასუხთა чрево волшебник” (ჩუბინაშვილი 1961: 302). ილია აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში” ეს სიტყვა მისნისა და კუდიანის მნიშვნელობით არის მოცემული: „მუცლითმეზღაპრე, „ულუკი”, მისანი, კუდიანი” (აბულაძე: 1973).

ფოლკლორისტი თეიმურაზ ქურდოვანიძე ზღაპრის სამ სახეობას გამოყოფს: ზღაპრები ცხოველების შესახებ (ცხოველთა ეპოსი), ჯადოსნური ანუ ფანტასტიკური ზღაპრები, საყოფაცხოვრებო ზღაპრები და ნოველები. საზღაპრო ეპოსის ყოველ სახეობას თავისი სპეციფიკური თავისებურება აქვს, რომელიც გამოხატულია ფორმაში, შინაარსში, სახეთა სისტემაში, კომპოზიციაში (**ქურდოვანიძე 2001:156**).

ვლ. პროპი, განიხილავს ზღაპრის კლასიფიკაციის სხვადასხვა ნიმუშებს, ავტორს იქვე მოჰყავს ვ. ვუნდტის დაყოფა: 1. მითოლოგიური ზღაპარ-იგავები; 2. საკუთრივ ჯადოსნური ზღაპრები; 3. მითოლოგიური ზღაპრები და იგავები; 4. საკუთრივ ცხოველთა იგავები; 5. ზღაპრები „წარმოშობის შესახებ“; 6. სახუმარო ზღაპრები და იგავები; 7. ზნეობრივი იგავები. იგი თვლის მათ ღრმა და შინაარსიან დაყოფად, თუმცა საკამათოდაც: იგავი ხუთჯერ გვხვდება შვიდ თანრიგში და ფორმალური კატეგორიაა. რას გულისხმობს ვუნდტი ამ ტერმინში გაურკვეველია. ტერმინი „სახუმარო“ საერთოდ მიუღებელია, რადგან იგივე ზღაპარი შეიძლება ახსნილი იქნას, როგორც საგმირო ან კომიკური (**პროპი 1984:52**).

ცხოველთა ეპოსში შედის ის ზღაპრები, რომლებშიც მოქმედ პირებად პირუტყვები არიან გამოყვანილნი. როგორც ე. პომერანცევა აღნიშნავს: „ცხოველებზე შექმნილ მითებთან ერთად გავრცელებული უნდა ყოფილიყო ამბები ცხოველთა რეალური ყოფის, მათი ჩვევების შესახებ. მონადირეთა მონათხრობები შეჯერებული იქნებოდა გამონაგონით. შემოქმედებითი ფანტაზიის ამ მრავალფეროვნებამ განსაზღვრა ცხოველთა ზღაპრის ჟანრული თავისებურებანი. მოთხრობები ცხოველებზე მაშინ იქცნენ ზღაპრებად, როცა გაწყვიტეს კავშირი უძველეს რწმენა-წარმოდგენებთან და გამონაგონს დაეფუძნენ“ (**Померанцева 1965: 54**).

ცხოველთა ზღაპრებში შემონახულია უძველესი კულტურა და ცხოვრებისეული გამოცდილება. აქ ხდება მოდელირება იმდროინდელი შრომითი საქმიანობებისა, ურთიერთობებისა და წეს-ჩვეულებებისა, როცა ის შეიქმნა. „ცხოველთა ზღაპრების ნიმუშთა სწორად გააზრებისათვის აუცილებელია შესაბამისი ეპოქის, აზროვნების, მსოფლმხედველობის, რწმენა-წარმოდგენების, სოციალური გარემოს გათვალისწინება“ (**ჩოლოყაშვილი 2004: 10**). ცხოვრებისეულ გამოცდილებას ხალხი ინახავს მეხსიერებაში და გადმოგვცემს სინამდვილეს მხატვრულ სახეებში - აქ სინამდვილესთან შერწყმულია ხალხის შეხედულება, ფანტაზია, მისწრაფება, ოცნება.

ცხოველთა ეპოსში ზღაპრის სიუჟეტი ცხოველების ურთიერთობის საფუძველზე იგება და ვითარდება მოქმედება. მოქმედი პირები არიან როგორც შინაური, ისე გარეული ცხოველები. თითოეული მათგანისთვის საზღაპრო ეპოსში შემუშავებულია ინდივიდუალური ხასიათი, რომელიც ზღაპრიდან ზღაპარში გადადის. „ცხოველთა შესახებ ზღაპრების პერსონაჟი ორმაგი ბუნებისაა, რომელსაც სახელი და სახე ცხოველისა აქვს, თვისებანი და შესაძლებლობანი კი ადამიანის. გარდა მეტყველებისა და აზროვნებისა, ის ჩვეულებრივ კაცთა ცხოვრებით ცხოვრობს“ (ჩოლოყაშვილი 1999).

ცხოველთა შესახებ ზღაპრის შესწავლისას ყურადღებას იქცევს ამ ნაწარმოების ერთი თავისებურება. აქ ვგულისხმობთ, არა მხოლოდ პერსონაჟთა სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირებას, არამედ იმ დაუნდობელ, ბარბაროსულ დამოკიდებულებასაც, რომელსაც გამარჯვებული იჩენს დამარცხებულის მიმართ. პერსონაჟთა შორის ასეთი დაუნდობლობის მიზეზი ამ ჟანრის წარმოშობის თავისებურებებიდან უნდა მოდიოდეს. როგორც რ. ჩოლოყაშვილი შენიშნავს „ეს ზღაპრები არ შექმნილა ბავშვებისათვის და შინაარსიც ამიტომ არა აქვს საბავშვო, მაგრამ ცხოველთა სამყარო თავისთავად იზიდავს ბავშვებს. მათ აინტერესებთ ცხოველების შესახებ მოთხრობილი ამბებიც. ყველაზე მეტად კი ამ ზღაპრების მოსმენა სკოლამდელი ასაკის ბავშვებს სიამოვნებთ. სწორედ ამ ხნის ბავშვი ყოველთვის გაფაციცებული უსმენს ამბებს ამ ორსახოვანი, ორბუნებოვანი ცხოველების შესახებ. ის არასოდეს არ გაიკვირვებს, არ იუცხოვებს ცხოველების მეტყველებას, მათი ცხოვრების წესს. მით უმეტეს, რომ ცხოველთა ზღაპრები იუმორს არ არის მოკლებული“ (ჩოლოყაშვილი: 1999).

ცხოველთა ეპოსის სტილის თავისებურებანია: ლაკონიურობა (ზღაპრების მოცულობა მცირეა), ლაპიდარობა, თხრობის სისადავე და სიმსუბუქე. ცხოველთა ეპოსს ახასიათებს მარტივი სტრუქტურა, სხარტად მოწოდებული ნათელი სიუჟეტი, რომელიც ყოველთვის კონფლიქტურია. ეს ნაწარმოები სტაბილურია, რასაც, ალბათ, სიუჟეტის სიმარტივე უწყობს ხელს; გამოირჩევა ვარიანტების სიმცირით. პროფ. მ. ჩიქოვანი აღნიშნავს, რომ ცხოველთა ზღაპარი მხატვრული კომპოზიციის თვალსაზრისით მარტივია. ეს გამოწვეულია იმით, რომ მასში ეპიზოდების რიცხვი მცირეა, მოქმედი გმირები მრავალრიცხოვანი არ არის და წარმოსახვის საშუალებებიც

მინიმუმამდეა დაყვანილი (ჩიქოვანი: 1938). ცხოველთა შესახებ ზღაპრებისათვის უცხოა მოქმედ პირთა და სიტუაციათა დახასიათება, ბუნების აღწერა. მისთვის ტიპურია „მოკლე წინადადებები, სხარტი გამოთქმები, თხრობა დინამიკური“ (ზანდუკელი 1980: 50). მეზღაპრეები მხატვრულად მოგვითხრობენ ამბავს, რომელიც დაფუძნებულია გარკვეულ იდეაზე, თუმცა დასკვნებს არ გვთავაზობენ. მსმენელმა თავად უნდა განსაჯოს, რა არის ჭკუის სასწავლებელი.

ცხოველთა ზღაპრებში ადვილად შესამჩნევია სიმბოლურ-ალეგორიული დეტალები და თხრობის იგავ-არაკული ფორმა. ზოგიერთი ზღაპარი კომპოზიციითაც ლიტერატურულ იგავ-არაკს ჰგავს.

საქართველოში გავრცელებულია ცხოველთა ზღაპრის 130 ტიპი. აქედან საერთაშორისო ფოლკლორში ცნობილია 64 სიუჟეტური ტიპი, ორიგინალურია - 66.

ჯადოსნურ ზღაპრებში რეალურ სინამდვილესთან ძნელად შესათვისებელი ამბებია გადმოცემული. მათი მთავარი თავისებურება უკიდურესი ფანტაზიაა. ზღაპარში დახატულია არაჩვეულებრივი სამყარო, სასწაულმოქმედი პერსონაჟები, ხდება ადამიანთა და ბუნების სახეცვლილება, ცხოვრებაში სიკეთისა და ბედნიერების დამკვიდრების მისწრაფებაა გამოხატულია.

უძველესი მსოფლმხედველობის კვალი ჯადოსნურ ზღაპარში დღეს სრულიად სახეშეცვლილია. არქაული ზღაპრის ძირითადი თემა ადამიანის ბრძოლა ყოფილა ბუნებასა და მის ბინადრებთან.

საქართველოში დაფიქსირებულია 135 სიუჟეტური ტიპი. მათ შორის 100 ტიპოლოგიური სიუჟეტია, ხოლო 35-ორიგინალური. ყველაზე მეტად გავრცელებულია ზღაპრები, რომლებშიც გადმოცემულია გმირის ბრძოლა სასწაულებრივ მოწინააღმდეგესთან (გველეშაპი, ეშმაკი, დევი).

ჯადოსნურ ზღაპარში პერსონაჟთა რამდენიმე ტიპი მოქმედებს, თუმცა, ერთი შეხედვით, შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ყველა ცალკეულ ზღაპარში ახალი პერსონაჟია გამოყვანილი. გმირთა სიმრავლის ილუზიას ზღაპრის თემათა სხვადასხვაგვარობა ქმნის, პერსონაჟთა ტიპების რაოდენობა კონკრეტული რიცხვით განისაზღვრება.

ვლ. პროპის მიხედვით, ჯადოსნურ ზღაპარში მთავარ მოქმედ პირთა რაოდენობა შვიდია: ანტაგონისტი (მავნე), მჩუქებელი (მომმარაგებელი), შემწე, მეფის ასული და მისი მამა, გამგზავნი, გმირი, ცრუ გმირი.

ე. მელეტინსკის მიხედვით, მთავარ მოქმედ პირთა რაოდენობა ექვსია: გმირი, მავნებელი (გმირის მოწინააღმდეგე), მზეთუნახავი, მჩუქებელი (რომელიც თავის სასიკეთოდ უნდა განაწყოს გმირმა, რათა მისგან მიიღოს ჯადოსნური საგანი ან უნარი), შემწე, რომლის გარეშეც გმირი ვერ მიაღწევს საწადელს, ცრუ გმირი, რომელიც ცდილობს, მიითვისოს გმირის მონაპოვარი.

ზღაპრის თითოეულ ტიპში წარმოდგენილ პერსონაჟთა მხატვრული სახეები სიუჟეტიდან სიუჟეტში უცვლელად მეორდება. მათი მრავალფეროვნების შთაბეჭდილებას ზღაპართა ვარიაციები ქმნის. გმირთა ყველა ტიპი დაქვემდებარებულია ტრადიციით შემუშავებულ სქემას, თავისი მოქმედების ფარგლები და ფუნქცია აქვს. ტრადიციის როლზე ზღაპარში ე. მელეტინსკი წერს: „ზღაპრის პერსონაჟი, მისი სიუჟეტი ტრადიციულია და ბევრი რამე თავისთავად, ყოველგვარი კომენტარის გარეშე იგულისხმება. აქ ტრადიციულია როგორც ფორმა, ისე თვით ეპიკური სიტუაციები, მოტივები, თემები და მთელი სიუჟეტური სქემაც კი (Мелетинский 1976: 91). ლიტერატურული თხზულებისაგან განსხვავებით, ზღაპრის გმირთა მხატვრული სახეები განვითარებას არ ექვემდებარება.

ჯადოსნური ზღაპრის კომპოზიციის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს მზამზარეული წარმონაქმნები, ანუ საერთო ადგილები- უნივერსალიები (ლათ. Universalis-საერთო). ასეთი უნივერსალური მასალა ჯადოსნურ ზღაპარში არის სიტყვიერი ფორმულები, სასწაულებრივ საგანთა თვისებები, ერთმანეთთან სემანტიკურად დაკავშირებულ მოტივთა კომპლექსები. ისინი მთელი საზღაპრო ეპოსის საკუთრებაა, სწორედ ამიტომ შეუზღუდავად გვხვდება სხვადასხვა ზღაპარში.

ზღაპრის უნივერსალიებს წარმოადგენენ სპეციფიკური ტრადიციული წარმონაქმნები - მზა ფორმულები, აღწერილობები, მაგიური მოქმედებები. ამათგან პირველი მათგანი დაშტამპული, მოკლე ტიპობრივი ფრაზებია, შეკრული რიტმითა და რითმით (დლონტი :1989).

ზემოჩამოთვლილი საერთო ადგილები - შტამპები ზღაპრის კომპოზიციაში გარკვეულ ფუნქციას ასრულებენ. დასაწყისი და დასასრული ფორმულები

წარმოადგენენ სიუჟეტის ჩარჩოს, შინაგანი ფორმულები ერთმანეთთან აკავშირებენ ეპიზოდებს.

ზღაპრის დასაწყისში სახლიდან წასული გმირი ტოვებს თავის განსაზღვრულ სივრცეს და გადადის სხვა, უფრო საინტერესო სამყაროში, სადაც ფანტასტიკური გარდაქმნებით აღსავსე ცხოვრება ელის; ბოროტ და კეთილ ძალთა მძაფრი დაპირისპირების ფონზე სიკეთე იმარჯვებს, მაგრამ ამ გამარჯვებამდე „კეთილი საწყისების მატარებელმა გმირებმა გრძელი და ფათერაკებით სავსე გზა უნდა გაიარონ, რამდენიმეჯერ შეხვდნენ სიკვდილს პირისპირ, გამოსცადონ საშინელებათა მთელი წყება, განიცადონ მარცხიც, გაწბილებაც, მეგობრობის ძალაც და ღალატის სიმწარეც. ბოლოს კეთილმა, სიკეთემ უნდა იზეიმოს” (წიბახაშვილი 2000: 137). ზღაპარი გმირის მაგალითზე გვასწავლის, რომ თუ რაიმეს მიღწევა გსურს, უნდა მოიპოვო იგი, ზოგჯერ თავგანწირვის ფასადაც.

სივრცეთა მრავალფეროვნება ჯადოსნურ ზღაპარს გამოარჩევს ზღაპრის სხვა სახეობებისგან. ცხოველთა და საყოფაცხოვრებო ზღაპრებში სივრცის შეზღუდულობა განპირობებულია ჟანრის სპეციფიკური თავისებურებებით - თემატიკა, მოქმედების კონკრეტული ადგილი, კონფლიქტის მიწიერი ბუნება და სხვა. ჯადოსნური ზღაპარი ვერ ეგუება ლოკალურ სივრცეს და თავისი ბუნებით მრავალფეროვანია. მოქმედების განვითარების პროცესში, კონფლიქტის გადაჭრამდე, გმირმა უნდა გაიაროს სხვადასხვა სახის გამოცდა. ე. მელეტინსკის აზრით, „ჯადოსნური ზღაპრის კლასიკური ფორმისათვის სპეციფიკურია წინასწარი და ძირითადი გამოცდების ორმაგი ოპოზიცია, ჯერ ერთი, რეზულტატის მიხედვით და მეორეც, თვით გამოცდის ხასიათის მიხედვით” (Мелетинский : 1958).

ზოგიერთ საზღაპრო სიუჟეტში ცენტრალური სიუჟეტური ხაზის გვერდით შეიძლება შეგვხვდეს დამატებითი სიუჟეტური ხაზი. ჯადოსნური ზღაპრის მოქმედება მთავარი გმირის გარშემო ტრიალებს, რაც გადამწყვეტ როლს ასრულებს ნაწარმოების გამთლიანებაში. გარკვეული იდეის დამკვიდრებისათვის გმირი მიზანმიმართული და თანამიმდევრულია. ეს ხელს უწყობს მოქმედების ერთიანობის ორგანიზაციასა და ზღაპრის შეკვრას.

საყოფაცხოვრებო-ნოველისტურ ზღაპრებს განეკუთვნება ზღაპართა ის ჯგუფი, რომლებშიც რეალური სინამდვილეა ასახული. ამ ტიპის ზღაპრებისთვის უცხოა

სინამდვილესთან შეუთავსებელი ფანტასტიკური გამონაგონი. ზღაპრის პერსონაჟები საზოგადოების თითქმის ყველა ფენისა და წრის წარმომადგენლები არიან. მოქმედებას ყოველთვის ორი დაპირისპირებული ძალა წარმართავს. მხატვრულად გაფორმებული ამბები დანახულია სოციალური, მორალური და სამართლებრივი პოზიციებიდან. ცხოვრებისეული სინამდვილე ხალხურ ნოველებში ერთი პრინციპითაა ასახული - კლასობრივი და საყოფაცხოვრებო პრობლემებისაგან წარმოქმნილი კონფლიქტური სიტუაციები უკიდურესადაა გამწვავებული.

საყოფაცხოვრებო - ნოველისტური ზღაპრები და ანეკდოტები მრავალ თემაზეა შექმნილი. მათში მოგვითხრობენ ზარმაცებზე, ქურდებზე, ბატონებზე, დედინაცვლებზე და სხვ.

საყოფაცხოვრებო ზღაპარი, ჯადოსნურთან შედარებით, მოცულობით მცირეა, კომპოზიციურად - მარტივი. ზღაპარი იწყება მოკლე ექსპოზიციით, რომელშიც მითითებულია გმირის სოციალური მდგომარეობის შესახებ, მაგ: „იყო ერთი ხელმწიფე...“ მოქმედება სწორხაზოვნად ვითარდება, ზღაპარს არ ახასიათებს გართულებული სიუჟეტი, ეპიზოდების ჩართვა და სხვა კომპოზიციურ-სტილური ხერხები, თითქმის ვერ ვხვდებით დასაწყისის და დასასრულის, ასევე შინაგან ტიპობრივ მზა ფორმულებს.

ნოველისტურ ზღაპრებთან ახლოს დგას ანეკდოტი. ეს ორი ჟანრი ხშირად ერთსა და იმავე თემაზე მოგვითხრობს და პერსონაჟებიც მსგავსი ჰყავს. ანეკდოტისათვის, ნოველისგან განსხვავებით, კიდევ უფრო ლაკონური თხრობაა დამახასიათებელი. მისი სიუჟეტი შეკუმშული და სხარტია. გადმოსაცემ ამბავში მხოლოდ მთავარზეა ყურადღება გამახვილებული. თხრობა კულმინაციურ მომენტამდე უაღრესად დამაბულად მიემართება და ყოველთვის მოულოდნელია დასასრული.

ქართული საყოფიერო-ნოველისტური ზღაპრისა და ანეკდოტების სიუჟეტური რეპერტუარი მრავალფეროვანია. გავრცელებულია 188 სიუჟეტური ტიპი, რომელთაგან 110 საერთაშორისო ფოლკლორშია დაფიქსირებული, ხოლო 78 ორიგინალური სიუჟეტური ტიპია.

როგორც გ. წიბახაშვილი აღნიშნავს, „ხალხური ზეპირსიტყვაობა გაცილებით მრავალფეროვანია და კლასიფიკაციის მკაცრ ჩარჩოებში არ ეტევა. ბევრია ზღაპარი,

რომლებიც ერთი ნიშნით რომ ჯადოსნურს განეკუთვნებიან, რაღაც სხვა კუთხით წარმოგვიდგებიან, როგორც ზღაპრები ცხოველების შესახებ” (წიბახაშვილი 2000: 135).

ზღაპარსაც, ისევე როგორც მხატვრული პროზის ნიმუშებს, თავისი „ავტორი“ ჰყავს, კომპოზიციაც საკუთარი აქვს. ამასთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრებას გვთავაზობს ედგარ ალან პო: „თხრობის აგების საყოველთაოდ გავრცელებულ ხერხს ერთი ძირითადი ნაკლი აქვს. ან ამბავი გვიბიძგებს დასაწერად – ან იმ დღით მომხდარი რაიმე შემთხვევა – ან, კიდევ უკეთესი, ავტორი ჯდება სამუშაოდ, რათა ერთმანეთს შეუხამოს არაჩვეულებრივი ეპიზოდები, თხრობის საყრდენი რომ მაინც შექმნას – ძირითადად ისეთნაირად გეგმავს, რომ შეავსოს აღწერით, დიალოგით, ავტორისეული შენიშვნებით, ხოლო მოვლენები თუ მოქმედება ფურცლიდან ფურცელზე თვითონვე, საკმაოდ მკაფიოდ მოგვითხრობს თავის ამბავს. მე ვამჯობინებ ისეთ თხრობას, რომ შედეგი წინასწარ ვიცოდე...” (ედგარ პო 1989: 205).

ედგარ პოს ეს დაკვირვება შეიძლება თავისუფლად მივუსადაგოთ ხალხური თუ ლიტერატურული ზღაპრის მწერლისეულ ინდივიდუალურ სტილს, კომპოზიციასა და წერის მანერას. სწორედ ამით ჰგავს ლიტერატურული და ხალხური ზღაპარი ლიტერატურულ და პროზაულ ნაწარმოებს. მსგავსება ისაა, რომ ხალხური და ლიტერატურული ზღაპრის ან პროზაული ნაწარმოების ავტორ-მწერალმა წინასწარ იცის, როგორ და რატომ მოგვითხროს ან როგორ დაამთავროს თხრობა. ხალხური ზღაპარი იმით განსხვავდება ლიტერატურული ზღაპრისა და მწერლის თხზულებისაგან, რომ მას კოლექტიური მთხრობელი ჰყავს, მხოლოდ მთხრობელი, ზეპირგადმომცემი და არა - მწერალი.

ხალხური და ლიტერატურული ზღაპრების საერთო და განმასხვავებელ ნიშნებზე არაერთი მკვლევარი ამახვილებს ყურადღებას (ო. კროპაჩი, ს. სეროვი და სხვ.). ლ. ბრაუდეს აზრით, ლიტერატურული ზღაპარი ავტორისეულია, მხატვრულია, პოეტური წარმომავლობისაა, რომელიც ეფუძნება ფოლკლორულ წყაროებს (Брауде 1977 : 234).

დ. ფანჯიკიძე ხალხური და ლიტერატურული ზღაპრების შედარებისას შენიშნავს, რომ ლიტერატურულ და ხალხურ ზღაპარს საერთო აქვთ რიტმი და ინტონაცია და, შესაბამისად - მათი შემქმნელი გრამატიკული სტრუქტურები. თხრობა ლიტერატურულ ზღაპარშიც გამჭვირვალეა, მაგრამ იგი მხატვრული სახეების

სიმრავლითა და ოდნავ ზეაწეული ელფერით ხასიათდება. ზეაწეულობა იქმნება მარკირებული ლექსიკით, რომელიც ხან პერსონაჟის გუნება-განწყობის გამოხატვას ემსახურება, ხან კი ბუნების სურათების აღწერისათვისაა მოწოდებული (ფანჯიკიძე:1988). აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ლიტერატურული ზღაპრის ავტორი პროფესიონალი მწერალია, ხოლო ზღაპრის ავტორ-მთქმელი „ზეპირმწერალი“, ანუ „ზეპირმთქმელი“ – არამწერალი, ხალხის შემოქმედებითი კოლექტიური გონის ნაყოფი, ანუ გენია, თანაც, მწერლისეული ლიტერატურული ზღაპარი მხოლოდ და მხოლოდ მიბადება ხალხური ზღაპრისა, ამიტომაც მისი ავტორი ხალხური ზღაპრის ტყვეობაში იმყოფება.

ე. გორდეზიანის დაკვირვებით, „ხალხური ზღაპრის არსებითი ნიშან-თვისება სიტყვიერი მასალის არამდგრადობა და არაერთგვაროვნებაა. ამის მიზეზი ისაა, რომ ხალხურ ზღაპარს იმდენი ზეპირი ვარიანტი აქვს, რამდენიც მთხრობელ-მომყოლია“ (გორდეზიანი 1995:11). ინდივიდუალურად მეზღაპრეს აქ გამორჩეული როლი ენიჭება. ზღაპრის ტექსტის ფიქსაცია იწყება მისი ჩაწერიდან, ქალღმერთად გადატანიდან. მხოლოდ ასეთი ფიქსირებული ტექსტი შეიძლება გახდეს თარგმნის ობიექტი. აქ არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ ტექსტის ჩამწერ-გამომცემელი არ უნდა ჩაერიოს მეზღაპრის თხრობის მანერაში, ტექსტის გალიტერატურებაში, რომლის სამწუხარო ფაქტები ჩვენს ქართულ სინადვილეში არაერთხელ გვქონია (ხალხური პროზაული თუ პოეტური ტექსტები, რომლებშიც დიალექტური მახასიათებლები სალიტერატურო ქართულითაა ჩანაცვლებული).

ზღაპრის „ზუსტად ჩაწერის“ პრობლემა ხალხურ შემოქმედებით ჟანრთა შორის განსაკუთრებულია, რადგანაც ეპოსის შემდეგ ზღაპარი ყველაზე მოცულობიანი ჟანრია, მისი დადგენილი ტექსტი ფაქტობრივად არ არსებობს – იგი ხელახლა იქმნება ყოველი ახალი მოთხრობისა და მოყოლის დროს. აქ უკვე წინა პლანზეა მოთხრობლის მხატვრული ალღო, მოყოლის უნარი, ზღაპრის სიუჟეტისა და შინაარსის შინაგანი ერთიანობის გრძნობა.

ჩვენი აზრით, ზღაპრის გადმოცემისას მოთხრობლის თუ მეზღაპრის მხოლოდ ენამჭევრობა არ არის საკმარისი. აქ კიდევ ზღაპრის შინაარსეულ სტრუქტურასთან ერთად სხვა შინაგანი ხიბლი და ინდივიდუალური არტისტიზმია საჭირო.

როგორც ე. გორდეზიანი შენიშნავს: „თხრობის სტილს შეიძლება სხვადასხვა ენებზე მომუშავე დიდი მწერლების სტილში დაეძვინოს თანხვედრი მომენტები, რემინისცენციები, ასოციაციები, მხატვრული სახეები და აზრთა ანალოგიებიც კი, მაგრამ ხალხურ ზღაპარში ეს გამორიცხულია – აქ ყველაფერი განუმეორებელია, უნიკალურია, ერთადერთია. ეს უნიკალურობა ზოგ რამეში აშკარად ჩანს და ყველა ადვილად ამჩნევს, ზოგჯერ კი მოვლენა იმდენად სიღრმისეულია, რომ ბევრისათვის შეუმჩნეველი რჩება და იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ყველა ზღაპარი ერთმანეთს წააგავს და მხოლოდ ენობრივი ბარიერი განასხვავებს მათ” (გორდეზიანი 1995 :13).

ცხადია, თანხვედრი მომენტები, იქნება, თანაც ყოველთვის, ეს ცხოვრების თანამდევია, რაც ერთნაირი ეგზისტენციალური ყოფითაა განპირობებული, ამიტომაც არის, რომ ამა თუ იმ ქვეყნის, ერის, მწერლის, ხალხის, ეთნოსის თუნდაც აფორიზმები, აფორისტული თქმები, მაქსიმები, ანდაზები შინაარსით საგრძნობლად ჰგავს ერთმანეთს, რაც ურთიერთგავლენით ვერ აიხსნება. ხშირ შემთხვევაში ასეთი დუბლეტები თუ „პარალელიზმი” ვლინდება ხალხური ზღაპრის თუ მწერლის წინადადების გამიზნულად არაერთგზის გამეორებაში.

ქართველი გერმანისტის პროფ. შოთა რევიშვილის წიგნები თუ ცალკეული ხასიათის სამეცნიერო ნაშრომები ყურადღებას იქცევს საკითხის კვლევის სიღრმით. მკვლევარმა ქართულ-ევროპულ ხალხურ და ლიტერატურულ ზღაპრებს მიუძღვნა არაერთი გამოკვლევა. ერთ-ერთ სტატიაში შ. რევიშვილი (რევიშვილი: 1997(ა)) არკვევს შუა საუკუნეების ქართულ-ევროპულ ხალხურ და ლიტერატურულ ზღაპრებთან, საერთოდ, ხალხურ სიუჟეტებთან თანხვედრას.

შ. რევიშვილი კიდევ უფრო უღრმავდება ქართულ-ევროპულ ისტორიულ-ლიტერატურულ ურთიერთობებს და ცალკეული ეტიუდების სახით გვაწვდის საინტერესო დაკვირვებებს (რევიშვილი 1977 (ბ): 15). მაგალითად, „კავკასია ისლანდიურ თქმულებებში” (გვ.715), „კავკასია VII-VIII საუკუნეების ანგლოსაქსურ პოემაში” (გვ. 13-15) და სხვ.

შეიძლება ითქვას, ქართულ-ევროპული „ზღაპრული ურთიერთობები” მჭიდროდ გადაჯაჭვულია ეპოქის სულითა და სიუჟეტური ქარგით. თვით ის ფაქტი, რომ გერმანული, ფრანგული და ინგლისური ანალოგიური სიუჟეტებით მდიდარია

ქართული (სვანური) ფოლკლორი, იმაზე მეტყველებს, რომ მსგავსი სიუჟეტები ძველთაძველია – მათ სათავე ანტიკურ, ბერძნულ-რომაულ და ქართულ-კოლხურ-იბერიულ წარმართულ ხანაში ეძებნება. ირკვევა ისიც, რომ ამის ერთ-ერთი დასტურია ავსტრიელი გერმანელის იანსენ ენიკელის „მსოფლიო ქრონიკაში“ (XIII ს.) ასახული ქართული ზღაპრის გერმანული ეკვივალენტი, ასევე XIV საუკუნის ინგლისელი მწერლის ჯეფრი ჩოსერის შემოქმედება „კენტერბერიული მოთხრობების“ სათავედასავლო-თავშესაქცევი „ზღაპრული თხრობის“ სახით. ეს უკანასკნელი ხომ მხოლოდ 90 წლით „ჩამორჩება“ ენიკელის მოღვაწეობის ხანას. ენიკელიც და ჯეფრი ჩოსერიც, ჩვენი აზრით, არიან გერმანიისა და ინგლისის – მთელი ევროპის მწერლური კულტურის პირმშო, რომლებიც დიდად არიან დავალებული იმდროინდელი ფრანგული და იტალიური მწერლობისაგან.

რაც შეეხება „ქართულ-ევროპული“ ზღაპრის სიუჟეტის იდენტური ქარგის არსებობას, ის ადამიანის ცხოვრებისეული რეალიებიდან გამომდინარეა, რაც ჩვენი აზრით, სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ სიუჟეტი დამოუკიდებლად არ აღმოცენებულა და განვითარებულა ამა თუ იმ ხალხისა თუ ქვეყნის ეთნოყოფით ნიადაგზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არაა სესხება, ზღაპრის სესხების გზა აქ გამორიცხებულია (შდრ. მაგ., სიუჟეტი ქართული ხალხური ზღაპრისა „თხა და ვენახი“, ინგლისური – „დედაბერი და მისი გოჭი“ (სკულტე 1992: 115-124) და სხვ.)

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზღაპრის ერთი და იგივე სიუჟეტური ტიპი შეიძლება შეგვხვდეს ერთმანეთისაგან ტერიტორიულად დაშორებულ გეოგრაფიულ პუნქტებში. ასეთი სიუჟეტების თემა და იდეა უცვლელია, მაგრამ ზღაპარში დასახული კონფლიქტის მხატვრული ხორცშესხმა სხვადასხვანაირია. ამის მიზეზი ისაა, რომ თითოეულ ქვეყანაში აქვთ ცხოვრების საკუთარი წესი, ჩვეულებები, ფსიქოლოგია, რაც ასახვას ჰპოვებს ხალხის მხატვრულ აზროვნებაში.

§ 2. მხატვრული თარგმანისა და ზღაპრის თარგმნის სპეციფიკის შესახებ

ზღაპრის ჟანრობრივი თავისებურებებით განპირობებული მთარგმნელობითი მეთოდებისა და პრინციპების გამოსაკვეთად გვერდს ვერ ავუვლით მხატვრული თარგმანის იმ ძირითად პრობლემებს, რომლებიც ზღაპრის თარგმნასაც ახლავს.

ამიტომ, თავდაპირველად, უცხოელი და ქართველი თარგმანის თეორეტიკოსთა თვალსაზრისების საფუძველზე მხატვრული თარგმანის იმ სპეციფიკურ საკითხებზე შევჩერდებით, რომელთა გათვალისწინება მიზანშეწონილად მიგვაჩნია ზღაპრის თარგმანების გაანალიზება-შეფასებისას.

თარგმანის პრაქტიკა დაახლოებით ოც საუკუნეს ითვლის. მიუხედავად ამისა, თარგმანმცოდნეობა, როგორც ფილოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთი დისციპლინა, შედარებით ახალია. თარგმანის თეორია თითქმის იმ დროს გაჩნდა, როგორც კი საფუძველი ჩაეყარა ერთი ენიდან მეორეზე თარგმნას – ერთა შორის კულტურულ ფასეულობათა გაცვლის პრაქტიკას, როგორც ლიტერატურულ ურთიერთობათა დამყარების საშუალებას. როგორც ცნობილია, მან რამდენიმე საფეხური გაიარა. სულ ადრე, საწყის ეტაპზე თარგმანი თავისუფალი იყო და არ მოეთხოვებოდა დედანთან მიახლოებული სიზუსტე. უფრო მეტიც, მთარგმნელი ხშირად ქმნიდა თავის ორიგინალურ ლექსს ან ტექსტს, რომელიც ორიგინალში მოცემულ შთაბეჭდილებას ეყრდნობოდა (Комиссаров 2002: 99).

დროთა განმავლობაში თვით ტერმინი „თარგმანი“ და მისი გაგება არა მარტო სემანტიკურად იცვლებოდა, არამედ თარგმანისადმი მოთხოვნებიც (Левин 1962: 374).

ლ. ბარხუდაროვის თანახმად, ერთი ენიდან მეორეზე თარგმანად იწოდება ისეთი თავისებური სიტყვობრივ-მეტყველებითი წარმოებითი პროცესი, რომელშიც შენარჩუნებულია ნაწამოების შინაარსი და გეგმა, ე. წ. მნიშვნელობა, ხოლო თარგმანის ლინგვისტური თეორიის საგანია მეცნიერული აღწერა თარგმნის პროცესისა, როგორც ენათშორისი ტრანსფორმაციისა, ანუ ერთ ენაზე შექმნილი ტექსტის მის ეკვივალენტურ ტექსტად გარდაქმნა–თარგმნის პროცესის მოდელირება. ამ უკანასკნელ მოდელს მკვლევარი „სემანტიკო-სემიოტურს“ უწოდებს, ხოლო მის არსს ეკვივალენტობის ცნებას უკავშირებს (Бархударов 1975: 11).

ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში მსჯელობდნენ იმიტაციის, ხოლო მე-18-ში მთარგმნელის მოვალეობაზეც, რომ მოეხდინათ თარგმანში ორიგინალური ტექსტის სულის გადმოღება, ხოლო მე-19 საუკუნეში გერმანელი რომანტიკოსები (გოეთე, ჰუმბოლდტი, ნოვალისი და შლეგელი) ყურადღებას ამახვილებდნენ თარგმნის შესაძლებლობებსა და შეუძლებლობაზე, თარგმანის მითიურ ბუნებაზე.

ცნობილმა გერმანელმა თეოლოგმა და მთარგმნელმა, ფრიდრიხ შლაიერმახერმა (1813 წ.) გამოყო მთარგმნელთა ორი ტიპი, რომლებიც ტექსტთა განსხვავებულ ტიპებზე მუშაობდნენ. ეს ტიპებია: ა) დოლმეჩერი (*Dolmetscher*), რომელიც კომერციულ ტექსტებს თარგმნის; ბ) იუბერზეთცერი (*Ubersetzer*), რომელიც სამეცნიერო და მხატვრულ ტექსტს თარგმნის (ლუარსაბიშვილი: 2012).

ფ. შლაიერმახერმა თარგმანის წარმატებით შესრულების ორი გზა დასახა: ერთი მათგანის მიხედვით, მთარგმნელი შორდება ავტორს და თარგმნის მკითხველზე ორიენტირებულად, ხოლო მეორის მიხედვით, მთარგმნელი მოწადინებულია თარგმანი შეძლებისდაგვარად ახლოს იყოს ორიგინალთან. პირველი გზის არჩევისას, მთარგმნელი მკითხველს იმავე შთაბეჭდილებას გადასცემს, რომელიც მასზე მოახდინა ორიგინალმა, მისთვის უცნობი ენის ავტორმა, მეორე შემთხვევაში კი იმგვარად წარუდგენს ნაწარმოებს მკითხველს, თითქოს ავტორს ის მის ენაზე დაეწეროს.

მეოცე საუკუნის 60-იან წლებში ერთგვარად მიწოდდა და დასასრულს მიუახლოვდა თარგმანის მხოლოდ წმინდა ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევა, როცა მკვლევრები მთავარ ყურადღებას მხატვრული თარგმანის ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევის მეთოდებს აქცევდნენ. ისინი ამტკიცებდნენ იმას, რომ თარგმანი შემოქმედებაა და არა ერთი ენიდან მეორე ენაზე გადატანის მექანიკური ქმედება. სწორედ ამ დროიდან საგრძნობი გახდა თარგმნის პროცესის ლინგვისტური მეთოდებით კვლევის ტენდენციის მოჭარბება, თუმცა, იმავდროულად, კვლავ ყურადღების ცენტრში იყო ა. ფიოდოროვის კვლევები (Федоров 1941; Федоров 1953), სადაც ფრანგული, გერმანული, ინგლისური და რუსული ენების შეპირისპირების ნიადაგზე ხდებოდა ამ ენების ლექსიკური ფონდისა და გრამატიკული წეს-წყობის კანონზომიერებების დადგენა; ამ მხრივ, მართლაც, გამოსარჩევია მისი თეორიის ძირითადი დებულება – ენათშორისი შესიტყვებების საფუძვლად ფუნქციური პრინციპის დანერგვა-გამოყენება.

ა. ფიოდოროვმა შექმნა თარგმანის კომპლექსური თეორია, რომელშიც წინა პლანზე წამოსწია თარგმანის ანალიზის ლინგვისტური მეთოდები.

თარგმანის ლინგვისტური თეორიის თანახმად, თარგმნის პროცესი ენათშორისი ტრანსფორმაციაა, რომელმაც თავის დროზე დიდი როლი შეასრულა

სხვადასხვა ენის სტრუქტურული ერთეულების რეგულირებაში, შესატყვისობების დადგენა-მოწესრიგებაში. თარგმანის ლინგვისტურმა თეორიამ თარგმანმცოდნეობა ისეთი კონცეფტებით გაამდიდრა, როგორიცაა, მაგალითად, რეგულარულ (კანონზომიერ) შესაბამისობათა და ტრანსფორმაციული თეორია, კომპონენტური ანალიზი, ლინგვისტური სემიოტიკა, სტრუქტურულ-ფუნქციური შესატყვისობა და სხვ. ასე რომ, თარგმანში ენობრივი მხარე, თეორიული თვალსაზრისით, იმთავითვე თარგმანის თეორეტიკოსთა ყურადღების ცენტრში მოექცა.

სპეციალურ ლიტერატურაში თარგმანის არსის, მისი სპეციფიკის შესახებ არა ერთი მოსაზრება არსებობს. ზოგადი განმარტებით, თარგმანი ერთი ენიდან მეორეზე აზრის ეკვივალენტური გადატანაა. როგორც დ. კრისტალი აღნიშნავს, თარგმანი ზოგადი ტერმინია, რომელიც გამოიყენება ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც გამონათქვამის მნიშვნელობა გადაიტანება მეორე (სხვა) ენაზე ზეპირი ან წერილობითი ფორმით, ენობრივ ნიშანთა საშუალებით (**krystal 1989:34**). კრუპნოვის აზრით, „თარგმანი ორ ენას შორის შესრულებული ტრანსფორმაციაა, მისი არსი კი დედნის ტექსტში გამოხატული იდეებისა და ინფორმაციის თარგმნაა“ (**Крупнов 1976:15**). ზოგი მკვლევრის მიერ თარგმანი განიხილება, როგორც ლინგვისტური მედიუმის ერთ-ერთი სახესხვაობა, მაგრამ ეს უკანასკნელი არ უნდა გავაიგივოთ მხოლოდ თარგმანთან, „რადგანაც ლინგვისტური მედიუმის სხვა სახეებიც არსებობს, მაგ., აბსტრაქცია, თხრობა, ადაპტირება, მოკლე შინაარსის გადმოცემა, თუმცა მათთან შედარებით თარგმანი ყველაზე დახვეწილი და რაფინირებული ფორმაა“ (**Латишев... 2003:7**).

ქართველი მთარგმნელისა და მეცნიერის გ. გაჩეჩილაძის აზრით, ერთია ზუსტი და მხატვრულად სუსტი თარგმანი, ხოლო მეორე - მხატვრულად ძლიერი, მაგრამ დედნისაგან დაცილებული, თავისუფალი. მისივე თქმით, მიუხედავად, ერთი შეხედვით, სიადვილისა, ზუსტი და მხატვრულად ძლიერი თარგმანის შესრულება შეუძლებელია, რადგანაც ორი განსხვავებული ენა ერთსა და იმავე აზრს სხვადასხვა საშუალებით გამოხატავს. უფრო მეტიც, თვით სიტყვის ზუსტი თარგმანიც კი არ იძლევა მხატვრული ეფექტის გამოვლენას. მკვლევარი სავსებით მართებულად წერს, რომ „სიზუსტე და მხატვრულობა პერმანენტულ წინააღმდეგობაში იმყოფება და თარგმანის მიზნის მიხედვით შეიძლება ამ ბინარული (ორმხრივი) ოპოზიციის

დარღვევა, ხოლო მიზანი, რისკენ სწრაფვაც აწონასწორებს ამ ორივე მხარის დარღვევის ხარისხს, არის დედნის სინამდვილის, მისი ფორმისა და შინაარსის მაქსიმალური გადმოცემა ახალ ენაზე” (გაჩეჩილაძე 1959: 19).

როგორც რუსი მკვლევარი კრუპნოვი წერს: „ორიგინალს უნდა შევხედოთ როგორც ორგანულ მთლიანობას და არა, როგორც ელემენტების მექანიკურ კომბინაციას. თარგმანის მიზანია არა მარტო ორიგინალის ელემენტებისა და სტრუქტურის გადმოცემა, არამედ მათი ფუნქციის გაგებაც. ნათარგმნი ტექსტი ბუნებრივად უნდა გამოიყურებოდეს” (Крупнов 1976: 14).

თარგმნის პროცესში მედიუმი ანუ შუამავალი თვით მთარგმნელია, სწორედ მას ეკისრება დედნისეული სიზუსტისა და ტექსტის ადეკვატურად გადმოცემა მეორე ენაზე. ის ერთგვარი ხიდია, რომელსაც სპეციალისტი ორივე კუთხით უყურებს და აფასებს, განსხვავებით რიგითი მკითხველისაგან.

ა. შვეიცერი თარგმანში შემოქმედებითი და არაშემოქმედებითი საწყისების არსებობასაც ხედავს. მათი შეფარდება, მისი აზრით, თარგმანის ჟანრის მიხედვით იცვლება, შემოქმედებითი საწყისის ხვედრითი წონა მხატვრულ თარგმანში ყველაზე დიდია, შესაბამისად, მასში მკაცრ რეგლამენტაციას დაუმორჩილებელი არჩევნის ხვედრითი წილიც მეტია. ავტორს ლინგვისტური თეორიის უპირატესობად ესახება ის, რომ იგი მოიცავს თარგმანის ყველა ჟანრს, თარგმნის პროცესს, მიუხედავად მისი მრავალფეროვნებისა, მას საფუძვლად უდევს საერთო კანონზომიერებები, მათი გამოვლენა კი წარმოადგენს თარგმანის ლინგვისტური თეორიის საგანს.

ა. შვეიცერი საკუთარი თეორიული მოდელის ასაგებად ყველაზე მისაღებ ფორმად მიიჩნევს კომპონენტური ანალიზის მეთოდებს. მკვლევარი კომპონენტურ ანალიზში გულისხმობს სიტყვის შემადგენელ ნაწილებს ანუ სემანტიკურ კომპონენტებს („სემები“, „სემანტიკური მამრავლები“), სადაც ვახდენთ თარგმნილი ტექსტის დაშლა-დანაწევრებას, ანუ სემენტაციას და გამოყოფას, ასევე მათ შეკავშირებას და სტრუქტურული ორგანიზაციის პრინციპების კვლევას.

ა. შვეიცერისეული კონპონენტური ანალიზის მიხედვით, მიმართებებისა და კავშირების დადგენის, ცალკეულ მნიშვნელობათა განსაზღვრის, სინონიმური და სხვ. ჯგუფების გამოყოფის, ასევე, სიტყვის აზრობრივი სტრუქტურის ანალიზი უფრო ღრმაა.

აქედან გამომდინარე, ა. შვეიცერი განასხვავებს სემანტიკური კომპონენტების სამ სახეს: ა) საერთოს, ბ) დიფერენცირებულსა და გ) დამატებითს. აქვე მკვლევარი, თარგმანის ლინგვისტური გაგების კუთხით, ენობრივი გამოხატვის შინაარსის პლანში ყურადღებას ამახვილებს დენოტატორულ, კონოტატურ და პრაგმატულ მნიშვნელობათა გამოყოფაზე, იძლევა მათ დეფინიციას და თითოეულის ახსნა-განმარტებას (Швейцер :1973).

საყოველთაოდ გავრცელებულია ის აზრიც, რომ თარგმანი არა მხოლოდ წმინდა ლინგვისტური პროცესია, არამედ, იმავდროულად, კულტუროლოგიურიც. ამიტომ მთარგმნელმა კარგად უნდა იცოდეს არა მარტო ენა, რომელზეც ის თარგმნის, არამედ იმ ხალხის ეთნოყოფა (ეთნოგრაფია) და კულტუროლოგია, საწინააღმდეგო შემთხვევაში, სრულყოფილი თარგმანის მიღება შეუძლებელია (Влахов 1980: 328).

ვ. კომისაროვიც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „თარგმანი წარმოადგენს გიგანტური მასშტაბის ბუნებრივ ლინგვისტურ ექსპერიმენტს, რომლის მიმდინარეობისას ლინგვისტური და კულტუროლოგიური უნივერსალებისა და ენობრივი ერთეულების ნაწილობრივი სემანტიკური ერთიანობის საფუძველზე ხდება ენების შეპირისპირება და კომუნიკაციის პროცესში ურთიერთჩანაცვლება” (Комиссаров 1980: 5).

ვ. კომისაროვის აზრით, მთარგმნელის კომპეტენტურობა ტექსტის სწორად თარგმნის აუცილებელი წინაპირობაა. თარგმნის პროცესში, მთარგმნელი შემოქმედია და არა მხოლოდ ტექსტის მექანიკურად მთარგმნელ-გადმომღები. ნებისმიერი მთარგმნელი ხომ პიროვნებაა, ინდივიდუალისტი, შესაბამისად, ერთი და იმავე ტექსტის სხვადასხვა პირის (მთარგმნელის) მიერ შესრულებული თარგმანი სწორედ ამიტომაა განსხვავებული და, იმავდროულად, საინტერესო. მართებულად შენიშნავს ვ. კომისაროვი: შეუძლებელია მთარგმნელები მთლიანად შეიცვალოს მანქანებით ან კომპიუტერებით. კომპიუტერი ვერასდროს გადათარგმნის ტექსტს მართებული პრაგმატიკული იმპლიკატურობით; ის ვერ გადმოსცემს იმ გრძნობებსა და ემოციებს, რომლებიც ლიტერატურულ ტექსტებშია ჩაქსოვილი (Комиссаров 2002: 27).

გარდა ამისა, მთარგმნელი უნდა ფლობდეს და ზედმიწევნით იცნობდეს სათარგმნი ტექსტის, ანუ დედნისეული ენის ტერმინოლოგიასაც, თორემ შესაძლოა,

ზოგ შემთხვევაში კურიოზიც კი მივიღოთ. მსგავსი ენობრივ-ტერმინოლოგიური და ლექსიკური ლაფსუსები არც ისე ცოტაა.

სპეციალურ ლიტერატურაში ყურადღებას ამახვილებენ აგრეთვე თარგმნის პროცესის ეტაპებზეც. მაგალითად, როგორც ვ. კომისაროვი შენიშნავს, „ზოგჯერ თარგმნით პროცესს ორ მთავარ სტადიად ყოფენ: პირველ სტადიაზე მთარგმნელი ტექსტს სრულყოფილად აღიქვამს, მხოლოდ შემდეგ ხდება აღქმულის ექსპლიკაცია სამიზნე ენაზე” (Комиссаров 2002: 305).

ვ. კომისაროვი გვთავაზობს თარგმანის სამსაფეხურიან კლასიფიკაციას: პირველ სტადიაზე მთარგმნელი ტექსტს აღიქვამს (თარგმანისათვის ემზადება), მეორე ეტაპზე კი თარგმნის, ხოლო მესამე საფეხურზე შედეგებს აფასებს. ვ. კომისაროვის კლასიფიკაციას მეტ-ნაკლებად ემთხვევა დელიზლეს კლასიფიკაცია, ოღონდ იმ სხვაობით, რომ მესამე საფეხურზე მთარგმნელი მტკიცებით ანალიზს აწარმოებს.

ასე რომ, თარგმნის დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება თარგმანის ეკვივალენტობას, დედანთან შესაბამისობას. ამ მხრივ გამოყოფენ ორი სახის ეკვივალენტურობას: სემანტიკურსა და პრაგმატულს.

სემანტიკურ ეკვივალენტურობას თარგმანის დისტინქტური მნიშვნელობაც ენიჭება. როგორც დ. კრისტალი წერს: „სემანტიკური ეკვივალენტურობის უმაღლესი ხარისხი გამოარჩევს თარგმანს ლინგვისტური „შუამავლობის” სხვა სახეობებისაგან, თუნდაც, ადაპტირებისაგან, რეფერირებისაგან, აბსტრაქციისაგან” (Krystal 1989: 344).

ი. ნაიდა ცდილობს, გაარღვიოს თარგმანისადმი სემანტიკური მიდგომის საზღვრები. ფორმალური ეკვივალენტობისას ყურადღება გამახვილებულია შინაარსზე (როგორც ფორმის, ისე შინაარსის რაკურსით), განსხვავებით დინამიკური ეკვივალენტობისაგან, რომელიც ემყარება ეკვივალენტური ეფექტის პრინციპს. ი. ნაიდა დინამიკური ეკვივალენტურობისაკენ იხრება: „დინამიკური ეკვივალენტობა თარგმანში უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ ინფორმაციის სწორი გადაცემა, კომუნიკაცია”. დინამიკური ეკვივალენტობა რეცეპტორის რეაქციაზეა ორიენტირებული და ცდილობს ორიგინალის მსგავსი ზემოქმედების მოხდენას თარგმანის მკითხველზე. ეს კი განაპირობებს ლექსიკისა და გრამატიკის ისეთ ადაპტირებას, რომლის დროსაც ნათარგმნი ისე გამოიყურება, თითქოს დაწერილი იყოს თარგმანის ენაზე (Nida 1964: 156-171).

ეკვივალენტობას, როგორც ცნება-ტერმინს, განიხილავს მ. ბეიკერიც, რომელიც უფრო დაწვრილებით გვთავაზობს ეკვივალენტობის განსაზღვრას:

1. ლექსიკური ეკვივალენტობა;
2. გრამატიკული ეკვივალენტობა (ენებს შორის გრამატიკული კატეგორიების განსხვავება-მსგავსებას ეხება);
3. ტექსტური ეკვივალენტობა (იგულისხმება ეკვივალენტობა წყარო და მიმღები ენის ტექსტებს შორის ინფორმაციისა და კოპეზიის რაკურსით);
4. პრაგმატული ეკვივალენტობა რეალიზდება ქვეტექსტების თარგმანის დროს. ქვეტექსტი გულისხმობს არა მხოლოდ იმას, რაც პირდაპირ ნათქვამია, არამედ იმასაც, რაც იგულისხმება (ანუ იმპლიციტურად გადაცემულ ინფორმაციას) (Baker:1992).

თარგმანის რაობის შესახებ საინტერესო დაკვირვებებს გვთავაზობს ცნობილი ქართველი ლიტერატორი, ფოლკლორისტი, აღმოსავლეთმცოდნე-ირანისტი და მთარგმნელი, პროფ. ვ. კოტეტიშვილი. მისი აზრით: „თარგმანის პროცესში უპირველესი საფეხური ჰერმენევტიკული პროცესია, რაც ტექსტის მართებულ წვდომას, სწორ კითხვასა და გააზრებას გულისხმობს. ეს ზოგ შემთხვევაში, ასე თუ ისე, იოლად მიიღწევა, ხოლო ხშირად კი ურთულეს პრობლემად იქცევა ხოლმე, რაც მთარგმნელს ზოგჯერ თითქმის გადაულახავ დაბრკოლებებს უქმნის. ეს, რასაკვირველია, უმეტესწილად მხატვრულ თარგმანს ეხება და არა თარგმანის სხვა სახეობებს, რომლებშიც სიზუსტე ბევრად უფრო იოლად მიიღწევა მათი გარკვეული სპეციფიკის გამო” (კოტეტიშვილი 2007: 7).

ვ. კოტეტიშვილი თარგმანს თავისი ბუნებით საშემსრულებლო ხელოვნებას ადარებს. როგორც მუსიკაში არსებობს ამა თუ იმ ნაწარმოების ნოტები, როგორც დედნისეული მოცემულობა და მისი ვირტუოზული თუ უფერული შესრულება მთლიანად შემსრულებლის ნიჭსა და სინდისზეა დამოკიდებული, ასევე, მთარგმნელის პროფესიონალიზმზე მეტყველებს დედნისეული ტექსტის სხვა ენაზე აჟღერების ოსტატობის დონე.

ყოველი მთარგმნელი უნდა ეცადოს, იმ ავტორად იქცეს, ვისაც თარგმნის. „მიმბაძველობა კი არა, იმ ავტორად გადაქცევა და გარდასახვა შენს ენობრივ სამყაროში”- ამ ურთულესი მისიის შესრულება სასწაულად მიაჩნია ვ. კოტეტიშვილს,

მაგრამ „ვინ გითხრათ, რომ ნამდვილი, ჭეშმარიტი ხელოვნება სასწაული არ არის?“
(კოტეტიშვილი 2007: 34).

ეპოქის რეალიების საფუძვლიანი ცოდნის გარდა აუცილებელია სტილის შეგრძნების უტყუარი ალღო. აქ ორი რამ არის გასათვალისწინებელი: 1. ეპოქალური და 2. თვით მწერლის ინდივიდუალური სტილის თავისებურებანი. ბუნებრივია, უცხოენოვანი სამყაროს სტილის ყოველი ნიუანსის დაცვა თარგმანში შეუძლებელია, მაგრამ მთარგმნელი უნდა ეცადოს, რომ ყველა ავტორის სტილსა თუ მანერას ანალოგიური შესატყვისი მოუძებნოს.

ვ. კოტეტიშვილის აზრით, თარგმნას, ნიჭის გარდა, ბევრი რამის ცოდნა სჭირდება: კერძოდ, იმ კონკრეტული ქვეყნის ფილოსოფია თუ ფსიქოლოგია, მითოლოგია თუ რელიგია, ისტორია თუ გეოგრაფია, ფოლკლორი თუ ეთნოგრაფია.

ბატონი ვახუშტის დაკვირვებები, თარგმნის პროცესში მის მიერ შემოთავაზებული მთარგმნელისეული კრიტერიუმები, ათეული წლების მანძილზე გამომუშავებული მთარგმნელობითი მუშაობის შედეგია, საიდანაც ნათლად ჩანს მთარგმნელის დამოკიდებულება ორიგინალისა თუ სათარგმნი და თარგმნილი ტექსტისადმი.

გერმანისტი, თარგმანის თეორეტიკოსი, მთარგმნელი და მკვლევარი დ. ფანჯიკიძე თარგმანისა და თარგმნის პრობლემებს არა ერთი რაკურსით იკვლევს. მან თარგმნის სპეციფიკას რამდენიმე მონოგრაფია და სახელმძღვანელო მიუძღვნა. ზოგადთეორიული თვალსაზრისით, ძალზე საინტერესოა 1995 წელს გამოქვეყნებული წიგნი, რომელიც თარგმანის ახალ თეორიებსა და სტილის პრობლემატიკას, კერძოდ, ეკვივალენტურობას ეძღვნება (ფანჯიკიძე: 1995).

დ. ფანჯიკიძე თარგმანის თეორიის რაკურსით ანალიზებს უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში შექმნილ მნიშვნელოვან ნაშრომებს და მიდის დასკვნამდე, რომ თარგმანის თეორია უნდა განვითარდეს მხატვრული ნაწარმოების სტილის ჩამომყალიბებელი ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ფაქტორების სინთეზური კვლევის გზით, შესაბამისად, თარგმანის სტილისტიკაში უნდა გამოვიყენოთ ლინგვოსტილისტიკის, მხატვრული ლიტერატურის სტილისტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის კვლევის მეთოდები. ამ ძირითადი დებულების საფუძველზე ავტორი წარმოგვიდგენს მისეულ თეორიას, რომელიც მხატვრული

პროზის თარგმანის დარგში ეყრდნობა საკუთარ პრაქტიკულ გამოცდილებას (ფანჯიკიძე 1995: 3).

მეოცე საუკუნის ბოლოს თარგმანის თეორიამ მართლაც მკვეთრად გამოხატული ლინგვისტური მიმართულება შეიძინა, რაც ნაწილობრივ ახსნილია თვით ენათმეცნიერებაში მიკროლინგვისტიკის ჩარჩოების მსხვრევითა და მაკრო-ლინგვისტიკური კვლევის გაფართოებით. თარგმანი, როგორც ენობრივი კომუნიკაციის სპეციფიკური სახეობა, ყველა თავისი განზომილებით, უფრო თავისუფლად მოთავსდა მაკროლინგვისტიკაში. იგი მჭიდროდ დაუკავშირდა ისეთ სამეცნიერო ჰუმანიტარულ-ლინგვისტურ დარგებს, როგორიცაა: ტექსტის ლინგვისტიკა, კომუნიკაციური, სოციალური და პრაგმატული ლინგვისტიკა, ფსიქოლინგვისტიკა და სხვ. უნდა ითქვას, რომ თარგმანის თეორიულ ასპექტში განხილვამ, ლინგვისტური ანალიზის მეთოდების გამოყენებამ უფრო წარმოაჩინა ენის კომუნიკაციური ბუნების არსი. ეს კი მისი ფუნქციონირების აღწერის მეოხებით კომუნიკაციური სპეციფიკური სახეობის – თარგმანის საფუძველზე მოხდა.

დ. ფანჯიკიძე საკუთარი თარგმანების ანალიზიდან გამომდინარე დაასკვნის, რომ: თარგმანის ლინგვისტური თეორიის მიხედვით, კომუნიკაციის მიზანი ის ზეამოცანაა, რომელიც შეიცავს თარგმანში დედნის სტილის რეპროდუქცირებას, რაც, თავის მხრივ, დედნისა და თარგმანის ეკვივალენტობის საფუძველს წარმოადგენს. ამავე რკალში განიხილება პრობლემა - რა გზით შეიძლება თარგმანში დედნის სტილის რეპროდუქცირების ხარისხის დადგენა, ანუ დედნისეული სტილის ყველა კომპონენტი ექვემდებარება თუ არა რეპროდუქციას, კერძოდ, რომელიმე შემადგენელ ნაწილს რამდენად აქვს სათანადო სტილისტიკური ღირებულება.

მკვლევრის მსჯელობით, სტილის ეკვივალენტობის ლინგვისტური კვლევის სფეროში შემოვა წყარო-ენაში ობიექტურად მოცემული ენობრივი საშუალებების სტილისტური პოტენცია, რომელიც რეალიზდება კონკრეტულ ენობრივ წარმონაქმნსა და დედნისეულ ტექსტშიც. მათ ეკვივალენტობა თარგმანის ენაში ეძებნებათ და ყველა ამ საშუალების სათანადო ორგანიზებით თარგმანში იქმნება სტილისტური ინვარიანტის შენარჩუნების საფუძველი. ლინგვისტურ კვლევას ექვემდებარება ასევე ფორმალური ეკვივალენტობის მიღწევის გზების ძიება და ამ ეკვივალენტობის ფარგლების დადგენა დინამიკურ ეკვივალენტობასთან მიმართებით.

ასე რომ, დინამიკური ეკვივალენტობის ცნება მჭიდრო კავშირშია თარგმანის, ლინგვისტური თეორიის ტერმინოლოგიით, ენათმეორისი კომუნიკაციის აქტის მონაწილეთა ლინგვისტურ და ექსტრალინგვისტურ გამოცდილებასთან. ცხადია, აქ იგულისხმება როგორც თარგმანის რეცეპტორის (მკითხველის), ისე რეციპიენტის (მთარგმნელის) ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური გამოცდილებაც, მთარგმნელისეული საკუთარი გამოცდილების გათვალისწინებაც, რომელიც შესაძლოა ერთგვარ დაბრკოლებად იქცეს დედნისა და თარგმანის სრული ეკვივალენტობის მიღწევისას.

დ. ფანჯიკიძის აზრით, მხატვრულ თარგმანთან მიმართებით ყველა ზემონახსენები პრობლემა შეიძლება გავაერთიანოთ მხატვრული თარგმანის სტილისტიკაში, რომელიც კვლევის მეთოდებს იღებს როგორც თარგმანის ლინგვისტური თეორიისაგან ასევე, ლინგვოსტილისტიკისა და მხატვრული სტილისტიკისაგანაც. აქვე მოიაზრება ისეთი ექსტრალინგვისტური ფაქტორებიც, როგორიცაა, მწერლის მსოფლმხედველობა, ესთეტიკური შეხედულებანი, ლიტერატურული გემოვნება, კონკრეტულ ნაწარმოებში აღწერილი ეპოქა, მწერლისეული დამოკიდებულება მოვლენებისა და პერსონაჟებისადმი, ინდივიდუალური სტილური ნიშნები – ეპიკური და ექსპრესიული სტილი, ავტორისეული დამოკიდებულება სალიტერატურო და საერთო-სახალხო ენასთან, ნაწარმოების კომპოზიცია, განწყობილება, რიტმიკა და ინტონაცია და ბოლოს, მთარგმნელის მშობლიური ლიტერატურის ტრადიციებიც კი, რომლებსაც მხატვრული თარგმანის სტილისტიკა ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევის მეთოდებით უდგება. ამგვარად, მხატვრული თარგმანის სტილისტიკის თეორიული საფუძველი წარმოადგენს თარგმანის ლინგვისტური თეორიის, ლინგვოსტილისტიკის, მხატვრული ლიტერატურის სტილისტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის მონაცემებისა თუ კვლევის მეთოდების ერთგვარ სიმბიოზურ ნაერთს – სინთეზს, რომელიც ემსახურება ერთ ძირითად და უმთავრეს მიზანს – თარგმანში დედნისეული სტილის რეპროდუქცირების გზების ძიებასა და ამ ძიების შედეგების ანალიზის პრინციპების შემუშავებას.

საყურადღებოა ნ. საყვარელიძის თეორიული მოსაზრებებიც. იგი აღნიშნავს, რომ „თარგმანის ლინგვისტური თეორია, როგორც შედარებით ახალი მიმართულება

თარგმანის შესწავლის თვალსაზრისით, ნაკლებადაა შეზღუდული მეცნიერული შესწავლის რაიმე მკაცრი კანონებით, იგი შეიცავს როგორც კვლევის მეთოდების დივერგენციას, ისე მათი სინთეზის პერსპექტივასაც. მკვლევრის რწმენით, თარგმანმცოდნეობის, როგორც კომპლექსური ფილოლოგიური დისციპლინის, უპირველესი ამოცანაა არა განსხვავებათა ძიება თარგმანის შესწავლის მეთოდებსა და ორიენტაციებს შორის, არამედ, პირიქით, მათი კორელაციისა და ინტეგრაციის საშუალებათა გამოთხზვა” (საყვარელიძე 2001: 10).

მკვლევარს თარგმანის კომუნიკაციურ-პრაგმატული ეკვივალენტობა ზოგადტრანსლაციურ კატეგორიად მიაჩნია – ძირითადი ნორმატიული მოთხოვნა ყველა სახის თარგმანისადმი წაყენებული, განურჩევლად მისი სახეობისა (ბელეტრისტული, პუბლიცისტური თუ სამეცნიერო-ტექნიკური და ა. შ.). მართლაც, თუ თარგმანი განიხილება როგორც კომუნიკაციის სპეციფიკური სახეობა – ენათშორისი კომუნიკაციის აქტი, მაშინ მისი ეკვივალენტობის უპირველეს პირობად, როგორც ნ. საყვარელიძე ფიქრობს, უნდა მივიჩნიოთ ორიგინალის ტექსტის, ანუ საწყისი შეტყობინების კომუნიკაციური ინტენციისა და ეფექტის შენარჩუნება მეორეული კომუნიკაციის ტექსტში, რაც მოითხოვს შიდაენობრივ პრაგმატულ ურთიერთობათა ფუნქციურ გამეორებას მეორე ენის მასალაში და მეორეული ადრესატის ფაქტორის, მისი ენობრივი და გარეენობრივი (ანუ ცხოვრებისეული) გამოცდილების მკაცრ გათვალისწინებას (საყვარელიძე 2001: 69-92).

მკვლევართა და აღიარებულ სპეციალისტთა ზემომოყვანილი კონცეპტუალური შეხედულებები, დაკვირვებები და მიდგომები, რომლებიც შემთხვევით არ დაგვიმოწმებია, თანაბრად ეხება როგორც მხატვრულ თარგმანებს, ისე ზღაპრის თარგმნის სპეციფიკას. სწორედ მათი კონცეფციების გათვალისწინებით განვიხილავთ ზღაპრის თარგმნის პროცესსა და მის სპეციფიკურობას.

ზღაპრის თარგმნის სპეციფიკის და საერთოდ, მხატვრული ტექსტის თარგმნის კუთხით ჩვენთვის მნიშვნელოვანია როგორც უცხოელი, ისე ქართველი მეცნიერების კვლევები. განსაკუთრებით ფასეულია ქართველი ფოლკლორისტების, ეთნოგრაფ-ეთნოლოგების, ენათმეცნიერების, ლიტერატურათმცოდნეების მოსაზრებები, რადგან ჩვენი საკვლევი თემა ქართული ხალხური ზღაპრების თარგმნის პრობლემებს ეხება. პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ ლიტერატორებისა და მთარგმნელების,

ცნობილი ფილოლოგების გივი გაჩეჩილაძის, შოთა რევიშვილის, გიორგი წიბახაშვილის, დალი ფანჯიკიძისა და სხვათა მონოგრაფიები თუ ცალკეული ხასიათის სამეცნიერო სტატიები.

უშუალოდ ჩვენს საკვლევ თემას ეხება პროფესორ გიორგი წიბახაშვილის დამხმარე სახელმძღვანელო „თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები“ (წიბახაშვილი: 2000), სადაც მკვლევარი გვაცნობს თავის პირად დაკვირვებებს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: 1 ხალხური ზღაპრის თარგმნის სპეციფიკა; 2. მასალის შერჩევის კრიტერიუმები; 3. ხალხური ზღაპრის, როგორც მხატვრული ნაწარმოების, სპეციფიკური ნიშნები; 4. ქართული ხალხური ზღაპრის რუსული თარგმანების ანალიზი; 5. „უთარგმნელი“ მასალა და მისი თარგმნის პრობლემები; 5. ზღაპრის დასაწყისისა და დასასრულის თარგმნის არაერთგვაროვნება და სხვ.

ასე რომ, ჩვენ წინაშე არის ზღაპრის თარგმნის თეორიული და პრაქტიკული საკითხების წყება, რომელსაც ავტორი სიღრმისეულად იკვლევს. მართალია, მისი ნაშრომი ძირითადად რუსულ-ქართული ზღაპრის თარგმანის სპეციფიკას ეხება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მასში ბევრია ჩვენთვის საინტერესო მასალა.

საყურადღებოა, ასევე, ცნობილი მთარგმნელისა და გერმანული ლიტერატურის მკვლევრის, პროფესორ დალი ფანჯიკიძის ნაშრომები. მან თარგმანის თეორიასა და პრაქტიკას რამდენიმე წიგნი მიუძღვნა (ფანჯიკიძე: 1988), (ფანჯიკიძე: 2003), (ფანჯიკიძე :2005). პირველი მათგანი „თარგმანის თეორია და პრაქტიკა“ 1988 წელს გამოქვეყნდა, რომელშიც შესწავლილია: ა)მხატვრული თარგმანის არსი, ბ)თარგმანის სინამდვილესთან დამოკიდებულების საკითხი, გ)თარგმანის ამბივალენტურობა და თარგმანის ენა, დ)თარგმანზე მუშაობის შემეცნებითი და ფსიქოლოგიური ასპექტები, ე)თარგმანის შეფასების კრიტერიუმები და თარგმანის კრიტიკა, ვ) მთარგმნელის ინდივიდუალური სტილი და თარგმანის ენის პრობლემა, ზ) პოეზიისა და პროზის თარგმნის სტილისტიკა და ქართული პოეტური თარგმანის განვითარების ტენდენციები, თ) დედნის სტილის ანალიზის პრინციპები, ი) ეროვნული კოლორიტის ცნება თარგმანში, კ) დედნისა და თარგმანის შეპირისპირებითი ანალიზი, ლ) თანამედროვე ქართული თარგმანის განვითარების ტენდენციები, მ) ზღაპრის თარგმნის სტილისტიკა და სხვ. ამათგან, ჩვენს თემასთან დაკავშირებით მეტად ფასეულია ზღაპრის თარგმნის სტილისტიკა.

დ. ფანჯიკიძის აზრით, თარგმანის ანალიზის მეთოდებსა და შეფასების კრიტერიუმებზე მსჯელობისას ერთ-ერთი გადამწყვეტია ჟანრის ფაქტორი. ის, რაც მართებულია მხატვრული პროზისათვის, შეიძლება ზუსტი არ აღმოჩნდეს ზღაპრის თარგმანისათვის და, პირიქით. უფრო მეტიც, მისივე თქმით, საჭიროა თვით ზღაპრის ჟანრშიც კი გამოვაცალკევოთ სახეობები, მაგ: ერთმანეთისაგან განვასხვავოთ ხალხური და ლიტერატურული ზღაპარი. ავტორის აღნიშვნით, თარგმნის პრინციპები თითქმის საერთოა ორივე სახეობისათვის, განსხვავება მხოლოდ ზოგიერთ ნიშან-თვისებათა ცალკეულ ნიუანსებშია. ჩანს, დ. ფანჯიკიძე პროფ. გ. წიბახაშვილის მიერ გამოყოფილ ელემენტებსა და კრიტერიუმებს კიდევ უფრო გამოკვეთს და განავრცობს.

ავტორის დასკვნით, ზღაპრის თარგმნის პრობლემები, ისევე, როგორც ყველა სხვა ჟანრის ნაწარმოებისა, წყდება სტილის დონეზე და ეს გარემოება გათვალისწინებული უნდა იქნას როგორც თარგმანის პრაქტიკაში, ასევე კრიტიკაშიც.

დ. ფანჯიკიძე ადასტურებს, რომ ზღაპრის სტილისტიკაში ძირითადი ელემენტებია რიტმი და ინტონაცია, როგორც მხატვრული პროზისაგან ზღაპრის განმასხვავებელი ძირითადი ნიშნები. ავტორის მიერ სხვა ნიშნებად გამოყოფილია: ა) თხრობის სისადავე და გამჭვირვალება; ბ) მხატვრული სახეების სიმარტივე; გ) განმეორებები; დ) ირიბი მეტყველების პრიმატი; ე) დასაწყისისა და დასასრულის ენობრივი ფორმულები; ვ) მკაფიოდ გამოხატული ენობრივი კოლორიტი; ზ) ზღაპრის პერსონაჟების ტრადიციული სახელები, მათ გვერდით ე. წ. მოლაპარაკე (ფუნქციური) სახელები და ბოლოს თ) თხრობაში ჩართული მთელი კუპლეტები თუ გართმული სტრიქონები.

ავტორისეული შენიშვნით, ზღაპრის თარგმნის სტილისტიკაში შეიძლება დაისვას საკითხი, თუ რომელი ნიშნები შეიძლება თარგმანში ფუნქციური კომპენსაციის გზით გადმოვიტანოთ, რომელ ნიშნებს მიესადაგოს მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში არსებული მზამზარეული ფორმები, როგორი უნდა იყოს ზღაპარში უცხო და მშობლიური კოლორიტის შეფარდების ხარისხი და სხვ.

შენიშვნას დ. ფანჯიკიძე იქვე უპასუხებს, რომ ფუნქციური კომპენსაციის გზით ზღაპრის თარგმანში შეიძლება გადმოვიტანოთ რიტმი და ინტონაცია, უფრო სწორად, უცხო ზღაპარს მოვარგოთ ქართული ზღაპრის რიტმისა და ინტონაციის შემქმნელი ენობრივი საშუალებები. ესაა წინადადების განსაკუთრებული სტრუქტურა, სადაც

წარმმართველი როლი ზმნა-შემასმენელს ენიჭება. თუკი ეპიკურ ინტონაციას მხატვრულ პროზაში, ძირითადად, ბოლოკიდური ზმნა-შემასმენელი ქმნის, ზღაპარში ეპიკური ინტონაცია თავკიდურშემასმენლიანი წინადადეგების ანდა სინტაგმების ერთობლიობით იქმნება. მკვლევარს ყურადღების მიღმა არ რჩება სხვათა სიტყვის ოთი გაფორმებულ წინადადებათა სიმრავლე, რაც ზღაპრის თხრობას თავისებურ ინტონაციას ანიჭებს, მით უფრო, როცა ქართულ ზღაპარში არ იხმარება პირდაპირი მეტყველება და ისიც, რომ ეს ნიშან-თვისება თარგმნილ ხალხურ ზღაპარშიც უნდა დომინირებდეს.

სხვა სტილური ნიშნების შესახებაც მკვლევარი იქვე აღნიშნავს, რომ, პირველ რიგში, თხრობის სისადავე და გამჭვირვალება, როგორც სტილის აბსტრაქტირებული ნიშანი, ფუნქციურ კომპენსაციას ემორჩილება, ასევე არაა მნელი მხატვრული სახეების სიმარტივის რეპროდუცირებაც. ამ სფეროში ერთადერთ სიმძნელედ მკვლევარს შედარებების უცხო საგნობრივი საფუძველი ესახება, როცა ტექსტი საჭიროებს მის გაშიფვრას, ნაცნობ საგანთან ან მოვლენასთან მის დაახლოებას. ამავდროულად, მკაფიოდ გამოხატული განმეორებები, როგორც სტილური ნიშანი, კომპოზიციურად თუ ინტონაციურად კრავენ ზღაპარს და თარგმანში ამ სტილისმიერი ნიშნის ზუსტი რეპროდუცირება აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იქნას.

განსაკუთრებული სიფრთხილე, მკვლევრის თქმით, ენიჭება ზღაპრის დასაწყისისა და დასასრულის ზომიერად გადმოღებას ერთი ენიდან მეორეზე, რათა დედნისეული ეროვნული კოლორიტი შენარჩუნდეს, მით უფრო, როცა საქმე ეხება თარგმანის თარგმანს, რაც მთარგმნელობით პროცესუალურ ურთიერთობებში დღესდღეობითაც უცხო და იშვიათობა არაა.

ქართული ზღაპრის რუსულ ენაზე თარგმნის პრობლემას განიხილავს ეკატერინე გორდეზიანი თავის სადისერტაციო ნაშრომში „ფოლკლორული ტექსტის თარგმნის პრობლემები (ქართული ზღაპრების რუსული თარგმანების ლექსიკურ-სტილისტიკური ანალიზი)“ (გორდეზიანი: 1995).

ე. გორდეზიანი ყურადღებას მიაპყრობს იმ არასახარბიელო მდგომარეობას, რაც წითელ ხაზად გასდევს თარგმანს (სტიქიურობა, უზუსტობათა სიუხვე, სტილური ნიუანსების მრავალმხრივი და მრავალგვარი მოუგვარებლობა....). ავტორს ამის

მთავარ მიზეზად ფოლკლორული ტექსტის თარგმანთან დაკავშირებული თეორიული და პრაქტიკული საკითხების დაუმუშავებლობა მიაჩნია.

ე. გორდეზიანის სამი თავისაგან შემდგარი საკვალიფიკაციო ნაშრომი დადებითად აფასებს ქართულ-რუსულ მთარგმნელობით ტრადიციებს, კრიტიკულად განიხილავს თარგმანის თეორიის შემქმნელთა აზრს – „რომ თარგმნის პროცესი ცოტა რამით თუ განსხვავდება ორიგინალური შემოქმედებითი პროცესისაგან, რომ მწერალსა და მთარგმნელს შორის უმთავრესი განსხვავება საწყისი ამოსავალია: მწერალი ცხოვრებისეული სინამდვილიდან აღებულ ფაქტებს აქცევს მხატვრულ ნაწარმოებად, მთარგმნელი კი სხვის მიერ შექმნილი ლიტერატურული მასალისგან კვლავ ქმნის ახალ მხატვრულ ნაწარმოებს, განსხვავებული გამომსახველობითი საშუალებებით“. ამ დებულებაში ავტორს საკამათოდ ეჩვენება მწერლისა და მთარგმნელის უფლებათა ასეთი გათანასწორება, მაგრამ უდავოდ აღიარებს იმას, რომ თარგმანი შემოქმედებითი ხასიათის შრომაა, რომელიც მოითხოვს არა მარტო რაღაცის ცოდნას, რაღაც ინფორმაციის ქონას, ენის ფლობას, არამედ ინტელექტის იმ სახეობას, რომელსაც ჩვეულებრივად ნიჭს უწოდებენ (გორდეზიანი 1995:6).

ე. გორდეზიანი ჩვენს ყურადღებას მიაპყრობს თარგმანის თეორიაში არსებულ კიდევ ერთ დებულებას: ეს არის თარგმანის მაქსიმალური მიახლოება და შესაბამისობა დედანთან. ასეთ შესაბამისობას ზოგი მკვლევარი ზუსტს უწოდებს, ზოგი – ადეკვატურს, ზოგი – ტოლფასოვანს.

თარგმანის თეორია დღეს დამოუკიდებელი ფილოლოგიური დისციპლინაა, რომელიც წარმოდგენილია ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის მჭიდრო კავშირისა და ურთიერთმიმართების გარეშე.

რაც შეეხება ხალხურ ზღაპარს, რომელიც ხალხის, ეთნოსის ისტორიის ნაწილია, მსოფლიოს ზღაპრებს ბევრი რამით უახლოვდება. ზღაპართა ურთიერთმსგავსებაზე გავლენას ახდენს არეალური „იდენტურობა“. შეიძლება არამონათესავე ხალხთა ზეპირსიტყვიერებაშიც გაჩნდეს ერთგვარი ან მსგავსი ელემენტები, მაგალითად, ქართულ-სომხურ-აზერბაიჯანული და კავკასიის სხვა ხალხთა ზღაპრები. ცხადია, მსგავსება-სიახლოვე ზოგჯერ აადვილებს ტექსტების თარგმნას, ზოგჯერ – პირიქით, აძნელებს კიდევ.

ე. გორდეზიანის დაკვირვებით, ქართულ და რუსულ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში საერთო თითქმის არაფერია. ეს განსხვავება მეტ მიმზიდველობასა და ინტერესს ანიჭებს ხალხური ზღაპრის თარგმნას რუსულიდან ქართულად და, პირიქით.

ზღაპრის თარგმნის პრობლემებს ეხება ეკატერინე თაყაიშვილის დისერტაცია „ლიტერატურული ზღაპარი და მისი თარგმნის პრობლემები“ (თაყაიშვილი: 1996).

მკვლევარი სპეციალური ლიტერატურის შესწავლისა და ფაქტობრივი მასალის ანალიზის საფუძველზე აზუსტებს: ა) ლიტერატურული ზღაპრის არსსა და სპეციფიკას სხვა ჟანრთა შორის; ბ) წარმოადგენს ლიტერატურული ზღაპრის ჩამოყალიბების მოკლე ისტორიას, როგორც განსაკუთრებულ მოვლენას მხატვრულ ლიტერატურაში, აგრეთვე მისი განვითარების ტენდენციებს ცალკეულ ქვეყნებში; გ) განიხილავს ამ ჟანრის ნაწარმოებთა სხვა ენაზე გადაცემის ძირითად საშუალებებს (უშუალოდ თარგმანს, გადაკეთებას, ვარიაციას), აზუსტებს და ავლენს ყოველი მათგანის განმასხვავებელ ნიშნებსა და თავისებურებებს; დ) წარმოადგენს ქართული ლიტერატურული ზღაპრის რუსულ ენაზე თარგმნის ნიმუშებსაც, სადაც გამოვლენილია თარგმანის ძლიერი და სუსტი მხარეები.

ე. თაყაიშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ქართული ლიტერატურული ზღაპრის ჟანრის ჩასახვას. მისი აზრით, საქართველოში ამ ჟანრის მოტივები და ელემენტები ჯერ კიდევ უძველეს ქართულ ლიტერატურაში გვაქვს, თუმცა ლიტერატურული ზღაპრის ჟანრის ჩამოყალიბებას მხოლოდ მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში ვხედავთ.

ავტორი სხვადასხვა მკვლევართა ნაშრომებიდან მოხმობილი თვალსაზრისების საფუძველზე გვთავაზობს საკუთარ შეხედულებებს ლიტერატურული ზღაპრის სხვა ენაზე გადაცემის შესახებ. ეს გახლავთ სამი ძირითადი ხერხი: 1. უშუალოდ თარგმანი; 2. გადმოკეთება; 3. ვარიაცია (თაყაიშვილი 1996: 17).

მკვლევარი, ძირითადად, ემყარება და იზიარებს ლ. ბარხუდაროვის ფორმულირებას, რომლის თანახმად, მოკლედ რომ ვთქვათ, თარგმანი ერთი ენიდან მეორეზე გადმოკეთებაა. აქ იგულისხმება ისეთი ტიპი, რომლის დროსაც ორიგინალის დამახასიათებელი ძირითადი პარამეტრების შენარჩუნებისას (სიუჟეტი, პერსონაჟები და სხვ.) უცხოენოვანი ვერსიის შემქმნელმა შესაძლებელია, დაუშვას ტექსტის

ცალკეული ნაწილის (ეპიზოდების) პირველწყაროსაგან განსხვავებული სახით გადმოცემა. დისერტანტის განმარტებით, ვარიაციის ცნება მოიცავს შემთხვევებს, როდესაც, თუ შეიძლება ასე ითქვას, „საკუთარი“ დომინირებს „უცხოზე“, ე. ი. პირველწყაროსა და მის გადამუშავებას შორის არსებული ტექსტუალური შეუსაბამობა ატარებს პრინციპულ ხასიათს, ხოლო განსხვავება სჭარბობს მსგავსებას.

ე. თაყაიშვილი საბოლოოდ და მიღებული შედეგებით დაასკვნის, რომ:

ა) ავტორისა და წერილობითი რედაქციის მქონე ლიტერატურული ზღაპარი გარკვეულწილად ინარჩუნებს კავშირს ზეპირ სიტყვასთან, რაც ასახვას ჰპოვებს როგორც ჟანრის მრავალ ნაწარმოებთა წარმოშობაში, ისე მათ ინტონაციურ-სტრუქტურულ წყობაში;

ბ) ლიტერატურული ზღაპარი სხვადასხვა დროს წარმოიშობა, იმავდროულად, იგრძნობა ერთგვარი არამდგრადობა და „მიგრაციისაკენ“ ლტოლვა (მაგალითად, ლიტერატურული ზღაპრის ბედი იტალიურ, ფრანგულ, გერმანულ და სხვა ლიტერატურულ სივრცეში);

გ) ლიტერატურული ზღაპრის ჟანრის ნაწარმოებთა სხვა ენაზე გადაცემისას შეინიშნება საკმაოდ მნიშვნელოვანი განსხვავება სხვადასხვა ხერხსა და საშუალებას შორის, მაშინაც კი, როცა ლაპარაკია ერთსა და იმავე ნაწარმოებზე. ამიტომ მკვლევარი სვამს საკითხს – „თარგმანის“ ცნების დიფერენცირებისას ამ ჟანრის ნაწარმოებთან მიმართებით.

ე. თაყაიშვილი იზიარებს და გამოჰყოფს ლიტერატურული ზღაპრის თარგმნის სამ ძირითად ხერხს (ესაა: უშუალოდ თარგმანი, გადმოკეთება, ვარიაცია); თუმცა მკვლევარს ყურადღების მიღმა არ რჩება ის გარემოებაც, რომ თარგმნის მთავარი მიზანი შინაარსის გამოხატვაა, მისი საშუალებების მაქსიმალურად შენარჩუნება და მისადაგება, ხოლო გადმოკეთებისას არ უნდა დაგვავიწყდეს შინაარსის ძირითადი პარამეტრები.

შეიძლება დავასკვნათ, რომ მრავალსაუკუნოვანმა მთარგმნელობითმა პროცესებმა, მისმა ისტორიამ განვითარების დიდი და საინტერესო გზა განვლო. მისი თეორიულ-კონცეპტუალური თვალსაზრისები კიდევ უფრო თვალსაჩინო და მრავალფეროვანი გახდება სამომავლოდ, რადგან ადამიანთა და ენათშორისი ურთიერთობები, ახალ-ახალი ტექნოლოგიურ-მთარგმნელობითი მიდგომები,

თანამედროვე გლობალიზებული და ინტეგრაციული პროცესები ნაირგვარ ინოვაციურ კომუნიკაციას წარმოშობს. ჩვენი აზრით, თანამედროვე მთარგნელობით თეორიებს განვითარების დიდი პერსპექტივა აქვს.

რაც შეეხება ზღაპრის თარგმნას, ზღაპარი, როგორც ვიწროეთნიკური, ლოკალური დანიშნულების ტექსტი ნაკლებად ექვემდებარება თარგმნას, რადგანაც მასში ბევრია ეთნოყოფითი რეალია. ზღაპრის თარგმნა არ ნიშნავს მხოლოდ ერთი ენიდან მეორეზე მის გადატანას. მისი ერთი კულტურიდან მეორე კულტურაში გადატანაც უნდა მოხდეს. მთარგმნელი კი მაქსიმალურად უნდა ეცადოს ზღაპრის ეროვნული კოლორიტის შენარჩუნებას, რადგან თარგმანში აუცილებლად უნდა აისახოს იმ ერის კულტურა, რომელსაც მიეკუთვნება ორიგინალი. სწორედ ამ პრინციპების გათვალისწინებით განვიხილავთ შემდეგ პარაგრაფში ზღაპრის ტექსტის სპეციფიკას და მის თარგმანში გადატანის პრობლემას.

§. 3. ქართული ხალხური ზღაპრის თავისებურებათა ინგლისურ თარგმანში გადატანის პრობლემა

ზღაპრის თარგმნა, ერთი შეხედვით, არ ჩანს რთული საქმე, მაგრამ ეს მხოლოდ ზერელე შეხედულებაა. სინამდვილეში ამა თუ იმ ხალხის აზროვნების სიღრმე და სიმახვილე რომ შევინარჩუნოთ, ძალიან ბევრი ნიუანსისა და საკითხის გათვალისწინება გვჭირდება.

ქართული ხალხური ზღაპრების თარგმნა საინტერესოც არის და ძნელიც. როგორც გ. წიბახაშვილი აღნიშნავს, მას მრავალი სპეციფიკური თავისებურება ახასიათებს, რომელთა „არგათვალისწინება ცუდ სამსახურს უწევდა და უწევს ამ დიდ ეროვნულ-კულტურული მნიშვნელობის საქმეს“ (წიბახაშვილი 2000: 95). რაში გამოიხატება ეს სპეციფიკა? ეს არის ხალხური ზღაპრის მკაფიოდ გამოხატული ეროვნული კოლორიტის მატარებელი ნიშნების სიუხვე, ენობრივ-ფრაზეოლოგიური გამოთქმები, რაც ზედმიწევნით გასაგებად და აზრობრივი დეტალების გათვალისწინებით უნდა მიეწოდოს არაქართველ მკითხველს, სამეტყველო ეტიკეტი

და სხვ. „მათ ტექსტში მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვთ და ამიტომ მათი თარგმნის პრობლემაც მნიშვნელოვანია” (წიბახაშვილი 2000: 147).

ზღაპრებში ყველაზე კარგად, რელიეფურად აისახება მსოფლმხედველობითი მომენტები, არქაული წარმოდგენები, მისი ენობრივი კლიშეები, ეროვნული ანთროპონიმიკა, კულტურული პლასტები, ზღაპრის იდეური მხარე და სტრუქტურა. აქ ჩამოთვლილთაგან მკვლევარ-სპეციალისტებისა და მთარგმნელების წინაშე დგას ქართული ხალხური ზღაპრის სათაურის, დასაწყისისა და დასასრულის, აგრეთვე, ეროვნული კოლორიტის უცხოურ თარგმანში გადატანის პრობლემაც, რასაც მთარგმნელები თარგმნის პროცესში სხვადასხვაგვარი ფორმით ან ხერხით გამოსახავენ. ამიტომ მომდევნო პარაგრაფებში სწორედ მათი ინგლისურ თარგმანში გადატანის პრობლემებს შევხებით.

§ 3.1. ქართული ხალხური ზღაპრის სათაურის თარგმანში გადატანის პრობლემა

სათაური თავისებური მოვლენაა, რომელმაც დიდი ხანია მიიპყრო მკვლევართა ყურადღება. სათაურისადმი ასეთ დაინტერესებას ხელი შეუწყო იმ მრავალფეროვანი სტრუქტურების კვალიფიკაციის საჭიროებამ, რომლებიც რეალიზაციას სათაურებში ჰპოვებდნენ. საკითხის გადაწყვეტას ის ართულებს, რომ ჯერ კიდევ მკვლევართა შორის არ არის ერთსულოვნება, თუნდაც ისეთ მნიშვნელოვან საკითხში, როგორიცაა სათაურის რაობის პრობლემა; სადავოა აგრეთვე მისი წინადადებად აღქმისა და ზოგიერთი კონსტრუქციის სინტაქსური კვალიფიკაციის საკითხი (გოცირიძე 1978: 206).

სტრუქტურული თვალსაზრისით, სპეციალურ ლიტერატურაში ყურადღებას ამახვილებენ სათაურის ორ ძირითად ფუნქციაზე – ნომინატიურსა და მითითებითზე (Meyer 1913: 23). გარდა ნომინატიური და ინფორმაციული ფუნქციებისა, გამოყოფენ რეკლამურს (Radder 1942: 46), ყურადღების მიპყრობის, მკითხველის დაინტერესებისა (Bestian 1962:74) და მოვლენათა შეფასების ფუნქციებს.

ქართულ ხალხურ ზღაპარზე დაკვირვებისას ჩვენი ყურადღება ორმა გარემოებამ მიიპყრო: სახელდებამ (სახელის შერქმევამ) და სათაურის აგებულებამ (სტრუქტურამ).

ზღაპრების სათაურები სტრუქტურულად ორგვარია: მარტივი და შედგენილი (რთული). მარტივი მხოლოდ ერთსიტყვიანია, რთული კი რამდენიმესიტყვიანი— კომპოზიტური (მინიმუმ ორი სიტყვა) და უშემასმენლოდ წარმოდგენილი. მესამე ვარიანტად შეიძლება გამოვყოთ ისეთი სათაური, რომელშიც ბრძნული გამონათქვამი ან ანდაზაა გამოყენებული. ქვემოთ სანიმუშოდ მოგვყავს ქართველი ენათმეცნიერ-დიალექტოლოგების ი. გიგინეი-შვილის, ვ. თოფურიას, ი. ქავთარაძის მიერ 1961 წელს გამოცემული ქართული ხალხური ზღაპრები.

ა) მარტივი სათაურების ნიმუშებია: „ოქრომჭედელი“, „უხთო“ (ცანავა, გვერდწითელი: 1994), „ყასაბი“, „მუნჯი“, „მეზობლები“, „გასაღები“, „პატარძალი“, „სოვდაგარი“, „მეჩონგურე“ („ხზ“ 1992), „სიზმარა“, „უხეირო“, „მელაი“, „კუტუმა“, „სიზმარი“, „ვახრაკა“ (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე: 1961).

ბ) რთული (კომპოზიტური): „ნაცარქექია“, „კონკიაჟდარუნა“, „კბილსა-ვარცხელა“, „კაციჭამია“, „ხუთკუნჭულა“, „გველკაცა“ (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე: 1961).

გ) რიცხვითი სახელი მსაზღვრელად: „ორი ძმა“, „სამი დანი“, „სამი ქალი“, „ოცი ძმა“, „სამი ამოცანა“, „სამი დევი“ (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე: 1961).

დ) და კავშირიანი ტოლადსუბიექტიანი სახელები: „მელია და მეწისქვილე“, „მთისახარი და დევისახარი“, „დედინაცვალი და გერი“, „იასა და ვარდის არაკი“ (გიგინეიშვილი...1961).

ე) გენტივიანი მსაზღვრელი: „ხემწიფის მზეთუნახავი ქალიშვილი“, „ქურდის ცნობა“, „მზის დედა“ „ბახალას ზღაპარი“ (გიგინეიშვილი....: 1961).

ვ) ატრიბუტული მსაზღვრელი: „ნახევარი წიწილა“, „ბრმა სოვდაგარი“, „საწყალი კაცი“, „ალალი აბაზი“, „გაუცინარე ხელმწიფე“ (გიგინეიშვილი.. 1961).

ქართული ხალხური ზღაპრების სახელდება-სათაური, თუნდაც ლინგვის-ტურ-დიალექტოლოგიურად ჩაწერილი, სრულად ასახავს ქართული ენის მორფოლოგიურ და სინტაქსურ თავისებურებებს.

ზღაპარს სათაური ეძლევა მთავარი პერსონაჟის სახელის ან ზედმეტსახელის მიხედვით, პერსონაჟის საქმიანობის ან საზოგადოებაში დაკავებული ადგილის, ასევე ზღაპარში გადმოცემული ამბის მიხედვითაც. რაც შეეხება სათაურების თარგმნას, განსაკუთრებით რთულია იმ სათაურების თარგმნა, რომლებიც პერსონაჟის ზედწოდება, მეტსახელია და, გარდა ნომინაციისა, სხვა დანიშნულებაც აქვს - ეს არის პერსონაჟის ხასიათის გახსნა (ქცევის, საქმიანობის, გარეგნობისა და სხვა ნიშნების მიხედვით). როგორც გ. წიბახაშვილი აღნიშნავს: „სწორედ ამ ტიპის სათაურების თარგმანში ჩნდება სირთულეები. თუ ზედწოდებას ვთარგმნით, ესე იგი გავხსნით მის ფუნქციურ მნიშვნელობას, მკითხველს ვაძლევთ საჭირო ინფორმაციას, მაგრამ ერთგვარად ვაუფერულებთ კოლორიტს, ხოლო თუ ამგვარ სახელებს ტრანსკრიფციის წესით გადავიტანთ თარგმანში, ისინი კარგავენ დამატებით ფუნქციებს და უბრალო ნომინაციის საშუალებად წარუდგებიან მკითხველს” (წიბახაშვილი 2000: 104).

ჩვენ მიერ საკვლევ მასალად შერჩეული ზღაპრების ზოგიერთი მთარგმნელი ცდილობს, თარგმნოს ამგვარი ფუნქციური სახელი, ზოგსაც უთარგმნელად გადააქვს. მაგალითად, მ. უორდროპის თარგმანში „ნაცარქექია” გადატანილია - **“The Good- for- nothing”** (Georgian Folk Tales 1894: 12), რაც ითარგმნება, როგორც - უვარგისი, უხეირო, არაფრად გამოსადეგი. თარგმანი, ჩვენი აზრით, ნაწილობრივ ესადაგება პერსონაჟის ხასიათს.

„ნაცარქექიასგან” განსხვავებით „ღვთისავარი” უთარგმნელად არის გადასული, სახელის განმარტებაც იქვეა მითითებული - **Ghvthisavari (I am of God) (Georgian Folk Tales 1894: 26)**. იმავე ხერხს მიმართავს მ. უორდროპი „ასფურცელას” და „კონკიაჟდარუნას” შემთხვევაშიც: 1. „ასფურცელა” – **“Asphurtzela”** (Georgian Folk Tales 1894:69). „ასფურცელას” განმარტება სქოლიოშია მითითებული **Asphurtzela = hundred leaves: this name refers to the manner of his birth -ასფურცელა- ანუ ასი ფურცელი- მისი დაბადების მანერიდან წარმომდგარი სახელი. (ასფურცელა ას ნაწილად დაჭრილი ვაშლის შეჭმის შემდეგ გაუჩნდა დედამისს. ზოგადად, ქართულ ხალხურ ზღაპრებში ვაშლი განკურნების და ნაყოფიერების მომნიჭებელია)**. აქვე იმასაც შევნიშნავთ, რომ

„ასფურცელა“, რომელიც წარმოშობით შერქმეული სახელია, ხოლო ზღაპარში როგორც მამაკაცის საკუთარი სახელი (ანთროპონიმი), მთარგმნელს სწორედ ამიტომაც არ უთარგმნია.

2. „კონკიაჟდარუნა“ – **”Conkiajgharuna”** (Georgian folk Tales 1894:64) - ამ შემთხვევაში მ. უორდროპი სათაურის განმარტებას ტექსტში გვამღევს **”Conkiajgharuna”**- (the little girl in rags) ანუ პატარა გოგონა დაკონკილ ტანსაცმელში.

ა. ხანთაძის მიერ თარგმნილ ზღაპარში **„სამი ქაჩალი“**–**”Three Bald-Faced Liars”** (Khantadze 2012:14), **„ქაჩალი”** თარგმნილია, როგორც - Bald-Faced Liar, რაც ქოსას, უწვერულვამოს ნიშნავს და არა **„ქაჩალს”**.

ბ. რუხაძემ **„ოზოლი და ქოსატყუილა”** შემდეგნაირად გადათარგმნა- **”The Beardless Crook and the Orphan”** - (Rukhadze 1974:10). The Beardless Crook, ანუ უწვერო მატყუარა, თაღლითი. აღსანიშნავია შემდეგი სათაურის თარგმანიც- **„ხარბი და ალალ-მართალი”** -**”The Greedy Man and the Generous Man”** (Rukhadze 1974:16). Greedy, ანუ ხარბი, რაც ზუსტად შეესაბამება დედანს, ხოლო ალალ-მართალი ნ. რუხაძემ თარგმნა, როგორც **Generous Man**-რაც ნიშნავს - გულუხვს, ხელგამლილს, სულგრძელს, კეთილშობილს, რომელიც სრულად ვერ გადმოსცემს პერსონაჟის ხასიათს, რადგან ალალ-მართალი უფრო გულუბრყვილოს, პატიოსანს, უშმაკოს, გულმართალს ნიშნავს.

ზაზა კომპაძე „კომბლეს” თარგმნის, როგორც-**”Knobsticker”** (ქართული ზღაპრები 2012:84), რაც, ჩვენი აზრით, არ არის კომბლეს ზუსტი ეკვივალენტი. სიტყვა - Knobstick- ნიშნავს კომბალს, ბოლოსართი **er**, როგორც წესი, ზმნებს ემატება არსებითი სახელის საწარმოებლად. ამ შემთხვევაში ბოლოსართი **er** დართული აქვს არსებით სახელს - Knobstick, წარმოებული სიტყვის მნიშვნელობა სრულიად გაუგებარია. სათაურის - **„კომბლე”** (გარკვეული განმარტებებით) უცვლელად გადატანა უფრო მიზანშეწონილად მიგვაჩნია. სწორედ ასე თარგმნის იმავე ზღაპრის სათაურს მთარგმნელი ნ. ცისკარიშვილი. იგი სათაურს უთარგმნელად ტოვებს - **Comble**, მის განმარტებას კი ტექსტში გვამღევს.

მ. უორდროპისგან განსხვავებით **„ნაცარქექიას”** უთარგმნელად ტოვებს ს. წერეთელი: **„ნაცარქექია”** –**”Natsarkekia”** (ქართული ზღაპრები 2012:56). მთარგმნელი ამ ფუნქციური სახელის გახსნას ზღაპრის დასაწყისშივე ცდილობს (არც თუ ისე

წარმატებით): "Once upon a time there was a lazy and idle man. Every day he would sit near the fireplace and play with the ash all day long. That's how he earned his nickname "Natsarkekia" (Ash poker in Georgian)" (გვ.56). თარგმანი ორაზროვანია. ზმნა **poke** ნიშნავს - არევა, რევა ცეცხლის საჩხრეკით. მთარგმნელმა **er** ბოლოსართის დამატებით შექმნა სიტყვა **pok•er**, რაც, ალბათ, მისი აზრით, ნიშნავს - **მჩხრეკავი**, თუმცა ვერ გაითვალისწინა, რომ ინგლისურ ენაში უკვე არსებობს ასეთი სიტყვა, რომელიც ნიშნავს - **ცეცხლის საჩხრეკს** [a metal stick used to move coal or wood in a fire to make it burn better] (<http://www.ldoceonline.com/dictionary/poker>). მკითხველს, ალბათ, გაუჩნდება კითხვა - რას ნიშნავს **Ash poker** - ნაცრის მჩხრეკავს თუ ნაცრის საჩხრეკს? შეიძლება ითქვას, რომ განმარტების ტექსტში ჩართვა სწორი მიდგომაა, მაგრამ ამ შემთხვევაში არასწორად შერჩეული.

ზღაპარ „ხუთკუნჭულას“ სათაური, და შესაბამისად, პერსონაჟის სახელიც ბერდია კუტუბიძეს უთარგმნელად გადაუტანია - „**ხუთკუნჭულა**“ – **"Khutkunchula"** (ქართული ზღაპრები 2012:9). მაგრამ დედნის ტექსტშიც არ არის ახსნილი, რატომ ჰქვია მთავარ გმირს ეს სახელი. ხუთკუნჭულა მეტსახელია და ტექსტში (ან სქოლიოში მაინც, წიგნის ბოლოს დართულ შენიშვნებში...) საჭიროებს სახელის მნიშვნელობის განმარტებას. ზღაპრის მთავარ გმირს ხუთკუნჭულა ხომ მეტისმეტი მოხერხებულობისა და ეშმაკობისათვის დაარქვეს: ხუთი კუნჭული, ე. ი. ხუთკუნჭულას დასამალად ერთი კუნჭული (ხვრელი) კი არ აქვს, არამედ – ხუთი. მეზღაპრეს ამით იმის თქმა უნდა, რომ იგი მოუხელთებელია, მისი დამჭერი ან მიმგნები ქვეყნად არავინაა. ხუთკუნჭულა მოხერხებულია, ნებისმიერი სიტუაციიდან თავის დამძვრენი. ასე რომ, ხუთკუნჭულა მეტსახელია, რომელიც თვით პერსონაჟის დახასიათებასაც შეიცავს.

მკითხველი შეიძლება, თვით პერსონაჟის ქმედებიდან გამომდინარე, მიხვდეს სახელის მნიშვნელობას (რაც ნაკლებ სავარაუდოა), თუ არა და პერსონაჟის სახელი ფუნქციადაკარგული აღმოჩნდება, რაც ამცირებს ტექსტის ინფორმაციულობას.

ქართული ხალხური ზღაპრების სათაურების დევიდ ჯ. ჰანტისეული თარგმანები ხშირად დედნის სათაურთან შედარებით გაცილებით მეტი ინფორმაციის მომცველია. მაგალითად: „**გაუცინარი ხელმწიფე**“ თარგმნილია, როგორც **"The Story of the King Who Did not Laugh"** - რაც სიტყვასიტყვით ასე ითარგმნება: ამბავი მეფისა,

რომელიც არ იცინოდა. თუმცა მთარგმნელი პერსონაჟს ზღაპრის ტექსტში უკვე სხვა სახელით მოიხსენიებს - **Straight-faced King**-(სწორსახიანი) რაც, ჩვენი აზრით, წამგებიანია თარგმანისათვის: “It happened or it did not happen – there lived a **king who did not laugh**. Nobody had ever seen him laugh, and so they **nicknamed him the Straight-faced King**“ (Hunt 1999: 18).

„ფაშასთან მიბარებული ფული“ – “How the Poor Man Gave his Money for safekeeping” (Hunt 1999: 204) - რაც შემდეგნაირად ითარგმნება - როგორ მიაბარა საწყალმა კაცმა ფული შესანახად.

„მონადირე“ - “About the Hunter and his Son” (Hunt 1999:157) - მონადირისა და მისი შვილის შესახებ;

„ღორის ამბავი“ - “About the Pig-Beauty” (Hunt 1999:161) - ღორი-მზეთუნახავის ამბავი;

„ჩაქუჩა“ - “The Orphan Chakucha” (Hunt 1999: 76) - ობოლი ჩაქუჩა;

„ლურჯასი“ – “The Horse Lurja” (Hunt 1999: 62) - ცხენი ლურჯა.

თანამედროვე ლინგვისტიკა ადამიანთა (პერსონაჟთა) მეტყველებას კონცეპტების სახით განიხილავს. სწორედ კონცეპტებში აკუმულირდება წარმოდგენა სამყაროზე ზოგადად და გარემომცველ საგნებზე – კონკრეტულად. თანამედროვე მეცნიერების კულტუროლოგიური და ეთნოლინგვისტური მიეზები პირდაპირ უკავშირდება ეთნოსის სულიერი ცხოვრების როგორც მთლიანი მოვლენის, ისე ცალკეული დეტალების სრულყოფილ აღქმას და ნარატივში მის ასახვას, რომელიც ჩვენ აქ, ქართული ენისათვის ნიშნული სიტყვაქმნადობით – ქართული ქართული ხალხური ზღაპრის სათაურების და თარგმანში გადატანის სხვადასხვაგვარი ვარიაციული ჩვენებით წარმოვადგინეთ.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ სათაურები, რომლებიც ინფორმაციულად მარტივია და ლექსიკური ეკვივალენტის დაძებნა არ არის რთული, უფრო მარტივად სათარგმნია. სათაურების თარგმნისას, განსაკუთრებულ სირთულეს მთარგმნელს პერსონაჟის ფუნქციური სახელი უქმნის. ქართული ზღაპრების ინგლისურად მთარგმნელთაგან ზოგი ცდილობს თარგმნოს ფუნქციური სახელი, ზოგსაც უთარგმნელად გადააქვს.

მიგვაჩნია, რომ ფუნქციური სახელების თარგმანში გადატანისას მთარგმნელი უნდა შეეცადოს მათ თარგმნას. ასეთ შემთხვევაში სათარგმნ ენაში უნდა მოიძებნოს შესატყვისი, ხოლო შესატყვისის არარსებობის შემთხვევაში შესაძლოა მთარგმნელმა უთარგმნელად გადაიტანოს სახელწოდება და მისი განმარტება სქოლიოში მიუთითოს ან ტექსტშივე განმარტოს. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ტექსტშივე სიტყვის განმარტების მეთოდის გამოყენებით (როდესაც სახელი დედნისეული რჩება) ვინარჩუნებთ ეროვნულ კოლორიტსაც.

§ 3.2. ქართული ხალხური ზღაპრის დასაწყისისა და დასასრულის თარგმნის შესახებ

ზღაპრის დასაწყისისა და დასასრულის ფორმულები ყველა ხალხის ზღაპარში ეროვნული კოლორიტის შემქმნელი ძირითადი საშუალებებია. დასაწყისის დანიშნულებაა მსმენელთა ყურადღების მობილიზაცია. ეს არის პირველი ინფორმაცია, რომელიც აღძრავს ზღაპრულ სამყაროში შესვლის ინტერესს და გვამცნობს, რომ მოსასმენი ამბავი არ არის ნამდვილი, ხოლო დასასრულის ფორმულა მსმენელს ატყობინებს ამბის ბედნიერ დასასრულს და ყოველდღიურ რეალობაში აბრუნებს (**Dorson 1972: 60-61**).

ქართულ ხალხურ ზღაპარსაც თავისი დასაწყისისა და დასასრულის ფორმულები აქვს, რომელთაც მნიშვნელოვანი ფუნქციები აკისრიათ და მისგან განუყოფელი არიან. როგორც გ. წიბახაშვილი აღნიშნავს: „ზღაპრის დასაწყისი ერთგვარი კარი იყო, რომელსაც მეზღაპრე უღებდა მსმენელებს და შეჰყავდა რაღაც თვალისმომჭრელი შუქით განათებულ სამყაროში ხანმოკლე სამოგზაუროდ“, ხოლო დასასრული „მოსმენილით მოჯადოებული ადამიანისათვის ხიბლის მოხსნა... უცხო სამყაროდან ყოველდღიურ რეალობაში დაბრუნება“ (**წიბახაშვილი 2000: 97**).

ჩვენ მიერ საკვლევად შერჩეული ზღაპრების თარგმანებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათი დასაწყისისა და დასასრულის თავისებურებათა გადმოცემა. აღსანიშნავია, რომ ზოგი მთარგმნელი ცდილობს ეროვნული კოლორიტის შენარჩუნებას და ქართული ხასიათის სწორად „დაჭერას“: უცვლელად ტოვებს

დასაწყისისა და დასასრულის ქართულ კლიშეს, მთარგმნელთა ნაწილი კი ცვლის და საჭიროდ არ მიიჩნევს მის გადატანას. რადგან მთარგმნელობითი ხელოვნება ღრმად ინდივიდუალური შემოქმედებითი პროცესია და ემოციურ დამოკიდებულებასაც არ გამოირიცხავს, ამიტომ ნებისმიერი თარგმნილი ტექსტი ჩვენთვის საყურადღებო და მნიშვნელოვანია.

მაგალითად, მარჯორი უორდროპმა ქართული ხალხური სიტყვიერების ნიმუშები ისე თარგმნა, რომ შეძლო დედანთან მიახლოება და, იმავდროულად, შეუნარჩუნა ქართულ ზღაპარს ორიგინალური დასაწყისი. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მთარგმნელი ტრადიციული ინგლისური ზღაპრის დასაწყისსაც იყენებს:

1. "Master and Pupil"- „ოსტატი და შეგირდი“:

"ONCE upon a time there was a poor peasant who had one son"- იყო ერთი საბრალო გლეხი, რომელსაც ჰყავდა ერთი ვაჟიშვილი."

2. "Conkiajgharuna" - „კონკიაჟღარუნა“:

"THERE was and there was not, there was a miserable peasant" - „იყო და არა იყო რა, იყო ერთი ღარიბ-ღატაკი გლეხი."

3. "The Frog's Skin" - „ბაყაყის ხოკერა“:

"THERE were once three brothers who wished to marry" - „იყვნენ სამნი ძმანი, რომელთაც სურდათ ცოლის შერთვა."

4. "Ghvthisavari" (I am of God) - „ღვთისავარი“:

"THERE was once a king...." - „იყო ერთი მეფე..."

5. "Gulambara and Sulambara" - „გულამბარა და სულამბარა“:

"THERE was and there was not at all, there was a blind monarch" - „იყო და არა იყო რა, იყო ერთი ბრმა მეფე."

6. "The Two Brothers" - „ორი ძმა“:

"ONCE upon a time there were two brothers" - „იყვნენ ორნი ძმანი."

7. "Asphurtzela" - „ასფურცელა“:

"THERE was, and there was not at all (of God's best may it be!), there was once a woman"- „იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ქალი."

ქართულენოვრივი კლიშე ამ ზღაპრების დასაწყისში მხოლოდ სამ შემთხვევაში გვაქვს – „იყო და არა იყო რა, იყო...", სხვა შემთხვევაში – „იყო“, „იყვნენ“ და მათი

ვარიაციული ვერბალური ფორმები, რის საფუძველზეც შეიძლება ითქვას, რომ მთარგმნელი ქართულ ტექსტს კვალდაკვალ მიჰყვება, დედანს არ უკარგავს პირველქმნილ სისადავესა და აზრობრივ, მხატვრულ ღირსებას.

რაც შეეხება ქართული ხალხური ზღაპრის დასასრულს, როგორც პროფ. გ. წიბახაშვილი აღნიშნავს, მას „თუ სიტყვასიტყვით გადავიღებთ, აბსურდამდე მივდივართ, თუ სხვა ენოვან მასალას ჩავუნაცვლებთ, ზღაპარი კარგავს თავის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მახასიათებელს“ (წიბახაშვილი 2000: 100-101).

რა თქმა უნდა, ორიგინალურია და საინტერესო ქართული ხალხური ზღაპრის „ფორმულებრივი“ დასასრული, მისი ვარიაციული და მხატვრული ეფექტები. თავისთავად ცხადია, მთარგმნელისათვის ეს „ატრიბუტი“ თავსატეხს წარმოადგენს და აიძულებს, ბევრი იფიქროს მის გადაწყვეტაზე – თუ რა ხერხს მიმართოს და როგორ მიუდგეს მას. ჩვენ, ბუნებრივია, სავსებით ვიზიარებთ გ. წიბახაშვილის ზემოთ მოყვანილ მოსაზრებას. „ჭირი იქა, ლხინი აქა“, „მთას ურემი დავაგორე“, „ელასა-მელასა“ ქართული ხალხური ზღაპრის დასასრულის გავრცელებული ფორმებია. ნარატორი ანუ მთხრობელი, რომელიც ჰყვება ზღაპრისულ ტექსტს, თავისი შესაძლებლობების ფარგლებში ხორცს ასხამს ამბავს, გაშლის ან შეკუმშავს მას, იძლევა პროტაგონისტისა და ანტაგონისტის მოქმედებათა ვარიანტებს, მაგრამ დასასრულის ფორმულებს არ ეხება და უცვლელად ტოვებს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართული ზღაპრის ტრადიციული „პოეტურ-ლექსად თქმული“ დასასრულის თარგმანს სხვა ენაში ნაკლებად ვხვდებით, რაც ზუსტი ეკვივალენტის არარსებობით უნდა იყოს განპირობებული.

მართალია, ზღაპრის დასასრულის ფორმა რთული სათარგმნია, მაგრამ მთარგმნელმა უნდა გადალახოს ეს სიძნელე, რათა ეროვნული კოლორიტი სრულად შეუნარჩუნდეს ზღაპარს.

ზღაპრის დასასრულის ინგლისურ თარგმანს თანამედროვე ქართველი მთარგმნელის არჩილ ხანთაძის თარგმანში ვხვდებით, „ჭირი იქა, ლხინი აქა, ქატო იქა, ფქვილი აქა“ ნათარგმნია - "Plague there, merriment here. Bran there, flour here" (Khantadze 2012: 12), რომელიც ქართულენოვანი კალკირებული ფრაზაა ანუ ინგლისური ზღაპრის ტექსტისათვის არაბუნებრივი „ფორმულებრივი“ დასასრული, მაგრამ ამგვარი თარგმანი, ჩვენი აზრით, მაინც მისაღებია, რადგან ქართული

ზღაპრისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური გამოთქმის სხვაგვარად თარგმნა შეუძლებელია ეკვივალენტის არარსებობის გამო.

გამონაკლისი აღმოჩნდა დევიდ ჯ. ჰანტის ქართული ხალხური ზღაპრების თარგმანები, სადაც ერთდროულად ორივე - დასაწყისის და დასასრულის ფორმულათა თარგმანს ვხვდებით. მთარგმნელი დასაწყისის შინაარსის გადმოცემას შეეცადა, ხოლო დასასრული, ა. ხანთაძის მსგავსად, კალკირებით თარგმნა. დ. ჯ. ჰანტის მიერ თარგმნილ ზღაპრებში „იყო და არა იყო რა“ -ს რამდენიმე ვარიანტი გვხვდება:

“It happened and yet nothing happened” (Hunt 1999: 11)

“It happened or it did not happened – there lived...” (Hunt 1999:18)

“It happened and also nothing happened – there lived...” (Hunt 1999: 73)

“It happened but indeed nothing happened – there lived ...” (Hunt 1999: 144)

იგივე შეიძლება ითქვას დასასრულზეც (მრავალფეროვნებაა):

„ჭირი იქა, ლხინი აქა,

ქატო იქა, ფქვილი აქა“- დ. ჯ. ჰანტმა ასე თარგმნა:

”Famine there, feast here,

Siftings there, flour here.” (Hunt 1999:17)

“Famine there, feast here,

Siftings there, grain here.” (Hunt 1999:237)

“Famine there, feast here,

Bran there, meal here.” (Hunt 1999:83)

“Famine there, feast here.

Ashes there, meal here.” (Hunt 1999:200)

“You left there the famine,

You brought here a feast.

You spilled the siftings there,

You brought the meal with you.” (Hunt 1999:66)

“I left the famine there,
I brought the feast here.
I left the siftings there,
I brought the meal here.” (Hunt 1999:171)

„ჭირი იქ დავაგდე,
ლხინი აქ მოვიტანე,
ქატო იქ დავაგდე,
ფქვილი აქ მოვიტანე.”

“There I left the famine,
Here I found a feast.
There I spilled the ashes,
But here I found meal.” (Hunt 1999:184)

“A good word- a good speaker,
Good wine- you drink it well.” (Hunt 1999:156)

„კარგი სიტყვა, კარგი მთქმელი,
კარგი ღვინო, კარგი მსმელი.”

“Famine there, feast here,
Siftings there, meal here.
Elasa, melasa,
The jug hung on me.
To the teller and the listener
Sweet sleep to you and to me.” (Hunt 1999:177)

„ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა,
ელასა, მელასა,
ჭიქა მეკიდა ყელასა,
მთქმელსაც და გამგონებელსაც
ძილი გაამოთ ყველასა!”

ზღაპარი არის კულტურის ნაწილი. დღეს ძალიან აქტუალურია კულტურათა შორის დიალოგის თემა, მიმზიდველია მსგავსებისა და განსხვავების ზედმიწევნითი დაფიქსირება და ანალიზი. ამ კუთხით ქართული ხალხური ზღაპარი მრავალ საინტერესო პლასტს შეიცავს, ზღაპრის დასაწყისისა და დასასრულის ფორმულირებანი ამ კულტურის მცირე ნაწილია, მაგრამ არცთუ უმნიშვნელო; სწორედ ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია მისი სწორი თარგმნა.

განხილული მაგალითების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ძირითადად უცხოელი მთარგმნელები (მ. უორდროპი, დ.ჯ. ჰანტი) ცდილობენ დასაწყისის და დასასრულის ფორმულათა შენარჩუნებას, რითაც ქართული ხალხური ზღაპრის დასაწყისსა და დასასრულს თავის ხიბლსა და კოლორიტს უნარჩუნებენ და თარგმანს ორიგინალური დედნისეული იერი რჩება. ქართველ მთარგმნელთა (ნ. რუხაძე, ნ. ცისკარიშვილი, ზ. კოშკაძე, ს. წერეთელი და სხვ.) მიერ თარგმნილ ზღაპრებში არ არის

ქართული ხალხური ზღაპრის ტრადიციული დასაწყისისა და დასასრულის ფორმულები. „იყო და არა იყო რა...“ ჩანაცვლებულია ინგლისური ზღაპრის დასაწყისით „Once upon a time...“, ხოლო დასასრული – „ჭირი იქა, ლხინი აქა, ქატო იქა, ფქვილი აქა“- საერთოდ გამოტოვებულია. გამონაკლისი აღმოჩნდა ა. ხანთაძე, რომელმაც მხოლოდ დასასრულის ფორმულა გადაიტანა (კალკირებით) თარგმანში. სრულიად ვიზიარებთ დ. ფანჯიკიძის აზრს, რომ „ზღაპრის დასაწყისისა და დასასრულის ფორმულები ეროვნული კოლორიტის შემქმნელი ძირითადი საშუალებებია და მათი უცხო ზღაპრის თარგმანში ხელაღებით ჩართვა მიზანშეწონილი არ არის“ (ფანჯიკიძე 1988: 172).

§ 3. 3. აგრესია ზღაპარში და აგრესიული ლექსიკის თარგმნის სპეციფიკა

საქართველოში გამუდმებული დამაბული ადამიანური ყოფისა და გარე თუ შიდა ომების წყალობით, ადამიანისა და ქვეყნის ცხოვრება მეტად რიტმული და მგრძნობიარე იყო, ასეა ახლაც. ეს ჩვენი ეროვნული ხასიათის გამოვლინებაა: ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ემოციურმა და ცხოვრებისეულმა აგრესიულობამ თავი ზღაპარშიც იჩინა. ზღაპარი ხომ ხალხის ცხოვრების წიაღშია ამოზრდილი, ხალხის ყოფიერებაზე დაფუძნებული. ქართული ხალხური ზღაპარი საქართველოსა და ქართველი ხალხის ისტორიული ყოფის ერთგვარი ანარეკლია.

აგრესია პოტენციური მოწინააღმდეგის მიმართ საყოველთაო მოვლენაა, მაგრამ ქართულ ხალხურ ზღაპრებში ასე მოჭარბებული აგრესია მაინც თვალშისაცემია და ძალაუვნებურად ყურადღებას იპყრობს.

ხალხურ ზღაპარში საგანგებოდ გვინდა გამოვყოთ არქაული წარმოდგენების აკუმულირება, სადაც დომინირებს სხვადასხვა რიტუალი თუ რეპრეზენტაციული ელემენტი თავისი აგრესიით. აგრესიას თავისი შემადგენელი ნიშნები და კოდები აქვს. ნიშნები იგივე სიმბოლოებია, რომლებიც თვალსაჩინოდ გამოხატავს ადამიანის შინაგანი ბუნების მიმართებას მის გარშემო არსებული სინამდვილისადმი.

აგრესია, მსხვერპლშეწირვა, რისხვა, დემონებთან საბრძოლველად გაგზავნა, გაურკვეველ არსებებთან ურთიერთობა – ყოველივე ეს ზღაპარში ფარული თუ აშკარა

აგრესიის ფონზე ხდება და საინტერესო მასალას იძლევა მთარგმნელობითი კუთხითაც. რუსუდან ცანავას ნაშრომი „აგრესია და რიტუალი“ ცხადყოფს აგრესიის მოჭარბებას და მის დიფერენციაციას ხალხურ შემოქმედებაში. იგი აღნიშნავს: „აგრესია, რისხვა, ბინარული ოპოზიციის (რისხვა – განურისხველობა) შემადგენელი ელემენტია. შესაბამისად, გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ნიშან-სისტემათა კონტექსტშიც; აქედან გამომდინარე, ეს ფენომენი სემიოტიკური ასპექტითაც განიხილება... სწორედ აგრესიის ჩართვამ გამოიწვია საკრალური რიტუალის პროფანაცია და საერთოდ შეცვალა მსხვერპლშეწირვის რელიგიური აქტის კონცეფცია” (ცანავა: 2010).

აგრესია დღევანდელი საზოგადოების თანამდევი მოვლენაა. იგი არა მარტო ზღაპრებში, მითებსა და ლეგენდებში არის აშკარა და თვალსაჩინო, არამედ ჩვენს ეგზისტენციალურ ყოფაში ყოველ ფეხის ნაბიჯზე იჩენს თავს.

აგრესია, თავდასხმა, შეტევა, მოულოდნელი თუ მოსალოდნელი, არცთუ ნაკლებად მწვავე, ვიდრე დღესაა, მსოფლიო ხალხებს ადრეც ჰქონდათ. ძლიერი და აგრესიული ტომები – ველური თუ ნაკლებად ველური, კულტურული თუ შედარებით ნაკლებ კულტურული, თავს ესხმოდნენ მათსავით ძლიერ ან სუსტ სახელმწიფოებს, სიტუაციისამებრ, იჩაგრებოდა სუსტი, ბატონობდა ძლიერი. გარდა ამისა, თვით ინდივიდიც, ისტორიულად თუ პრეისტორიულად, თავს ესხმოდა და აჩანაგებდა თვისტომს, თანატომელს ან სრულიად უცხო არსებას – ადამიანს თუ ცხოველს (ან, პირიქით – ცხოველი ადამიანს....)....

ე. მელეტინსკის ნაშრომში, რომელიც ჯადონსური ზღაპრის გმირებს ეხება, ნათქვამია: პირველყოფილი საზოგადოება ობოლს უყურებდა, როგორც მთელი ტომის კუთვნილებას, მის პირმშოს. მოგვიანებით, როცა საზოგადოებრივი კლასები გაჩნდა, შეიცვალა ობლის სტატუსიც და საზოგადოებაში მისი აღქმაც. მოხდა კლასიფიკაცია და მთავარი მეურვე ნათესაობა გახდა და არა მთელი ტომი. დედით ობოლი ბავშვის მფარველობის უფლება მიენიჭა დედის ძმას, რომელიც, თავის მხრივ, უპირატესობას საკუთარ შვილებს ანიჭებდა. ეს მოვლენა ზღაპარშიც აისახა. მელეტინსკის ნაშრომში ასევე განხილულია მამით ობოლი ბავშვის სიტუაციაც – ნათესავები ბავშვს ცუდად ეპყრობიან, რადგან სურთ, მამის დანატოვარი ქონება წაართვან (Мелетинский 1994: О литературных архетипах. gumer.info/bibliotek-buks/literat./metel3/01.php).

აგრესია აქაც თვალნათელია, ოღონდ ადამიანები აგრესიას იჩენენ ქონების დაუფლების მიზნით. ასეთი სიტუაციაა მსოფლიოს სხვადასხვა ხალხთა ზღაპრებში. ასე რომ, ქართულ ზღაპრებში ფიქსირებული აგრესია ლოკალური მოვლენა არაა.

ერთ-ერთ ქართულ ხალხურ ზღაპარში, რომელსაც „ლერწმის ქალი“ ჰქვია („ხს“ 1963: 65-72), „შავი არაბი ქალი“ უფლისწულის ხელში ჩაგდების მიზნით „ლერწმის ქალის“ (უფლისწულის ნამდვილი საცოლის) წინააღმდეგ ილაშქრებს. ეს არ არის უბრალო „გალაშქრება“. „შავი არაბი ქალი“ ნაირგვარ აგრესიულ ქმედებასა და ბოროტებას სჩადის „ლერწმის ქალის“ გზიდან ჩამოსაშორებლად. ბოლოს „სამართალი პურს სჭამს“ და „ლერწმის ქალი“ გადარჩება – არაბ ქალს ამარცხებს და უფლისწულის ცოლი ხდება.

ზღაპარ „სიზმარაში“ („ხს“ 1963) წამოწყებულია დედინაცვლისა და გერის ურთიერთობა, რასაც აგრესია უდევს საფუძვლად. დედინაცვალი ცდილობს, გერს შესასრულებელ მძიმე საქმესთან ერთად შარი მოსდოს, მისი სიზმრები და ფიქრები აკონტროლოს და ხელმწიფის სახით დიდი საფრთხე გაუჩინოს. აგრესია ამ შემთხვევაში გამოვლენილია ირეალურ ასპექტში, სადაც გონებისა და სიზმრების გაკონტროლება ადამიანის დაჩაგვრის საბაზია. ხალხის სიბრძნე ყოველთვის ანეიტრალდება ამგვარ აგრესიას მფარველი ანგელოზის ანუ კეთილი ბედის არსებობის აუცილებლობით. თითქმის ყოველთვის აგრესიას ამარცხებს კეთილი ბედისწერა – ჩაგრული გამარჯვებული გამოდის. ასეთია ზღაპრის მარტივი მორალი.

თუ რამდენად ადეკვატურად გადავიდა ქართული ხალხური ზღაპრებისთვის ნიშნული აგრესიულობა თარგმანში, ამის საილუსტრაციოდ გამოვიყენებთ მ. უორდროპისეულ ინგლისურ თარგმანებს („ღვთისავარი“, „ოსტატი და შეგირდი“, „ნაცარქექია“...), რადგან მის თარგმანებში უფრო მეტად არის შენარჩუნებული ორიგინალთან სიახლოვე – დედნისეული კოლორიტულობა.

ზღაპარ „ღვთისავარში“ მსხვერპლშეწირვის მოთხოვნა შემდეგნაირად არის ფორმულირებული: ხელმწიფემ როცა შეიტყო „შენი ქალიცა და იმისი მოახლეც ორივ დაორსულებულანო, ორივ ხელი თავში წაიშინა, დაიბარა ერთი თავისი მონადირე და უბრძანა: წადი ეხლავ ზღვის კოშკში, გამოიყვა იქიდან ჩემი ქალიცა და იმის მოახლეც, წაიყვა ისეთ ალაგს, რომელიც კი უფრო მოუდგომელი და უდაბური იყოს ამ ჩემს საბრძანებელში, დახოცე და მაგათი გულ-ღვიძლი აქ მომიტანე, რომ დავრწმუნდეო:

იცოდეს კი, შენსა და ჩემს მეტმა ჭაჭანება არავინ უნდა იცოდეს ეგ ამბავი, თორემ შენი ხსნა აღარ იქნება” (აღნიაშვილი 1979: 35).

მ. უორდროპი ზღაპრის ამ მონაკვეთს შემდეგნაირად თარგმნის: "He commanded one of his huntsmen, saying: 'Go to the tower in the sea, take thence my daughter and her companion, and carry them to the wildest and most desert spot in my kingdom. Kill them, and bring me their hearts and livers to show me that they are dead. No one must know this story, save thee and me; if it becomes known it shall cost thee thy life" (Georgian Folk tales 1894: 26).

აქ დედნისეული „გულ-ღვიძლი მომიტანე” ინგლისური სინტაქსური შეხამებით (მრავლობითი რიცხვის ფორმით) არის გადმოცემული: „their hearts and livers”- „გულ-ღვიძლები”... რადგან სემანტიკა ნიშანსა და აღსანიშნს შორის ურთიერთმიმართებაა, ამ შემთხვევაში ნიშანი არის ორცნებიანი კომპოზიტით გაფორმებული (გულ-ღვიძლი) და მისი ინგლისური შესატყვისი წარმოადგენს დედნის ზუსტ თარგმანს.

სემანტიკურად „their hearts and livers” იდენტურია ქართული ეკვივალენტისა. იგი აღნიშნავს საკრალურ მსხვერპლს, რომელიც რისხვის ღვთაებას შეეწირება. ძველ სამყაროში რისხვას, აგრესიას, სიკვდილს თავისი ღვთაება და ქალღვთაება ჰყავდა. ზღაპარში აუცილებლად აისახება უძველესი სამყაროს რეალიები. ქართული, ინგლისური თუ აღმოსავლეთის (სპარსული, არაბული, ინდური...) ხალხთა ზღაპრები საკმაოდ კარგად გადმოსცემენ ადამის ფსიქიკისათვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს („ხს” 1963: 4-5).

მსხვერპლშეწირვის რიტუალი არა მარტო ქართული ზღაპრისთვის არის დამახასიათებელი, იგი, ზოგადად, მსოფლიო მოვლენაცაა და საყოველთაოდ არის გავრცელებული ფოლკლორში.

ზღაპარ „ღვთისავარში“-აგრესიის გამომხატველია მთავარი გმირისადმი დედის დამოკიდებულება, რადგან ამ უკანასკნელს დევი შეჰყვარებია და ვერაგულად ცდილობს შვილის თავიდან მოცილებას, რათა საყვარელთან ურთიერთობაში ხელი არავინ შეუშალოს. დევის სიყვარულით „დაბრმავებული” დედა შვილის მოსაკლავად საყვარლის მითითებებით მოქმედებს. დედანი: „დევმა უთხრა: ღვთისავარი რომ მოვიდეს, სთხოვე გეებანოს და, როცა ქვაბში ჩაჯდეს, ქვაბს ზარფუში დაჰხურე, მერე

ხმა მომე, მეც იქ გავჩნდები, ზარფუში ზედ დავაჭედოთ და ზღვაში გადავავდოთ. დედას გაუხარდა. შინ რომ მოვიდა, წყალი გააცხელა, ღვთისავარიც რომ მოვიდა, დედამ სთხოვა: მოდი, შვილო, გაგბანო, რამდენი ხანია არ მიბანებიხარო! ღვთისავარი ჯერ კი უარზე იდგა, მაგრამ ბოლოს დათანხმდა. ჩაჯდა თუ არა ქვაბში, დედამ ზარფუში ზედ დააპირქვა და დევს ხმა მისცა. დევმაც მიირბინა და ზარფუში ზედ დააჭედეს. მერე ერთად ასწიეს და ზღვაში გადააგორეს” (აღნიაშვილი 1979: 42).

მ. უორდროპისეულ თარგმანში კი ვკითხულობთ:

“The devi was very angry, but calmed down and said: ‘When Ghvthisavari comes in, tell him he must be bathed, and when he sits down in the tub, put a cover over him and call for me. I will come and hammer down the lid, and throw him into the sea.’ The woman rejoiced at this plan, went in and heated water. When Ghvthisavari came in, his mother said: ‘Come, child, I will bathe thee, it is some time since thou wert bathed.’ Ghvthisavari did not like this, but at last he consented. He sat down in the tub, his mother shut the lid, and called the devi. The devi ran in and hammered down the lid. Then he lifted the tub up and rolled it into the sea” (Georgian Folk tales 1894: 34).

დედნისაგან განსხვავებით, თარგმანში ღვთისავარის ზღვაში გადაგდებაში დედა არ მონაწილეობს (დედნის მიხედვით კი ღვთისავარი დედამ და დევმა ერთად გადააგდეს ზღვაში - დედა აქტიურობს შვილის დაღუპვაში), ამდენად, აგრესიაც სუსტად გადმოიცემა.

ზღაპარ „ოსტატი და შეგირდის” გმირი, რომელიც მეუღლის ზეწოლას განიცდის, იძულებულია დაჰყვეს მის ახირებას და შეუსრულოს სურვილი: „იყო ერთი ღარიბი გლეხი, ჰყვანდა ერთი ვაჟიშვილი. აუტყდა ერთხელ ცოლი: ე ბაღს ხელობა რამ ასწავლებინე, თორემ შენ რა ხეირი გაყრია, ეგ რა უნდა იყოს, ეგრე შენსავით უცოდინარი რომ დარჩესო” (აღნიაშვილი 1979: 5).

ეს მონაკვეთი თარგმანში შემდეგნაირად გადავიდა:

“Once upon a time there was a poor peasant who had one son. And it came to pass that his wife said to him: ‘He should learn some trade, for when he is separated from thee, what will he do if he is left ignorant like thee?’” (Georgian Folk tales 1894:1). ცოლის ახირება ანუ აგრესია შერბილებული ფორმით არის გამოხატული თარგმანში. დედანშია „აუტყდა ერთხელ ცოლი”, თარგმანში კი - “his wife said to him” ანუ - ცოლმა უთხრა მას.

„მერე უთხრა: ეხლა ჩვენი ოსტატი მოვა, ყველას მტრედებად გვაქცევს და გაგვაფრენს” (აღნიაშვილი 1979: 6).

”Then the boy said: 'Presently my instructor will come; he will turn us all into doves, and we shall fly away” (Georgian Folk tales 1894: 2).

ამ შემთხვევაში აგრესია მაქციობაში ვლინდება, რაც რეალობისათვის ნიშანდობლივი არ არის და მისტიკურ იერს ატარებს. მაქციობა აგრესიის განსაკუთრებული ფორმაა, რომელიც ზღაპრებსა და მითებში ხშირად გვხვდება.

ზღაპარში „ბედი” ხელმწიფის შვილი, რომელიც საკუთარი ბედისწერით არის უკმაყოფილო, აგრესიული მეთოდებით ცდილობს მის შეცვლას. იგი მომავალი საცოლის მოკვლას განიზრახავს: „შუალამისას, როცა ყველამ ხვრინვა ამოუშვა და მკვდრებივით მიეძინათ, ხელმწიფის შვილი წამოდგა ჩუმად ლოგინიდან და ჩუმადვე შეიპარა მეორე ოთახში. ცხრა წლის სნეული ფეიქრის ქალი რომ დაინახა, სულ გულ-მუცელი აემღვრა, იშიშვლა იმ წამს ხანჯალი და შიგ გულში ჩასცა. მერე ისევ ფეხაკრეფით გამოვიდა, დატოვა იქ თავისი ფულები, რაც კი რამ თანა ჰქონდა და იმ ღამესვე გამოიპარა” (Georgian Folk tales 1894: 32).

თარგმანში კვითხულობთ: “In the middle of the night, when every one was snoring and slept like a dead, the prince rose silently, stole from his bedchamber, and quietly entered the room of the weaver’s daughter. When he saw her he was inwardly troubled, he drew forth his dagger, and plunged it into her. Then he noiselessly went away, left his money behind him, and stole forth into the night” (Georgian Folk tales 1894: 25).

თარგმანი თითქოს ზუსტად მიჰყვება დედანს, მაგრამ დედნისეული აგრესია აქაც ნაკლებად ჩანს. დედნის მიხედვით, უფლისწულმა, რომელსაც მომავალი საცოლის დანახვაზე „გულ-მუცელი აემღვრა, იშიშვლა იმ წამს ხანჯალი და შიგ გულში ჩასცა”, მ. უორდროპი კი ასე თარგმნის ამ მონაკვეთს: “When he saw her he was inwardly troubled, he drew forth his dagger, and plunged it into her.” ორიგინალში უფლისწული შიგ გულში ჩასცემს ხანჯალს თავის მომავალ საცოლეს, რათა მას გადარჩენის შანსი არ ჰქონდეს. ეს ნიუანსი გამოტოვებულია თარგმანში (თარგმანის მიხედვით შეწუხებული უფლისწული ხანჯალს ურტყამს ქალს).

ზღაპარში „კონკიაჟდარუნა” დედინაცვლისა და გერის ურთიერთობაა გამოკვეთილი და, ცხადია, დედინაცვლის აგრესია გერის მიმართ.

დედანში ვკითხულობთ: „ეს დედაკაცი რომ ამ მეორე ქმრის სახლში შემოვიდა და აქაც გერი დახვდა, ძალიან ეწყინა. ის იყო და ის, დედინაცვალი გერს მტრად გადაეკიდა. სულ იმასა ცდილობდა, რომ თავისი ქალი გაენებივრებინა და გერი კი როგორმე თავიდან მოეშორებინა. გამოუხვევდა ყოველდღე კალთაში ერთ კუტს, გააყოლებდა ძროხას და თან ასე დააბარებდა: აი, ეს ერთი კუტი გქონდეს - ამვლელსაც აჭამე, ჩამვლელსაც, შენცა ჭამე და შინაც მთელი მოიტანეო. წავიდოდა ეს ქალიც და იყო ერთ დაღონებაში” (აღნიაშვილი 1979: 73). როგორც ვხედავთ, დედინაცვალს იმდენად სძულდა გერი, რომ მისთვის კუტი პურიც კი არ ემეტებოდა.

თარგმანი: “When this woman came into her husband’s house and saw his child, she was angry in heart. She treated Conkiajgharuna badly. She petted her own daughter, but scolded her stepdaughter, and tried to get rid of her. Every day she gave her a piece of badly-cooked bread, and sent her out to watch the cow, saying: ‘Here is a loaf; eat of it, give to every wayfarer, and bring the loaf home while.’ The girl went, and felt very miserable” (**Georgian Folk tales 1894: 64**).

დედანში აღნიშნულია, რომ „დედინაცვალი გერს მტრად გადაეკიდა”, მ. უორდროპმა კი თარგმნა: She treated Conkiajgharuna badly, რაც იმას ნიშნავს, რომ დედინაცვალი გერს ცუდად ეპყრობოდა. მთარგმნელი ფრაზეოლოგიზმის ახსნას ცდილობს, თუმცა „ცუდად მოპყრობა” რამდენადმე განსხვავებულია „მტრად გადაკიდებისგან”. ასე რომ, თარგმანი ისე მძაფრად ვერ გადმოსცემს დედინაცვლის აგრესიულობას გერისადმი.

ზღაპარში „დედინაცვალი და სამი ქალი” ვკითხულობთ: „დედინაცვალმა ეს თავისი გერები ჭირივით შეიჯავრა და ამ დღეს თავის ქმარს სუ იმას ჩასჩიჩინებდა: წაიყვა ე შენი შვილები, თავიდან მომაშორეო” (აღნიაშვილი: 1979:10), რაც თარგმანში ასე გადავიდა: “The stepmother hated the girls like the plague. Every day she bothered her husband, saying: ‘Take away these daughters of thine, and get rid of them’” (**Georgian Folk Tales 1894:7**) ამ შემთხვევაში მ. უორდროპი სიტყვასიტყვით თარგმნის დედნისეულ ტექსტს და უფრო ზუსტად ახერხებს იმ აგრესიის გამოხატვას, რაც ორიგინალ ტექსტშია გადმოცემული.

დედინაცვლის მიერ გერებისადმი გამოვლენილი უარყოფითი დამოკიდებულება თავისთავად შეიცავს აგრესიას. აქ ქალის ბუნება წარმოდგენილია

უკიდურესად ნეგატიურ კონტექსტში. დედინაცვალი მესაკუთრე და ეგოისტი ქალის ტიპაჟია.

ოჯახური აგრესია ვლინდება ამავე ზღაპრის შემდეგ მონაკვეთში: როცა მეფემ გაიგო, რომ მისმა ცოლმა ოქროსქოჩრიანი ვაჟის მაგივრად კატის კნუტი გააჩინა, „ცეცხლივით აენთო და თვალებიდან ნაპერწკლებს ჰყრიდა. გამოაყვანინა ის თავისი ცოლი, კამეჩის ტყავში გაახვევინა და იქვე, სასახლის წინ, სვეტზე მიაკვრევინა. გამვლელ-გამომვლელთ უნდა პირში ეფურთხებინათ და ეცემათ. ასე უსამართლოდ იტანჯებოდა ალალ-მართალი ადამიანი“ (აღნიშვილი 1979:14).

თარგმანშია: „...he burned with fires of rage, and sparks shot from his eyes. He took his wife out, caused her to be wrapped in a bullock's skin, and bound to a column in front of a palace. Every one who passed by was ordered to spit in her face and strike her. Thus unjustly did he torture an innocent being!“ (Georgian Folk Tales 1894: 10) ამ შემთხვევაში თარგმანი ზუსტად იმეორებს იმ აგრესიას, რაც დედანშია მოცემული - რისი მსხვერპლიც გახდა უდანაშაულო ქალი. იგი ჯერ შურიანი დების, შემდეგ მათგან მოტყუებული ქმრისგან მომდინარე აგრესიის გამო იტანჯება.

ოჯახის წევრებისგან მომდინარე აგრესიის მსხვეპლი ხდება „ასფურცელას“ მთავარი გმირი. შურიანმა ძმებმა მისი თავიდან მოშორება გადაწყვიტეს: „...მოდი ამ ხეზე მივაკრათ და აქ დავტოვოთ. თქვეს ეს თუ არა, მოიტანეს წნელები, დაგრიხეს, დაგრიხეს და ისე მაგრა მიაკრეს იმ ხეზე, რომ ასფურცელას თითის წვერებიდან სისხლმა დაუწყო წვეთა. დამ რო ეს ნახა, ბევრი უშალა, მაგრამ ვერა შეასმინა რა. ძმებმა მიაკრეს ხეზე ასფურცელა, წამოიყვანეს თავისი და და წამოვიდნენ შინ“ (აღნიშვილი 1979: 87).

თარგმანში ვკითხულობთ:“... Come, let us bind him to this tree and leave him here.’ They took withs, twisted them round and round, and bound him to the tree, so hard that blood poured from his fingers. When the sister saw this, she entreated them to spare him, but they would not listen her. They bound him tight, took their sister and went home” (Georgian Folk Tales 1894:7).

თარგმანი ზუსტია და აგრესიას დედნისეული სიმძაფრით გადმოსცემს, რაც, როგორც ზემოგანხილულმა თარგმანებმა გვიჩვენა, ძალზე იშვიათია.

აგრესიის თვალსაზრისით, საინტერესოა ზღაპარი „მელია და ხელმწიფის შვილი“, რომელშიც ვკითხულობთ: „იყო ერთი ხელმწიფე, ჰყვანდა ერთი შვილი. ეს ხელმწიფის შვილი ყველას აბუჩად ჰყვანდა აგდებული. გამვლელი თუ გამომვლელი ყველა უპატრონოსავით თავში უფაჩუნებდა“ (აღნაშვილი 1979: 109).

თარგმანი: "There was once a king who had a son. Every one treated him badly, and chased him away. Even passers-by looked upon him with disfavour" (Georgian Folk Tales 1894: 98). ეს მონაკვეთი სიტყვასიტყვით შემდეგნაირად ითარგმნება: მეფის შვილს ყველა ცუდად ეპყრობოდა, დევნიდა, და ყველას ათვალწუნებული ჰყავდა. თარგმანში აგრესია შერბილებულია. დედანი უფრო მძვრად გადმოსცემს იმ აგრესიას, რასაც ხალხი გამოხატავს ხელმწიფის შვილის მიმართ.

ხალხის აზრით, განსაკუთრებული პიროვნება თავიდან ათვალწუნებული და ყველასაგან დაჩაგრულია. „უპატრონოსავით თავში ჩაფაჩუნება“ იმაზე მიგვანიშნებს, რომ ეს პიროვნება სხვებს არ ჰგავს და ამიტომ საზოგადოებისაგან აგრესიულ დამოკიდებულებას იწვევს. მან უნდა დაუმტკიცოს ხალხს, რომ ამ საზოგადოების ღირსეული წევრია და ამისთვის გარკვეული სახის გმირობაც უნდა ჩაიდინოს. აქედან გამომდინარე, აგრესია იწვევს ქმედებას, რომელიც მიზნად ისახავს პიროვნების საზოგადოების თვალში რეაბილიტაციას. დადებითი და კეთილი შედეგი მიგვანიშნებს, რომ აგრესია სრულიადაც არ არის ბოროტების მშობელი და ზოგჯერ კარგ შედეგსაც იძლევა. ამგვარ პარადოქსებს ხშირად ვხვდებით ზღაპრებში, რომლის ერთი მაგალითია ზემოთ განხილული „მელია და ხელმწიფის შვილი“.

ამრიგად, განხილული მასალის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ზღაპარში აგრესიული განწყობა და აგრესორები მარცხდებიან. ხალხი თავის მსოფლმხედველობაში სიკეთეს ყოველთვის უპირისპირებს ბოროტებას ანუ აგრესიას, შემდეგ ხდება გმირის გამოცდა და აგრესიის ანუ ბოროტების ნეიტრალიზაცია.

ქართული ხალხური ზღაპრების მარჯორი უორდროპისეული თარგმანების ორიგინალთან შედარებით ირკვევა, რომ დედანში წარმოდგენილი აგრესიული განწყობა ლექსიკურ-შინაარსობრივი ნიუანსების ცვლილებების საფუძველზე ინგლისურ თარგმანში ზოგჯერ შერბილებული ფორმებითაა წარმოდგენილი.

§ 3.4. ქართული ხალხური ზღაპრების ეროვნული კოლორიტის

შენარჩუნების პრობლემა თარგმანში

თარგმანი, ენათშორისი კომუნიკაციის გარდა, კულტურათაშორისი კომუნიკაციაა, რომლის მონაწილენი განეკუთვნებიან განსხვავებულ ეთნოკულტურულ კოლექტივებს, აქვთ განსხვავებული სოციალურ-კულტურული გამოცდილება. ეს არის ერთი კულტურული გამოცდილების მეორეში გადატანა და ადაპტაცია. ა. დ. შვეიცერის აზრით „ტექსტის ტრანსპონირება ხდება არა მარტო მეორე ენის სისტემაში, არამედ მეორე კულტურის სისტემაშიც“ (ციტ. ნ. საყვარელიძე 2001: 30).

მხატვრული თარგმანი განუზომლად დიდ მასალას შეიცავს ისეთ გარეენობრივ ფაქტორებზე, როგორცაა ორიგინალისა და თარგმანის შექმნის სოციალურ - კულტურული გარემო, რომელიც მნიშვნელოვან კვალს ამჩნევს თარგმანის ტექსტს. ნ. საყვარელიძის აზრით, „ცხოვრებისეული რეალობის ის ფართო პანორამა, რომლის ფონზეც მხატვრულ ნაწარმოებში მოქმედება ვითარდება, აპრიორულად შეიძლება ითქვას, მრავლად შეიცავს ეთნოგრაფიულ, ისტორიულ, პოლიტიკურ, სოციალურ თუ სხვა სახის რეალიათა ენობრივ ექსპლიკატებს. ეს გარემოება, თავის მხრივ, წარმოქმნის თარგმანის ადრესატისთვის ამ რეალიათა იმგვარი მიწოდების საჭიროებას, რომ იგი პირისპირ არ დარჩეს ამოუხსნელი ენიგმების წინაშე“ (საყვარელიძე 2001: 36).

„სიტყვიერი ხელოვნების არც ერთი ჟანრი და სახე არ არის ისე ეროვნული და უნიკალური, როგორც ხალხური ზღაპარი, რომლის მკაფიოდ გამოხატული ეროვნული კოლორიტის მატარებელი ნიშნები- ანთროპონიმიკური ლექსიკა, ანდაზები, გამოცანები, ფრაზეოლოგიური მასალა, დიალექტიზმები, სხვადასხვა რეალია, წყევლისა და კრულვის ფორმულები, სამეტყველო ეტიკეტი და მრავალი სხვ.“ (წიბახაშვილი 2000: 95) განსაკუთრებული სირთულის წინაშე აყენებს მთარგმნელს.

ყველაფერ ამას „მთარგმნელ ენაში, როგორც წესი, ეკვივალენტი ან სულ არ დაეძებნება, ან არის რაღაც, რაც ასევე სპეციფიკურია სხვა ხალხისათვის და ამიტომ მხოლოდ შორეულად და ისიც პირობითად შეიძლება ჩაითვალოს რაღაცის შესატყვისად“ (წიბახაშვილი: 95).

„უთარგმნელი (უეკვივალენტო) ერთეულები“ თავისი შემადგენლობით არაერთგვაროვანია როგორც სტრუქტურულად, ასევე – სემანტიკურად. ამ ჯგუფში

შედის როგორც ერთი სიტყვით ანუ ცალკეული ლექსებით გაფორმებული ერთეულები, ასევე – რთული შესიტყვებებიც.

ა. ფიოდოროვის, ე. ვერეშაგინის, ვ. კოსტომაროვის განმარტებით „ეს სიტყვები ისეთი ცნებების გამოსახატავად გამოიყენება, რომლებიც არ არსებობს სხვა ენასა და კულტურაში. ისინი დაკავშირებულია კონკრეტულ კულტურულ ელემენტებთან, რომლებიც ერთ კულტურაში არსებობს და სხვაგან არ მოიძებნება; ასევე სიტყვები, რომელთა მეორე ენაზე ერთი სიტყვით თარგმნა შეუძლებელია და სხვა ენაში ეკვივალენტები არ გააჩნიათ” (Верещагин....1990: 53). ასეთ სიტყვათა ჯგუფს, მიაკუთვნებენ რეალიებს.

ლ. ბარხუდაროვის აზრით, ყველაზე დიდი სირთულე თარგმანში მაშინ წარმოიქმნება, როდესაც სიტუაცია, რომელიც ამოსავალ ტექსტშია აღწერილი, არ არსებობს სათარგმნი ენის კოლექტივის გამოცდილებაში, ანუ როდესაც ამოსავალ ტექსტში აღწერილია „რეალიები“. მისი განმარტებით, რეალიები ფონური ინფორმაციის ნაწილია, რომელიც მოიცავს სპეციფიკურ ისტორიულ ფაქტებსა და ინფორმაციას სახელმწიფო მოწყობის, გეოგრაფიული გარემოს თავისებურებების, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული ცნებების შესახებ. თარგმანის თეორიაში რეალიებს უწოდებენ სიტყვებს ან გამოთქმებს, რომლებიც აღნიშნავენ მატერიალური კულტურის საგნებს და მჭიდროდ არიან დაკავშირებული კონკრეტული ერის კულტურასთან. თარგმანში ამ ელემენტების გათვალისწინება აუცილებელია. „ენის ლექსიკურ მარაგში სპეციალური მნიშვნელობის არარსებობა სიტყვის ან მყარი შესიტყვების სახით, სრულიადაც არ ნიშნავს, რომ შეუძლებელია ამ ცნების გამოხატვა მოცემული ენის საშუალებით. მიუხედავად იმისა, რომ ენის სისტემაში არ იძებნება მოცემული ნიშანი, მისი შინაარსის გადმოცემა ყოველთვის შეიძლება მთელი რიგი საშუალებებით” (Бархударов 1975: 96).

პიტერ ნიუმარკის განმარტებით, რეალიები „უცხოენოვანი კულტურული სიტყვებია“, რომლებიც დაკავშირებულია კულტურასთან და, შესაბამისად, ამა თუ იმ ენასთან. მისი აზრით, თარგმანში პრობლემა წარმოიქმნება მაშინ, როდესაც ამოსავალი და სათარგმნი ენის კულტურებს შორის გარკვეული დისტანცია არსებობს (Newmark 1988: 94-95).

რეალიების გადმოცემისას თარგმანში ძირითადი სირთულე არის:

1. სათარგმნ ენაში შესატყვისის (ეკვივალენტის ან ანალოგის) არარსებობა იმის გამო, რომ სათარგმნი ენის მკითხველის სინამდვილეში არ არსებობს რეალის მიერ აღნიშნული ობიექტი;
2. რეალის სემანტიკურ მნიშვნელობასთან ერთად მისი კოლორიტის გადმოცემის აუცილებლობა.

რეალიების თარგმნის საშუალებები მრავალგვარია. ნ. საყვარელიძის აზრით, რეალიების განხილვა საჭიროა ცალკე, „როგორც ენობრივი და სოციალურ-კულტურული უნიკალიზმების თარგმანში ისეთი ტრანსპოზიციის შემთხვევებისა, რომელიც მიზანმიმართულია კულტუროლოგიური გაუგებრობის ნეიტრალიზაცი-ისათვის. ნეიტრალიზაციის საშუალებები კი მრავალგვარია, დაწყებული ტრანსლიტერაციით და დამთავრებული თარგმანის ტექსტის ფართო მასშტაბის მოდიფიკაციით” (საყვარელიძე 2001: 250).

რეალის თარგმნის სტრატეგიის არჩევა მთარგმნელზეა დამოკიდებული. ერთი და იგივე რეალია შესაძლოა ითარგმნოს ორი ან სამი საშუალებით და ყველა მათგანი სწორი იყოს, თუკი იგი ზუსტად გადმოსცემს სიტყვის ან შესიტყვების მნიშვნელობას.

რეალიების თარგმნის ყველაზე გავრცელებული ხერხებია: **ტრანსკრიფცია** და **ტრანსლიტერაცია**. ტრანსკრიფცია გულისხმობს სათარგმნი ენის გრაფიკული ერთეულების დახმარებით შესაბამისი რეალის შემოტანას ტექსტში, სათარგმნი ენის ფონეტიკური საშუალებების ორიგინალთან მაქსიმალურად მიახლოების გზით (ბგერითი ფორმით), ანუ ფონეტიკურ პრინციპზე დაფუძნებული მთარგმნელობითი ხერხია.

ტრანსლიტერაცია არის მეთოდი, რომელიც გულისხმობს ამოსავალი ენის თითოეული გრაფემის (თითოეული ასო) სათარგმნი ენის გრაფემით ან გრაფემათა ჯგუფით ჩანაცვლებას, ჟღერადობის გათვალისწინების გარეშე. ტრანსლიტერაცია ტრანსკრიფციისაგან თავისი სიმარტივეთა და დამატებითი ნიშნების შემოტანის შესაძლებლობით განსხვავდება.

ტრანსკრიფცია/ტრანსლიტერაცია გამართლებულია ტოპონიმებისა და ანთროპონიმების ტრანსპოზიციისას. ნ. საყვარელიძის დაკვირვებით, „ხშირად სავსებით შესაძლებელია ახალი ცნებისათვის ენის ფონდში არსებული ერთეულის მისადაგება... სიტყვის ტრანსლიტერაციული ტრანსპოზიციის მეთოდს თარგმანში

მაშინ აქვს გამართლება, როცა იგი გამოხატავს ისეთ ეთნოკულტურულ რეალიას, რომელსაც არ გააჩნია ანალოგი თარგმანის მიმღები კოლექტივის ყოფაში” (საყვარელიძე 2001:250).

ლ. ბარხუდაროვის აზრით, „უცხო სიტყვების ტექსტში გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევაშია დასაშვები, როდესაც ამა თუ იმ რეალიას შესატყვისი არ აქვს სათარგმნო ენაში. სირთულეების მიუხედავად, რეალიების თარგმნა შესაძლებელია. ახალი სიტუაციების აღწერის უნარი ნებისმიერი ენის განუყოფელი ნაწილია. სწორედ ეს თვისება ხელმისაწვდომს ხდის ერთი ენის საშუალებით გადმოცემით მეორე ქვეყნის ხალხის ცხოვრების სპეციფიკური სიტუაციები, რომლებსაც ანალოგი არ გააჩნიათ სხვა ქვეყნებისა და ხალხების რეალობაში (Бархударов 1975: 98)

ტრანსკრიფციის შემთხვევაში, მთარგმნელი ახერხებს როგორც შინაარსის, ისე რეალიის კოლორიტის გადმოცემას. იმ შემთხვევაში, თუკი სათარგმნო ენაში არ არსებობს ის ბგერა, რომელიც თავისი ჟღერადობით წააგავს ამოსავალი ტექსტის ბგერას, გამოიყენება ასოების შეერთება, რომელიც შესაბამის ჟღერადობას იძლევა. მთარგმნელები ტრანსკრიფციას საკმაოდ ხშირად იყენებენ, რაც გარკვეულწილად ტექსტის ადრესატზეა დამოკიდებული; მთარგმნელმა უნდა გაითვალისწინოს, რამდენად ცნობილია რეალია, რათა იგი მკითხველისათვის გაუგებარი არ აღმოჩნდეს.

ტრანსკრიფცია ფართოდ გამოიყენება ნაცნობ რეალიებთან მიმართებით, ინტერნაციონალური და რეგიონალური რეალიების შემთხვევაში. ტრანსკრიფციის დადებითი მხარეა მისი მაქსიმალური ლაკონიურობა. ტექსტში ტრანსკრიბირებულ სიტყვას, როგორც წესი, თან ახლავს სქოლიო ან განმარტებები, თუმცა, სჯობს ზომიერად გამოვიყენოთ უცხოენოვანი სიტყვები, ვინაიდან ზოგიერთ შემთხვევაში კოლორიტის გადმოცემა განმსაზღვრელი ფაქტორი სულაც არ არის და, შესაძლოა, რეალიის აზრობრივი შინაარსი ჩრდილში მოექცეს. ამიტომ, გასათვალისწინებელია, რომ „რეალიების აღმნიშვნელი ტრანსკრიბირებული სიტყვების უხვად გამოყენება თარგმანში არა თუ ხელს უწყობს ნაციონალური კოლორიტის შენარჩუნებას, არამედ, პირიქით, ანადგურებს მას და აიძულებს მკითხველს ყოველ ნაბიჯზე წააწყდეს გამოუსადეგარ ეგზოტიკურ სიტყვებს” (ფარეშიშვილი 2013: 113).

აღსანიშნავია, რომ ქართული ენა ისეთ ენათა ჯგუფს მიეკუთვნება, რომლის ბგერებსა და გრაფემებს შორის იდეალური მიმართებაა (ვგულისხმობთ ფონეტიკურ-

ფონოლოგიურ შეთავსებადობას). აქედან გამომდინარე, ქართული რეალიების უცხოურ ენაზე გადატანის შემთხვევაში იშლება ზღვარი ტრანსკრიფციასა და ტრანსლიტერაციას შორის.

რეალიათა თარგმანში ტრანსპოზიციის ერთ-ერთი საშუალებაა **კალკირება**, უეკვივალენტო სიტყვის ან შესიტყვებების შემადგენელი ნაწილების (მორფემების) შენაცვლება მათი სიტყვასიტყვითი შესაბამისობებით (**თარგმანის ლექსიკონი: 108**). თარგმნის ეს ხერხი საშუალებას იძლევა სათარგმნ ენაში გადავიტანოთ რეალია მისი სემანტიკის მაქსიმალურად შენარჩუნების გზით, რაც კოლორიტის შენარჩუნებას არ ნიშნავს. თარგმანში სიტყვათა სალექსიკონო მნიშვნელობის რეალიზაცია არ გულისხმობს იმას, რომ სრულყოფილი კომუნიკაციური ეფექტი შესაძლებელია.

რეალიათა გადატანა თარგმანში დასაშვებია ასევე **ფუნქციური ანალოგიით** - მიახლოებითი თარგმნით. ფუნქციური ეკვივალენტის გამოყენება საკმაოდ გავრცელებული ხერხია, რომელიც ადრესატში დედნის ანალოგიურ ასოციაციას იწვევს. ზღაპარში ზოგი ისეთი რეალიაა ასახული, რომ მისი თარგმნა შეუძლებელია, ასეთ შემთხვევაში მთარგმნელს შემოაქვს ოდნავ განსხვავებული ელემენტი, რომელიც შეიძლება ფუნქციურად მიესადაგებოდეს დედნის რეალიას.

თარგმანში რეალიის ტრანსპოზიცია შესაძლებელია **განმარტებითი რეპროდუქციით**. ამ შემთხვევაში რეალიას მთლიანად ანაცვლებს ლექსიკოგრაფიული ტიპის განმარტება. ასეთი თარგმანი შედარებით სრულყოფილად განმარტავს მოვლენის არსს, მაგრამ უფრო გადატვირთულია, ვიდრე ორიგინალი. როგორც გ. წიბახაშვილი აღნიშნავს, **განმარტებითი რეპროდუქცია** „ჭარბსიტყვიანია, მოუქნელი და მაინც სიზუსტეს მოკლებული“, სადაც სრულიად იკარგება მხატვრული სახე (**წიბახაშვილი 2000: 95**).

რეალიათა თარგმნისას ხშირად მიმართავენ **შიდატექსტობრივ კომენტირებას**, რომელიც განმარტებითი თარგმანისაგან იმით განსხვავდება, რომ ვრცელი და დეტალური განმარტების ნაცვლად ტრანსლიტერაციის ან კალკირების გზით თარგმნილ სიტყვებს კონტექსტშივე თან ახლავს ისეთი დამატებითი ელემენტი, რომელიც მკითხველს ეხმარება რეალიათა სწორად აღქმაში.

თარგმანში ტრანსლიტერაციის პრინციპით ან კალკირების გზით გადატანილი სიტყვა, როგორც წესი, განმარტებულია ტექსტის გარეთ გამოტანილ კომენტარებში.

როგორც ნ. საყვარელიძე აღნიშნავს, „ტექსტის გარეთ გამოტანილი კომენტარი, და საერთოდ, მთარგმნელის მიერ შენიშვნათა და გარეტექსტობრივ კომენტართა ჭარბი გამოყენება გარკვეულწილად ეწინააღმდეგება თარგმანის ფენომენის არსს, მის დანიშნულებას.” ლ. კ. ლატიშევის სამართლიანი შენიშვნით, კომენტართა სიმრავლის შემთხვევაში „იქმნება არაბუნებრივი კომუნიკაციური სიტუაცია, რადგან თარგმანის ადრესატს ერთი ტექსტის ნაცვლად, რომელსაც პირველად კომუნიკაციურ სიტუაციაში იღებს ორიგინალის ადრესატი, სთვაზობენ ორ ტექსტს - საკუთრივ თარგმანსა და შენიშვნების ტექსტს, რაც ეწინააღმდეგება თარგმანის საზოგადოებრივ დანიშნულებას” (საყვარელიძე 2001:254). აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კომენტარების გარეშე თარგმანის ტექსტის ინფორმატიულობა მცირდება.

რეალიის ტრანსპოზიციისათვის თავის არიდება თარგმანში ნაკლებ სასურველია, რადგან ყოველი ასეთი დეტალი გარკვეულწილად უნარჩუნებს ნაწარმოებს ეროვნულ კოლორიტს, აფართოებს ჩვენს ცოდნას უცხო ეთნოკულტურულ სამყაროზე, მისი ცხოვრების წესსა და ტრადიციებზე. „მთარგმნელის ვალია არა ის, რომ მისი მკითხველისათვის გაუგებარი და უცხო მოვლენა ან ცნება შეანაცვლოს მისთვის ნაცნობითა და ახლობელი მოვლენით, არამედ ის, რომ ერთგვარად განუმარტოს, შეეშველოს მას უცხო მოვლენის არსის გაგებაში” (საყვარელიძე 2001: 259).

ქართულ ზღაპარში ჩვეულებრივ ყოფითი (ადათ-წესების, დღესასწაულების, სასმელ-საჭმელის, ტანსაცმლის, იარაღის, საოჯახო ნივთების და სხვ.) რეალიების გარდა ასახულია „ქართველი ხალხის უძველესი მითოლოგიური წარმოდგენები და ამ სამყაროს ბინადრები: დევები, ქაჯები, ეშმაკები, ჯადოქრები, კუდიანები, გულთმისნები, მაჯლაჯუნები, ალები, გველეშაპები, ფასკუნჯები“ (წიბახაშვილი:149), რაც გარკვეულ სირთულეებს უქმნის მთარგმნელებს, რადგან მათი პირდაპირ თარგმნა შეუძლებელია, კონტექსტუალური ეკვივალენტის მოძებნა - ძნელი. მათი გვერდის ავლით იკარგება ეროვნული კოლორიტი. ამიტომ აქ უკვე მთარგმნელის პროფესიონალიზმზე, მის მთარგმნელობით ხერხებსა და სტრატეგიებზე ბევრი რამ არის დამოკიდებული.

მ. უორდროპი, ძირითადად, რეალიების თარგმანში პირდაპირ, შიდატექსტობრივი განმარტებით გადატანას ამჯობინებს. მაგალითად, ზღაპარში „ოსტატი და შეგირდი“ („MASTER AND PUPIL“) დედანში ვკითხულობთ:

„ვინც მანეთს უმატებდა, ის ერთბაშად რამდენიმე თუმანს უმატებდა“ (აღნიაშვილი 1979: 8).

“Whenever any one added a manethi (rouble) to the price, he added a thuman (ten roubles) (Georgian Folk Tales: 4).

მ. უორდროპმა ფულის ერთეულები „მანეთი“ და „თუმანი“ უთარგმნელად გადაიტანა, რათა არ დარღვეულიყო დედნის პირველსახე და, იმავდროულად, წინადადების შინაარსიც. მთარგმნელმა „მანეთის“ და „თუმანის“ განმარტება ტექსტშივე სცადა რუსული შესატყვისით „რუბლი“, რაც, ბუნებრივია, ქართულ ტექსტში არ არის, მაგრამ მან საჭიროდ ჩათვალა ამ ეკვივალენტების ერთად მოხსენიება, რადგანაც ინგლისური საზოგადოება რუსულ „რუბლს“ უფრო უკეთ იცნობდა, ვიდრე „თუმანს“ და „მანეთს“.

მთარგმნელი ასევე მიზანშეწონილად მიიჩნევს დედნისეული სარწყავი ერთეული - **კოდი** - ქართული ფორმით მიაწოდოს მკითხველს, მაგრამ იქვე უხსნის მის მოცულობას: “it changed into a **codi (80 lbs.)** of millet and spread on a cloth” (p.5) - „იქცა შეგირდი ერთ კოდ ფეტვად და სუფრაზე მოიფინა“ (აღნიაშვილი 1979: 9).

ორიგინალში არსებული რეალიების გადმოცემისა და შენარჩუნების მიზნით, მარჯორი უორდროპი ზღაპარში „ღვთისავარი“, ძირითადად, დედნის ტექსტს მიჰყვება. ორიგინალშია: „თუ ამა და ამ ადგილას რომ ესა და ეს ფასკუნჯი ცხოვრობს, იმის წიწილის ხორცს მიშოვი, ხო კარგი, თუ არადა, მოვკვდები“... (აღნიაშ. გვ. 39).

თარგმანში ვკითხულობთ: “It thou wilt go to a certain place, where a certain griffin (phascundzi) lives, and bring me the flesh of its young, I shall be well; if not, I shall die” (p. 32).

ზღაპრის ამ მონაკვეთში ჩვენთვის საინტერესოა ზღაპრული პერსონაჟის - ფასკუნჯის თარგმანი. **ფასკუნჯი** ქართული ზღაპრის ჯადოსნური პერსონაჟია, გრძნეული ფრინველი, რომელიც ცხოვრობს მთაში ან ქვესკნელში, ადამიანისგან განსხვავებით, მფარველობს გმირებს და ქვესკნელიდან ზესკნელში ამოჰყავს. მის ფრთებს მაგიური და საკურნებელი თვისებები აქვს. ფასკუნჯი იშვიათად ბოროტ

ბუნებასაც ამჟღავნებს – მტრობს და ებრძვის გმირებს. თუმცა ფასკუნჯი მხოლოდ ზღაპრული პერსონაჟი არა არის. იგი რეალურად არსებობს და ზღაპრული ფასკუნჯისგან რამდენადმე განსხვავდება. **ფასკუნჯი** [Neophron pecnopterus] ქორისებრთა ოჯახის საშუალო ზომის მტაცებელი ფრინველია, ხოლო ზღაპრებში იგი, რეალურისგან განსხვავებით, დიდი ზომის ფრინველია, ჩვეულებრივ კეთილის, სიკეთის განსახიერებაა, როგორც სულხან-საბა განმარტავს- „ტანითა მსგავსი ლომისა; თავი, ნიკარტი, ფრთე და ფერხი მსგავსი არწივისა...“(საბა) <http://www.ena.ge/explanatory-online>).

მ. უორდროპი „ფასკუნჯს“ თარგმნის, როგორც - griffin, რაც მიახლოებით შესატყვისად შეიძლება მივიჩნიოთ, რადგან ქართული ზღაპრის პერსონაჟი და გრიფონი ანუ გრიფი (ანტიკურ მითოლოგიაში), იგივე griffin, გარეგნულად მსგავსები არიან, თუმცა განსხვავებულ ფუნქციებს ასრულებენ. **გრიფი**, გრიფონი (ბერძ. γρύφων, grýphōn, ან γρύπων, grýpōn, γρύψ, grýps; ლათ. gryphus) —ზღაპრული მტაცებელი ფრინველები, ლომისტანიანი და არწივისთავიანი მფრინავი ურჩხულები, რომლებიც ოქროს საგანძურს ფლობდნენ და მას იცავდნენ. გრიფონი მითოლოგიური არსებაა, რომელიც აერთიანებს ცხოველთა და ფრინველთა მეფეების თვისებებს. იგი ნახევრად არწივი და ნახევრად ლომია (არწივის სახითა და ლომის ტანით). (**griffin, griffon, or gryphon** (Greek: γρύφων, *grýphōn*, or γρύπων, *grýpōn*, early form γρύψ, *grýps*; Latin: *gryphus*) is a legendary creature with the body, tail, and back legs of a lion; the head and wings of an eagle; and an eagle's talons as its front feet. Because the lion was traditionally considered the king of the beasts and the eagle the king of birds, the griffin was thought to be an especially powerful and majestic creature. The griffin was also thought of as king of all creatures. Griffins are known for guarding treasure and priceless possessions (<http://en.wikipedia.org/wiki/Griffin>)).

მ. უორდროპი თარგმნის იმავე მეთოდს მიმართავს იმავე ზღაპრის შემდეგ მონაკვეთშიც: „ბებერიც მოუყვა: ეს ჩვენი წყალი უჭირავს ერთ **გველეშაპს** და, თუ ყოველ წელს იმ წყლის პირს ერთი ადამის შვილი არ მივგვარეთ შესაქმელად, წყალს არ დაგვანებებსო“ (აღნიაშვ. გვ. 90).

”The old woman replied: 'Our water is withheld by a **dragon (gvelashapi)**, and if we do not offer him a human victim to eat, the water will not flow“ (p.81).

გველუშაპი ქართული ხალხური ზღაპრების პერსონაჟია, რომელიც ბოროტ საწყისს განასახიერებს. იგი მრავალთავიანი, ცეცხლისმფრქვეველი, ბასრკბი-ლებიანი ურჩხულია. გველუშაპი ეპატრონება ტბას, მდინარეს ან წყაროს და წყლის საფასურად მსხვერპლს მოითხოვს; სიკეთის მტერია და უპირისპირდება კეთილ გმირებს (ჩიქოვანი 1947:109-111).

ამ შემთხვევაში მ. უორდროპი გველუშაპს თარგმნის, როგორც **dragon**, იგივე დრაკონი, რომელიც, განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, ასევე ზღაპრული ცეცხლმფრქვეველი ფრთოსანი გველია (*a large, frightening imaginary animal, often represented with wings, a long tail, and fire coming out of its mouth*) (<http://dictionary.cambridge.org/dictionary/british/dragon>)).

სიტყვა „დრაკონი“ ინგლისურში მე-13 საუკუნეში ფრანგული ენიდან შემოვიდა - dragon, ხოლო ფრანგულში ლათინურიდან - draco, რაც უზარმაზარ გველს ნიშნავს (Middle English (also denoting a large serpent): from Old French, via Latin from Greek *drakōn* 'serpent'). (<http://www.oxforddictionaries.com/definition/english/dragon>

გველუშაპის მსგავსად, დრაკონიც ბოროტ ძალას განასახიერებს. იგი მაგიური ძალის უზარმაზარი ცხოველია, რომელიც იცავს განძს და ხშირად კვდება ზღაპრულ გმირთან ბრძოლაში. დრაკონი მსოფლიოს ხალხთა ფოლკლორში სხვადასხვა სახით არის წარმოდგენილი, ზოგი მათგანი უფრო გველს ჰგავს, ზოგს ფეხები აქვს და უზარმაზარ ხვლიკს უფრო მოგვაგონებს. აღსანიშნავია, რომ თვით ქართულ ფოლკლორშიც გველუშაპის რამდენიმე სახეობა არსებობს. როგორც ე. ვირსალაძე აღნიშნავს, „ამირანიანის“ თქმულებებში სამი სახის გველუშაპია მოხსენიებული: თეთრი, წითელი და შავი. აქედან მხოლოდ შავი იყო ცეცხლისმფრქვეველი“ (Вирсаладзе: 1976).

თავისი ბუნებით და გარეგნობით გველუშაპი ძალიან ჰგავს დრაკონს, ამიტომ მ. უორდროპის თარგმანი მართებულად მიგვაჩნია. უორდროპმა **ფასკუნჯის** (griffin) და **გველუშაპის** (dragon) თარგმანს იქვე მისი ქართული სახელწოდებაც მიუთითა. ვფიქრობთ, მთარგმნელის ასეთი მიდგომა მკითხველს საშუალებას აძლევს ზღაპრული პერსონაჟის დედნისეულ სახელწოდებასაც გაეცნოს.

მ. უორდროპს ქართული ხალხური ზღაპრის პერსონაჟი „დევი“ ასევე უთარგმნელად გადააქვს და არ ცდილობს მისი ინგლისური სახელწოდებით

ჩანაცვლებას, რაც, ვფიქრობთ, კოლორიტის შენარჩუნების მიზნით, სწორი გადაწყვეტილებაა. დედანი: „იმ დევის სახლში იყვნენ ხუთნი ძმანი, დევები: ერთი ორთავიანი, ერთი სამთავიანი, ერთი ხუთთავიანი, ერთი ცხრათავიანი, ერთი ათთავიანი და ერთიც ამ დევების დედა” (აღნიაშვ. გვ. 36).

”In this house there were five brothers, devis _ one two-headed, one three – headed, one five – headed, one nine – headed, and one ten-headed – and their mother, who had only one head (p. 27). თარგმანის პწკარედი: ამ სახლში იყვნენ ხუთი ძმა: დევები – ერთი ორთავა, ერთი სამთავა, ერთი ხუთთავა, ერთი ცხრათავა და ერთი ათთავა – და მათი დედა, რომელსაც მხოლოდ ერთი თავი ჰქონდა.

ძველი ქართული წონის ერთეული „ლიტრა” (სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა კუთხეში განსხვავებული: უდრიდა 1-4 კგ-ს) მ. უორდროპმა ასევე ტრანსკრიფციით გადაიტანა და იქვე დაურთო განმარტებითი კომენტარი. მისი ასეთი მიდგომა დედნის ტექსტს ზედმიწევნით ასახავს და ადგილობრივი კოლორიტის შენარჩუნებასაც უწყობს ხელს. დედანი: „მჭედელმა ცხრა ლიტრა რკინის შვილდ-ისარი გაუკეთა” (აღნიაშვ. 35).

თარგმანი: ”The smith made from **nine litras** of iron (a litra = 9 lbs.) a bow and arrows” (p. 27

ზღაპარში „გულამბარა და სულამბარა”- ”Gulambara and Sulambara” - მთარგმნელმა უთარგმნელად გადაიტანა ქართული საკრავის - ჩონგურის სახელწოდება და მისი მნიშვნელობა ტექსტში განმარტა- a chonguri (a stringed instrument)- ჩონგური (სიმებიანი საკრავი). ამ გზით მთარგმნელმა არამარტო უცხო რეალია შემოიტანა, არამედ ტექსტშივე მოგვცა მისი განმარტებაც, რითაც მკითხველს რეალიის აღქმა გაუმარტივა. დედანი: „...ხელში ჩონგური უჭირავს, უკრავს და ზედაც ტკბილის ხმით დაჰდიღინებს” (აღნიაშვ. გვ. 53).

თარგმანი: “...in his hand he held a chonguri (a stringed instrument), which he played, and he chanted to it with a sweet voice.”

მ. უორდროპმა ხურჯინი ერთ შემთხვევაში თარგმნა, როგორც bag - ჩანთა, მეორეში - saddle bag. ვფიქრობთ, მეორე ვარიანტი სჯობს.

რეალიები განსაკუთრებით დიდი რაოდენობით გვხვდება ზღაპარში „ასფურცელა” (“Asphurtzela”). მ. უორდროპი ცდილობს ქართული კოლორიტის

(დედნისეული რეალიების) მაქსიმალურად შენარჩუნებას და უთარგმნელად გადააქვს სიტყვები: დოქი, ყანწი, კოკა, კოჭი, ქვევრი, მათ განმარტებას კი სქოლიოში გვაძლევს:

„დოქის კაცები ხართ, თუ ყანწისაო?“ (აღნიაშვ. გვ.81).

“Will you drink out of a doki or out of a qantsi?” (p.71).

„ამათ გვერდზე ერთმა დედაკაცმა ჩამოიარა, მხარზე კოკა ედგა და წყალი მოჰქონდა“ (აღნიაშვ. გვ. 82).

“...a woman passed by with a coca full of water on her shoulder” (p.72).

„ამ დროს ასფურცელამ კოჭი გაჰკრა..“ (აღნიაშვ. გვ. 82).

“Just then Asphurtzela threw his codchi...” (p.72).

„მოიტა, ქვევრები არა გაქვს...“ (აღნიაშვ. გვ. 90).

“Hast thou no kvevris? (p.80).

მ. უორდროპმა „ქალამანი“ თარგმნა, როგორც “shoes“- ფეხსაცმელი.

ვფიქრობთ, ამ რეალიის შესაბამისი განმარტებით, უთარგმნელად გადატანა უკეთესი იქნებოდა. დედანი: „ჩაიცვა ასფურცელამ რკინის ქალამნები“ (აღნიაშვ. გვ.83)

თარგმანი: “Asphurtzela put on the **iron shoes**” (p. 73).

დევიდ ჯ. ჰანტსაც, მ. უორდროპის მსგავსად, უთარგმნელად გადააქვს ქართული ხალხური ზღაპრის პერსონაჟების სახელები და რეალიები: “Paskundzhi”, “Gveleshapi” (Hunt 1999: 29, 46, 45), “nine mountains” (გვ. 47), “Tone” (გვ. 39), “Kalamany” (გვ. 49), “Tiki” (გვ. 50), “Matsoni” (გვ.216), “Ketsi” (გვ.183), “khanjali” (გვ.207), “Maneti” (გვ.219). რეალიების ვრცელ განმარტებებს მთარგმნელი წიგნის ბოლოს დართულ კომენტარებში გვაწვდის.

უცხოელი მთარგმნელები მ. უორდროპი და დევიდ ჯ. ჰანტი მაქსიმალურად ცდილობენ თარგმანში დედნისეული რეალიების შენარჩუნებას: 1. ტრანსკრიფცია /ტრანსლიტერაციის გზით. ტრანსკრიბირებულ ან ტრანსლიტერაციით გადატანილ სიტყვას თან ახლავს განმარტება (სქოლიო). 2. შიდატექსტობრივი კომენტარებით, რომელიც მკითხველს რეალიათა შეცნობის საშუალებას აძლევს.

როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ქართული ხალხური ზღაპრების ქართულ მთარგმნელთა მიერ შესრულებულ ინგლისურ თარგმანებში იშვიათად ვხვდებით რეალიებს, რომლებიც, ძირითადად, უცხოური (მეტწილად, ინგლისური) შესატყვისებით არის ჩანაცვლებული.

იმვიათი გამონაკლისია ქართული ხალხური ზღაპრის პერსონაჟის - „დევის“ თარგმანი. ნ. ცისკარიშვილმა „დევი“, მ. უორდროპის მსგავსად თარგმანში შიდატექსტობრივი განმარტებით(კომენტარით) გადაიტანა: „a Devi (an ugly giant cannibal)” (Tsiskarishvili 1991:2), რაც მკითხველს სრულყოფილ წარმოდგენას უქმნის პერსონაჟზე.

მთარგმნელმა ნ. რუხაძემ ზღაპარში „დათვი და მელია“ „ფანდური“ თარგმნა, როგორც - *pandore* (Rukhadze 1974:8). *Pandore* იგივე *ban-dore* ან *ban-do-ra* არის რენესანსის ხანის გიტარის მსგავსი მუსიკალური საკრავი (6 ან 7 მეტალის სიმით, მე - 16 საუკუნე). ცნობილია, აგრეთვე, *pandūra* - ძველ ლათინურში- სამსიმიანი საკრავი ქართული ფანდურის მსგავსად. ჩვენი აზრით, სწორედ ამას გულისხმობს მთარგმნელი. შესაძლოა, *pandore* მართლაც არის ფანდურის ეკვივალენტი (გამოთქმაც მსგავსია), მაგრამ ეს იმდენად არქაული სიტყვაა, რომ მკითხველთაგან ცოტას თუ ეცოდინება მისი მნიშვნელობა.

ს. წერეთელი ზღაპარში „ნაცარქექია“ რეალიის განმარტებას ცდილობს - „გუდას“ თარგმნის, როგორც - *calf pouch* - ხბოს ტყავის ტომარა. მიუხედავად იმისა, რომ დედანში არ არის მითითებული, გუდა რისგან არის დამზადებული, მთარგმნელი რატომღაც აღნიშნავს, რომ გუდა სწორედ ხბოს ტყავისგან არის დამზადებული: „ერთი ნაცრით სავსე გუდა ზურგზე აჰკიდეს, თავისი ჩხირი მისცეს, საგზლად ჭყინტი ყველი გაატანეს და გაისტუმრეს“ (ქართული ზღაპრები 2012: 57).

თარგმანი: „They gathered Natsarkekie's favorite ash into the little calf pouch, gave him a piece of cheese and sent him down the road...” (Georgian fairy Tales 2012:57).

ყოფითი რეალიების თარგმნას შეეცადა თამთა ჩეკურიშვილიც ზღაპარში „ასფურცელა“. როცა დევმა ასფურცელას ძმები სუფრასთან მიიპატიჟა, ჰკითხა: „დოქის კაცები ხართ, თუ ყანწისაო?“ (ქართული ზღაპრები 2012:105).

თარგმანი: “Do you prefer a **jug** or a **horn**?” (Georgian fairy Tales 2012:105) - ანუ დოქი გირჩევნიათ თუ ყანწი? „დოქი“ თ. ჩეკურიშვილმა თარგმნა, როგორც - *jug*, ხოლო „ყანწი“- *horn*. საკამათოა, რამდენად არის *horn* - ყანწის შესატყვისი? *Horn* - რქა ან ცხოველის რქისგან დამზადებული ნივთი შეიძლება იყოს. *horn* ამ შემთხვევაში შეიძლება „ყანწის“ მიახლოებით შესატყვისად ჩაითვალოს, თუმცა უკეთესი იქნებოდა მისი უთარგმნელად დატოვება და მითითება სქოლიოში ან ტექსტშივე განმარტება,

რომ იგი რქისგან დამზადებული სასმისია. უცხოელი მკითხველისათვის, ალბათ, გაუგებარი იქნება, რქიდან როგორ უნდა დაილიოს ღვინო, რაც ამავე ზღაპრის მ. უორდროპისეულ თარგმანში გათვალისწინებულია და აღნიშნული რეალიები უცვლელად არის გადასული: „დოქის კაცები ხართ, თუ ყანწისაო?“ (აღნიშნ. გვ. 81). “Will you drink out of a doki or out of a qantsi?” (Georgian folk Tales 1894:71).

ირაკლი ცომაია ზღაპარში „ცეროდენა“ გვერდს უვლის ყოფით რეალიებს. დედანი: „ცოლმა სადილი წაუღო: ხურჯინში მჭადები ეწყო, ქილით კი მაწონი ედგა“ (ქართული ზღაპრები 2012:126).

თარგმანი: “His wife prepared him a meal and put it into a big bag” (Georgian fairy Tales 2012:126). „მჭადი“ და „მაწონი“ თარგმანში გადავიდა, როგორც - meal (რაც, ზოგადად, საჭმელს ნიშნავს) და „ხურჯინი“, როგორც - a big bag- ანუ დიდი ჩანთა. „ხურჯინი“, „მაწონი“, „მჭადი“ ქართული რეალიებია და ისინი თარგმანში დაიკარგა. ამ შემთხვევაში უფრო მართებული იქნებოდა, თარგმანში რეალიები შიდატექსტობრივი კომენტარის დართვით უთარგმნელად გადასულიყო.

არჩილ ხანთაძე ზღაპარში „სამი ქაჩალი“ რეალიების მიახლოებით თარგმანს გვთავაზობს: „ეხლაც ვხნავთ და ვთესავთ იქ და ორასი კოდი პური მოგვაქვსო“ (ხანთაძე 2012:18).

თარგმანი: “We have been harvesting a hundred pounds of wheat” (Khantadze 2012:15).

ძველი ქართული საწყაო „კოდი“ (ორასი კოდი პური) ჩანაცვლებულია ინგლისური წონის საზომი ერთეულით pound (a hundred pounds- რაც, უბრალოდ, მარცვლეულის წონა- სიმრავლის აღმნიშვნელია).

ზღაპარში „ერთი მანეთის შოვნა“ ა. ხანთაძემ ფულის ერთეულს - „შაური“ ფუნქციური ანალოგი მოუძებნა. დედანი: „არ შეეძლო არც ერთი შაურის შოვნა“ (გვ.30).

თარგმანი: “He was unable to procure even a single copper” (გვ.26).

შაური (ხუთი კაპიკი) ქართული რეალიაა - ძვ. სპილენძის ფული, რომელსაც მთარგმნელმა ინგლისური სპილენძის ფულის ერთეული ჩაანაცვლა - copper.

კვლევის პროცესში საკუთარი სახელის თარგმანში გადატანის პრობლემაც გამოიკვეთა. საკუთარი სახელები ასევე „უეკვივალენტო ლექსიკას“ განეკუთვნება.

ანთროპონიმები პიროვნების იდენტიფიკაციის საშუალებას და კულტურის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს. იგი ენას ელფერს სძენს და მოცემული კულტურის შესახებ ინფორმაციის მატარებლად გვევლინება.

გ. წიბახაშვილის განმარტებით „პიროვნებათა ერთმანეთისგან განსხვავებისათვის მიღებულია სახელდების ისეთი ფორმები, როგორიცაა გვარი, სახელი, მამის სახელი, ფსევდონიმი, მეტსახელი. სიტყვათა ამ ჯგუფს ეწოდება ანთროპონიმია“ (წიბახაშვილი 2000: 73).

მკვლევარს მიაჩნია, რომ „თუ საერთო წარმოშობის მქონე სახელის მატარებელი ისტორიული ან რეალურად არსებული პირია, მისი სახელი გადადის მთარგმნელ ენაში დადგენილი ნორმების შესაბამისად. ხოლო თუ ამ ტიპის სახელის მატარებელი ლიტერატურული პერსონაჟია, მისი სახელი თარგმანში უკეთესია გადავიდეს დედნის ჟღერადობით, რაც უზრუნველყოფს ეროვნული კოლორიტის შენარჩუნებას“ (წიბახაშვილი 2000: 76).

საკუთარი სახელები მნიშვნელობის მიხედვით ორ ჯგუფად იყოფა: 1. სახელები, რომელთა დანიშნულება მხოლოდ პიროვნების ნომინაციაა; 2. სახელები, რომლებიც არა მარტო განასხვავებენ ერთ პიროვნებას მეორისგან, არამედ მის დახასიათებასაც შეიცავენ ანუ ფუნქციური მნიშვნელობის სახელებია.

ხალხურ ზღაპარში, ხშირად გვხვდება დამატებითი ფუნქციის მქონე სახელები, რომელთა უმეტესობა საზოგადო ლექსიკის მასალაზე, ან ჩვეულებრივ სახელებზე კნინობითი სუფიქსების დართვით არის შექმნილი. მაგ: კომბლე, ნაცარქექია, ქონდრისკაცი, ბაყბაყდევი, პეტრიკელა და სხვ. სახელების ფუნქციური ღირებულება ზღაპრებში მაქსიმალურია, რადგან მხოლოდ ამ სახელით ვცნობით პერსონაჟს და, ამასთანავე, ვიგებთ მის ხასიათს, საქმიანობას, თვისებებს.

გ. წიბახაშვილს მიაჩნია, რომ ფუნქციური სახელები უნდა ითარგმნოს, რათა შენარჩუნებული იქნას პიროვნების ხასიათის ნიშანი. მისივე დაკვირვებით, მცდარია უცხო ზღაპრის პერსონაჟების ქართული ზღაპრის სახელებით მონათვლის მეთოდიც - მაგ., გერმანული „რიზეს“ „დევად“ გადმოტანა. იგივე შეიძლება ითქვას ქართული პერსონაჟების სახელების უცხო, ამ შემთხვევაში, ინგლისურ თარგმანში გადატანაზეც.

დ. ფანჯიკიძის აზრით, „გერმანული გნომებიც გნომებად უნდა გამოვიდნენ თარგმანშიც და არა ქონდრისკაცებად, მაგრამ სხვაგვარად უნდა გადაწყდეს

ცხოველების მეტსახელების გადმოტანის საკითხი. ისეთი სახელები, როგორიცაა: დათვისათვის მიშკა, კატის მეტსახელი - ვასკა და სხვ., ეროვნული კოლორიტის შენარჩუნების მიზნით, სჯობს თავის განმარტებიანად შევიდეს ტექსტში, მაგალითად: დათუნია მიშკა, კატა ვასკა და ა. შ.” (ფანჯიკიძე 1988: 174).

რაც შეეხება კნინობით სუფიქსებს, მკვლევარს მიაჩნია, რომ უცხო სუფიქსები მაქსიმალურად უნდა იქნას შენარჩუნებული. მაგალითად: ივანუშკა - სულელი და არა ივანიკა-სულელი, ლიოპენი და არა ლიოიკო, ან ჰანსჰენი და არა ჰანსიკო და სხვ.

დ. ფანჯიკიძის სამართლიანი შენიშვნით, თარგმანში ფუნქციური სახელის გადატანის შემთხვევაში უნდა „გაიშიფროს პერსონაჟის ფუნქცია, სახელი კი დედნისეული დარჩეს” (გვ.174). მაგალითად გერმანული ზღაპრის პერსონაჟის - ფრაუ ჰოლეს თარგმანი მოჰყავს: ქალბატონი ქარბუქის (გ. წიბახაშვილისეული თარგმანი) ნაცვლად - ქარბუქის ჯადოქარი ფრაუ ჰოლე. „ტექსტშივე სიტყვის განმარტების მეთოდი ზოგჯერ არც მხატვრული პროზისთვისაა წამგებიანი, მაგრამ, ჩემი აზრით, ზღაპარში მხოლოდ ეს მეთოდი უნდა მოქმედებდეს” (ფანჯიკიძე 1988: 175).

ამ სახის ანთროპონიმებისადმი მიდგომა სხვადასხვაგვარია. ქართული ხალხური ზღაპრების ინგლისურად მთარგმნელები სხვადასხვა ხერხს მიმართავენ. (ფუნქციური სახელების თარგმნის ნიმუშები „ქართული ხალხური ზღაპრის სათაურის თარგმანში გადატანის პრობლემების” განხილვისას უკვე მიმოვიხილეთ (იხ. დის. გვ.49), ამიტომ გამეორების თავიდან აცილების მიზნით, მათ აღარ მივუბრუნდებით).

„უთარგმნელ ელემენტთა” კატეგორიას მიეკუთვნება მყარი შესიტყვებები - ფრაზეოლოგიზმები, რომელთაც ნებისმიერ ენაში გამორჩეული ადგილი უჭირავთ. ზოგადად, ენაში არსებული ყველანაირი მყარი ენობრივი შესიტყვება, თუკი იგი სცილდება სიტყვის ფარგლებს, ფრაზეოლოგიზმად მიიჩნევა. ამ არეალშია მოქცეული აფორისტული თქმები, ტერმინოლოგიური ხასიათის გამონათქვამები, სახოვანი სიტყვები, ანდაზური გამოთქმები, იდიომები.

ა. ნაზარიანის განმარტებით, ფრაზეოლოგიზმები წარმოადგენენ ამა თუ იმ ენაში მტკიცედ ჩამოყალიბებულ გამონათქვამებს, ამ ენისათვის დამახასიათებელ შესიტყვებებს, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში მკვიდრდებოდა ენაში. მათ წარმოშობას განაპირობებს ამ ენაზე მოსაუბრე ხალხის ისტორია, ფსიქოლოგია,

ტრადიციები და კულტურული რეალიები, საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრება, სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობები. „ფრაზეოლოგიზმებს განიხილავენ სინამდვილესა და აზროვნებასთან თანაფარდობაში. ისინი დამახასიათებელია ყველა ენისათვის, განვითარების რომელ დონეზეც არ უნდა იმყოფებოდეს იგი. ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ ფრაზეოლოგია ენობრივი სისტემის განუყოფელი და ორგანული ნაწილია” (ციტ. **მაგნიძე 2014: 10**).

დ. დობროვოლსკის მიაჩნია, რომ „ფრაზეოლოგიური ერთეული ენაში მზა ფორმით არსებობს და მდგრადი ენობრივი წარმონაქმნია. ფრაზეოლოგიზმები წარმოადგენენ ენის განუყოფელ ნაწილს და განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებენ მისი ლექსიკური ფონდის გამდიდრებაში. ფრაზეოლოგიური ერთეულების რაოდენობის ზუსტი აღრიცხვა საკმაოდ რთულია, რადგან ენის შემოქმედებითი უნარი განაპირობებს ფრაზეოლოგიური ერთეულების წარმოქმნის მუდმივ პროცესს” (ციტ. **მაგნიძე 2014: 9**).

სპეციალისტებს დღემდე უჭირთ ფრაზეოლოგიური ერთეულების ზუსტი და ცალსახა კლასიფიცირება. მიუხედავად მათი დიდი მცდელობისა, ის ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის შესწავლილი. ფრაზეოლოგიის თეორიის შექმნის მამამთავრად შვეიცარიელი ენათმეცნიერი შარლ ბალი მიიჩნევა, რომლის მოსაზრებები განავრცო და შემდგომი კვლევებისათვის საფუძველი მოამზადა ვ. ვინოგრადოვმა.

ვ. ვინოგრადოვის განმარტებით, ფრაზეოლოგიური მასალები სამ დიდ ჯგუფად იყოფა. ესენია: **ფრაზეოლოგიური შენაზარდები, ფრაზეოლოგიური მთლიანობები და ფრაზეოლოგიური შესიტყვებები.** ვ. ვინოგრადოვის სამწევრიან კლასიფიკაციას საფუძვლად დაედო სემანტიკური პრინციპი.

ფრაზეოლოგიური შენაზარდი აბსოლუტურად დაუშლელ შესიტყვებათა ტიპებია, რომელთა მნიშვნელობა კომპონენტების მნიშვნელობაზე არ არის დამოკიდებული, ანუ სიტყვათა აბსოლუტურად არამოტივირებული ერთიანობაა, რომელშიც მთელის მნიშვნელობა ერთეულის შემადგენელი კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამს არ უკავშირდება. იმდენად, რამდენადაც მოტივაციის ხარისხი დაბალია, მისი იდიომატურობა წარმოდგენილია ერთეულის გრამატიკული სტრუქტურისა და ლექსიკურ კომპონენტთა სრული სტაბილურობით. ფრაზეოლოგიური შენაზარდი ზედმიწევნითი სპეციფიკურობით ხასიათდება, რაც

მის სხვა, მეორე ენაზე თარგმნას საკმაოდ ართულებს. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ: „ყურებზე ხახვი არ დამაჭრა“, „ნემსის ყუნწში გაეტევა“, „ნემსის წვერზე მოთავსდება“ და სხვ.

შენაზარდების ჯგუფში მოქცეულ ერთეულთათვის ზოგჯერ დამახასიათებელია ლექსიკური და გრამატიკული არქაიზმები. მაგრამ ასეთი გამოთქმები მცირე რაოდენობით გვხვდება.

ფრაზეოლოგიური მთლიანობა შესაძლებელია აღქმული იქნას მისი, როგორც მთელის, მეტაფორული მნიშვნელობით, ანუ ერთეულის მნიშვნელობა არ არის დამოკიდებული მასში შემავალ კომპონენტთა პირდაპირ მნიშვნელობაზე. აქ ზოგადი მნიშვნელობა დაკავშირებულია კომპონენტების პირდაპირ მნიშვნელობათა შეგრძნებასთან. ამ ჯგუფის ძირითადი მასისათვის დამახასიათებელია ხატოვანება. მაგალითად: „სახე ჩამოსტირის“, „კბილი დაასო“, „ტუჩებზე დედი რძე არ შეშრობია“.

ფრაზეოლოგიური შესიტყვება არის მოტივირებულ სიტყვათა ისეთი ერთიანობა, რომელშიც თითოეული კომპონენტი ხასიათდება სპეციფიკური ლექსიკური ვალენტობით, რაც სიტყვათა ჯგუფს გარკვეული ტიპის სტაბილურობას მატებს. ერთეულის კომპონენტთა ლექსიკურ ვალენტობაში იგულისხმება ის, რომ თითოეული გამოირჩევა საკუთრივ თავისი სემანტიკური მნიშვნელობით, რომელშიც ერთი აბსოლუტურად პირდაპირი მნიშვნელობით გამოიყენება, ხოლო მეორე კი – გადატანითი (ციტ. **მაგნიძე 2014: 13**). ფრაზეოლოგიურ შესიტყვებაში კომპონენტების ინდივიდუალობა კი არ ინთქმება მთელის მნიშვნელობით, არამედ განისაზღვრება შედარებით გამოკვეთილად. მაგალითად: „მოთმინება დაკარგა“, „სირცხვილი ჭამა“, „ფიცს დებს“.

მოგვიანებით თავად ვ. ვინოგრადოვი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ფრაზეოლოგიურ შენაზარდსა და მთლიანობას შორის რაიმე განსხვავება არ არსებობს. ფრაზეოლოგიურ შენაზარდსა და მთლიანობასთან საქმე გვაქვს არა როგორც სხვადასხვა მოვლენასთან, არამედ ერთსა და იმავე მოვლენის განვითარების სხვადასხვა საფეხურთან (**Виноградов 1947**). მყარი შესიტყვების ეს ორი ტიპი გაერთიანდა და მათ იდიომი ეწოდა. აქედან გამომდინარე, ფრაზეოლოგია წარმოგვიდგება ორ ჯგუფად: ერთია იდიომები და მეორე-ფრაზეოლოგიური შესიტყვებები.

სპეციალური ლიტერატურის თანახმად, ფრაზეოლოგიასთან დაკავშირებით სპეციალისტები ერთ რამეში თანხმდებიან, რომ ფრაზეოლოგიზმების ზუსტი თარგმნა შეუძლებელია. ა. თაყაიშვილის აზრით, ფრაზეოლოგიური შესიტყვების ბუნების გარკვევისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მისი კომპონენტების სემანტიკური სახის ჩვენებას და აღნიშნავს: „ცნობილია, რომ ენები განსხვავდებიან სიტყვათშეკავშირების კანონებით – ხშირად ერთ ენაში გარკვეული სიტყვის ირგვლივ შექმნილ ფრაზეოლოგიურ შესიტყვებებს რიცხოვრივად ტოლი პარალელები მეორე ენაში არ გააჩნია. რუსულში ასე ამბობენ: „радость, прелесть“, ქართულში კი ამ გამოთქმას გაკვალული აქვს გზა: „სიხარულმა შემიპყრო“ (შდრ. პარალელური: „სიხარულმა აღმიტაცა“). რუსულში იხმარეს „Выразительный взгляд, красноречивый взгляд“, მაგრამ არ ამბობენ: „говорящий взгляд“, თუმცა პრედიკატული ფორმით გვხვდება: „Ваши глаза просто говорят“ (ნ. გოგოლი). ინგლისურში არსებობს გამოთქმა: „speaking look“, სიტყვასიტყვით-„говорящий взгляд“. ქართულშიც გვაქვს ადეკვატური ფორმა-გამოთქმა: „მეტყველი გამოხედვა....“ (თაყაიშვილი 1961: 70-71).

ფრაზეოლოგიზმები თარგმანში განსაკუთრებული სიფრთხილით მოპყრობას მოითხოვს, რადგან ეს სპეციფიკური ენობრივი წარმონაქმნები უფრო მეტად ავლენენ ეთნოკულტურულ სპეციფიკას, ვიდრე ენის სხვა ერთეულები. როგორც გ. წიბახაშვილი აღნიშნავს, „ფრაზეოლოგიზმები ენის განუმეორებელი სიმდიდრეა. ისინი არა მარტო აზრის მხატვრულად, ემოციურად გამოთქმის მაღალეფექტური საშუალებაა. მათში დაფიქსირებულია ხალხის ისტორია, განცდები, გემოვნება, ცხოვრების ავისა და კარგის გაგების კრიტერიუმები“ (წიბახაშვილი 2000: 64).

ფრაზეოლოგიზმების თარგმნისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია მასში შემავალ ერთეულთა სემანტიკური კავშირის სიმტკიცე. შესიტყვების კომპონენტებს შორის კავშირი შეიძლება სრულიად არამოტივირებული იყოს იდიომებში, ხოლო სხვა ტიპის შესიტყვებებში სიტყვებს სემანტიკური მნიშვნელობა მეტ-ნაკლებად შეიძლება შენარჩუნებული ჰქონდეთ და ამის გამო ზოგადი ფრაზეოლოგიური მნიშვნელობა გასაგები იყოს.

თარგმანის თეორია ყურადღებას ამახვილებს, ერთი მხრივ, ფრაზეოლოგიზმში ექპლიცირებული აზრის ამოკითხვის სირთულეზე და, მეორე მხრივ, მისი ხატოვნების ხარისხის შენარჩუნებაზე. „ამ ორ პირობაზეა დამოკიდებული თარგმნითი ვარიანტის

აზრობრივი ეკვივალენტურობა და ემოციურ-ესთეტიკური ზემოქმედების ტოლფასოვნება” (საყვარელიძე 2001: 170).

ი. რეცკერი ფრაზეოლოგიურ ერთეულებს ენის გამომსახველობით საშუალებებად განიხილავს, რადგან მათ მეტწილად დამატებითი ეროვნული შეფერილობა აქვთ, ამიტომაც თვით ნეიტრალურ-სტილისტიკური ფრაზეოლოგიზმები კონტექსტში იძენენ ექსპრესიულობას. ი. რეცკერი იზიარებს ა. კუნიჩის განმარტებას ფრაზეოლოგიზმის არსის შესახებ: „ფრაზეოლოგიზმები წარმოადგენენ სიტყვათშეთანხმებებს ანუ განცალკევებულად გაფორმებულ წარმონაქმნებს, შედგენილს მთლიანად ან ნაწილობრივ გადააზრებული კომპონენტებით, ფრაზეოლოგიური მნიშვნელობებით. ფრაზეოლოგიური ერთეულებისათვის დამახასიათებელია არა საერთოდ მდგრადობა, არამედ მდგრადობა მხოლოდ ფრაზეოლოგიურ დონეზე, სიტყვიერი კომპონენტების კანონზომიერი დაქვემდებარებულობა და სტრუქტურულ-სემანტიკური არამოდელირებულობა” (Куниш 1970: 24). ი. რეცკერის აზრით, ეს განმარტება ყველაზე ზუსტია და სრული.

ი. რეცკერი ხატოვანი ფრაზეოლოგიზმების გადმოცემის ოთხ გზას გამოყოფს, ესენია:

- ა) უცხოენოვანი ხატის სრული შენარჩუნება;
- ბ) ხატოვნების ნაწილობრივი შენარჩუნება;
- გ) ხატოვნების სრული შეცვლა;
- დ) ხატოვნების სრული მოხსნა.

ი. რეცკერის თეორიული მრწამსი გაზიარებულია სპეციალურ ლიტერატურაში, მათ შორის ქართულ თარგმანმცოდნეობაში (ფანჯიკიძე 1995 და სხვ.).

ი. რეცკერის დაკვირვებით, ფრაზეოლოგიზმთა შეცნობა ყველაზე დიდი სირთულე მათი თარგმნის პროცესში: „თარგმნისას დიდი მნიშვნელობა აქვს წყარო ენის ფრაზეოლოგიზმთა სწორად ამოკითხვას და ამ ერთეულთა სემანტიკური, ასევე ექსპრესიულ-სტილისტიკური ფუნქციის შენარჩუნებას თარგმანში” (Рецкер 1974: 145).

ნ. საყვარელიძის აზრით, ფრაზეოლოგიზმები ისეთი სპეციფიკური ენობრივი წარმონაქმნებია, რომლებშიც განსაკუთრებით თვალსაჩინოა დენოტაციური და კონოტაციური მნიშვნელობების ერთდროული რეალიზაცია, რომლის

ანალოგიზაციაც მხატვრული თარგმანის ძირითადი ნორმატიული მოთხოვნაა. „ფრაზეოლოგიზმების თარგმნისას მთავარია თარგმანში აქტივიზებული ვარიანტი თავისი დენოტაციური და კონოტაციური მნიშვნელობით იყოს ეკვივალენტური, რაც იმას ნიშნავს, რომ მასში არ უნდა იყოს განეიტრალებული არც აზრი და არც ხატოვნება” (საყვარელიძე 2001: 169).

ფრაზეოლოგიზმები თითქმის არ ითარგმნება, ძნელად ხდება მისი აზრობრივ-სემანტიკური ველის სათანადო დონეზე გადატანა. ყოველ ენას სახეობრივი აზროვნების თავისი საკუთარი საშუალებები აქვს, რომლებიც, ზოგ შემთხვევაში, შესაძლოა, დაემთხვეს მეორე ენისას, უმეტესად კი განსხვავებულია. მაგრამ, როგორც ნ. საყვარელიძე შენიშნავს, „ფრაზეოლოგიზმთა უთარგმნელობის იდეა ფარდობითია, რამდენადაც დღეს ნებისმიერ ენაში გამოყენებული მრავალი ფრაზეოლოგიზმი სწორედ თარგმნითი სესხებით დამკვიდრდა... ფრაზეოლოგიურ შენაზარდთა თარგმნა, საკუთრივ ისეთების, რომელთა მოტივაცია დროთა განმავლობაში დაიკარგა, მართლაც, შეუძლებელია. ასეთია მთელი რიგი იდიომები, რომელთა წარმოქმნა უკავშირდება ენობრივ კოლექტივთა ისტორიულ წარსულსა და ეროვნულ ყოფას. მაგრამ უთარგმნელობის იდეის ფარდობითობაზე ვლასპარაკობთ ისეთ ფრაზეოლოგიზმთა კალკირების შესაძლებლობიდან გამომდინარე, რომელთა მოტივაცია საკმაოდ ტრანსპარანტულია” (საყვარელიძე 2001: 165).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფრაზეოლოგიზმები ე.წ. „უთარგმნელ ერთეულთა” კატეგორიას განეკუთვნებიან, მაგრამ ზოგიერთ ფრაზეოლოგიურ შესიტყვებას ან გამონათქვამს შეიძლება აღმოაჩნდეს აზრობრივადაც და შინაგანი ფორმითაც ტოლფასი **ფრაზეოლოგიური ეკვივალენტი**, რომელთაგან ზოგი საკუთრივ თარგმნითი ვარიანტია, მაგრამ ენის ფრაზეოლოგიურ ფონდში უკვე დაფიქსირებული და ფართოდ გავრცელებული. კომპონენტური დონის ეკვივალენტობას უმეტესად ამჟღავნებს „ინტერნაციონალური ფრაზეოლო-გიზმები”, რომლებიც თარგმანში არ საჭიროებს ტრანსფორმაციას სემანტიკური კომპონენტების დონეზე. ასეთ კატეგორიას განეკუთვნება მეტწილად „ბიბლიეზმები”, ანუ ბიბლიური წარმოშობის გამოთქმები (რაც საეკლესიო წიგნების თარგმნამ განაპირობა) და მითოლოგიური წყაროებიდან მრავალი ენის ფრაზეოლოგიურ ფონდში დამკვიდრებული ფრაზეოლოგიზმები.

მაგალითად, ქართულ და ინგლისურ ენებში ბევრია აბსოლუტურად ერთი მნიშვნელობისა და ერთნაირი სიტყვებით გამოხატული ფრაზეოლოგიზმები:

ცეცხლთან თამაში to play with the fire

პური ჩვენი არსობისა daily bread

ხელი დაბანა to wash one's hands

ახალი ცოცხი კარგად გვის A new broom sweeps clean (საყვარელიძე 2001: 86).

საკვლევი მასალის შესწავლამ გვიჩვენა, რომ ფრაზეოლოგიური ეკვივალენტით სარგებლობს დევიდ ჯ. ჰანტი: “A young man is sitting at the stream, and he asked me for water **to slake his thirst**” (Hunt 1999:43). **To slake his thirst** ნიშნავს- წყურვილის მოკვლა.

ამავე ხერხს მიმართავს ნ. რუხაძე:

”All right“, said the lad but allow me to **try my luck** four times” (Rukhadze 1974: 23).

კარგი, უთხრა ბიჭმა, მაგრამ ნება მომეცი, ოთხჯერ **ვცადო ბედი**.

“For a time his wife bore their poverty patiently, but at last she **lost her patience** and started nagging at him” (გვ.16). **Lost her patience** - მოთმინება დაკარგა.

ფრაზეოლოგიურ ერთეულთა თარგმნის ერთ-ერთი ხერხია **კალკირება**, რომელიც საეკლესიო ლიტერატურის თარგმნის პროცესში ჩამოყალიბდა, როდესაც ტექსტიდან ოდნავ გადახვევაც კი აზრს ამახინჯებდა. როგორც გ. წიბახაშვილი აღნიშნავს, კალკირებას თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს: „ამ გზით შემოსული სიტყვები და გამოთქმები ხშირად სამუდამოდ რჩებიან ენაში და ამდიდრებენ მის ლექსიკას, ტერმინოლოგიას. მაგრამ სიტყვასიტყვით გადმოღებულმა გამოთქმამ შეიძლება შეავიწროვოს ან სულაც განდევნოს ამ ენის საკუთარი გამოთქმა. კალკირება გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მთარგმნელ ენას არ გააჩნია დედნის შესაფერისი ხატოვანი გამოთქმა და, ამავე დროს, კალკი არ ეწინააღმდეგება ამ ენის ნორმებს” (წიბახაშვილი 2000: 70). კალკირებით შესაძლებელი ხდება ფრაზეოლოგიზმის კოლორიტი და, შინაარსის შენარჩუნება. კალკირებულ ფრაზას ზოგჯერ სქოლიოში განმარტება ახლავს, ეს განსაკუთრებით იმ შემთხვევაში ხდება, თუ ფრაზეოლოგიური ერთეული უცნობ რეალიას შეიცავს. ზოგჯერ ფრაზეოლოგიზმი მოყვანილია ორიგინალის ენაზე და განმარტებულია სქოლიოში.

დედანში არსებული ფრაზეოლოგიზმი „დედინაცვალმა ეს თავისი გერები ჭირივით შეიჯავრა“, მ. უორდროპმა სიტყვასიტყვით თარგმნა:

“The stepmother **hated the girls like the plague**” (Georgian Folk tales 1894: 5).

იმავე ხერხს მიმართავს დევიდ ჯ. ჰანტიც:

“The horse galloped off **like an arrow**” - ცხენი ისარივით გავარდა (Hunt 1999:16).

“It took away both our and your troubles” (გვ.173) - ჩვენი და თქვენი ჭირი წაიღო.

კალკირების ნიმუშებს ვხვდებით ნ. რუხაძის თარგმანებშიც:

”It is Peter,“ **flashed through his mind**” - გაუელვა თავში (Rukhadze 1974:18).

ფრაზეოლოგიის თარგმნის ერთ-ერთი საშუალებაა **ფრაზეოლოგიური ანალოგი**, რაც ნიშნავს, რომ თარგმანში წყარო ენის ფრაზეოლოგიზმის ნაცვლად აზრი რეალიზებულია კომპონენტური შემადგენლობით განსხვავებული, მაგრამ სემანტიკურად ეკვივალენტური ფრაზეოლოგიზმით. მაგალითად, ა. ხანთაძემ ქართული გამოთქმას „ქმარმაც თავისი დაიჩემა...”(გვ. 30) შინაარსობრივად მსგავსი ინგლისური ფრაზეოლოგიური გამოთქმა მოუძებნა:

“The husband also **dug his heels in...**” (Khantadze 2012: 27).

დევიდ ჯ. ჰანტი ქართულ ფრაზეოლოგიზმს მსგავსი შინაარსის, მაგრამ განსხვავებულ მხატვრულ სახეზე დაფუძნებული ფრაზეოლოგიური გამონათქვამით ანაცვლებს: “Ivan-Dawn jumped on the horse and said, “Fly up into the sky; from the sky I will fall on him and **teach him a lesson**” (Hunt 1999: 17). **Teach him a lesson** - ჭკუას ვასწავლი.

იმავე ხერხს იყენებს მ. უორდროპიც: „მამა ჭალა-ჭალა ამოჰყვა, კურდღელი წამოაგდო; შვილი მწევრად იქცა, კურდღელს დაედევნა და სწორედ იმ თავადების თვალწინ **მაყალზე გადაატარა**” (აღნიაშვილი 1979: 6).

”The father went into the wood and started a hare; his son turned into a hound, pursued the hare, and, just before the eyes of the nobles, **he pounced on it** (Georgian Folk tales”1894: 3). დედნის ფრაზეოლოგიზმი თარგმანში ჩანაცვლებულია ინგლისური ფრაზეოლოგიური შესიტყვებით: **მაყალზე გადაატარა** (ანუ ჰაერში შეათამაშა) თარგმნილია, როგორც **Pounce on** - რაც ნიშნავს - მოულოდნელი თავდასხმა, ნახტომი; მივარდნა, ძგერება; ბრჭყალებში ჩაგდება. ამ შემთხვევაში ინგლისური თარგმანი ბოლომდე ვერ ასახავს დედნის აზრს.

ფრაზეოლოგიური ერთეული შეიძლება გადმოიცეს **აღწერითი თარგმანით** -რაც გულისხმობს იდიომის მნიშვნელობის გადმოცემას ჩვეულებრივი ტექსტით და

ემსახურება შინაარსის უკეთ ახსნას. ამ ხერხს იმ შემთხვევაში იყენებს მთარგმნელი, როდესაც ფრაზეოლოგიური ერთეულის შესაბამისი ეკვივალენტი ან ანალოგი არ არსებობს. ფრაზეოლოგიური ერთეულის აღწერითი თარგმნით გადმოცემის ხერხს ქართული ხალხური ზღაპრების თარგმანებში თითქმის ყველა მთარგმნელი იყენებს, მაგალითად: „დასძლია გლეხი ფულის სიხარბემ და ცხენი ჭრელთვალას მიჰყიდა“ (აღნიაშვ. გვ.8) მ. უორდროპმა ინგლისურ თარგმანში შემდეგნაირად გადაიტანა: **”Love of money conquered the peasant, and he sold the horse to the man with variegated eyes (Georgian Folk tales 1894: 4).** დედნის ფრაზა, დასძლია გლეხი ფულის სიხარბემ, თარგმანში გადმოცემულია თავისუფალი შესიტყვებით - **Love of money conquered the peasant - გლეხი ფულის სიყვარულმა დაიპყრო.**

„ბებერი ცალის თვალით გაიყურება ჭილობიდან, ხედავს და თვალებს არ უჯერებს“ (აღნიაშ. გვ.12). ქართულ ფრაზეოლოგიზმს - თვალებს არ უჯერებს - მ. უორდროპი აღწერითი გზით გადმოსცემს - **”The old woman watched from the mat with both her eyes, and she could scarcely believe what she saw” (Georgian Folk tales 1894: 7).** თარგმანის პწკარედი: მოხუცი ქალი ჭილობიდან უყურებდა ორივე თვალით და არც კი სჯეროდა, რაც დაინახა.

ზღაპარში „დედინაცვალი და სამი ქალი“ ვკითხულობთ: „ხელმწიფეს ძალიან მოეწონა ეს ორი ყმაწვილი, თვალი ზედ დარჩა. უყურებს, უყურებს და იმათი ცქერით ვერა ძღება, უნდა სულ იმათ უყურებდეს“ (აღნიაშ. გვ.14).

თარგმანი: **”The king was very much taken with these two children, and could not withdraw his eyes from them. He looked and looked, and would never have been tired of looking; he wished to gaze on them for ever (Georgian Folk Tales 1894: 10).** როგორც ვხედავთ, დედნის ფრაზეოლოგიური ერთეულების ნაცვლად მ. უორდროპი თარგმანში იყენებს თავისუფალ შესიტყვებებს (ჩვეულებრივ ტექსტს): **თვალი ზედ დარჩა - could not withdraw his eyes - თვალს ვერ აშორებდა; იმათი ცქერით ვერა ძღება - would never have been tired of looking - იმათი ცქერით არ დაიღლებოდა.**

დედანი: „მისდგა ეს კომბალიცა და სულ სიგრძე-სიგანე მისცა იმ ხმლის პატრონს“ (აღნიაშვ. 20).

თარგმანი: “The stick approached **and beat the man mercilessly**” (p.14). პწკარედი: ჯოხი მიუახლოვდა და უმოწყალოდ სცემა. მ. უორდროპმა ამ შემთხვევაშიც ქართული ფრაზის შინაარსის გახსნა ამჯობინა.

ქართული ხალხური ზღაპრების ინგლისურ თარგმანებში მთარგმნელები ფრაზეოლოგიის თარგმნის სხვადასხვა ხერხს მიმართავენ. ზოგ შემთხვევაში ისინი უარს ამბობენ ზუსტ ფრაზეოლოგიურ შესატყვისზე და ჩვეულებრივ ტექსტს იყენებენ, ზოგჯერ კი ფორმით განსხვავებულ, მაგრამ შინაარსობრივად ახლო მდგომ ინგლისურ ეკვივალენტს უსადაგებენ. თარგმანთა გარკვეულ ნაწილში, განსაკუთრებით თანამედროვე თარგმანებში, მწირადაა წარმოდგენილი ქართული ენის ფრაზეოლოგიური სიმდიდრე. ქართული ხალხური ზღაპრის თანამედროვე ნიმუშებს აქ აღარ მოვიხმობთ, რადგან მათ თითოეული მთარგმნელის თარგმანების ანალიზის პროცესში განვიხილავთ.

ფრაზეოლოგიზმთა თარგმნასთან დაკავშირებით მუდამ დგება საკითხი, თუ რისი შენარჩუნებაა უფრო მნიშვნელოვანი -აზრისა (დენოტაციური მნიშვნელობის), თუ ხატოვანებისა (კონოტაციური შეფერილობის). როგორც ნ. საყვარელიძე აღნიშნავს, „ხელოვნურ თარგმნით ვარიანტს, რომელსაც აკლია ბუნებრიობა თარგმანის ენისათვის, სჯობს ისეთ დანაკარგთან შეგუება, როგორიცაა კონოტაციური შეფერილობა” (საყვარელიძე 2001: 17).

იდელაურია თარგმანი მაშინ, როცა იგი დედანივით ისეთივე მომხიბვლელი და, იმავდროულად ზემოქმედებითი ძალის მქონეა, მაგრამ ამგვარი შედეგი იშვიათად მიიღწევა. პროფ. გ. წიბახაშვილი მიზეზად ენათა სხვაობის გამო აზრთა და გრძნობათა ვერბალური გადმოცემის ხერხების განსხვავებულობას მიიჩნევს. იგი ეთანხმება ვ. ჰუმბოლდტს, რომელიც ენათა სესხების განსხვავებულობასა და სამყაროს აღქმის თავისებურებებზე ამახვილებს ყურადღებას, ხოლო დედნის მხატვრულ-ესთეტიკური თვისებრივი მიახლოებით თუ გადმოიცა მთარგმნელის მიერ, ესეც ეფექტურად და წარმატების მომტანად მიაჩნია მკვლევარს (წიბახაშვილი 2000: 48).

უნგრელი ლინგვისტი ს. ფოლდესი აღნიშნავს, რომ ფრაზეოლოგიური ერთეულები მეტყველების განსაკუთრებული შესაძლებლობებია. მათ წარმოშობაში დიდ როლს ასრულებს ექსტრალინგვისტური ფაქტორები. ფრაზეოლოგიური ერთეულების მნიშვნელობა გამოხატავს რეალური სამყაროს საგანთა თვისებებსა და

მიმართებებს. ფრაზეოლოგიური ერთეულები თავიანთი დიდი ემოციური ძალის მეშვეობით სრულყოფილად გადმოსცემს ადამიანის განწყობილებასა და სულიერ მდგომარეობას. „ისინი, იმავდროულად, მენტალური მსოფლმხედველური თავისებურებების ყველაზე სრულყოფილად გამოხატვის საშუალებას წარმოადგენენ და ენას ხატოვან, მხატვრულ-ინტელექტუალურ ელფერს ანიჭებენ. ენის ხიბლი, თვითმყოფადობა, ლაკონიურობა და დახვეწილობა სწორედ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში აისახება. ფრაზეოლოგიური ერთეულები უნდა მივიჩნიოთ, როგორც ენის მატარებლის კოლექტიურ მეხსიერებად, კულტურის სარკედ, ხალხის ცხოვრების წესად” (ციტ. **ძაგნიძე 2014:24**). ამიტომ, თუ თარგმანში ფრაზეოლოგიზმები დაიკარგება ან სუსტად ითარგმნება, მკითხველი ვერ მიხვდება, რატომ არის ეს ნაწარმოები დასაფასებელი.

ზღაპრის ენა განსაკუთრებით მდიდარია ხატოვანი სიტყვა-თქმებით. ისინი აზრის მხატვრულად, ემოციურად გამოთქმის ეფექტური საშუალებაა. ფრაზეოლოგიზმთა თარგმნა რთულია, რადგან ხატოვანი ლექსიკური ერთეულის ერთი ენიდან მეორეში გადატანისას არ უნდა დაიკარგოს ფრაზეოლოგიური ერთეულის მეტაფორული შინაარსი. გ. წიბახაშვილს მიაჩნია, რომ „ფრაზეოლოგიზმები თავისი შინაარსით, ისტორიითა და ენობრივი თავისებურებებით მთელი სამყარო... ფრაზეოლოგიური გამოთქმების გადატანა სხვა ენაზე ძნელია, რადგან ხშირად იკარგება ის ეროვნული კოლორიტი, სურნელება, რითაც ისინი ხასიათდებიან და ფასდებიან.” მიუხედავად სირთულისა, მთარგმნელმა თავი არ უნდა აარიდოს ფრაზეოლოგიზმების თარგმნას, რადგან მათ გარეშე ტექსტი გაუფერულდება და დაკარგავს მხატვრულობასა და მიმზიდველობას (**წიბახაშვილი 2000: 67**) ამრიგად, კოლორიტის შენარჩუნება და გადმოცემა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ფრაზეოლოგიური ერთეულების თარგმნისას.

ნაციონალური სპეციფიკის პრობლემა თარგმანში საკმაოდ რთული პრობლემაა და მხატვრულ ნაწარმოებში დაკავშირებულია საერთოდ ნაციონალური ფორმის საკითხთან (**გაჩეჩილაძე 1959: 153**). თანამედროვე ეტაპზე ორიგინალი ტექსტისა და თარგმანის ადეკვატური თუ ზედმიწევნითი ურთიერთმიმართება ნებისმიერ ენაზე დღესაც აქტუალურ პრობლემად რჩება.

კონსტანტინე გამსახურდიას შენიშვნით, ვერტერის თარგმნისას მას მოუხდა დედნის ზოგიერთი მონაკვეთის გამოტოვება, „რადგან ქართველ მკითხველს ის არაფერს აძლევდა. ასეთი თარგმნის პრინციპი საჭიროა იმიტომ, რომ თარგმანი არის ნაწარმოების სულის გადმოღება და არა ასოების” (გამსახურდია 1965 (ა): 564-565). მისივე აზრით, მთარგმნელს, ამ გამრჯე ფუტკარს, ყოველთვის გადმოაქვს თვალთ უხილავი მადლი და მშვენება იმ ენიდან, საიდანაც ითარგმნება ნაწარმოები. სწორედ ამით განსხვავდება კარგი მთარგმნელი ცუდისაგან, რომ იგი გამანაყოფიერებელ როლს ასრულებს თავის ნაციონალურ ენაში, მისი სტილისა და აღნაგობის შეუღახავად, შემოაქვს კარგი სტილის ტრადიციები, ხოლო ცუდი მთარგმნელი ვერ პოულობს იმ მიჯნას, რომლის გადალახვა მხოლოდ ზიანს აყენებს ენას, რადგან იგი უხეშად თავს ახვევს ნაციონალურ ენას მეორე, სულ სხვა ბუნების სინტაქსიდან გამომდინარე პრინციპებს” (გამსახურდია 1965 (ბ): 463).

ვლ. როსელსმა თავის სტატიაში „თარგმანი და დედნის ეროვნული თავისებურება” სადისკუსიო საგნად აქცია დედნის ეროვნული თავისებების გამომხატველი ელემენტების პრაქტიკულად განხორციელება. მკვლევარს მიაჩნდა, რომ ეროვნული ყოფის გამომხატველი სპეციფიკური სიტყვები უცვლელად უნდა გადასულიყო თარგმანში, ხოლო შესიტყვების მქონე ლექსემები სათანადო შესატყვისებით შეცვლილიყო. მაგ., ავტორს ზედმეტად მიაჩნდა რუსულ თარგმანში განმეორებულიყო ქართული სიტყვაფორმები „ბატონი” ან „გამარჯობა”, რომლებსაც რუსულში მოეპოვებათ ჩვეულებრივი და შესაბამისი სიტყვათ-შეხამებები, ხოლო სიტყვა „ლავაშ“-ის თარგმანში უცვლელად გადატანას ამართლებდა, რადგან იგი სრულიად ახალ, მანამდე უცნობ და სპეციფიკურ ეროვნულ საგანზე მიანიშნებს რუსულენოვან მკითხველს. მაგრამ თუ რა უნდა დარჩეს დედნისა თარგმანში, როგორც ნაციონალური რეალიების ამსახველი, ავტორი მოითხოვდა იმ ქვეყნის ცხოვრებისეულ ცოდნასაც, რომლის ნაწარმოებიც ითარგმნება ამა თუ იმ ენაზე (Росельс 1955: 165-212).

რეალიები ნაციონალური და ისტორიული კოლორიტის მატარებელია. სწორედ ამ კოლორიტის გადმოცემა წარმოადგენს მთარგმნელის ძირითად პრობლემას. იქიდან გამომდინარე, რომ რეალია ამოსავალი ტექსტის ნაწილია, მისი გადმოცემა მეორე ენაში თარგმანის ადეკვატურობის ერთ-ერთი წინაპირობაა.

როგორც გ. წიბახაშვილი აღნიშნავს: „თარგმნის თვალსაზრისით, უეკვივალენტო ლექსიკა რთული მასალაა სწორედ იმიტომ, რომ მისი პირდაპირი თარგმნა შეუძლებელია, კონტექსტუალური ეკვივალენტის მოძებნა კი - ძნელი. ხოლო თუ ასეთი მასალა თარგმანში დაიკარგება, იკარგება ნაწარმოების ეროვნული კოლორიტი, ფერადოვნება, მეტყველებისა და ემოციების თავისებურება. უამისოდ კი ზღაპარი კარგავს ღირსებებს და იქცევა რაღაც პრიმიტიული ამბის მარტივ თხრობად. ეროვნული კოლორიტი ზღაპრის მნიშვნელოვანი კომპონენტია, მაგრამ ისიც, როგორც ყველა სხვა ელემენტი, აზრის, იდეის სრულყოფილად გადაცემას ემსახურება“ (წიბახაშვილი 2000: 147). ამიტომ მთარგმნელი მაქსიმალურად უნდა ცდილობდეს ეროვნული კოლორიტის შენარჩუნებას.

რეალიების თარგმნის საკითხი რთულია და რაღაც ერთ წესს არ ემორჩილება. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებაა საჭირო. როგორც გოეთე იტყოდა: „თარგმნისას უნდა ჩავწვდეთ იმას, რაც არ ითარგმნება. მხოლოდ მაშინ შეიძლება შევიცნოთ სხვა ხალხი, სხვისი ენა“.

სპეციფიკური ნაციონალური ყოფის გამომხატველი ლექსიკის გადმოცემა თარგმანში დიდ სიძნელეს წარმოადგენს. რიგ შემთხვევაში მთარგმნელი იძულებულია, მათ გადმოცემაზე უარი თქვას და ისინი ჩვეულებრივი, ნეიტრალური ფორმებით შეცვალოს. ზოგჯერ ხერხდება თარგმანის ენაზე მოიძებნოს დედნის შესატყვისი ნიუანსის მქონე სპეციფიკის გამოთქმებიც, მაგრამ მათი გამოყენებისას დიდი სიფრთხილე გვმართებს, რათა ერთი ეროვნების წარმომადგენელი თარგმანში არ იქცეს სხვად.

ზეპირსიტყვიერი შემოქმედება უაღრესად ეროვნული, ასე ვთქვათ, ავტონომიური მოვლენაა, თავისთავადობის მკვეთრი ნიშნით აღბეჭდილი კულტურული ფენომენია და მისი განხილვა მშობლიური ნიადაგისაგან გამოცალკევებით, ხალხის ყოფით რეალიებზე დაუყრდნობლად ყოველთვის ცალმხრივობისა და ზედაპირულობის აშკარა იერის მატარებელი იქნება.

ფოლკლორი ნებისმიერი ისტორიული ცვალებადობისა თუ კატაკლიზმების პირობებში ინარჩუნებს თვითმიერობას, შეუვალლობას და მარადმყოფობის იმ ურღვევ გარანტიას, შემქმნელი ერის უწყვეტი მოდენილობის ბოლომდე ამოუცნობ საიდუმლოებაში რომ უდგას ფესვი.

„ერის სულიერი ფიზიონომია, მისი ზნე-ხასიათი, ბუნება, ერთადერთობა და, გნებავთ, პოეტური ტალანტი არსად, ადამიანური მოღვაწეობის არცერთ სხვა სფეროში ისე ცხადად არ ჩანს, როგორც ნაივურ და, ამავდროულად, სიბრძნის ზეგარდმო მაღლით ცხებულ ხალხურ სიტყვიერებაში” (არაბული: 2006).

ყოველი წერილობითი ძეგლი, განსაკუთრებით ფოლკლორული ხასიათისა, არის სოციოლოგიური მოვლენა, იგი არის რაღაც პროცესის ნაწილი, რომელიც კოდირებულია ამა თუ იმ ხალხის ლექსიკურ-გრამატიკულ სისტემაში. ზღაპარი, როგორც ფოლკლორის ნაწილი, ხალხის ენისა და ისტორიის შემცველია. ზღაპარში ჩანს სოციუმის სახე, მისი მისწრაფებები, სულიერი აქტივობა, საზოგადოების ეროვნული ღირებულებები და, საერთოდ, მთელი ხალხის ეროვნული მისია. ეს ყველაფერი ადეკვატურად უნდა ისახებოდეს თარგმანში.

დისერტაციის პირველ ნაწილში (თავში), ქართველ და უცხოელ სპეციალისტთა მოსაზრებებზე დაყრდნობით, განვიხილეთ ზღაპრის არსი; მხატვრული თარგმანის (და, ზოგადად, თარგმანის) განხილვისას გამოვყავით ზოგადი მახასიათებლები და საგანგებო ყურადღება დავუთმეთ ზღაპარს, მისი თარგმნის სპეციფიკას, ამასთანავე, ქართული ხალხური ზღაპრის თავისებურებებს, ინგლისურ თარგმანში მათი გადატანის პრობლემას.

ქართული ხალხური ზღაპრების თარგმანებზე დაკვირვებისას გაირკვა, რომ:

1. სათაურების თარგმნისას, განსაკუთრებულ სირთულეს მთარგმნელს პერსონაჟის ზედწოდება უქმნის. ქართული ზღაპრების ინგლისურად მთარგმნელთაგან ზოგი ცდილობს თარგმნოს ამგვარი ფუნქციური სახელი, ზოგსაც უთარგმნელად გადააქვს.

2. ჩვენ მიერ საკვლევად შერჩეულ თარგმანებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართული ზღაპრის დასაწყისისა და დასასრულის თავისებურებათა გადმოცემა. აღსანიშნავია, რომ ზოგ მთარგმნელს უცვლელად გადააქვს დასაწყისისა და დასასრულის ქართული კლიშე (მ. უორდროპი, დ. ჯ. ჰანტი), მთარგმნელთა ნაწილი კი ცვლის და საჭიროდ არ მიიჩნევს მის გადატანას (ძირითადად ქართველი მთარგმნელები ნ. რუხაძე, ნ. ცისკარიშვილი, ს. წერეთელი, თ. ჩეკურიშვილი და სხვ.). ქართველ მთარგმნელთაგან გამონაკლისი აღმოჩნდა ა. ხანთაძე, რომელმაც ზღაპრის დასასრული კალკირებით თარგმნა.

3. საგანგებო დაკვირვების საგანია აგრესიის სხვადასხვა სახის გამოვლენა ზღაპრებში და მათი სხვა ენაზე თარგმნის თავისებურებანი. მარჯორი უორდროპის თარგმანების ორიგინალთან შედარებით ირკვევა, რომ დედანში წარმოდგენილი აგრესიული განწყობა ლექსიკურ- შინაარსობრივი ნიუანსების ცვლილებების საფუძველზე ინგლისურ თარგმანში ზოგჯერ შერბილებული ფორმებითაა წარმოდგენილი.

4. იმის გასარკვევად, თუ რამდენად არის შენარჩუნებული ეროვნული კოლორიტი თარგმანებში მოგვიხდა „უთარგმნელი ლექსიკის“ თარგმნის პრობლემის წამოწევა.

ქართული ხალხური ზღაპრების არსებული თარგმანების შესწავლის შემდეგ მივედით დასკვნამდე, რომ ეროვნული კოლორიტის შესანარჩუნებლად მთარგმნელები სხვადასხვა გზას მიმართავენ: ეროვნულ რეალიებს ხან თარგმნიან, ხან უთარგმნელად ტოვებენ, ხან ცდილობენ ადეკვატური შესატყვისის მოძებნას, ფრაზეოლოგიური ერთეულების, ანთროპონიმების შემთხვევაშიც ისინი ანალოგიურ გზას ადგანან. ეროვნული კოლორიტი, რომელსაც ზემომოყვანილი კომპონენტები ქმნიან, უფრო უკეთ არის წარმოდგენილი მარჯორი უორდროპისა და დ. ჰანტის თარგმანებში. მ. უორდროპი და დ. ჰანტი, სხვა მთარგმნელებთან შედარებით, უთარგმელ ლექსიკას გაცილებით მეტ ყურადღებას უთმობენ და ეროვნული კოლორიტის შენარჩუნებას, ძირითადად, მათ ხარჯზე ცდილობენ. იგივე დამოკიდებულება, გარკვეულწილად, ა. ხანთაძის თარგმანებშიც შეინიშნება.

თავი მეორე

უცხოელი მთარგმნელების მიერ თარგმნილი ქართული ხალხური ზღაპრები

ქართულ-ბრიტანული კულტურული და ლიტერატურული ურთიერთობების ისტორია შორეული წარსულიდან იღებს სათავეს. ეს ურთიერთობა, თავდაპირველად, სტიქიურად ვითარდებოდა, ხოლო მე-19 ს-ის მეორე ნახევრიდან კი უფრო მოწესრიგებული და სისტემური ხასიათი მიიღო. დაახლოებით ამავე პერიოდში დაიწყო ამ ურთიერთობების კვლევაც და აქედან მოყოლებული, ქართულ-ბრიტანულმა ლიტერატურულმა და კულტურულმა ურთიერთობების ფაქტებმა მრავალფეროვანი ხასიათი შეიძინა.

გ. შარადის ვარაუდით, „შუა საუკუნეების ეპოქის ინგლისში, ისევე, როგორც დასავლეთ ევროპის ბევრ სხვა ქვეყანაში, საქართველოზე წარმოდგენა მეტწილად ანტიკური წყაროების მიხედვით უნდა ყოფილიყო შემუშავებული, რადგან ის სახელგანთქმული ბერძენი და რომაელი ავტორები, რომლებიც თავიანთ კლასიკურ თხზულებებში საქართველოს არაერთხელ მოიხსენიებენ, ინგლისურ ენაზეც იყო თარგმნილი: მარტო მედეას, პრომეთესა და მითრიდატე პონტოელის სახელები კმარა, ალბიონის კუნძულებზე ძველი კოლხეთის, კავკასიონის ქედისა და იბერიის მიმართ ინტერესი რომ გაღვივებულიყო“ (შარაძე 1984: 3).

მ. ოძელის აზრით, „საზოგადოდ, კულტურული და ლიტერატურული კონტაქტებისა და რეცეფციების ჩასახვასა და მის ინტენსიობას განაპირობებს ქვეყნების გეოგრაფიული სიახლოვე, პოლიტიკური ან კულტურულ-სამეცნიერო ინტერესი და ეკონომიკური კავშირი“ (ოძელი: 2008). საქართველოსა და ინგლისს შორის კი ეკონომიკური კავშირი არასოდეს ყოფილა, რადგან მათ უკიდურესი გეოგრაფიული პოლარიზებაც ახასიათებს. XIX-XX სს. მიჯნაზე გამოიკვეთა ბრიტანეთის პოლიტიკური ინტერესი საქართველოს მიმართ, რასაც ბუნებრივად თან მოჰყვა კულტურული კონტაქტები, ხოლო საქართველოს დაინტერესება ბრიტანეთით უმთავრესად კულტურულ-სამეცნიერო ხასიათს ატარებდა (ოძელი: 1998).

ინგლისურენოვან სამყაროში ქართული კულტურისა და მწერლობის გაცნობა-პოპულარიზაციას უდიდესი სამსახური გაუწიეს და-მამ მარჯორი (1869-1909) და ოლივერ (1864-1948) უორდროპებმა.

როგორც გ. შარაძე აღნიშნავს, XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, ინგლისელი მკვლევრისა და მთარგმნელის, ქართველი ხალხის დიდი მეგობრის მარჯორი უორდროპიდან მოყოლებული, ქართული ხალხური ზღაპრებით დაინტერესებამ ევროპაში, ინგლისურენოვან სამყაროში ცხოველი და ინტენსიური ხასიათი მიიღო (შარაძე 1984: 3).

დისერტაციის მეორე თავში მიზანშეწონილად მივიჩნიეთ უცხოელ მთარგმნელთა - მარჯორი უორდროპის და დევიდ ჯ. ჰანტის მიერ შესრულებული თარგმანების გამოყოფა და მათი თავისებურებების გამოკვეთა, რადგან ორივე მათგანი უცხოელია (ბრიტანელი) და ქართველი მთარგმნელებისაგან განსხვავებული ხედეა, ზღაპარში განვითარებულ მოვლენათა განსხვავებული აღქმა აქვთ.

§1. ქართული ხალხური ზღაპრების მარჯორი უორდროპისეული თარგმანები

უმნიშვნელოვანესია მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს და მეოცე საუკუნის დასაწყისში მოღვაწე ბრიტანელი და-მამის მარჯორი და ოლივერ უორდროპების წვლილი საქართველოს ისტორიისა და კულტურის პოპულარიზაციის საქმეში. 1886 წელს ლონდონში ოლივერ უორდროპის ავტორობით გამოიცა „საქართველოს სამეფო“; 1894 წელს გამოიცა სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკების კრებული „წიგნი სიბრძნე-სიცრუისას“ ინგლისური თარგმანი კომენტარებით; იმავე წელს დაიბეჭდა მარჯორი უორდროპის მიერ თარგმნილი „ქართული ხალხური ზღაპრები“. 1895 წელს ლონდონში დაიბეჭდა „განდეგილის“ მ. უორდროპისეული თარგმანი. მარჯორიმ ცნობილ ინგლისელ ისტორიკოს უ. ალენთან ერთად თარგმნა აკაკი წერეთლის ლექსები. აღსანიშნავია მ. უორდროპის მიერ შესრულებული „ვეფხისტყაოსნის“ პროზაული თარგმანიც, რომელიც ჯონ ოლივერ უორდროპმა დის გარდაცვალების შემდეგ 1912 წელს გამოაქვეყნა. თავად ოლივერს ეკუთვნის გიორგი

ბრწყინვალეს „მეგლისდების“, „ვისრამიანის“ და „წმ. იაკობის ცხოვრების“ ინგლისური თარგმანები. იგი პარალელურად მუშაობდა უილიამ შექსპირის ი. მაჩაბლისეულ თარგმანზეც. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ოლივერ უორდროპმა ინგლისში დააარსა „საქართველოს საისტორიო საზოგადოება“ (1930 წ.), გამოსცა ჟურნალი “Georgica”. მისივე ძალისხმევით ევროპაში შეიქმნა ყველაზე მდიდარი ქართველოლოგიური ბიბლიოთეკა.

მარჯორი უორდროპის მოღვაწეობა ქართველ მკვლევართა მონოგრაფიული კვლევის ობიექტი XX საუკუნის მეორე ნახევარში გახდა. 1965 წელს ლ. თაქთაქიშვილი-ურუშაძემ მარჯორი უორდროპს მიუძღვნა მონოგრაფია, რომელშიც აღწერილია უორდროპების ურთიერთობა საქართველოსა და ქართულ კულტურასთან, და ასევე დისერტაცია, სადაც მკვლევარი ზოგადად მ. უორდროპის თარგმანებს განიხილავს.

გ. შარაძემ ინგლისის წიგნსაცავებში მიაკვლია და-ძმის მოღვაწეობის ამსახველ მანამდე უცნობ ფაქტებს, დაწვრილებით გააანალიზა მათი შემოქმედება, დოკუმენტურად შეისწავლა მათი ურთიერთობა და დამოკიდებულება ქართველ მოღვაწეებთან, მოიძია საარქივო მასალები, რომლებიც ათვალსაჩინოებენ XIX-XX სს. ქართველ მწერალთა მანამდე უცნობ მხარეებს (**შარაძე :1984**).

შ. შტოიერი დისერტაციაში „მარჯორი უორდროპის მოგვიანებით მიკვლეული თარგმანები“ (**შტოიერი: 2012**), ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მარჯორი უორდროპის ინტერესების სფერო მხოლოდ მხატვრული თარგმანებით არ შემოიფარგლებოდა. იგი ინტენსიურად იკვლევდა საქართველოს ისტორიის საკითხებსაც, კერძოდ, საქართველოს უკანასკნელი დედოფლის ისტორიის, აღმსარებლობის (რუსულ-ქართული ეკლესიების ურთიერთობა) საკითხებს, მისი თვალსაწიერი და კვლევა-ძიება დიპლომატიურ თემებს, ეთნოგრაფიას, მითოლოგიასა და სოციალურ სფეროსაც კი სწვდებოდა.

ამასთან დაკავშირებით ლ. თაქთაქიშვილი-ურუშაძე აღნიშნავს: „ოლივერ და მარჯორი უორდროპებმა შეისწავლეს ჩვენი ქვეყნის ავიცა და კარგიც, სულითა და გულით შეიყვარეს, შეისისხლხორცეს მცირერიცხოვანი, მაგრამ სულით უტეხი, სიმართლის დამცველი, თავისუფლებისმოყვარე ერი და მიზნად დაისახეს გაეკეთებინათ ყველაფერი იმისათვის, რომ ამ Terra Incognita-ს კარები გაეღოთ

დასავლეთის ქვეყნებისათვის” (თაქთაქიშვილი-ურუშაძე 1957(ა):153). ასე რომ, მარჯორი და ოლივერ უორდროპების მეცნიერულ-მთარგმნელობითი მოღვაწეობა გამორჩეული მოვლენაა: მათ თავიანთი შეგნებული ცხოვრება და მოღვაწეობა საქართველოს ისტორიისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლას მიუძღვნეს.

უორდროპების გამოჩენა და მათი ინტერესი ქართული რეალობისადმი დროული აღმოჩნდა. XIX საუკუნის 80-90-იანი წლების ქართული პერიოდიკის თანახმად, უორდროპების გამოჩენას ჩვენი საზოგადოება დიდი სიხარულით შეხვდა. განსაკუთრებით ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი იყვნენ მაღლიერნი უორდროპების მიმართ. ქართული საზოგადოება ხელს უწყობდა მათ, რომ უფრო ახლოს გაეცნოთ ქართული ყოფა და ტრადიციები. ჩვენი საზოგადოების დიდი სურვილი იყო სწორედ ევროპაში გაეტანათ ქართულ-კავკასიური პრობლემები, კულტურული და ისტორიული ხასიათის მასალები და რუსული კოლონიური ხანის ყოფითი სურათები.

მარჯორი უორდროპის მთარგმნელობითი შემოქმედებიდან ქართველი მკვლევრები ძირითადად ოთხ გამოცემას იცნობდნენ, ესენია: 1) “Georgian Folk tales”, London, 1894 – „ქართული ზღაპრები”; 2) “The Hermit”, 1895, London- „განდეგილი”; 3) “The life of St. Nino”, 1900, London - „წმინდა ნინოს ცხოვრება”; 4) “The Knight In The Panther’s Skin”, 1912 – „ვეფხისტყაოსანი”.

ზემოთ ჩამოთვლილ თარგმანთა შორის გამორჩეულია „ქართული ხალხური ზღაპრები”, რადგან იგი ჩვენი ზეპირსიტყვიერების უცხოურ ენებზე გადატანის ერთ-ერთი პირველი მცდელობა იყო.

ლიტერატურის ისტორიაში ცნობილია არაერთი ფაქტი, როდესაც მაღალმხატვრულმა თარგმანმა ამა თუ იმ ლიტერატურულ ძეგლს საყოველთაო აღიარება მოუტანა. ამასთან დაკავშირებით გ. გაჩეჩილაძე წერდა: „მიუხედავად ყველაფრისა, მაინც არსებობენ საყოველთაოდ აღიარებული თარგმანები. ისინი შეიქმნენ გარკვეულ სოციალურ ეპოქაში, როგორც ამ ეპოქის იდეური იარაღი. ეპოქა გათავდა, მაგრამ თარგმანი დარჩა. რითი აიხსნება მისი არსებობის ფაქტი? იმავე მიზეზებით, რითაც აიხსნება უკვდავი ორიგინალური ნაწარმოებების არსებობა – იდეური და მხატვრული ღირსებებით, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ხალხურობასთან, ხალხის ენასა და მის ფსიქიკურ წყობასთან. ეს უკანასკნელნი კი,

როგორც ცნობილია, გაცილებით უფრო ნელა იცვლებიან, ვიდრე სოციალური ცხოვრება” (გაჩეჩილაძე 1934: 126). სწორედ ასეთ თარგმანთა რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ ქართული ხალხური ზღაპრების უორდროპისეული თარგმანები, რომლებიც 1894 წელს ლონდონში გამოქვეყნდა. ”Georgian Folk Tales” (ქართული ხალხური ზღაპრები) ამ სახელწოდებით გამოქვეყნებულმა თარგმანებმა სწრაფად მიიპყრო ბრიტანელი საზოგადოების ყურადღება.

მ. უორდროპისეულ თარგმნილ ზღაპრებს და შერჩეულ თარგმნის სტილს მაღალ შეფასებას აძლევს მარჯორის ეპოქის ინგლისური პრესა.

ივანე მაჭავარიანი (ინმანი), გაზეთ „ივერიის“ ქართველი კორესპონდენტი, მარჯორი უორდროპის ზღაპრების თარგმანთან დაკავშირებით წერდა: „ჩვენ შევუდარეთ თარგმანი დედანს: თარგმანი ძალიან ახლოა დედანთან, ენა მშვენიერია და ჰარმონია დაცულია” (ივერია 1896) (ციტ. შტოიერი 2012: 170).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მ. უორდროპის ზღაპრების თარგმანებთან დაკავშირებული მორფილისეული შეფასება: „მრავალმა მოგზაურმა აგვიწერა, - ამბობს პროფესორი მორფილი („ეკედემი”, 4 აგვისტო, 1894), კავკასია და იმის მკვიდრთა მშვენიერება. მაგრამ ეხლაც კი იმ ეროვნებათა სხვადასხვა ენისა ჩვენში არა იციან რა ბროსეს, ცაგარელისა და სხვათა შრომების მიუხედავად... ძალიან ბედნიერი აზრი დაჰბადებია მის ვარდროპს, მოუწადინებია რა ჩვენი გაცნობა ამ ნაკლებ ცნობილი ქვეყნის ფოლკლორთან, ზღაპრებსა და საერო ლიტერატურასთან” (ვაზიანი 1894, №198) (ციტ. შტოიერი: 2012:172).

გაზეთმა „ივერიამ” გამოაქვეყნა ინფორმაცია ლონდონის პოლიტიკურ-ისტორიული ჟურნალის „შაბათის მიმოხილვის” სტატიის შესახებ:

„ჯერ არც ერთხელ არ გამოცემულა წიგნი ასეთის მოხერხებით, როგორიც არის მის მარჯორი უორდროპის „ქართული არაკები”, გამოცემული ალფრედ ნუტის მიერ...მარჯორი უორდროპს ქართულს საერო სიტყვიერებაში ძვირფასი საუნჯე უპოვნია და თავის წიგნში მოუქცევია...” (ივერია 1894) (ციტ. შტოიერი 2012: 172).

როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ლ. თაქთაქიშვილი-ურუშაძემ თავის დისერტაციაში ზოგადად მიმოიხილა მ. უორდროპის თარგმანები, მათ შორის ზღაპრებიც. ჩვენი კვლევის მიზნიდან გამომდინარე, შევეცდებით, უფრო

სირღმისეულად შევისწავლოთ მ. უორდროპის მიერ თარგმნილი ქართული ხალხური ზღაპრები.

მ. უორდროპმა ზღაპრები (თარგმანები) სამ ნაწილად დაყო: ქართულად, მეგრულად, გურულად.

როგორც თავად მთარგმნელი წინასიტყვაობაში მიგვითითებს, პირველი ნაწილის (ქართული - Georgian Tales) დედანი, საიდანაც თარგმანი შესრულდა, არის „ხალხური ზღაპრები“ (შემკრებ-გამომცემელი ვლ. აღნიაშვილი) 1891 წელს გამოქვეყნებული თბილისში, ფოლკლორისტთა საზოგადოების მიერ.

მეორე ნაწილი (მეგრული-Mingrelian Tales) ითარგმნა პროფესორ ა. ცაგარელის მიერ 1876-79 წლებში შეკრებილი და რუსულად ნათარგმნი მეგრული ზღაპრებიდან: „Мингрельскія этюды“, პეტერბურგი, 1880 წ. (მეგრულად და რუსულად).

მესამე ნაწილი (გურული -Gurian Tales) მ. უორდროპმა თარგმნა ანონიმური კოლექციიდან „Грузинскія народнія сказки“, პეტერბურგი, 1884 წ.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა თარგმანის ის ნაწილი (პირველი ნაწილი - ქართული (Georgian Tales), რომელიც შესრულებულია უშუალოდ დედნიდან. დედანი კი, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ცნობილი ფოლკლორისტის, ეთნოლოგისა და პედაგოგის ვლ. აღნიაშვილის ქართული ხალხური ზღაპრების კრებულია. აღნიაშვილის კრებულში შედის 15 ზღაპარი: 1. „ოსტატი და შეგირდი“, 2. „დედინაცვალი და სამი ქალი“, 3. „ნაცარქექია“, 4. „ბაყაყის ხოკერა“, 5. „ბედი“, 6. „ღვთისავარი“, 7. „გველი და გლეხი“, 8. „გულამბარა და სულამბარა“, 9. „ორნი ძმანი“, 10. „ხელმწიფის შვილი“, 11. „კონკიაჟდარუნა“, 12. „ასფურცელა“, 13. „მეცხვარე და იღბლიანი ყმაწვილი“, 14. „ორი ქურდი“, 15. „მელია და ხელმწიფის შვილი“. მ. უორდროპმა დაუმატა კიდევ ერთი ზღაპარი „მეფის ძე და ვაშლი“ ქართული ქრესტომათიიდან. დანარჩენი ორი ნაწილის -მეგრული და გურული ზღაპრების თარგმანი რუსულიდანაა შესრულებული და, ვინაიდან თარგმანის თარგმანია, მათ განხილვაზე აღარ შევჩერდებით.

მართალია, მარჯორი უორდროპი ერთგულად მიჰყვება დედნის ტექსტს, თუმცა ზოგიერთი ქართული ენისთვის ბუნებრივი ლექსიკური ერთეული მისთვის ბოლომდე გასაგები და ორიგინალის ტექსტს მისადაგებელი არ ყოფილა. მაგალითად ზღაპარში „ოსტატი და შეგირდი“ –**”Master and Pupil”**- დედანში ვკითხულობთ: „ვინც

მანეთს უმატებდა, ის ერთბაშად რამდენიმე თუმანს უმატებდა” (აღნიშვნილი 1979: 8).
თარგმანი:

“Whenever any one added a manethi (rouble) to the price, he added a thuman (ten roubles)
(Georgian Folk Tales: 4).

თარგმანი არ გადმოსცემს დედნის ზუსტ შინაარსს. დედანში გვაქვს:
„რამდენიმე თუმანს უმატებდა”, ხოლო თარგმანში - „he added a thuman” - ანუ ერთ
თუმანს უმატებდა.

ზღაპარ „დედინაცვალი და სამი ქალის” – **“The Three Sisters and their Stepmother”**
თარგმანი რამდენადმე სცილდება დედანს: „ბოლოს ამითი რომ ვერას გახდა,
ავადმყოფობა მოიმიზეზა. ჩაწვა ლოგინში, ჩაილაგა შიგ გამხმარი ლავაშები და
დაიწყო კრუსუნი” (აღნიშ. 10).

თარგმანი: “At last she could bear it no longer: she became ill, went to bed, took with
her crisp, flat bread, and began to moan” (p.7).

დედანშია „დედინაცვალმა ავადმყოფობა მოიმიზეზა” და არა ავად გახდა,
როგორც თარგმანშია.

დედანი: „სხედან ეს ქალები ორმოში და ტირიან. ტირიან, ტირიან, რომ
პირისახეს სულ ფრჩხილით იკაწრიან; იმათის ტირილით ზეით ცა ირყევა და ძირს
დედამიწა. ბოლოს ვაშლიც გამოელიათ. იფიქრეს, იფიქრეს და ასე გადაწყვიტეს...”
(აღნიშ. 11).

თარგმანი: “...so these three maidens sat down and wept. They wept and wept until
their faces were pale; their tears shook heaven above and the earth beneath. At last the apples
were finished. They thought and thought, and decided that ...” (p. 7).

„ტირიან, ტირიან, რომ პირისახეს სულ ფრჩხილით იკაწრიან” - ნათარგმნია
როგორც - “wept and wept until their faces were pale”- რაც ასე ითარგმნება: იტირეს,
იტირეს, სანამ სახე არ გაუფითრდათ. თარგმანი სცილდება დედანს. მთარგმნელმა
გამეორებები სიტყვასიტყვით გადაიტანა, რითაც დედნისეული ელფერი შეუნარჩუნა
თარგმანს. იმავე ხერხს მიმართავს მ. უორდროპი ფრაზეოლოგიის თარგმნისას -
„იმათის ტირილით ზეით ცა ირყევა და ძირს დედამიწა”- “their tears shook heaven
above and the earth beneath”.

დედანი: „ის მეწისქვილე კი იმ ოქროსქოჩრიანებს თავისი ორსავ თვალივით უფროთხილდებოდა” (აღნიაშ. 14).

თარგმანი: “The miller loved the two golden-haired children as if they were the apple of his eye” (p.10).

პირველ შემთხვევაში მთარგმნელმა დედნის ფრაზეოლოგიზმი ინგლისური ფრაზეოლოგიური შესიტყვებით ჩაანაცვლა. მეორეში კი მ. უორდროპი მსგავს გამოთქმას სიტყვასიტყვით თარგმნის.

დედანი: „ბებერს ძალიან გაუხარდა ამ სამი დის პოვნა და თავისი თვალის ჩინივით უფროთხილდებოდა” (აღნიაშგ. 12).

თარგმანი: “She guarded them as the light of her eyes” (p.7).

ზღაპარ „ნაცარქექიაში” – “The Good- for-nothing” - მთარგმნელი ხშირად სიტყვასიტყვით მიჰყვება დედნის ტექსტს, რითაც მთარგმნელი რეალიების შენაჩუნებას ცდილობს. მაგ: „იარა, იარა და ცხრა მთას იქით ერთი დიდი დარბაზი დაინახა” (აღნიაშგ.17). თარგმანი: “He traveled on, and when he had ascended the **ninth mountain** from where he started, he saw a large house” (p.11).

დედანი: „აქეთ ეცნენ, იქეთ ეცნენ, მაგრამ ცამ უყო პირი, დედამიწამ უყო პირი, ველარა გაიგეს რა” (აღნიაშგ.18).

თარგმანი: “They looked everywhere, but could not tell **whether heaven or earth had swallowed them**, so they learnt nothing” (p.13). ამ შემთხვევაში მთარგმნელს ქართული ფრაზეოლოგიზმი კალკირებით გადააქვს თარგმანში.

„არ იცი, ხელმწიფე შურიანია, ესენი რომ ნახოს, ყველაფერს წაგვართმევს და პუპლუცზე დაგვსხავსო” (აღნიაშგ.21). როგორც თავად ზღაპრის შემკრებ-გამოცემელი ვლ. აღნიაშვილი განგვიმარტავს, „პუპლუცზე დასმა“ ნიშნავს - ცარიელზე დასმას, და არა ციხეში ჩასმას- როგორც ეს მ. უორდროპმა თარგმნა.

თარგმანი: “Dost thou not know, the king is an envious man; when he sees these things, he will take them from us, and put us in prison”(p. 15). პწკარედი: არ იცი, მეფე შურიანია, როცა ამ ნივთებს დაინახავს, წაგვართმევს და ციხეში ჩაგვსვამს.

დედანი: „მისდგა ეს კომბალიცა და იმდენი ურტყა იმ თავის წინანდელ პატრონს, რომ სულ ძვალი და რბილი გაუერთა” (აღნიაშგ. 20).

თარგმანი: “It struck him until all his bones were made soft” (p.13). თარგმანის პწკარედი ასეთია: მანამდე სცემა, სანამ ძვლები არ დაურბილდა. მთარგმნელმა ინგლისურად ქართული ფრაზეოლოგიზმის- „ძვალი და რბილი გაუერთა“- შინაარსი გადმოგვცა - ”all his bones were made soft“.

დედანი: „ამოიღო თავის ნატვრის თვალი, ინატრა და გადიშალა ისეთი სუფრა, რომ ჩიტის რძეც კი სუფრაზე ედგათ” (აღნიშვნა. 21).

თარგმანი: “...took out his wishing-stone, wished the table to be laid, and the rarest delicacies were placed on the cloth” (p.14). „ნატვრის თვალი” მ. უორდროპმა კალკირებით თარგმნა - wishing-stone, „ჩიტის რძე” - the rarest delicacies - (იშვიათი დელიკატესები) შინაარსი, მნიშვნელობა გადმოგვცა გამოთქმის, ხოლო სხვა ზღაპრებში, მაგ. „ღვთისავარი“- იმავე გამოთქმას სიტყვასიტყვით თარგმნის - bird's milk და მის მნიშვნელობას სქოლიოში მიუთითებს.

ზღაპარ „ბაყაყის ხოკერაში” – ”The Frog’s Skin” დედანში ვკითხულობთ:

„მძებნი სამუშაოდ დადიოდნენ, ცოლები სადილს ამზადებდნენ და სახლ-კარს უვლიდნენ; ბაყაყი კი იჯდა კერასთან წამოყუნტებული და თვალებს აბრიალებდა” (აღნიშვნა. გვ.22).

თარგმანი: “The brothers went out to work, the wives prepared the dinner, and attended to all household duties; the frog sat by the fire croaking, and its eyes glittered (p. 16).

„ბაყაყი კი იჯდა კერასთან წამოყუნტებული და თვალებს აბრიალებდა” - მ. უორდროპმა თარგმნა, როგორც - ”the frog sat by the fire croaking, and its eyes glittered” - ბაყაყი იჯდა ცეცხლთან, ყიყინებდა და თვალებს აბრიალებდა. სიტყვა „წამოყუნტებული“, რაც ნიშნავს - უკანა ფეხებზე ჯდომას, მთარგმნელმა რატომღაც ჩაანაცვლა „ყიყინით“.

ზღაპარში „ბედი” –”Fate” ხელმწიფის შვილი საცოლის მოკვლას განიზრახავს. დედანში ვკითხულობთ: „მე ერთი ღარიბი ფეიქრის ქალი ვარ. ცხრა წელიწადი თურმე სნეული ვიყავ და საბერე კიტრით ყვითლად დავსიებულიყავი. ერთხელ ვიღაცა ყმაწვილი ჩვენსა სტუმრად მოსულიყო და ჩემთვის ხანჯალი დეეცა, მაგრამ აჩქარებით დეეცდინა და შიგ იარაში გეერტყა. ამაზე იარა გამომრწყოდა, დედას მალამო გეეკეთებინა და სრულებით მოვრჩენილიყავ” (აღნიშვნა 1979: 32).

თარგმანი: "I am a poor weaver's daughter; for nine years I lay in bed, a helpless invalid, yellow as a cucumber. Once there came a youth to my father's house for shelter. He plunged his dagger into me, then fled with haste, and went on his way. I was very sick, but my mother put a plaster on my side and I was completely cured" (p. 24).

ამ მონაკვეთის თარგმანი ზუსტად ვერ გადმოსცემს დედნის შინაარსს. შევადაროთ პწკარედული თარგმანი: მე ერთი ღარიბი ფეიქრის ქალი ვარ. ცხრა წელი ავად ვიყავი, ლოგინად ჩავარდნილი, კიტრით გაყვითლებული. ერთხელ მამაჩემის სახლში მოვიდა ერთი ახალგაზრდა და თავშესაფარი ითხოვა. მან ხმალი ჩამასო და სასწრაფოდ გაიქცა. მე ძალიან ავად ვიყავი. დედამ მალამო დამადო და სრულიად გამოვჯანმრთელდი.

დედანში გვაქვს: „საბერე კიტრით ყვითლად დავსიებულიყავი...“, ხოლო თარგმანში - "...yellow as a cucumber..." - ანუ კიტრით ყვითელი. გამოტოვებულია ერთი მნიშვნელოვანი დეტალი: დედანში ავადმყოფი ქალი შედარებულია „საბერე კიტრს“ (საბერე კიტრი ანუ - სათესლედ გაშვებული კიტრი), რომელიც მოყვითალო ფერისაა. თარგმანში კი, როგორც ჩანს, მთარგმნელი გვერდს უვლის ამ ნიუანსს და „საბერე კიტრს“ თარგმნის, როგორც ჩვეულებრივი კიტრი, რომელიც მწვანე ფერისაა. ამიტომ, ბუნებრივია, მკითხველისთვის თარგმანის ეს მონაკვეთი გაუგებარი იქნება (უცნაურად მოეჩვენება), რატომ არის კიტრი ყვითელი ფერის (აქ ავადმყოფი ქალი არა მარტო ფერით ჰგავს საბერე კიტრს, არამედ დასიებულიც იყო, რაც თარგმანში ასევე გამოტოვებულია). შესაძლოა მ. უორდროპის ასეთი მიდგომა განპირობებული იყოს იმით, რომ მთარგმნელმა „საბერე კიტრის“ ინგლისური შესატყვისი ვერ მოძებნა, ხოლო სიტყვასიტყვითი თარგმანი ასევე უჩვეულო და გაუგებარი იქნებოდა მკითხველისთვის. ამ შემთხვევაში, ალბათ, ჯობდა მთარგმნელს შიდა ტექსტობრივი კომენტარი გაეკეთებინა ან სქოლიოში აეხსნა „საბერე კიტრის“ მნიშვნელობა.

ლოგიკური დეტალია გამოტოვებული შემდეგ მონაკვეთშიც. დედანში ვკითხულობთ: „ვიღაცა ყმაწვილი ჩვენსა სტუმრად მოსულიყო და ჩემთვის ხანჯალი დეცა, მაგრამ აჩქარებით დეეცდინა და შიგ იარაში გეერტყა. ამაზე იარა გამომრწყოდა...”

თარგმანში გვაქვს: "Once there came a youth to my father's house for shelter. He plunged his dagger into me, then fled with haste, and went on his way. I was very sick..."

ეს მონაკვეთი ასე ითარგმნება: ერთხელ ერთი ახალგაზრდა მოვიდა მამაჩემის სახლში და თავშესაფარი ითხოვა. მან ხანჯალი დამარტყა და გაიქცა, მე ძალიან ავად ვიყავი... თარგმანი აქაც სცილდება დედნის შინაარსს. თარგმანში გამოტოვებულია: „მაგრამ აჩქარებით დეეცდინა და შიგ იარაში გეერტყა. ამაზე იარა გამომრწყოდა...” - სწორედ ეს გახდა მიზეზი სნეული ქალის გამოჯანმრთელებისა. თარგმანი კი ბუნდოვანია და მკითხველისთვის გაუგებარია, რამ გამოაჯანმრთელა ქალი.

მ. უორდროპი ზღაპარ „ღვთისავარში” – *”Ghvthisavari” (I am of God)* ორიგინალისეულ ზმნით გამოხატულ მოქმედებას თარგმანში ინგლისურისთვის უფრო ორგანულ ზმნას უნაცვლებს, რადგან იგი უფრო შეეფერება ინგლისური ენის ბუნებას: „ჩემის შიშით მაღლა ფრინველს ვერ გაუვლია და დაბლა ჭიანჭველასა” (აღნიშვ. 36).

თარგმანი: “For fear of me, bird cannot fly under heaven, nor can ant crawl on earth” (p.28). პწკარედი: ჩემი შიშით ცის ქვეშ ჩიტი ვერ ფრენს და ჭიანჭველა მიწაზე ვერ დახოხავს. ვერ გაუვლია ნათარგმნია, როგორც - nor can ant crawl - ვერ დახოხავს. ხოხვა - „crawl“ უფრო შეეფერება ჭიანჭველას გადაადგილებას, ვიდრე ფეხით გავლა - „walk“.

თარგმანი არ ემთხვევა დედანს შემდეგ მონაკვეთში: „ყმაწვილმა იფიქრა თავის გულში: სწორედ ამ ბებრის დაღუპული უნდა იყოს ჩემი ძმა ღვთისავარიო. თქვა ეს; სწვდა ბებერს ყელში, გაუპო მუცელი და ამოიყვანა თავისი ძმა ღვთისავარი და იმისი გოშიები” (აღნიშვ.45).

თარგმანი: “The youth thought to himself: ‘It must have been in this way that this old woman swallowed my brother Ghvthisavari.’ He seized the old woman by the throat, cleft her breast open, and took out Ghvthisavari and his dogs” (p. 38).

დედანში ღვთისავარის ძმა დედაბერს მუცელს გაუპობს და ისე გადარჩენს თავის ძმას, ხოლო თარგმანში იგი მკერდს გაუპობს დედაბერს.

დედანი: „მინამ ღვთისავარი ერთ ლუკმას შესჭამს, ის ერთ ფეშხვას ათავებს” (აღნიშვ. გვ. 44).

თარგმანი: “For every mouthful Ghvthisavari took, she took a basketful” (p. 37). „ფეშხვა” - როგორც თვითონ ლ. აღნიშვლილი გვიმარტავს, ხორცის დიდი ნაჭერია, ხერხემლის გასწვრივ გაჭრილი ხორცის ნახევარი (აღნიშვ. გვ. 117).

მ. უორდროპმა „ფეშხვა“ თარგმნა, როგორც - basketful - სავსე კალათი. თარგმანის პწკარედი შემდეგია: თუ ღვთისავარი ერთ ლუკმას შეჭამდა, დედაბერი ერთ კალათას ათავებდა. ცხადია, თარგმანი არ არის დედნის ადეკვატური, basketful ჯობდა „ხორცის დიდი ნაჭერი“-თ (a big piece of meat) შეეცვალა.

დედანი: „ერთხელ ღვთისავარმა უთხრა თავის უმცროს ძმას: წავიდეთ, ძმაო, და ჩვენ ჩვენი საბედო მოვძებნოთ, სულ ხომ ესე ბერებევით არ ვიქნებითო“ (აღნიაშ. გვ. 43).

თარგმანი: "Once Ghvthisavari said to his younger brother: 'Let us go, brother, and seek our fortunes, we shall become like old women if we live thus.'" (p.35) პწკარედი: ერთხელ ღვთისავარმა უთხრა თავის ძმას: მოდი ჩვენი ბედი მოვძებნოთ, თუ ასე ცხოვრებას გავავგრძელებთ მოხუც ქალებს დავემსგავსებით. „ბერებევით ხომ არ ვიქნებით“ - აშკარაა, რომ მთარგმნელმა ბებრები იგულისხმა ბერების ნაცვლად.

დედანი: „დევს შერჩენოდა სწორედ ის თავი, რომელშიაც სული ედგა. დევსაც ებორგა, ებორგა და ნაპირს გამოსულიყო“ (აღნიაშ. გვ. 37).

თარგმანი: "Now, it was in this head that the soul was placed, so the devi came out on to the shore, full of wrath" (p.29).

დედნის მიხედვით დევმა იწვალა და ისე გამოვიდა ნაპირზე. თარგმანში კი „განრისხებულია“ ჩანაცვლებული. მთარგმნელს დედნის აზრი სწორად არ აქვს გაგებული. იგივე შეიძლება ითქვას შემდეგ მონაკვეთზეც: „იცოდე, თუ პირის ბანაში წყალი სისხლად გექცეს, გაჭირვებაში ვიქნები და მიშველე“ (აღნიაშ. გვ. 43).

თარგმანი: "Know that if the water on the roof changed into blood I shall be in trouble. Come then to my aid" (p. 36).

ამ შემთხვევაში სრულად ვიზიარებთ ლ. თაქთაქიშვილ-ურუშაძის მოსაზრებას: „როგორც ჩანს, მთარგმნელს ფორმა „ბანაში“ ვერ გაუგია და უთარგმნია, როგორც „სახურავი“ (roof) არსებითი სახელიდან „ბანი“ (თაქთაქიშვილი-ურუშაძე 1962: 124).

თარგმანი დაშორდა დედანს ზღაპარ „გულამბარა და სულამბარას“- "Gulambara and Sulambara"- შემდეგ მონაკვეთშიც:

დედანი: „ ... გაიკრა ხმაღს ხელი და როგორც კი უნდა დაეკრა, ქალმა შიშით მწვანე ბალღამი ამოუშვა“ (აღნიაშ. გვ. 57).

თარგმანი: "...stretched forth his sword, and, as he was about to strike, a green stream flowed from the terror – stricken maiden's mouth" (p.48).

დედნის მიხედვით, ქალმა პირიდან „მწვანე ბაღდაძე ამოუშვა“, ანუ შხამი ამოანთხია. თარგმანში კი ბაღდაძის ნაცვლად გვაქვს - green stream, რაც მწვანე მდინარეს ან ნაკადულს ნიშნავს. ჩვენი აზრით, სჯობდა მთარგმნელს „შხამი“ (ინგლ. Poison) გამოეყენებინა დედნის შინაარსის ზუსტად გადმოსაცემად.

მ. უორდროპი ზღაპარში „ორნი ძმანი“ - **"The Two Brothers"** დედანს „აი ამა და ამ ქალაქში წყალი არა აქვთ; საიდან სად მოეზიდებიან თითო ყლუპ წყალს და რა მამასისხლად ჰყიდიან!“ (აღნიშვ. გვ. 59) შემდეგნაირად თარგმნის: "I know a certain town where there is no water, and every mouthful has to be carried a great distance, and an enormous price is paid for it!" (p.50).

ფრაზა- „მამასისხლად ჰყიდიან“ ნათარგმნია როგორც - an enormous price is paid for it - ანუ უზარმაზარ ფასს იხდიან. ვფიქრობთ, თარგმანი მაინც მისაღებია, „მამასისხლად გაყიდვა“ ფრაზეოლოგიური ერთეულია და ის უორდროპმა აღწერითი თარგმანით გადმოსცა.

დედნის აზრი თარგმანში არასწორად არის გადატანილი ზღაპარ „ხელმწიფის შვილის“ - **"The Prince"** - შემდეგ მონაკვეთში:

დედანი: „უმცროსი შვილი მომიკვდა და აი, ამ ორში, რომელიცა გნებავს, ის ამოარჩიეო“ (აღნიშვ. გვ.63).

თარგმანი: "I shall tell her that my youngest son is dead, but that she can take the two elder if she wishes" (p. 53).

დედანში მეფე ერთ შვილს სთავაზობს ბებერს: „ამ ორში, რომელიცა გნებავს, ის ამოარჩიეო“, და არა ორივე შვილს, როგორც თარგმანშია. იგივე მეორდება ზღაპრის შემდეგ მონაკვეთშიც: „ხელმწიფის შვილმა, მიუბრუნდა იმ თავის ბებერს, და უთხრა: ერთი სიტყვა დამრჩა შინ სათქმელი, წავალ და გზაშივე წამოგეწევო. ბებერმაც ნება მისცა“ (აღნიშვ. გვ. 63).

თარგმანში ვკითხულობთ: "When the prince heard this, he went to the witch and said: 'Let me go and have a word with this old woman. I shall over take thee in a minute.' The witch let him go" (p. 53).

დედნის მიხედვით, უფლისწული სახლში წასვლის ნებართვას ითხოვს და არა მოხუც ქალთან საუბარის უფლებას.

დედანი: „კოჭლი დევი რომ ქალაქში მივიდა, იქ ერთი სოვდაგარი შეხვდა. სოვდაგარმა შარი მოუდო და ქოში დაიჩემა. წავიდნენ საჩივლელად. სოვდაგარმა თქვა: ოქროს ქოშები ჩემ ცოლსა ჰქონდა, ეს ერთი ამას მოუპარავსო. კოჭლმა დევმა თქვა, რომ ესე და ესე ვიშოვეთ ეს ქოშიო, - ბევრიც იფიცა, მაგრამ არ დაუჯერეს. ოქროს ქოში სოვდაგარს მისცეს და კოჭლი დევი კი ციხეში ჩააგდეს” (აღნიშვ. გვ. 66).

თარგმანი სცილდება დედანს - გადაკეთებულია: "When he reached the town he met a merchant, to whom he showed the slipper. The merchant complained: 'My wife had golden slippers, thou must have stolen this one.' The devi said that they had found the slipper- he swore, but the merchant would not believe him. He took the slipper, and locked up the lame devi" (p. 57).

თარგმანში გამოტოვებულია ერთი მნიშვნელოვანი დეტალი: „წავიდნენ საჩივლელად”, ასე რომ, კოჭლი დევი სოვდაგარმა კი არ დაიჭირა (როგორც თარგმანშია), სოვდაგარმა დევს უჩივლა და ის ციხეში ჩასვეს.

დედანი: „პური ვჭამოთ, თუნდ არა, ჩვენ მაინც იმას ვერ დავეწევითო...” (აღნიშვ. გვ. 64).

თარგმანი: "Shall we eat bread or shall we set out at once?" (p. 54).

მ. უორდროპმა სიტყვასიტყვით თარგმნა - „პურის ჭამა” - რაც ქართულში, რა თქმა უნდა, მხოლოდ პურის ჭამას არ გულისხმობს, ზოგადად სადილობას, საჭმლის ჭამას ნიშნავს. ალბათ, უცხოელი მკითხველისთვის ცოტა გაუგებარი იქნება ეს გამოთქმა. მის შინაარსს რომ უფრო ღრმად ჩასწვდეს მკითხველი, სასურველია იმის განმარტება, რას გულისხმობენ ქართველები „პურის ჭამაში”.

დედანი: „...მივიდა, ქვაბი ცეცხლიდან გადმოდგა, საჭმელი ამოალაგა და, ცოტად რომ ფერდი ამოიღო, ქვაბი ისევ ცეცხლზე შედგა” (აღნიშვ. გვ. 65).

თარგმანი: "...he came up, lifted the pot off the fire, took some food, and when he had eaten, put the pot back" (p. 56). პწკარედი: მივიდა, ქვაბი ცეცხლიდან გადმოდგა, აიღო ცოტა საჭმელი და როცა შეჭამა, ქვაბი ისევ ცეცხლზე დადგა.

გამოთქმა- „ფერდი ამოიღო“ ვლ. აღნიაშვილის განმარტებით, ნიშნავს- დაღლილობისგან სული მოითქვა ან მოიბრუნა. ამრიგად, ფრაზეოლოგიზმი-„ფერდის ამოღება“ თარგმანში დაიკარგა.

ზღაპარ „კონკიაჟღარუნას“ – „Conkiajgharuna“ დედანში ვკითხულობთ:
„მაგეთი ტანისამოსი ვინ მიაოხრა იმ მზებნელსაო!“ (აღნიაშვ. გვ. 77).

თარგმანი: “Who would give that sun-darkener such robes?” (p.66). „მზებნელი“ იგივეა, რაც „მზედაბნელებული“, რომელიც ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით ნიშნავს-უბედური, ბრმა, მკვდარი [<http://www.ena.ge/explanatory-online>]. ჩვენი აზრით, ამ სიტყვის კონტექსტური მნიშვნელობა უფრო წყველა უნდა იყოს, ანუ მზედასაბნელებელი, სასიკვდილე. მ. უორდროპმა „მზებნელის“ სიტყვასიტყვით თარგმნა სცადა და სრულიად საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვა მიიღო - sun-darkener - რაც ნიშნავს მზის დამბნელებელს და არა მზედაბნელებულს. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში, აღწერითი თარგმანის გამოყენება ჯობდა.

დედანი: „ერთხელ როცა კონკიაჟღარუნა ძროხას მიერეკებოდა, ძროხამ ერთ ბანზე გადაირბინა“ (აღნიაშვ. გვ. 74).

თარგმანი: “Once when Conkiajgharuna was tending the cow, it ran away on to a roof” (p.64).

მ. უორდროპმა „ბანი“-თარგმნა, როგორც roof- სახურავი. ვერ დავეთანხმებით ლ. თაქთაქიშვილ-ურუშაძის აზრს, რომ „მთარგმნელი პრინციპში სწორია, როცა „ბანს“ თარგმნის სახურავად, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ზღაპართან გვაქვს საქმე, ინგლისელი მკითხველი გაოგნებული დარჩება - არ დაიჯერებს, რომ ძროხა სახურავზე დარბის; კომენტარი რომ ჰქონდეს, გასაგები იქნებოდა რა ტიპის შენობაზეა საუბარი“ (თაქთაქიშვილი-ურუშაძე 1962: 125). ჩვენი აზრით, მ. უორდროპმა ამომწურავი კომენტარი დაურთო ზღაპრის ბოლოს, რომლის თანახმად, კავკასიის ზოგიერთ ნაწილში გლეხების სახლები აშენებულია მიწაში და სრულიად შესაძლებელია სახურავზე სიარული. ვფიქრობთ, ასეთი კომენტარი გარკვეულ წარმოდგენას შეუქმნის ინგლისელ მკითხველს, როგორი იყო ქართველ გლეხთა საცხოვრებელი.

დედანი: „კონკიაჟარუნა ხელმწიფემ ცოლად წაიყვანა და იმისი შურიანი დედინაცვალი კი დარჩა ხახამშრალი” (აღნიშ. გვ.78).

თარგმანი: "Conkiajgharuna became the king's wife, and her shameless stepmother was left with a dry throat" (P. 67). „შურიანი დედინაცვალი” ნათარგმნია, როგორც shameless stepmother -უსირცხვილო დედინაცვალი, ხოლო ფრაზას - „დარჩა ხახამშრალი” - მ. უორდროპი კალკირებით თარგმნის: left with a dry throat. ვფიქრობთ, უცხოელი მკითხველისთვის ცოტა გაუგებარი იქნება ეს გამოთქმა, ამიტომ, ჯობდა ადეკვატური ინგლისური ფრაზეოლოგიური ერთეულის დაძებნა ან შინაარსის გადმოცემა.

დედანი: „ნუ ჩასდგები ჩვენს ცოდოში, დიდებულო ხელმწიფე, ინდაური მყავს დამწყვეული და გამექცევაო” (აღნიშ.გვ. 78).

თარგმანი: "Do not blame me, your majesty, it is only a turkey, and it will run away." „ნუ ჩასდგები ჩვენს ცოდოში” თარგმანში გადავიდა, როგორც - Do not blame me, your majesty - რაც ნიშნავს - ნუ გამკიცხავთ, ნუ მისაყვედურებთ. ვფიქრობთ, მთარგმნელს გაუჭირდა გამოთქმის ზუსტი ფრაზეოლოგიური შესატყვისის მოძებნა, ამიტომ მისი გამოტოვება ამჯობინა. როგორც გ. წიბახაშვილი აღნიშნავს: „კარგად გვესმის თარგმნილ ტექსტში ფრაზეოლოგიური მასალის გამოყენების დიდი სირთულე, მაგრამ სიფრთხილე არ უნდა დავიდეს გვერდის ავლამდე” (წიბახაშვილი 2000: 127). ასე, რომ, ჩვენი აზრით, ამ კონკრეტულ შემთხვევაში მთარგმნელს გვერდი კი არ უნდა აევლო და გამოეტოვებინა სათარგმნი ადგილი, მიახლოებით მაინც უნდა გადმოეცა დედნისეული მონაკვეთი.

ზღაპარ „ასფურცელაში” ("Asphurtzela") დედანი არასწორად არის გაგებული შემდეგ ეპიზოდში: „მოვიდნენ ეს ამხანაგები, შემოუსხდნენ მზამზარეულ გაშლილ სუფრას და ქუდები ჭერსა ჰკრეს” (აღნიშ. გვ. 88).

თარგმანი: "The three friends came in, laid the cloth, and made ready their supper. They threw up their caps for joy" (p.78). დედნის მიხედვით, ამხანაგები „შემოუსხდნენ მზამზარეულ გაშლილ სუფრას”, თარგმანის მიხედვით კი - "laid the cloth, and made ready their supper"- ანუ თავად გაშალეს სუფრა და საჭმელიც თავად მოამზადეს.

დედანი: „ძვლის კაცი ხარ თუ ხორცისაო? მოიტა, გადმომილაგე აქეთ ხორცი, ძვლები ვხრა- ძაღლი ხომ არა ვარო, - უპასუხა ასფურცელამ” (აღნიშ. გვ. 84).

თარგმანი: “Art thou an eater of bones of flesh?” “Pass me over the flesh, why should I eat bones? Am I a dog that I should do this?” answered Asphurzela” (p. 74).

დედნის მიხედვით, ასფურცელა ამბობს: „ძვლები ვხრაო“, თარგმანში კი გვაქვს - why should I eat bones - რატომ უნდა ვჭამო ძვლები. დედნის აზრის ზუსტად გადმოსაცემად უკეთესი იქნებოდა მთარგმნელს გამოყენებინა სიტყვა - gnaw- ხვრა.

უზუსტობაა გაპარული შემდეგ მონაკვეთშიც: „ფასკუნჯს ეს ლუკმა ძლიერ ეგემრიელა და არ შეჭამა - ენის ძირში შეინახა” (აღნიაშვ. გვ. 92).

თარგმანი: “This morsel was so very tasty that the griffin did not eat it, but kept it on the tip of her tongue” (p.82). თარგმანის მიხედვით, ფასკუნჯმა ხორცი ენის წვერზე შეინახა. უფრო ლოგიკური იქნებოდა under her tongue- ენის ქვეშ შეინახა.

ქართული ფრაზეოლოგიზმი „ტირის, რა ტირის, რომ იმისი ტირილი ცასა სწვდება” (აღნიაშვ. გვ. 82) მ. უორდროპმა შემდეგნაირად თარგმნა:

“She wept bitterly, her tears flowed until they reached to heaven” (p. 71). თარგმანის პწკარედი: ის მწარედ ტიროდა, მისმა ცრემლებმა ზეცას მიაღწია. ამ შემთხვევაში მთარგმნელი კალკირებით ცდილობს გამონათქვამის თარგმნას, თუმცა იქვე მის განმარტებასაც გვაძლევს.

ზღაპარ „მეცხვარე და იღბლიანი ყმაწვილის” (“The Shepherd and the Child of Fortune”) დედანში კვითხულობთ: „გავიდა ერთი წელიწადი. მეცხვარემ იდროვა, ჩაისვა უბეში ერთი ციკანი და წამოვიდა. მოალოგინა კაცის ცოლი, მაგრამ იმისი შვილი თვითონ ჩაისვა უბეში და თავისი ციკანი მელოგინეს შეუგორა საბანქვეშ. გამოუხურა მეცხვარემ მაშინვე მელოგინეს კარი და გასწია. ერთი-ორი კვირის სავალი რომ გაიარა, ყმაწვილი უბეში აღარ უდგებოდა, ძირს ჩამოსვლას სთხოვდა. ჩამოსვა მეცხვარემაც ძირს და ფეხით თან გაიყოლა” (აღნიაშვ. გვ. 96).

თარგმანი: “A year passed; the shepherd delayed some time, put in his pocket a little goat, and went away. The woman was in bed, and the shepherd put her child in his pocket, and wrapped the young goat up in the bedclothes. Then the shepherd opened the bedroom door and went away. When he had gone for one or two weeks the child would not stay in his pocket any longer, and asked to be put down. The shepherd put him down, and he walked by himself (P. 85). „ჩაისვა უბეში ერთი ციკანი” ნათარგმნია, როგორც - “put in his pocket a little goat” - რაც ნიშნავს - ჩაისვა პატარა თხა ჯიბეში. იგივე უზუსტობა მეორდება

შემდეგ წინადადებაშიც: „მოალოგინა კაცის ცოლი, მაგრამ იმისი შვილი თვითონ ჩაისვა უბეში და თავისი ციკანი მელოგინეს შეუგორა საბანქვემ“- ”The woman was in bed, and the shepherd put her child in his pocket, and wrapped the young goat up in the bedclothes”. პწკარედი: ქალი იყო ლოგინში. მეცხვარემ ჩაისვა მისი შვილი ჯიბეში, ხოლო პატარა თხა გაახვია სახვევებში. გარდა იმისა, რომ სიტყვა „მოალოგინა“ არასწორად არის გაგებული - ”The woman was in bed” - ანუ ქალი იყო ლოგინში, მთარგმნელმა ორივე შემთხვევაში „უბეში ჩაისვა“ თარგმნა როგორც - ჯიბეში ჩაისვა, რაც არასწორია და ამავე დროს, შეუძლებელიცაა - ვერც ბავშვს და ვერც ციკანს მეცხვარე ჯიბეში ვერ ჩაისვამდა.

მ. უორდროპი მართლაც განსაკუთრებული სიზუსტით გადმოსცემს ქართული სამყაროსათვის ნიშნულ და მისი თავისთავადობისათვის დამახასია-თებელ ყოფით დეტალებს. ზღაპარ „ორი ქურდის“ (*“The Two Thieves”*) დედანში ვკითხულობთ: „გამარჯობა, - გაგიმარჯოსო, უთხრეს ერთმანეთს“ (*აღნიშვ. გვ.99*).

თარგმანი: “God give thee victory! Mayst thou be victorious!’ said they one to another” (p. 88). პწკარედი: ღმერთმა მოგცეს გამარჯვება! შენც გამარჯვებული იყავი-უთხრეს მათ ერთმანეთს. მთარგმნელს შეეძლო ინგლისური მისალმების ფორმები გამოეყენებინა, თუმცა ამ შემთხვევაში ქართული მისალმების ფორმა (მისი შინაარსის გადმოცემა) ამჯობინა.

თარგმანი სცილდება დედანს შემდეგ მონაკვეთში: „მივიდა მერე სახლში და თავისი ამხანაგის ცოლს უამბო, რაც ამბავი მოჰხდენოდათ. ცოცხალი რომ გამეშვა და ესე არ მოვქცეულიყავ, იმას რო ამოიყვანდნენ, ყველაფერს ათქმევინებდნენ და მაშინ ყველას დაგვიჭერდნენ და დაგვხოცდნენო“ (*აღნიშვ. გვ. 101*).

თარგმანი: “He went home and told his late companion’s wife. He warned her to be very careful, and not to go out, for if it was discovered that they were interested in the dead men, they would most certainly be seized and killed” (p. 90). პწკარედული თარგმანი: ის წავიდა სახლში და თავის მეგობრის ცოლს უთხრა. მან დაარიგა ის, რომ ყოფილიყო ძალიან ფრთხილად და გარეთ არ გასულიყო, რადგან თუ აღმოაჩენდნენ, რომ ისინი დაინტერესებული იყვნენ ამ მკვდარი კაცით, მათ დაიჭერდნენ და დახოცავდნენ.

დედანში ქურდი მეგობრის ცოლს მიზეზს უმხელს, რატომ მოკლა მისი ქმარი, თარგმანში მსგავსი არაფერი წერია, ქურდი მხოლოდ აფრთხილებს მეგობრის ცოლს და თავშეკავებას სთხოვს.

დედანი: „სამოთხეში რომ მივალთ, დაკვრის ხმა შემოგესმებათ; გავაღებ მაშინვე კიდობნებს და თქვენ თვალეზღაბუქული უნდა ამოცვივდეთ და თამაშობა დაიწყოთ“ (აღნიშვ. გვ. 107).

თარგმანი: “ ‘When we get to Paradise you will hear a noise, then the coffins will open, and your eyes will view a glorious scene’ (p. 96). თარგმანის პწკარედი: როცა სამოთხეში მივალთ, ხმაური შემოგესმებათ, კიდობნები გაიღება და თქვენ თვალწინ მშვენიერი სურათი გადაიშლება.

მ. უორდროპი „მზეთუნახავის“ თარგმანის სხვადასხვა ვარიანტს გვთავაზობს: “a maiden fair as the sun” (“Fate“- „ბედი“) “beautiful as the sun” “sunlike maiden” (“Gulambara and Sulambara“ – „გულამბარა და სულამბარა“).

მ. უორდროპი, ძირითადად, ცდილობს სიტყვასიტყვით გადაიტანოს (ან ახსნას) ქართული გამოთქმები, იდიომები, რადგან, როგორც ლ. თაქთაქიშვილი-ურუშაძე შენიშნავს, „შესაძლებელია, ის ამას შეგნებულად ჩადიოდეს ქართული კოლორიტის, ქართული სულის უკეთ შენარჩუნების მიზნით“ (თაქთაქიშვილი-ურუშაძე 1962: 125).

სიტყვების, ფრაზის, მხატვრული სახის გადმოტანა ერთი ენიდან მეორეში შეიძლება ფუნქციური დატვირთვის ხარჯზეც მოხდეს. შეიძლება, დაიკარგოს ის ეროვნული იდეოლოგია, რაც ამა თუ იმ ენაში დევს. ვ. ი. ვოლოშინოვი აღნიშნავდა, რომ სიტყვას სინტაქსური, სემანტიკური და პრაგმატული მნიშვნელობები აქვს. „სიტყვის“ (ან „სიტყვების“) აღქმა ინდივიდუალურია და მას ინდივიდუალური დანიშნულება აქვს. არაერთი მეცნიერი, როცა სიტყვის ფუნქციას იკვლევს, მიუთითებს, რომ: „სიტყვას თან ახლავს იდეოლოგია. იგი შეიძლება მათ პროცესად აღვიქვათ მხატვრობაში, მუსიკალურ ხელოვნებასა თუ საქციელში, რაც შეიცავს შინაგან მნიშვნელობას, რომლის გარეშეც ვერ ფორმირდება ჩვენი ცნობიერება,” ანუ ენის ფილოსოფია მთლიანად სიტყვებს ემყარება, რაც, თავის მხრივ, არის მყარი ნიშანი, სიმბოლო ან ფორმულა, რომელიც ნორმად ყალიბდება (Волошинов: 1929).

მარჯორი უორდროპი სრულად გრძნობდა მარტივი ზღაპრის ფაბულაში, მის ფრაზეოლოგიურ ერთეულებსა და სხვადასხვა სახელწოდებებში ქართველი კაცისათვის მნიშვნელოვან და უცილობელ სახასიათო ნიუანსებს. ცხადი ხდება მარჯორი უორდროპის მისწრაფება, ფორმალური და შინაარსობრივი მხარე ზუსტად გადმოიტანოს და ისე მიაწოდოს მკითხველს, ზოგჯერ კი, როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან დავინახეთ, ნათარგმნი ტექსტი სცილდება დედანს, რადგან დედანი არასწორად არის გაგებული. დღეს საყოველთაოდ აღიარებული და მიღებულია მოსაზრება, რომ ნებისმიერ ენაში დევს ნიშანი – როგორც ენის მნიშვნელოვანი ელემენტი. ი. ლოტმანი ამას სემიოლოგიურ ურთიერთმოქმედებას უწოდებს (Лотман 1985: 228). ეს იმას ნიშნავს, რომ ენის იდეოლოგიური მხარე იმდენად ფაქიზია, რომ არ შეიძლება არც ერთი დეტალის გამოტოვება, რომელიც კოლორიტს ანიჭებს ნებისმიერ ფრაზას, თქმას თუ პერსონაჟს.

მარჯორი უორდროპი მაქსიმალურად ცდილობს ქართული ყოფითი რეალიები უხვად მიაწოდოს ევროპულ საზოგადოებას, ზღაპრების ტექსტისეული ეთნოგრაფიული სახელდებანი უთარგმნელად არის გადატანილი სათანადო ახსნა-განმარტებებით.

როგორც შ. შტოიერი აღნიშნავს, „მარჯორის მიერ ქართული მხატვრული ლიტერატურის, ფოლკლორული თუ ეთნოგრაფიული ნაწარმოების თარგმნის ძირითადი მიზანი ინგლისში ქართული ლიტერატურისა და კულტურის პოპულარიზაციაა, თანამემამულეთათვის იმ ესთეტიკური სიამოვნების მინიჭება, რაც თავად განიცადა ქართული ენის დაუფლებისა და ქართულ ენაზე დაწერილი ნაწარმოებების წაკითხვის შემდეგ” (შტოიერი 2012:168).

გ. გაჩეჩილაძე მხატვრული თარგმანისა და ისტორიის მიმოხილვისას, მართებულად შენიშნავს: „მთარგმნელი სიტყვებისა და წინადადებების თარგმანს კი არ უნდა გაჰყვეს, არამედ დედნის სულის აზრისა და გრძნობის გადმოცემას, თარგმნის ფორმაც ამავე პრინციპით უნდა შეირჩეს” (გაჩეჩილაძე 1934: 113).

სწორედ ასეთი სულისკვეთებით არის აღსავსე მარჯორი უორდროპის ქართული ხალხური ზღაპრების თარგმანები. იგი ზედმიწევნით ცდილობს დედნისეული ეროვნული კოლორიტის, ზღაპრის სულის, აზრისა და გრძნობის გადმოცემას. თარგმანების დედანთან შეპირისპირებითი ანალიზით ირკვევა ისიც,

რომ მთარგმნელი იშვიათად უვლის გვერდს სათარგმნელ სიტყვას, შესაბამისი ლექსიკური ერთეულით ცდილობს დედნისეული ტექსტის მეტ-ნაკლებ ადეკვატურ გამოხატვას. თუმცა, როგორც დავრწმუნდით, გარკვეულ უზუსტობებს ვერ აღწევს თავს.

გ. 2. დევიდ ჯ. ჰანტის თარგმანები

1999 წელს გამომცემლობა „მერანმა“ გამოსცა 60 ქართული ხალხური ზღაპრის დევიდ ჯ. ჰანტისეული ინგლისური თარგმანების კრებული. დევიდ ჯ. ჰანტი ცნობილი ფოლკლორისტი, კავკასიოლოგი და ლიტერატურათმცოდნეა, რომელიც ორმოც წელზე მეტი ბრიტანეთის ფოლკლორული საზოგადოების ერთ-ერთი აქტიური წევრია და კავკასიურ ფოლკლორს არაერთი გამოკვლევა მიუძღვნა. ის კარგად იცნობს კავკასიის ხალხთა ადათ-წესებსა და ენათა მრავალფეროვნებას და ცდილობს, სხვებსაც დაანახოს, თუ როგორი მრავალეროვანი, კულტურული და ენობრივად განსხვავებულია ეს რეგიონი.

აღნიშნული კრებულის წინასიტყვაობის თანახმად, დ. ჰანტის თარგმანები ნ. დოლიძის რუსული თარგმანების მიხედვით შესრულდა. თარგმანს დართული აქვს უცხო სიტყვების და ფრაზების განმარტებები, წიგნს ბოლოში ერთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია თითოეულ ზღაპარზე (დედნის სახელწოდება, როდის, სად და ვის მიერ არის ჩაწერილი).

ცნობილია, რომ თარგმანის თარგმანი ეროვნული კოლორიტის წაშლის ერთ-ერთი მიზეზია, რადგან ასეთ შემთხვევაში დედნისეულ სათარგმნ ტექსტს დისტანციურად და სიღრმისეულად უფრო დაშორებული ვართ. დ. ჰანტი ეროვნული კოლორიტის შენარჩუნებას მაქსიმალურად ცდილობს - ქართული ქართული ხალხური ზღაპრის პერსონაჟების სახელები და რეალიები ხშირად უთარგმნელად გადააქვს: „Ggveleshapi“, „Paskundzhi“, „Ketsi“, „Maneti“, „Tone“, „Matsoni“ და სხვ.

ჰანტისეულ თარგმანებში აშკარად იგრძნობა რუსული თარგმანის ზეგავლენა. მაგალითად: „He did not want to do anything, nor was he able to earn a single **five-kopek**

piece“ (Hunt 1999: 219); “But how dare you bawl your ‘ku-ka-re-u’ at midnight....” (გვ. 223) (მდრ. რუს.кукареку“, ქართ. ყიყლიყო“, ხმაბაძვითი სიტყვა-წარმოება).

დევიდ ჯ. ჰანტი „დევს“ თარგმნის როგორც **dev** (რუს. дэв). სხვა შემთხვევაში იქნებოდა **devi**. გვხვდება ასევე seven-headed dev, twelve-headed dev, nine-headed dev (“Ivan- Dawn”, გვ.13,14,15).

საყურადღებოა სპეციფიკური ქართული ხატოვანი გამოთქმების ჰანტი-სეული თარგმანიც, რომლებიც მას, ძირითადად, კალკირებით გადააქვს:

“...you should know that if anything happens to them, your head will answer for it” (გვ.14). თარგმანის პწკარედი: იცოდე, თუ რამე დაემართებათ, საკუთარი თავით აგებ პასუხს.

რუსული თარგმანი: „...знай - случится что с ними, с головой мне ответишь” („Иван-Заря”, **Грузинские народные сказки: 1971**).

“Something smells of a son of Adam” (გვ.20). თარგმანის პწკარედი: ადამის ძის სუნნი მცემს. რუსული თარგმანი: „Что-то сыном Адама пахнет, - говорит” (“Сказка Про Царя Несмеяна”, **Грузинские народные сказки: 1971**).

“...she cries and cries, she grieves, the whole earth burns with pity for her” (გვ. 21). თარგმანის პწკარედი: ტირის, ტირის, მთელი დედამიწა იწვის მისი ცოდვით. „...плачет, плачет, убивается, вся земля жалостью к ней горит” (“Сказка Про Царя Несмеяна”, **Грузинские народные сказки: 1971**).

“Here even a fly does not buzz, so much do they all fear me, so what brought you here?” (გვ.28). თარგმანის პწკარედი – აქ ბუზიც კი არ ბზუის, ყველას ისე ეშინია ჩემი, აქ რამ მოგიყვანა?

რუსული თარგმანი: „Здесь и муха не прожужжит - так все меня боятся, а тебя что привело?” („Пашкунджи”, **Грузинские народные сказки: 1971**).

ქართულ ხალხურ ზღაპრებში ფაბულა ორი ქურდის შესახებ ძალიან კოლორიტულია. სხვა საყოფაცხოვრებო-ნოველისტური ზღაპრების მსგავსად, ესეც ხალხის ყოფა-ცხოვრებას ასახავს. საყოფაცხოვრებო ზღაპრის პერსონაჟთა ფუნქციას, მათ დადებითსა თუ უარყოფით სახეს მათივე სოციალურ-კლასობრივი მდგომარეობა განსაზღვრავს. მშრომელი ხალხი თავის შემოქმედებაში საკუთარ კლასობრივ თვალსაზრისსა და იდეას ასახავს და ამდენად მოპირისპირე სოციალური ძალების წარმომადგენლებს უარყოფით პერსონაჟთა შორის აქცევს. ასეთებს შორის ხშირად

წარმოდგენილია უსამართლო და ბოროტი ხელმწიფე, რომელსაც ხალხის წრიდან გამოსული რიგითი ადამიანები (ამ შემთხვევაში მოხერხებული ქურდი) გონებამახვილობის წყალობით ხშირად ამარცხებენ.

ზღაპარ „ორი ქურდის“ დიალოგები, პერსონაჟთა ხასიათები, ცოცხალი იუმორი და სატირული განწყობა რეალისტურად ასახავს ხალხის ყოფას. ზღაპარი მოგვითხრობს ამბავს ორ მოხერხებულ ქურდზე, რომლებმაც მეფის ხაზინა გაძარცვეს. განრისხებული მეფე ცდილობს მათ დაჭერას. მათ ხაფანგს დაუგებენ. ერთ-ერთი ქურდი ხაფანგში გაებმება, მას მეორე ქურდი თავს მოაჭრის, რომ ცოცხლად არ ჩაუვარდეს ხელში მეფის ყარაულებს. მკვდარი ქურდის გვამი ქალაქგარეთ გაიტანეს და იქ დააგდეს, თან ყარაულები დაუყენეს. ქურდმა მოახერხა და მეგობრის გვამი მოიპარა და გადამალა. მეფემ ვერაფრით მოახერხა ქურდის ხელში ჩაგდება. ბოლოს გამოაცხადა: თუ ის ქურდი მოვა ჩემთან, არას ვერჩი და ჩემს ქალსაც ცოლად შევრთავო. ასე შეირთო ცოლად ქურდმა მეფის ქალიშვილი.

თარგმანი, როგორც გ. წიბახაშვილი ამბობს, ერთ ენაზე შექმნილი ტექსტის მეორე ენაზე ამეტყველება და მთავარი დედნისა და თარგმანის იდენტურობაა. თარგმანში შენარჩუნებული უნდა იქნას შინაარსი, სტილი, სიუჟეტი, სახეები, კოლორიტი, ენობრივი თავისებურებები. მაგრამ, როგორც ვიცით, იდეალური თარგმანი არ არსებობს, თარგმნის პროცესში ყოველთვის რაღაცას კარგავს დედანი. ეს დანაკარგი განსაკუთრებით დიდია, თუ საქმე გვაქვს თარგმანის თარგმანთან. როდესაც თარგმანი შესრულებულია შუალედური ენიდან, თარგმანს პირველწყაროდან მოაქვს მხოლოდ ზოგადი ნიშნები: შინაარსი, სიუჟეტი, სახელები, ყოფითი რეალიები და სხვ., ენობრივი მასალა კი სულ სხვაა. როდესაც ვაფასებთ თარგმანის თარგმანს, შედარება ხდება პირველ თარგმანთან (**წიბახაშვილი 2000: 111**).

იმის გასარკვევად, თუ რამდენად შესაძლებელია შუალედური ენიდან შესრულებული თარგმანის დედანთან მიახლოება, ზღაპარ „ორი ქურდის“ ნ. დოლიძისეული რუსული და დ. ჯ. ჰანტის ინგლისური თარგმანების დედანთან შეპირისპირებით შევეცდებით. აქვე დავძენთ, რომ ნ. დოლიძის თარგმანის წყარო ვლ. აღნიაშვილის კრებულია.

„ორი ქურდი“- ”The Two Thieves” - ”Два вора”

„- გამარჯობა,- გაგიმარჯოსო, უთხრეს ერთმანეთს” (აღნიშ. გვ.99).

რუსული თარგმანი:

„Здорово!” „Здравствуй!” (Глonti 1984: 69).

ინგლისური თარგმანი:

”Good health!” “Hullo!” (Hunt 1999: 205).

დედანიშია „გამარჯობა” და არა „ჯანმრთელობა” (რუს. Здорово). აშკარაა, მთარგმნელმა მისაღმების ფორმა რუსულიდან კალკირებით გადმოიღო და ვერ გაითვალისწინა, რომ საქართველოში ერთმანეთს ასე არ ესალმებიან.

გაცნობის შემდეგ უფროსი ქურდი პატარა ქურდს სთავაზობს, აბა, მაჩვენე, როგორი ქურდობა შეგიძლიაო. პატარა ქურდმა იუარა, დიდი ქურდი შენ ხარ და ჯერ შენ მაჩვენე შენი ხელობაო. დიდი ქურდიც დაეთანხმა:

„აი, ავალ მე ეხლა ამ ალვის ხეზე და იმ მტრედს ისე დავაგლეჯ ბოლოსა, რომ მტრედმა ვერ გაიგოსო. თქვა და გასწია.

ესე ნახევრობამდის რომ ავიდა, პატარა ქურდი ჩუმ-ჩუმად ალვის ხის ქვეშ მიიპარა, აცოცდა ისიც ალვის ხეზე და როცა დიდი ქურდი მტრედს ბოლოს აგლეჯდა, ამ დროს პატარა ქურდმა დიდ ქურდს პერანგის ამხანაგი ჩაადრო და მარდად ძირს ჩამოვიდა. როცა დიდი ქურდიც ძირს ჩამოვიდა და დიდგულად მტრედის ბოლო აჩვენა, პატარა ქურდმაც გაიკრა ჯიბეს ხელი და პერანგის შემდეგი უჩვენა. დიდმა ქურდმა ეს რომ ნახა, პირში ჩალაგამოვლებული დარჩა” (აღნიშ.გვ. 100).

რუსული თარგმანი: ”-Я влезу на этот тополь, подкрадусь к голубю и так повыдергиваю у него весь хвост, что он и не заметит. Сказал и полез на дерево.

Не дополз и до половины, как малый вор тихонько подкрался к дереву, взобрался на него и, пока большой вор выдергивал голубью хвост, успел снять с него штаны. Снял, спрятал в карман и тихонечко слез с дерева. Слезает с дерева и большой вор, показывает малому вору голубиный хвост, хвастается, а малый вор вытащил из кармана штаны и подает большому. Остался большой вор в дураках” (გვ. 69).

ინგლისური თარგმანი რუსულ თარგმანს სიტყვასიტყვით იმეორებს:

“ I will climb up that poplar tree. I will steal up to the dove and pull out all his tail, so that he does not notice it.”

He spoke and climbed the tree.

He had not crept even half way when the Small Thief quietly stole up to the tree, climbed up on it and, while the Big Thief was pulling out the dove's tail, he succeeded in taking the trousers off him. He took them off, hid them in his pocket and quietly climbed down from the tree. The Big Thief also climbs down from the tree, and he shows the dove's tail to the Small Thief. He is very proud of it, but the Small Thief pulls the trousers out of his pocket and gives them to the Big Thief. The Big Thief has been made to look a fool” (გვ. 206).

დედანშია „პერანგის ამხანაგი ჩააძრო“, რუსულ თარგმანში გვაქვს - ”успел снять с него штаны” (штаны ნიშნავს შარვალს, ქვედა საცვალს), ხოლო ინგლისურში- „he succeeded in taking the trousers off him“. მთარგმნელმა „პერანგის ამხანაგი“ ჩაანაცვლა „შარვლით“- trousers. „პერანგის ამხანაგი“ ევფემიზმია და ნიშნავს „ქვედა საცვალს“ (ნეიმანი 1978: 559). შესაძლოა, მთარგმნელმა „პერანგის ამხანაგი“ ჩათვალა, რომ იყო შარვალი ან შეგნებულად შეცვალა. ერთი შეხედვით, თითქოს ეს უმნიშვნელო ცვლილებაა, მაგრამ თუ დავაკვირდებით, თარგმანში განსხვავება საგრძნობია. პატარა ქურდი იმდენად მოხერხებული იყო, რომ დიდ ქურდს, შარვლის შიგნით რაც ეცვა, ისე მოჰპარა, რომ მან ვერაფერი გაიგო.

დედნისეულ გამოთქმას „პირში ჩალაგამოვლებული დარჩა“, რაც ნიშნავს მოტყუებული, იმედგაცრუებული, ნ. დოლიძემ რუსული შესატყვისი მოუძებნა- ”Остался большой вор в дураках”. რაც შეეხება ინგლისურ თარგმანს, დევიდ ჰანტი გამოთქმის შინაარსის გადმოცემას ცდილობს - ”The Big Thief has been made to look a fool”.

ინგლისურ თარგმანში კიდევ ერთი უზუსტობაა: თქვა და გასწია რუსულ თარგმანში გადავიდა, როგორც Сказал и полез на дерево, ხოლო ინგლისურში- He spoke and climbed the tree, ანუ - მან ილაპარაკა (და არა თქვა) და აცოცდა ხეზე. დ. ჰანტთან რუსული თარგმანი არასწორად არის გადმოცემული, ზმნა spoke - ის (speak, spoke - საუბარი, ლაპარაკი) ნაცვლად მთარგმნელს ჯობდა გამოეყენებინა said - თქვა. Сказал и полез на дерево შეიძლება ითარგმნოს შემდეგნაირად: He said and climbed the tree - ანუ თქვა და აცოცდა ხეზე.

დედანი: „მაშინ პატარა ქურდმა არც აცივა, არც აცხელა, ჰკრა ხანჯალი და თავის ამხანაგს თავი გააგდებინა” (გვ.101).

რუსული თარგმანი: "He стал он долго думать - полоснул большого вора кинжалом, отрезал ему голову..." (Глonti 1984: 70).

ინგლისური თარგმანი:

"He did not stop for long to think. He struck the Big Thief with his **khanjali**, cut off his head..." (გვ. 207).

ქართული იდიომის - „არც აცეცა, არც აცხელა“ (რაც სწრაფად, დაუყოვნებლივ რაიმეს კეთებას ნიშნავს) განმარტება მოგვცა რუსულ თარგმანში მთარგმნელმა, შესაბამისად, ინგლისურ თარგმანშიც ასევეა გადმოტანილი (აზრი სწორად არის გადმოცემული).

დედანი: „მე შევიტყვე, მშველი დაგიკარგავს და რას მომცემ, რომ იმისი დამჭერი გიპოვნო“ (გვ.105).

რუსული თარგმანი:

” –Узнала я, что ты лань свою потерял. Что дашь, если отыщу того, кто ее убил?” (გვ. 74).

ინგლისური თარგმანი:

”I learned that you have lost your doe. What will you give me if I track down the one who killed it?” (გვ. 210).

დედანიშია - „რას მომცემ, რომ იმისი დამჭერი გიპოვნო“, და არა, ვინც მოკლა, (არავინ იცის, რომ შველი მოკლეს, ის დაიკარგა) როგორც რუსულ და ინგლისურ თარგმანებში გვაქვს. დ. ჯ. ჰანტი ზუსტად მიჰყვება რუსულ ტექსტს. რუსულ თარგმანში გაპარული უზუსტობები მეორდება ინგლისურ თარგმანშიც.

დედანი: „შვილო, დედაშვილობას, თუ გაქვს ერთი ნაჭერი მშვლის ხორცი, ნუ დამიჭერ, ავადმყოფისთვის წამლად მასწავლესო! (გვ. 106).

რუსული თარგმანი:

”-Дочка, нет ли у тебя кусочка мяса лани, дай для больного, ради всего святого” (გვ. 74). დედანიშია - „ნუ დამიჭერ“ - ანუ - ნუ დაგენანება და არა, ყველა „წმინდანის გულისთვის“, როგორც ნ. დოლიძემ თარგმნა რუსულად.

შესაბამისად ასევეა (არასწორად) გადატანილი ინგლისურ თარგმანშიც:

”Little daughter, don't you have a little piece of doe's meat, give it to me for a sick man for the sake of all the saints” (გვ. 210).

იდიომატური გამოთქმა „ტირილით გული მოიოხა“ (გვ. 102)- ანუ ტირილით გული იჯერა - ნათარგმნია რუსულად: "облегчила сердце" (გვ.72), ინგლისურად: "lightened her heart" (გვ. 208). აქ, შეიძლება ითქვას, რომ დედნის შინაარსი ორივე (რუსულ და ინგლისურ) თარგმანში ზუსტად არის გადმოცემული.

დედანი: „გაიგო ეს ამბავი პატარა ქურდმა, გაიგდო წინ ვირი და იქვე, ერთ ახლო სოფელში გადვიდა. გამოაცხოზინა იქ ნაზუქები, ქადები, იყიდა თავი ღვინო, მოახარშვინა ქათმები, ინდაურები, ჩაალაგა ხურჯინში, გადაჰკიდა ვირსა და გზას გაუდგა. მივიდა იმ ადგილას, სადაც მეფის დაყენებული ყარაულები იყვნენ და შესძახა: სტუმარი არ გინდათო? შორ გზას მივალ, ამაღამ აქ გამათენებინეთ, მეშინია, ვირი არავინ მომპაროს და კაი ვახშამს გაჭმევთ. ყარაულებს ვახშმის ხსენებაზე ციმციმელა მოუვიდათ“ (გვ.102).

რუსული თარგმანი: "Узнал про это малый вор, взял осла и погнал его за город. Пришел, остановился недалеко в деревне. Накупил печенья, варенья всякого, наварил кур, индюков, не забыл и вина, уложил все это в хурджин, положил на осла и направился прямо к царским караульным. Подошел и кричит: -Гостя не принимаете? Дальний путь держу, боясь, как бы ночью не ограбили, пустите переночевать, хорошим ужином угощу. Как услышали караульные про ужин –свело у всех животы, пустили его" (გვ. 72).

ნ. დოლიძე რეალიების შენარჩუნებას ცდილობს და ისინი ძირითადად, უთარგმნელად გადააქვს. მაგალითად, ხურჯინი - хурджин; თუმცა ნაზუქები და ქადები თარგმნა, როგორც печенья, варенья, - ანუ რუსული ეკვივალენტით არის ჩანაცვლებული. თარგმანში გაპარულია ერთი უზუსტობა. დედანში გვაქვს: „ყარაულებს ვახშმის ხსენებაზე ციმციმელა მოუვიდათ“, ანუ ყარაულებს ვახშმის ხსენებაზე პირში ნერწყვი მოადგათ. რუსულად აღნიშნული წინადადება ასეა ნათარგმნი: „свело у всех животы“, ანუ მუცლის ყურყური დაეწყით. რუსული თარგმანის უზუსტობას იმეორებს ინგლისური თარგმანიც "it gave them all cramps in their stomachs". ფრაზა „ციმციმელა მოუვიდათ“ რუსულად შეიძლება თარგმნილიყო, როგორ „слюньки потекли“, ხოლო ინგლისურად- "it made their mouths water". დევიდ ჯ. ჰანტს რეალია „ხურჯინი“ ნ. დოლიძის მსგავსად უთარგმნელად არ გადააქვს და მას უნაცვლებს saddlebag -ანუ საპალნე, უნაგირზე გადასაკიდებელი ჩანთა, ნაზუქებს

და ქაღებს კი სიტყვასიტყვით თარგმნის რუსულიდან печенья, варенья всякого ინგლ: pastries, and all kinds of preserves: pastries - საკონდიტრო(ფქვილის) ნაწარმი, preserves - კონსერვები (მურაბები).

ინგლისური თარგმანი: “The Small Thief learned about this, so he took a donkey and drove outside the town. He came and stopped not far away in the village. He bought pastries, and all kinds of preserves. He cooked chickens, turkeys, and he did not forget wine too; he put it all in his saddlebag, placed it on the donkey and set out straight towards the king’s guards. He approached and shouts, “Will you receive a guest? I have a long journey, and I am afraid in case I am robbed in the night. Let me spend the night here, and I will treat you to a good supper. When the guards heard about supper, it gave them all cramps in their stomachs, and they allowed him to stay“ (გვ. 208).

ნ. დოლიძისა და დევიდ ჯ. ჰანტის თარგმანების დედანთან შეპირისპირებამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ თარგმანი უნდა შესრულდეს უშუალოდ პირველწყაროდან, რათა შენარჩუნებული იქნას დედნის ენობრივ-სტილისტური თავისებურებები, ეროვნული კოლორიტი, თუმცა თარგმანის თარგმანსაც თავისი ღირებულება და დანიშნულება აქვს, მაგრამ უფრო ნაკლები, ვიდრე უშუალოდ დედნიდან შესრულებულ თარგმანს. მიგვაჩნია, რომ ხარვეზების მიუხედავად, დ. ჯ. ჰანტის თარგმანები საინტერესო და ინფორმაციული იქნება ქართველი და ინგლისურენოვანი ფოლკლორის სპეციალისტებისა და ასევე დაინტერესებული მკითხველისათვის.

დ. ჰანტის მიერ თარგმნილი ქართული ხალხური ზღაპრებიდან მხოლოდ ერთი თარგმანის ანალიზით შემოვიფარგლეთ, რადგან მსგავსი, იდენტური მთარგმნელობითი ცდომილებანი (რაც „მეორეული დედნის“ (ქართულიდან რუსულად თარგმნილი ტექსტის) გამოყენებით არის გამოწვეული) თითქმის ყველა ზღაპარში მეორდება და მათი ანალიზი არაფერს მოგვცემდა ახალს – არაორდინალურს.

თავი მესამე

ქართველი მთარგმნელების მიერ თარგმნილი ქართული

ხალხური ზღაპრები

ხალხური ზღაპარი ეთნოკულტურული წარმოდგენების უმთავრესი ნარატივია. საუკუნეების მანძილზე იგი ადამიანთა ცხოვრების აუცილებელი ნაწილი იყო. მათში მოხდა არქაული წარმოდგენების აკუმულირება. დღეს ხალხურ ზღაპარს სულიერი და მატერიალური რეპრეზენტაციის დანიშნულება აქვს, რაც ენის სამყაროს, მის ანთროპონიმებს, ტოპონიმებს, კულტურულ კლიშეებს, კომუნიკატივებს და კონცეპტებს აერთიანებს. ეს განაპირობებს ამ ჟანრის სიცოცხლისუნარიანობას. ამიტომ მიიჩნევა, რომ საჭიროა ზღაპრის შენახვა, შესწავლა, მისი თარგმნა სხვა ენებზე.

როგორც ცნობილია, ყოველი თარგმანი ნაწარმოების ფუნქციონირების არეალის ერთგვარ გაფართოებას წარმოადგენს. ნაწარმოების თარგმნა თავისებური წარდგენაა ერთი ხალხისა მეორის წინაშე, ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია, როგორი სახით აჟღერდება ქართული მხატვრული სიტყვა და მიეწოდება სხვაენოვან მკითხველს, რა შთაბეჭდილებას შეუქმნის მათ ქართული კულტურისა და ინტელექტის შესახებ (წიბახაშვილი 2000: 84).

ხალხური ზღაპრის თარგმნას სხვა ენაზე სპეციფიკური სირთულეები ახლავს და განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს. როგორც ე. გორდეზიანი შენიშნავს, „თარგმანს თან ახლავს მუდმივი საფრთხე – თარგმანი ისე არ დაემსგავსოს სხვის ზღაპრებს, რომ საკუთარი სახე, ორიგინალობა დაკარგოს“ (გორდეზიანი 1995: 9). თარგმნილი ზღაპარი უნდა ინარჩუნებდეს ეროვნულ სახეს, პერსონაჟთა სახიერებას, მაგრამ, იმავედროულად, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ახალი მკითხველის ტრადიციებს, გემოვნებას, ენას და იდეალებს.

ქართული ხალხური ზღაპრების ინგლისურ ენაზე მოძიება ყოველთვის დიდი პრობლემა იყო, როგორც ბავშვებისა და პედაგოგებისთვის, ისე მკვლევრებისთვისაც. მარჯორი უორდროპის შემდეგ ქართული ხალხური ზღაპრები თითქმის საუკუნის შემდეგ ითარგმნა. 1974 წელს გამოიცა ცნობილი ტელეწამყვანისა და ჟურნალისტის,

ინგლისური ენისა და ლიტერატურის პედაგოგისა და მკვლევრის, პროფ. ნუგზარ რუხაძის თარგმანები; 1991-92 წლებში - ინგლისური ენის პედაგოგისა და მთარგმნელის ნინო ცისკარიშვილის მიერ თარგმნილი ორი ქართული ხალხური ზღაპარი, ხოლო 2012 წელს - არჩილ ხანთაძის თარგმანები.

ამევე წელს გამომცემლობა „ლეთაში“ დაისტამბა 9 ქართული ხალხური ზღაპარი: „ნაცარქექია“, „ასფურცელა“, „კომბლე“, „მზეთუნახავი“, „ცეროდენა“, „რწყილი და ჭიანჭველა“, „ხუთკუნჭულა“, „წიქარა“, „მუქანახევარა“, რომელთა მთარგმნელები არიან: სალომე წერეთელი, თამთა ჩეკურიშვილი, ზაზა კომკაძე, ლევან ხარბედია, ირაკლი ცომაია, მეგი ჯამასპიშვილი, ბერდია კუტუბიძე, ვატო ბილანიშვილი, მარიამ იმნაიშვილი.

ნაშრომის მესამე თავი მოიცავს ზემოდასახელებული თარგმანების დედანთან შეპირისპირებით ანალიზს (თუ როგორ მოახერხეს ქართველმა მთარგმნელებმა ქართული ხალხური ზღაპრის სპეციფიკის თარგმანში გადატანა).

§1. ნ. რუხაძის თარგმანები

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1974 წელს გამომცემლობა „განათლებამ“ გამოსცა ნუგზარ რუხაძის მიერ ინგლისურად თარგმნილი ხუთი ქართული ხალხური ზღაპარი:

1. **"The Fox and the Bear"** - „დათვი და მელია“;
2. **"The Beardless Crook and the Orphan"** - „ობოლი და ქოსატყუილა“;
3. **"Father and Son"** - „მამა და შვილი“;
4. **"The Greedy Man and the Generous Man"** - „ხარბი და ალალ-მართალი“;
5. **"The Fisherman's Son"** - „მეთევზის შვილი.“

ქართული სკოლის მოსწავლეებისათვის განკუთვნილ ქართული ზღაპრების ინგლისურ თარგმანებს ერთვის ლექსიკონი (VOCABULARY).

როგორც ნ. რუხაძემ ჩვენთან პირად საუბარში აღნიშნა, იმდროინდელი საზოგადოება არ იყო განებივრებული მსგავსი ლიტერატურით. სწორედ ამ ფაქტმა გადააწყვეტინა, ეთარგმნა ხალხური ზღაპრები. გარდა ამისა, მისი მიზანი იყო

ქართული ფოლკლორის, ზღაპრის სიბრძნის პოპულარიზაცია. მკითხველმა დიდი სიხარულით მიიღო ეს წიგნი და მოწონებაც დაიმსახურა.

ნ. რუხადის თარგმანები შესრულებულია ზღაპრისათვის დამახასიათებელი მარტივი ენით. მათი კითხვისას იგრძნობა ინგლისური ენის კვალიფიციური ცოდნა. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს.

ზღაპარში „ხარბი და ალალ-მართალი“ (*“The Greedy Man and the Generous Man”*) დედანში ვკითხულობთ: „იარა, იარა და, კარგა მანძილი რომ გაიარა, ერთი ცხენოსანი წამოეწია. გაიცნეს ერთმანეთი. ცხენოსანმა უთხრა:

- პეტრე მქვია, რაკი ორივენი ბედის სამებრად მივდივართ, ერთი გზა გვქონია, ჩვენი ჭირი და ლხინი საზიარო იყოს, დღეიდან მეგობრები გავხდეთო“ (*იყო და არა იყო რა 1976 :280*).

თარგმანი: “He went on and on, and when he was far enough, a horseman caught up with him. They began to talk and the horseman said: ‘My name is Peter, and both of us are going to seek our fortune, we can travel together. We’ll share our joys and sorrows and be good friends for ever” (*Rukhadze 1974: 16*).

„ჩვენი ჭირი და ლხინი საზიარო იყოს“ ნათარგმნია, როგორც -We’ll share our joys and sorrows. მთარგმნელის მიერ შერჩეული შესატყვისები ზუსტად გადმოსცემენ დედნის შინაარსს. თუმცა ნ. რუხადე ზოგჯერ ნაკლებად ახერხებს ქართული ხატოვანი თქმების ადეკვატურად თარგმნას ან საერთოდ თავს არიდებს მათ. ამის ნათელი ნიმუშია შემდეგი მონაკვეთი:

„- რა ვქნა, შიმშილს ისე შევუწუხებივარ, ამ ერთმა პურმა ნაწლავის ყურშიც არ გამიარა, რაც იყოს, იყოს, მოდი ის ერთი პურიც ამოიღე, ბარემ ისიც ზედ მივაყოლოთო“ (*იყო და არა იყო რა 1976: 281*).

თარგმანი: “I’m still hungry, what shall I do? Take out the third loaf and let’s eat it up”(გვ.17). როგორც ვხედავთ, მთარგმნელი მხოლოდ შინაარსს გადმოგვცემს, ამიტომ იდიომატური გამოთქმა: „ერთმა პურმა ნაწლავის ყურშიც არ გამიარა“ (რაც ნიშნავს, რომ ერთი ერთი პური არ იყო საკმარისი), თარგმანში დაიკარგა. იგივე შეიძლება ითქვას შემდეგ ფრაგმენტზეც: „- ოღონდ ეს ბავშვი მომიჩინე და, რას იტყვი, რომ არ მოგცე, ქვას ქვაზე დავადნობ და ჩემს სიტყვას არ გავტეხო“ (გვ. 281).

თარგმანი: "The father said: 'If you cure my child, I'll give you whatever you wish. Do it and I shan't brake my promise" (გვ. 17).

თარგმანის პწკარედი: მამამ უთხრა: თუ შვილს მომირჩენ, ყველაფერს მოგცემ, რასაც მთხოვ, გააკეთე და მე სიტყვას არ გავტებ. აქაც გამოტოვებულია იდიომატური გამოთქმა - „ქვას ქვაზე დავადნობ”(რაც ნიშნავს - ყველაფერს გავაკეთებ, ყოველგვარ დაბრკოლებას გადავლახავ) - და მხოლოდ შინაარსს ხსნის. ვფიქრობთ, დედანი უფრო მეტად ემოციურია - უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი მშობლის ხვეწნა-მუდარა, რომელიც ყველაფრისთვის მზადაა შვილის გადასარჩენად. თარგმანში კი ეს აზრი გაფერმკრთალებულია - თარგმანის მიხედვით, მამა პირობას უყენებს მკურნალს, რომ შვილის მორჩენის შემთხვევაში გასამრჯელოს მისცემს.

დედანი: „გაჯიუტდა პეტრე, მოჰყვა ფიცს, დედ-მამა აღარ დატოვა საფლავში: - არა, ღმერთი, რჯული, მარტო ორი პური იყო!" (გვ.281).

თარგმანი: "He started swearing by his parents: No, no, there were only two loaves, upon my words" (გვ.17). თარგმანის შინაარსი ასეთია: მან დაიწყო მშობლების დაფიცება, მხოლოდ ორი პური იყო, გეფიცები. თარგმანი სცილდება დედნის შინაარსს. დედნის მიხედვით, პეტრე მკვდარ მშობლებს ტყულად იფიცებს (რაც მთელი სიმდაფრით წარმოაჩენს მის უსინდისობას). ეს ნიუანსი თარგმანში არ ჩანს.

თარგმანი არ არის ზუსტი შემდეგ მონაკვეთშიც:

„ხელმწიფეს სიხარულით ფრთები შეესხა, მივიდა გაბრიელთან და ჰკითხა:

-რა მოგცეო?

-ორი ტომარა ოქრო, მეტი არ მინდაო, - მიუგო გაბრიელმა.

ხელმწიფე რამდენს არ ეჩიჩინა: - მეტი აილე, დღეს ჩვენთვის ამომავალი მზე ხარო, მაინც არაფერმა გასჭრა" (გვ. 283).

თარგმანი: "The king was delighted that he came up to Gabriel and asked him: 'What shall I give you?'

'Two bags of gold will do,' answered Gabriel. The king asked him ro take more, but he could not persuade him" (გვ.19).

დედნისეული ფრაზა - „ხელმწიფეს სიხარულით ფრთები შეესხა” - თარგმანში თავისუფალი შესიტყვებით არის გადმოცემული - The king was delighted, ხოლო მეორე ხატოვანი გამოთქმა - „დღეს ჩვენთვის ამომავალი მზე ხარო”, საერთოდ

გამოტოვებულია. თარგმანი თითქოს ზუსტად მიჰყვება ორიგინალს, თუმცა დედნისეული სიმძაფრით ვერ გამოხატავს შვილის გადარჩენით ფრთებშესხმული მეფის ემოციებს.

გაბრიელის საქციელით უკმაყოფილო პეტრე მას უსაყვედურებს:

„- ეგ ოქრო გინდა ცალ ყურში ჩამაყარე, რატომ მეტი არ გამოართვი, მომეცი ჩქარა ჩემი წილი, მე ისევ ჩემთვის წავალო!” (გვ.284).

თარგმანი: “This gold is not enough even to fill my pocket. Why didn’t you take more? Give me my share and I’ll go my own way” (გვ.19). თარგმანის პწკარედი: ოქრო იმდენიც კი არ არის, რომ ჯიბე გამივსოს. რატომ მეტი არ აიღე? მომეცი ჩემი წილი და მე ჩემი გზით წავალო. თარგმანი აქაც მოისუსტებს. დედანში გვაქვს: „ეგ ოქრო გინდა ცალ ყურში ჩამაყარე”- ანუ ოქრო იმდენად ცოტა იყო, რომ ცალ ყურშიც კი ჩაიყრიდა. თარგმანშია: “This gold is not enough even to fill my pocket” - ოქრო იმდენიც კი არ არის, რომ ჯიბე გამივსოს. ამ შემთხვევაში მთარგმნელი ცდილობს დედნისეული ფრაზის აზრის გადმოცემას.

შვილის აღზრდა, სწორ გზაზე დაყენება მშობლებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. ეს საკითხი ზღაპრებშიც აქტუალურია. ხალხს თავისი გამოცდილება და დაკვირვება განუზოგადებია და პატიოსანი და გამრჯე შვილის აღსაზრდელად თავისი სააღმზრდელო- პედაგოგიური მეთოდები გამოუმუშავებია. ეს მეთოდები, მართალია, ხალხურია და ზღაპრული სიუჟეტებით გადმოცემული, მაგრამ, უმეტეს შემთხვევაში, სწორი, ღრმააზრიანი და დღევანდელი თვალსაზრისით მისაღებიც არის. ზღაპარ „**მამა და შვილში**” მკედელი ცდილობს, მისმა უქნარა შვილმა ფული საკუთარი შრომით მოიპოვოს. დედა (დედისთვის დამახასიათებელი მაწნე გულჩვილობით) უნებლიედ აიძულებს შვილს, მოიტყუოს. მოიტყუოს. ეს აზრი ნ. რუხადის თარგმანში, ზოგადად, შენარჩუნებულია. საყურადღებოა ფულის ერთეულის - „მანეთის” თარგმანი. ერთ შემთხვევაში „მანეთი” თარგმნილია, როგორც - penny-რაც ნიშნავს ძალიან მცირე თანხას და ფუნქციურად მიესადაგება დედნის რეალიას.

დედანი: „თვითონ მანეთის შოვნაც არ შეუძლია და ჩემს დანატოვარს ერთ თვეში გაანიავებს” (ქართული ხალხური ზღაპრები 1996: 84).

„Our son will waste all we have as he can’t even earn a single penny” (Rukhadze 1974:13).

მეორე შემთხვევაში „მანეთი“ რუსული შესატყვისით არის ჩაანაცვლებული - rouble coin, რაც ვერ უზრუნველყოფს კოლორიტის შენარჩუნებას. ვფიქრობთ, რეალის შენარჩუნების მიზნით, „მანეთის“ უთარგმნელად გადატანა ჯობდა.

დედანი: „გამოვიდა ცოლი, მისცა შვილს მანეთიანი და დაარიგა...” (გვ.84).

თარგმანი: "The woman went out, gave her son a rouble coin and said..." (გვ.13).

ზღაპარი „**ობოლი და ქოსატყუილა**“ მოგვითხრობს ქოსატყუილას ოინებს, კერძოდ, როგორ ცდილობს იგი მასზე მოხერხებული ობლის მოტყუებას. როგორც გ. წიბახაშვილი აღნიშნავს, ეს პერსონაჟი ქართულ ზღაპარში აღმოსავლური ფოლკლორიდან შემოვიდა. ქოსას ისეთ მამაკაცს უწოდებენ, რომელსაც წვერ-ულვაში არ ამოსდის. აღმოსავლური (და არა მარტო აღმოსავლური) წარმოდგენების მიხედვით, ეს ამბავი სერიოზული ნაკლი იყო. „ხალხურმა ეტიკეტმა მატყუარობა - ეს მკვეთრად უარყოფითი ადამიანური თვისება - ფიზიკურადაც არასრულყოფილ ინდივიდს მიაწერა. ასე გაერთიანდა ერთ ფუნქციურ სახელში პიროვნების ორი უარყოფითი თვისება - ქოსაობა და მატყუარობა, ყალთაბანდობა“ (**წიბახაშვილი 2000: 105**). გ. წიბახაშვილი ქართული ზღაპრების რუსული თარგმანების შესწავლის საფუძველზე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მთარგმნელებს ჯერ ვერ მოუძებნიათ „ქოსატყუილას“ ოპტიმალური რუსული შესატყვისი. საინტერესოა, რა მდგომარეობაა ინლისურ თარგმანებში.

ნ. რუხაძე გვთავაზობს „ქოსატყუილას“ ორკომპონენტიან თარგმანს - **Beardless crook**-ანუ უწვერულვაშო მატყუარა, რაც სავსებით უნარჩუნებს პერსონაჟს ხასიათს, თუმცა, ვფიქრობთ, ქოსატყუილას შესატყვისად **Bald-Faced Liar** უფრო გამოდგებოდა. მსგავსი პერსონაჟი ევროპულ ზღაპრებშიც გვხვდება. ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში ბრიტანეთში (პირველად შექსპირს გამოუყენებია) არსებობდა ეს გამოთქმა ზუსტად იმავე მნიშვნელობით - უსინდისო, მატყუარა ადამიანი, რომელსაც სახეზე თმაც კი არ აქვს, რომ საკუთარი გამომეტყველება დაფაროს, დამალოს, რომ იტყუება, მაგრამ მიუხედავად ამისა, ურცხვად ცდილობს სხვების მოტყუებას [<http://en.wikipedia.org/wiki/Lie>] - იგივე **Barefaced liar**- რაც იმავე თვისებების მქონეა, როგორც ქართული ხალხური ზღაპრის პერსონაჟი ქოსატყუილა.

დედანი: „იყო და არა იყო რა, იყო ერთი საბრალო ობოლი, უქონელი და უყოლელი. ერთხელ ობოლმა ერთი გუდა საფქვავე იშოვა სადღაც, წაიღო წისქვილში და დაფქვა (იყო და არა იყო რა 1976:180).

თარგმანი: “Once upon a time there lived a poor orphan. He was very hard up. One day he managed to get a bag of grain and took it to the mill to be ground” (გვ.10).

თარგმანში არასრულყოფილი დახასიათებაა, აკლია, რომ სილატაკესთან ერთად ნათესავი, ახლობელი არავინ ჰყავდა. დედანში ვკითხულობთ, რომ ობოლი უქონელიც იყო და უყოლელიც, ხოლო თარგმანში მხოლოდ მის მატერიალურ გაჭირვებაზეა საუბარი. გარდა ამისა, სიტყვა „გუდა“ თარგმნილია, როგორც -bag-ანუ ჩანთა ან ტომარა. „გუდა“ ქართული ყოფითი რეალიაა და ის თარგმანში დაიკარგა. ვფიქრობთ, მთარგმნელს ეს რეალია უთარგმნელად უნდა გადაეტანა და მისი მნიშვნელობა სქოლიოში განემარტა, თუმცა თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ თარგმანი ბავშვებისთვის არის განკუთვნილი, შეიძლება გავამართლოთ მთარგმნელი, რადგან ამ შემთხვევაში იგი მოერიდა დედნის ენიდან უთარგმნელი ლექსიკის გადმოტანით ტექსტის დამძიმებას.

უზუსტობას ვაწყდებით შემდეგ მონაკვეთშიც: „უცებ ერთი მელა შემოგვეჩვია. ისე გაგვიოხრა და გაგვიტიალა ვენახი, რომ მთელ ყურძენზე ხელი აგვადებინა. ერთი სიტყვით, წყალი გადაგვიწურა, გამოჰამა მთელი ვენახი“ (გვ.181).

თარგმანი: “A harvest time came, but a fox had spoiled the whole vineyard so badly that we didn’t even want to look at it” (გვ. 11). თარგმანის პწკარედი: დადგა მოსავლის აღების დრო. მაგრამ მელამ ისე გააფუჭა მთელი ვენახი, რომ შეხედვაც კი აღარ გვინდოდა. მთარგმნელი ზღაპრის ამ მონაკვეთს თარგმანში შემოკლებული ფორმით გადმოსცემს. გარდა იმისა, რომ თარგმანი დედნის შინაარსს არ ემთხვევა, გამოტოვებულია ხატოვანი გამოთქმებიც: „მთელ ყურძენზე ხელი აგვადებინა“; „წყალი გადაგვიწურა“.

ზღაპარში „დათვი და მელია“ გვხვდება პოეტური ჩანართები, რომლებიც პერიოდულად მეორდება და რეფრენივით მისდევს ნაწარმოებს. როგორც მ. ჩიქოვანი აღნიშნავს, „ლექსი დიალოგის ლაკონიურ ფორმას წარმოადგენს. იგი ცხოველთა ეპოსშია უფრო გავრცელებული, ვიდრე ზღაპრული ეპოსის სხვა ჟანრებში. შეიძლება ითქვას, რომ ის ცხოველთა ეპოსის დამახასიათებელ მოვლენას წარმოადგენს

(ჩიქოვანი 1946: 290). ნ. რუხაძე კარგად ახერხებს ლექსად გადმოცე-მული სტრიქონების თარგმნას, თუმცა თავისუფალ ინტერპრეტაციას მიმართავს:

„ბეკო, ბეკო, ბეე,

კარი გამიღე,

პირით ბალახი მომაქვს,

ძუძუებით - რძე” (გვ.68).

ეს ლექსად გართმული სტრიქონები თარგმანში შემდეგნაირად გადავიდა:

“Little lamb, little lamb,

Open the door.

Your mummy has come,

Quick, open the door.

The grass is delicious,

So fresh and so sweet.

Come out my little one,

Come out and eat.” (გვ.8)

დედნისეული ოთხსტრიქონიან ლექსს შენაცვლებული აქვს რეასტრიქონიანი ლექსწყობა, რომელიც დედნის შინაარსს ზუსტად ვერ გადმოსცემს და უფრო მთარგმნელის შემოქმედებაა, ვიდრე თარგმანი.

არცერთი ზღაპრის თარგმანში არ არის ქართული ხალხური ზღაპრის ტრადიციული დასაწყისისა და დასასრულის ფორმულები. „იყო და არა იყო რა...” ჩანაცვლებულია ინგლისური ზღაპრის დასაწყისით “Once upon a time...”, ხოლო დასასრული - „ჭირი იქა, ლხინი აქა, ქატო იქა, ფქვილი აქა” - საერთოდ ამოღებულია. შესაბამისად, ქართული ხალხური ზღაპრის თავისთავადობა დაკარგულია. როგორც გ. წიბახაშვილი აღნიშნავს, რომ „თარგმნისას ზღაპრის დასაწყისი და დასასრული კი არ უნდა შეიცვალოს ან დაიკარგოს, არამედ უნდა ითარგმნოს, ითარგმნოს ისეთი მხატვრული ძალით, რომ უცხო მკითხველმაც გაიგოს დასაწყის-დასასრულის ორგანული მთლიანობა და მეზღაპრის ფილოსოფიური მრწამსი” (წიბახაშვილი 2000: 115).

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ნ. რუხაძის ქართული ხალხური ზღაპრების თარგმანები შესრულებულია ზღაპრის შესატყვისი მარტივი, სადა ენით.

უმეტესწილად დედნის აზრიც შენარჩუნებულია, მაგრამ ქართული ენის ფრაზეოლოგიური სიმდიდრე და რეალიები მწირად არის წარმოდგენილი.

§ 2. ნ. ცისკარიშვილის თარგმანები

1991 წელს „ქართული ხალხური ზღაპრის“ სერიით გამომცემლობა „სამშობლომ“ გამოსცა ქართული ხალხური ზღაპრის „ნაცარქექიას“ ნინო ცისკარიშვილისეული ინგლისური თარგმანი, რომელიც განკუთვნილია ქართველი მკითხველისთვის.

თარგმანში მთავარი გმირის სახელი „ნაცარქექია“ თარგმნილია, როგორც - „LAZYBONES“. მართალია, ინგლისური ეკვივალენტი - LAZYBONES - სრულად ვერ გადმოსცემს ქართულ „ნაცარქექიაში“ ჩადებულ შინაარსს (LAZYBONES – „ზარმაცი“, „უქნარა“ (მჭედლშვილი: 1996); მთარგმნელის ასეთი მიდგომა შეიძლება ავსხნათ იმით, რომ ზღაპარი უფრო ინგლისური ენის შემსწავლელი ქართველი მკითხველისთვის არის განკუთვნილი.

რეალიების გადატანისას მთარგმნელი ძირითადად აღწერით თარგმანს მიმართავს. მაგალითად, „გუდას“ თარგმნის, როგორც - sheepskin bag. „გუდა“ ქართული რეალიაა, რომელიც შესაბამისი განმარტებით ჯობდა თარგმანში უთარგმნელად გადასულიყო - sheepskin bag – guda (ისე, როგორც „დევი“ თარგმნა), თუმცა შეიძლება მკითხველს გაუჩნდეს კითხვა, არის კი „გუდა“ სწორად ნათარგმნი? sheepskin bag ნიშნავს - ცხვრის ტყავის ჩანთას (ანუ ცხვრის ტყავისგან დამზადებული ჩანთა). არსებობს ასევე ხბოს ან თხის ტყავისგან დამზადებული გუდაც. „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ განმარტებით, „გუდა“ არის „ოთხში ამოღებული თხის, ცხვრის ან ხბოს ტყავისაგან დამზადებული პარკი, ჩვეულებრივ ზურგზე ან მხარზე გადასაკიდებელი“ (ფრუიძე: 1978). უნდა აღინიშნოს, რომ „ნაცარქექიას“ ქართულ ტექსტებში სწორედ ხბოს ტყავის გუდა გვხვდება.

ქართული რეალია „ქვევრი“ ნათარგმნია, როგორც - wine-jar, რომელიც სიტყვასიტყვით შეიძლება ითარგმნოს, როგორც ღვინის ჭურჭელი (ქილა), რადგან jar - შუშის ან თიხის ქილაა, რომელიც არ არის ქვევრის მოცულობისა და ზომის, თანაც

ქვევრი მიწაშია ჩაფლული. ასე რომ, wine-jar არ არის „ქვევრის“ ზუსტი შესატყვისი. გარდა ამისა, მკითხველისთვის ძნელი მისახვედრია, რატომ თხრის ნაცარქექია ამ ღვინის ჭურჭლის გარშემო მიწას (როცა დევებმა ნაცარქექია ღვინის მოსატანად გააგზავნეს, ის აღარ დაბრუნდა. დევები წავიდნენ მოსამებნად და ნახეს, რომ ნაცარქექია ქვევრის გარშემო მიწას თხრიდა, ანუ მისი მიწიდან ამოღება უნდოდა) და, საერთოდ, რატომ არის ის მიწაში? ამიტომ სასურველი იქნებოდა სქოლიოში ან ტექსტში იმის განმარტება, თუ რა ტიპის ჭურჭელზეა საუბარი.

ნ. ცისკარიშვილმა თარგმნა „კომბლეს“, რომელიც 1992 წელს გამოიცა. მთარგმნელმა ამ შემთხვევაში უთარგმნელად გადაიტანა ზღაპრის მთავარი გმირის სახელი - **Comble**, რომლის განმარტებაც ტექსტში მოგვცა.

“Once upon a time there lived a young man whom people called Comble (a maker of shepherd’s staves). He was called so because he made shepherd’s staves and kept them in his attic” (**Tsiskarishvili :1992**).

„კომბალი“ ნ. ცისკარიშვილმა თარგმნა, როგორც staff, მრავლობით რიცხვში - staves - ნიშნავს - საყრდენ ჯოხს, ხელჯოხს, ალმის ტარს, კვერთხს. ინგლისურ ენაში არსებობს „კომბლის“ უფრო ზუსტი შესატყვისი knobstick.

ზღაპარში მოქმედება უჩვეულოდ ვითარდება, დარღვეულია ლოგიკა. როდესაც მელიასა და დათვს კომბლეს ცხვრები შეხვდნენ, ორივე - მელიაც და დათვიც ცხვრებს ეუბნება: - მე არ მეშინია კომბლესიო. საინტერესოა ზღაპრის წყარო, რადგან მოქმედების მსგავსი განვითარება არცერთ დედანში არ შეგვხვედრია. იბადება კითხვა: თუ მელიას ან დათვს კომბლესი არ ეშინიათ, რატომ გაიქცნენ და არ შეჭამეს ცხვრები? შეიძლება დავასკვნათ, რომ სათარგმნად სუსტი და ლოგიკურად გაუმართავი ტექსტია აღებული. თარგმანში არ არის დასაწყისისა და დასასრულის ფორმულები.

„ნაცარქექია“ და „კომბლეს“ თარგმანები არ არის არქაული სიტყვებით გადატვირთული, თარგმნის სტილი სადაა. მთარგმნელს ადვილად გასაგები ინგლისური ლექსიკით, მოკლე, მარტივი წინადადებებით შევყავართ ქართული ხალხური ზღაპრის სამყაროში.

§. 3. ა. ხანთაძის თარგმანები

2012 წელს ქართული ხალხური ზღაპრების ინგლისურ თარგმანებს შეემატა არჩილ ხანთაძისეული ხუთი ქართული ხალხური ზღაპრის თარგმანი. წიგნი ორენოვანია - თარგმანები წარმოდგენილია დედანთან ერთად, რაც მკითხველს თარგმანის ორიგინალთან შედარების საშუალებას აძლევს.

მთარგმნელის კომენტარის თანახმად, ქართული ხალხური ზღაპრების ინგლისურ ენაზე თარგმნის ინტერესი არცთუ ისე დიდია. ალბათ, ამ ფაქტმა განაპირობა ეთარგმნა შემდეგი ხუთი ზღაპარი:

1. „არც შენ შეგრჩება, მეფეო“ – ”Neither Will You Get Away With It, Your Majesty”;
2. „სამი ქაჩალი“ – ”Three Bald-Faced Liars”;
3. „როგორ გაჩნდა ღვინო“ – ”How Wine Came To Be”;
4. „თავგაუტეხელი კაცი“ – ”The Man with the Unbroken Head”;
5. „ერთი მანეთის შოვნა“ - ”Procuring One Maneti”.

თარგმანთა დედანთან შეპირისპირებისას შეინიშნება მცირეოდენი უზუსტობები, მაგალითად: ზღაპარში - „არც შენ შეგრჩება, მეფეო“ - დედანში კვითხულობთ: „მეზალე ერთ დღეს ნამგლით ბალახს თიბავდა, ასუფთავებდა” (ხუთი ქართული ხალხური ზღაპარი 2012: 12).

თარგმანი: ”One day the gardener was cutting grass with a scythe” (Khantadze 2012: 9). Scythe - არის ცელი, დედანში გვაქვს ნამგალი, უნდა იყოს sickle.

დედანი: „მეზალე დადგა და ქურდულად ცქერა დაუწყო” (გვ.12).

”The gardener stood looking at the maidens stealthily” (P.9).

ფრაზეოლოგიური ერთეული „ქურდულად ცქერა“, რომელიც სიტუაციურ ქმედებას აღნიშნავს, გადმოცემულია უბრალოდ ზმნიზედით - ”stealthily“, რაც მალულად, ფარულად ქმედებას შეესაბამება.

დედანი: „ეს შენიშნეს მეფის ქალებმა და მამასთან იჩივლეს, რომ მეზალე მოზანავეებს ზედ წამოგვადგა და ქურდულად გვიცქერდაო” (გვ.12).

თარგმანი:”The maidens noticed this, went to their father and complained that he had sneaked up and secretly watched them bathing” (P.9).

„ქურდულად გვიცქერდა“ გადმოცემულია „secretly watched“, ხოლო „ზედ წამოგვადგას“ შეესაბამება - „he had sneaked up“ - მოგვეპარა, რაც დიდად არ განსხვავდება ქართული ტექსტისგან და შეიძლება შესაბამის ქმედებად ჩაითვალოს.

დედანი: „მებაღემ რომ დაინახა, საქმე ცუდად არისო, დაიწყო მუდარა, ერთი სიტყვის თქმის უფლება მომეცით და მერე ჩამომახრჩვეთო“ (გვ.12).

თარგმანი: „The gardener, seeing that things looked bad, implored to be granted a last word before the hanging“ (p.9-10).

„ერთი სიტყვის უფლება“ თარგმნილია, როგორც „ბოლო სიტყვა“ - „last word“, ანუ უკანასკნელი სურვილი, რაც, ვფიქრობთ, დედნის ადეკვატურია.

ზღაპარ „სამ ქაჩალში“ ა. ხანთაძე „ქაჩალს“ თარგმნის, როგორც **Bald-Faced Liar**. „ქაჩალი“ ქართული ზღაპრის პერსონაჟია-უსინდისო, მატყუარა, რომლისგანაც მხოლოდ საფრთხეს უნდა ელოდე. სიტყვა „ქაჩალი“ ნიშნავს- უთმოს. Bald-Faced Liar არ არის „ქაჩლის“ ზუსტი შესატყვისი. ის უფრო „ქოსას“ (ქოსა- უწვერულვაშო მამაკაცია) შინაარსს უახლოვდება, ვიდრე „ქაჩლის“.

დედანი: „ამსეს წყლით და შემოდგეს ცეცხლზედ და წავიდნენ საძებნელად“ (გვ.17).

თარგმანი: „They poured water into the pot and went looking for something to eat“ (p. 14).

თარგმანში საერთოდ გამოტოვებულია ხატოვანი გამოთქმა ქვების „ცეცხლზე შემოდგმა“. ქართულისათვის ორგანული გამოთქმის შესატყვისის დაძებნა მთარგმნელმა საჭიროდ არ მიიჩნია ან, საერთოდ, გამორჩა.

დედანი: „წამოიღეს და დაუწყეს ხარშვა; ფოჩი გაუვიდა, წვენი შიგ დარჩა“ (17).

თარგმანი: „They brought it home and started cooking it. Somehow, all the meat disappeared, and only the broth was left“ (გვ.14).

სპეციფიკური გამოთქმა „ფოჩი გაუვიდა“- სალიტერატურო ქართულში არ გვხვდება, იგი ამ შემთხვევაში კურდღლის ხორცის აღმნიშვნელი დიალექტური წარმონაქმნია. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის (რვატომეული) მიხედვით (ქეგლ 1962:163), ფოჩი წვნიანი შეჭამანდის (ხორცი, ლობიო და სხვ.) უმთავრესი ინგრედიენტია, ამდენად, მთარგმნელის მიერ „ფოჩი გაუვიდას“ შენაცვლება თარგმანში „ხორცი გაუჩინარდა“ (all the meat disappeared) მართებულია.

დედანი: „მერე სთქვეს: ვინც ყველაზე კაი ტყუილს იტყვის, იმან შეჭამოს კურდღელიო (გვ.17).

თარგმანი: "They said: "Let he who tells the best lie drink this broth (გვ.14)."

სალიტერატურო ქართულში ქართულ ზეპირმეტყველებით გამონათქვამს „ყველაზე კაი ტყუილი“ „საუკეთესო ტყუილი“ შეესაბამება. ამდენად, მთარგმნელის მიერ დედნის „ყველაზე კაი ტყუილი“ - მართებულად არის თარგმნილი - the best lie.

დედანი: „მამაჩემს ასი ძირი ფუტკარი ჰყავდა, ყოველ დღე ჩამოვთვლიდით და ვიტყობდით, ყველანი იქ იყვნენ, თუ არა“ (გვ.17).

თარგმანი: "My father had one hundred bee-hives. Every day we made rounds among the hives and counted the bees" (გვ.14). აქაც მთარგმნელი ფუტკრის ოჯახების სპეციფიკურ ქართულ დასახელებას – „ას ძირ ფუტკარს“ – რაოდენობითი რიცხვითი სახელი + არსებითი სახელი + არსებითი სახელი (one hundred bee-hives) შესაფერის შესატყვისს უძებნის.

შემდეგ მონაკვეთში თავად დედანია გაუმართავი (ბუნდოვანი): „კარგი გზა გავიარე და უცებ ერთი მგელი გადმომიხტა. მომეწია, დააჯდა ბატს და გამომიჭამა გვერდი. რას ვიზამდი, გადმოვხტი. გაუჩხირე გვერდი ბატს წნელებით, წავიღე წისქვილში, დავფქვი, დავჯექი ისევ, გავაქანე სახლში, მოვზიდეთ და დავაკარით პურები და, ვიდრე პირველ სადღეგრძელოს დაჰლევდნენ, თბილი პურები ჩამოურიგეთ“ (გვ.18). ალბათ ძნელი გასაგები იქნება მკითხველისთვის, რა წაიღო ქაჩალმა წისქვილში და რა დაფქვა.

მთარგმნელი დედნის ნაკლოვანების გამოსწორებას თარგმანში ცდილობს:

"Lo and behold a wolf appeared from nowhere. It pounced on the goose and bit off its flank. What to do? I got off, gathered some twigs, and wove a new flank for the goose. When we arrived at the mill, I ground the grain, loaded the bags of flour on to the goose, and raced back to the wedding. Some women prepared dough and baked for the guests who had already drunk the first toast by the time the bread was ready" (გვ. 16). „წავიღე წისქვილში, დავფქვი, დავჯექი ისევ, გავაქანე სახლში, მოვზიდეთ და დავაკარით პურები და, ვიდრე პირველ სადღეგრძელოს დაჰლევდნენ, თბილი პურები ჩამოურიგეთ“ თარგმანში გადავიდა "When we arrived at the mill, I ground the grain, loaded the bags of flour on to the goose, and raced back to the wedding". შევადაროთ თარგმანის პწკარედი

დედას: როცა წისქვილში მივედით დავფქვი ხორბალი, დავტვირთე ფქვილის ტომრები ბატზე და დავბრუნდი ისევ ქორწილში. თარგმანი სტილისტურ-გრამატიკულად უფრო გამართულია. თუმცა თარგმანშიც არის ერთი უზუსტობა გაპარული. დედანში გვაქვს: „მოვზიდეთ და დავაკარით პურები და, ვიდრე პირველ სადღეგრძელოს დაჰლევდნენ, თბილი პურები ჩამოურიგეთ“, ხოლო თარგმანშია: „Some women prepared dough and baked for the guests who had already drunk the first toast by the time the bread was ready ”- რაც ასე ითარგმნება: ქალებმა მოამზადეს ცომი და გამოაცხეს პური სტუმრებისთვის, რომლებსაც უკვე დაელიათ პირველი სადღეგრძელო იმ დროისთვის, როცა პური გამოცხვა - ჯერ ერთი, დედანში არ არის მითითებული, კონკრეტულად ვინ დააკრა პური და, მეორე, პური მანამდე გამოაცხეს, სანამ სტუმრებმა პირველი სადღეგრძელო დალიეს.

დედანი: „ჩვენ ბევრი ცხვარი გვყავდა, ცხრა მთას იქით ვამოვებდით...” (გვ.17).

თარგმანი: “We have many sheep that graze beyond nine tall mountains...” (გვ.14).
თარგმანის ამ მონაკვეთში მთარგმნელი ცდილობს რეალის შენარჩუნებას, თუმცა გარკვეული ცვლილებები შეაქვს: ცხრა მთას იქით ნათარგმნია, როგორც beyond nine tall mountains - რაც სიტყვასიტყვით ასე ითარგმნება - ცხრა მაღალი მთის იქით. გარდა ამისა, დედანში გადმოცემული ამბავი წარსულ დროშია, ხოლო თარგმანში იმავე ამბავს მთარგმნელი რატომღაც აწმყოში გვიყვება.

ქართული ხალხური ზღაპრის ტრადიციული დასასრულიც უჩვეულო ფორმით გვხვდება დედანში (გადაკეთებულია): „ჭირი იქა, ლხინი აქა,

ფქვილი აქა, ქატო იქა” (გვ. 18).

ა. ხანთაძემ, შეიძლება ითქვას, სიტყვასიტყვით თარგმნა დასასრული: “Plague there, merriment here. Bran there, flour here” (გვ.16) და სქოლიოში მიუთითა, რომ ეს არის ქართული ხალხური ზღაპრის ტრადიციული დასასრული, რომელსაც, მისგან განსხვავებით, ბევრი მთარგმნელი უვლის გვერდს.

ზღაპარ „**როგორ გაჩნდა ღვინოში**” – “**How Wine Came To Be**” -მთარგმნელს ქართული ეთნორეალია „კოკა” უთარგმნელად გადააქვს ინგლისურ ტექსტში და სქოლიოში მის განმარტებასაც გვაძლევს. აღსანიშნავია, რომ, ა. ხანთაძე მარჯორი უორდროპისეულ განმარტებას ზუსტად იმეორებს – “coca” – a large measure for water or wine (about 25 bottles), (“Asphurtzela”, p.83.)

დედანი: „ამოდენ ტკბილ წვენს ხომ არ გადაღვრიდა და კოკებში შეინახა” (გვ. 22).

თარგმანი: ”It would have been unwise to pour away such a lot of sweet juice, so he poured it into **cocas** to preserve it” (გვ.19).

დედანი: „ვინც მეტი დალიოს, ჩემსავით ყოყლოჩინობა უყვარდესო” (გვ.22).

თარგმანი: ”May he who drinks a lot love **acting high and mighty** as I do” (გვ.21).

აქ „ყოყლოჩინობა” ა. ხანთაძემ ეკვივალენტური ინგლისური ფრაზით „**acting high and mighty**” ჩაანაცვლა.

ზღაპარ „თავგაუტეხელ კაცში” –”The Man with the Unbroken Head” - დედანი დამოორდა თარგმანს.

დედანი: „ამ ხნის კაცი ვარ, ჯერ ჩემთვის თავი არავის გაუტეხია და ნუმც მივალ იმ ზომამდის, რომ ვინმემ გამიტეხოსო” (გვ. 25).

თარგმანი: ”I have grown old without anyone ever breaking my head, and may I never get so drunk that someone else breaks it” (გვ.23). ამ მონაკვეთის პწკარედული თარგმანი ასეთია: ისე დავბერდი, ჩემთვის თავი არავის გაუტეხავს, დაე, ისე ნურასდროს დავთვრები, რომ ვინმემ თავი გამიტეხოს. დედანში გვაქვს: „ნუმც მივალ იმ ზომამდე”, და არა დავთვრები, როგორც თარგმანშია.

დედანი: „ერთი ჯეელი ბიჭი ყურს უგდებდა მოხუცის ლოცვას” (გვ.25).

თარგმანი: “A young fellow working nearby overheard the old man’s prayer” (გვ.23).

ქართულში იშვიათად ხმარებული „ჯეელი ბიჭი” ინგლისურში მისადაგებულია „ახალგაზრდა” (“A young fellow”) შესიტყვებასთან.

დედანი: „რა წყალი შეუწყდა მოხუცს, გაჯავრებული წყლის სათავისაკენ გაეშურა” (გვ.25).

თარგმანი: ”When the water stopped flowing, the old man got angry and started walking towards the spring” (გვ.23).

დედანი: „სათავეში თოხით ხელში ვიღაც ყმაწვილი დაინახა, რომელსაც წყალი თავის ვენახში გადაეგდო” (გვ.25).

თარგმანი: “He saw the young fellow at **the spring** with the hoe in hand and asked” (გვ.23).

ვფიქრობთ, ორივე წინადადებაში მოხსენიებულ „წყლის სათავეს“// „სათავეს“, რომლის სინომიმი ქართულში „წყარო“ ლექსემაცაა, ინგლისურში - **the spring** შეესაბამება.

დედანი: „მოხუცი შეეკითხა: -რატომ **გადამიგდე წყალი**?“ (გვ.25).

თარგმანი: “Why did you **divert the water away from** my vineyard?” (გვ.23).

„გადამიგდე წყალი“, როგორც ფრაზეოლოგიზმი, ინგლისურში გამოხატულია ფრაზეოლოგიური ანალოგიით - **divert the water away**, რაც ზუსტად ასახავს დედნის შინაარსს – წყლის გადაგდებას, წყლის გადამისამართებას ანუ მიმართულების შეცვლას.

დედანი: „მოხუცმა რა შეატყო ახალგაზრდას-**შარზეაო**, უთხრა...” (გვ.25).

თარგმანი: “Sensing that the young fellow **was challenging him**, the old man said” (გვ.24)

„შარი“ ანუ „გამოწვევა“ მთარგმნელის მიერ ზუსტად მისადაგებულია ინგლისურთან - **challenging him** - ანუ იწვევდა, გამოწვევას ცდილობდა.

ა. ხანთაძე ცდილობს, ქართულ ფრაზები ეკვივალენტური ინგლისური გამოთქმით ჩაანაცვლოს. მაგალითად, ზღაპარში „ერთი მანეთის შოვნა“ – “**Procuring One Maneti**” -დედანში ვკითხულობთ: „- წადი საღამომდის ტყუილად იყავი, საღამოს ერთ- ორი ვერსი გამოიქეცი, გაოფლიანდი და მამაშენს უთხარი: ოფლით ვიშოვე ეს ფული-თქო!” (გვ. 30).

თარგმანი: “Go and idle away the day until evening; in the evening run a couple of versi (a versi= 3,500 ft.) until you have worked up a sweat; then tell your father that you have made this money by the sweat of your brow” (გვ. 28).

„ოფლით ვიშოვე ეს ფული...” მთარგმნელმა შინაარსობრივად დაახლოებული ინგლისური ფრაზეოლოგიური ერთეულით ჩაანაცვლა: “by the sweat of your brow” - ანუ მძიმე შრომით იშოვა ფული, რაც მართებულია. ხოლო სიგრძის ძველებური რუსული ერთეული - „ვერსი” (უდრის 1,06 კმ-ს; იხმარებოდა მეტრული სისტემის შემოღებამდე) (www.ena.ge/explanatory-online) აქ ეთნო-რეალიად ვერ განიხილება.

დედანი: „დედას **გული მოუკვდა**, მიხვდა, რომ **საქმე წახდა** და ბიჭს უთხრა...” (გვ.31).

თარგმანი: "The mother was aggrieved, she saw that things looked bad and said (გვ.28).

ქართული გამოთქმა „გული მოუკვდა“ თარგმნილია, როგორც - was aggrieved - დამწუხრებული, შეჭირვებული, ხოლო „საქმე წახდა“ - things looked bad - საქმე ცუდად იყო. ორივე შემთხვევაში მთარგმნელმა გამოთქმის შინაარსი გადმოგვცა.

დედანი: „ახლა კი მჯერა, შვილო, გული ისე დაგეწვა მაგ მანეთზე, რომ ის ნამდვილად შენი ნაშოვნია!“ (გვ. 31).

თარგმანი: "Now I believe you son, for you are sick at heart over that maneti. So it certainly has been sweated for by you" (გვ.29). ქართული გამოთქმაში „გული დაეწვა“ ინგლისურ თარგმანში ფრაზეოლოგიური ანალოგიით არის გადმოცემული - sick at heart - რაც ნიშნავს - დარდს, წუხილს. აღსანიშნავია, რომ ქართული „მანეთი“, რომელიც ლათინური სიტყვიდან („მონეტა“) მომდინარეობს, მთარგმნელს, როგორც ეთნორეალია, უთარგმნელად გადააქვს და მის განმარტებას სქოლიოში გვთავაზობს.

დედანი: „არ შეეძლო არც ერთი შაურის შოვნა“ (გვ.30).

თარგმანი: "He was unable to procure even a single copper "(გვ.26).

„შაური“ - წვრილი ფული - ინგლისურში შეესაბამება სპილენძის მონეტას - copper, იქაურ ხურდას, ასე რომ, თარგმანი ადეკვატურია და ორიგინალს მისადაგებული.

დედანი: „გადატკლევცილი მაქვს ოფლი შუბლზე..."(გვ.31)

თარგმანი: "I am sweating all over" (გვ.28).

ამ ფრაზეოლოგიზმის ზუსტი ინგლისური ეკვივალენტის არარსებობის გამო მთარგმნელმა მისი შინაარსის გადმოცემა ამჯობინა -I am sweating all over-მთლიანად გავოფლიანდი.

მიუხედავად მცირე უზუსტობებისა, ქართული ხალხური ზღაპრების არჩილ ხანთაძისეული თარგმანები დედნის ადეკვატურია, ხშირ შემთხვევაში მისაღები და მოსაწონი. კერძოდ, თარგმანში ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ის ადგილები, სადაც მეტ-ნაკლებად გვაქვს ფრაზეოლოგიზმები, იდიომატური გამოთქმები, ეთნორეალიები, ენობრივი კლიშეები, ზღაპრის დასაწყისი და დასასრული. მთარგმნელი ზოგჯერ იყენებს არქაიზმებსაც (არქაულ სიტყვებსა და ფორმებს- thither, yonder, whence), რაც არქაულ ელფერს ანიჭებს თარგმანს, თუმცა ართულებს შინაარსის აღქმას.

§.4 ქართული ხალხური ზღაპრების უახლესი ინგლისურენოვანი თარგმანები

2012 წელს ამერიკულმა ცენტრმა „ლანგეითმა“ და „ამერიკის მეგობართა კლუბმა“ ქართული ზღაპრების თარგმნის კონკურსი გამოაცხადა: „თარგმნე ქართული ზღაპრები ინგლისურად“. პროექტის ავტორებმა გადაწყვიტეს, საქართველოდან ემიგრირებული ბავშვებისათვის შეექმნათ ისეთი ორენოვანი -ქართულ-ინგლისური- წიგნი, რომელიც სამშობლოსთან მათი კავშირის შენარუნების, აღზრდისა და ენის შესწავლის საუკეთესო საშუალება იქნებოდა. კონკურსი სამ ეტაპად ჩატარდა. შეირჩა 9 ქართული ხალხური ზღაპარი. კონკურსის გამარჯვებული მთარგმნელები არიან სალომე წერეთელი („ნაცარქექია“), თამთა ჩეკურიშვილი („ასფურცელა“), ზაზა კომკაძე („კომბლე“), ლევან ხარბედია („მზეთუნახავი“), ირაკლი ცომაია („ცეროდენა“), მეგი ჯამასპიშვილი („რწყილი და ჭიანჭველა“), ბერდია კუტუბიძე („ხუთკუნჭულა“), ვატო ბილანიშვილი („წიქარა“), მარიამ იმნაიშვილი („მუქანახევარა“). თარგმანები გამომცემლობა „ლეთამ“ იმავე წელს წიგნად გამოსცა. წიგნის სატიტულო გვერდის თანახმად, ქართული ხალხური ზღაპრების ქართული ტექსტის რედაქტორები არიან რომან აფაქიძე, ნანა ყაველაშვილი, მზია გოგნიაშვილი, ხოლო ინგლისურენოვანი ტექსტისა: ტატიანა დავიდოვა- კანადაში Ontario-ს სახელმწიფო კოლეჯის მთავარი ინსტრუქტორი, ბრაიან სმიტი - ამერიკული საგანმანათლებლო ცენტრის „ლანგეითი“-სა და Oxford House- ის ინგლისური ენის პედაგოგი, მარი ჩანგიანი - საგანმანათლებლო ცენტრ „ლანგეითის“ დირექტორი, ინგლისური ენისა და ლიტერატურის ფილოლოგი, მაია გიორგაძე - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ენის სპეციალისტი, მაია ხიზანიშვილი-სმიტი- საგანმანათლებლო ცენტრ „ლანგეითის“ ინგლისური ენის პედაგოგი.

რაც შეეხება ინგლისური თარგმანების ენასა და სტილს, ამას დედანთან შეპირისპირებისას წარმოვაჩენთ.

დავიწყებთ „ნაცარქექიას“ ს. წერეთლისეული თარგმანის დედანთან შეპირისპირებით.

„ნაცარქექია” – „Natsarkekia”

(მთარგმნელი სალომე წერეთელი)

ზღაპარი „ნაცარქექია” ერთი უქნარა ადამიანის ამბავს მოგვითხრობს. ნაცარქექია ზარმაცია, მაგრამ აზრიანი და მოხერხებული. ის დევსაც კი იმორჩილებს. მატყუარა და ბაქია ნაცარქექია დევს საკუთარი სახლიდან გამოადევებს და მის ქონებას დაეპატრონება. მთარგმნელის მიერ ქართული ხალხური ზღაპრის ორიგინალური დასაწყისი თარგმანში ჩანაცვლებულია ინგლისური ზღაპრის დასაწყისით: „იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ზარმაცი კაცი” (ქართული ზღაპრები 2012:56).

თარგმანი: “Once upon a time there was a lazy and idle man” (Georgian Fairy Tales 2012: 56).

დედანი: „ერთი ნაცრით სავსე გუდა ზურგზე აჰკიდეს, თავისი ჩხირი მისცეს, საგზლად ჭყინტი ყველი გაატანეს და გაისტუმრეს“ (გვ. 57).

თარგმანი – “They gathered Natsarkekia’s favorite ash into the little calf pouch, gave him a piece of cheese and sent him down the road...” (გვ.57) - სცილდება დედანს, რადგან მასში გამოტოვებულია „...თავისი ჩხირი მისცეს...”. მოგვიანებით ნაცარქექიამ დევს ჩხირი კისერში უნდა ჩაარჭოს, თავის უძლეველობაში რომ დაარწმუნოს. შესაბამისად, თანამიმდევრულობა და ლოგიკაც დარღვეულია. გადაკეთებულია დედანიც, რომელშიც ამოღებულია: „...ჩოხის კალთაში საგზლად ჭყინტი ყველი გამოუხვიეს და გაისტუმრეს...“. თუმცა მოგვიანებით დედანში ვკითხულობთ: „...დაიხარა ნაცარქექია, ვითომ ქვას იღებდა, ამოიღო ჩოხის კალთაში გახვეული ჭყინტი ყველი, მოუჭირა ხელი და წვენი სულ წურწურით გაადინა“ (გვ.60).

თარგმანი: “Natsarkekia secretly took out his cheese as if it was a stone and squeezed out some water out of it” (გვ.61). თარგმანის პწკარედი: ნაცარქექიამ ჩუმად ამოიღო ყველი, თითქოს ქვა იყო და გამოწურა წვენი. მთარგმნელმა შეგნებულად აუარა გვერდი „ჩოხას“ თარგმნას (ამგვარად, ზღაპრის დედნისეული რეალიაც დაიკარგა).

სალომე წერეთელმა „დევი“ თარგმნა, როგორც “the Giant”- გოლიათი, რაც არ უნდა იყოს მართებული. „დევი” ქართული ხალხური ზღაპრის პოპულარული პერსონაჟია - ფიზიკურად დიდი, ძლიერი, მაგრამ ბრიყვის, გონებრივად ჩლუნგის სიმბოლოა. როგორც გ. წიბახაშვილი აღნიშნავს: „ეს არსება აღმოსავლური

ზღაპრებიდან უნდა იყოს მოსული და არც სახელწოდება უნდა იყოს ქართული, რადგან სხვა ენებშიც გვხვდება” (წიგნისწერი 2000: 149). უცხოურ ზღაპრებში მისი მსგავსი პერსონაჟი არის “Giant“, თუმცა ეს ორი პერსონაჟი მაინც განსხვავებული არსებებია (განსხვავება მეტია, ვიდრე მსგავსება). მიგვაჩნია, რომ „დევი“ უთარგმნელად უნდა დარჩეს და უცხოელი მკითხველი ქართული ზღაპრის პერსონაჟს სწორედ ამ სახელით გაეცნოს.

დედანი: „დევის ძალიან გაუკვირდა, აქ ჩემი შიშით ვერავის გაუვლია და ეს ქინკრაქა რა ძალის პატრონია, ამდენს რომ მიბედავსო. გამოსძახა: ვინა, ხარ, რა სულიერი ხარ- თავხედობას როგორ მიბედავო?“ (გვ.59) ინგლისურ თარგმანშია:

“The Giant was greatly astonished, he couldn't believe his ears, and even the other Giants were so scared of him that nobody would come nearby. “How dare you talk to me like this! Who do you think you are?! (გვ.59). ეს აბზაცი ორიგინალთან სრულ შეუსაბამობაშია. „... he couldn't believe his ears ნიშნავს- ყურებს ვერ უჯერებდა, რაც დედანში არ არის, მთარგმნელმა თვითნებურად ჩაუმატა.

ს. წერეთელმა თავი აარიდა „ქინკრაქას“ თარგმნას. „ქინკრაქას“ გადატანითი მნიშვნელობა არის -ნამცეცა, პატარა, ისეთი ვინმე, რომელიც ვერავის ავნებს, ვინმე რომ არაფერში აგდებს (ქეგლ. 1950-1964). „ქინკრაქა“ აქ მეტსახელად უნდა გავიგოთ. ამ შემთხვევაში მთარგმნელს შეეძლო მიახლოებით ეთარგმნა ან უთარგმნელად გადაეტანა შესაბამისი განმარტებით სქოლიოში.

ს. წერეთელს ასევე არასწორად აქვს თარგმნილი „-აი, შე ქინკლაჲ, შენა!“- “Hey, you fool“ (გვ. 61). fool სულელს ნიშნავს, ხოლო ქინკლა - ზომით პატარა და სუსტი მწერს. ნაცარქექია დევს უწოდებს ქინკლას, რაც მისი ერთ-ერთი ემმაკური ხერხია დევის დასაშინებლად და გასაბრიყვებლად. იგივე ეფექტი ვერ ექნება თარგმანს: “If I didn't have pity on you, I would show you who I really am! I am warning if you dare talk to me so disrespectfully again I won't forgive you! You rude and mean one, haven't you ever heard about Natsarkekia, a fighter with a stick?“ (გვ. 61) (ს. წერეთლის თარგმანი).

დედანი: „ერთი არ მეზრალეზოდე და გიჩვენებდი, ვინცა ვარ. იცოდე, თუ ჭკუით არ იქნები, ასეთ მომართვას მეორედ აღარ გაპატიებ. შე ბრიყვო და ბაზაყურო! ჩხირით მეზრძოლი ნაცარყლაპია არ გაგიგონია?“ (გვ. 60). „შე ბრიყვო და ბაზაყუროს“ ზუსტი თარგმანი არ არის “You rude and mean one”: rude- უხეში, mean - საზიზღარი,

მუნწი. ბაბაყური -აქ ბაბაყულის ფონეტიკური ვარიანტი (ლ//რ სონორების მონაცვლეობა)- ნიშნავს ბაიყუმს, რაც ქართულში, მით უფრო ზღაპრებში გაუგებარს, ვერმიხვდარს, ყრუს ნიშნავს (ქეგლ. 1950-1964).

„ჩხირით მებრძოლი ნაცარყლაპია არ გაგიგონია?“ -მთარგმნელი „ნაცარყლაპიას“ ისევ „ნაცარქექიად“ თარგმნის. ზოგადად, ეს მონაკვეთი გაუმართავია. ჩვენი აზრით, სწორი იქნებოდა:

“Hey, you mosquito! Were not I sorry for you I would show you who I am. But, mind that unless you come to your reason, I will not forgive your impudence next time. You stupid and dumb head have not you heard of a cinder-swallower, who fights with his stick? I am that fellow!”

დედანი: „ბატონო ნაცრიყლაპიავ და ჩხირით მებრძოლო, ასეთი ღონის პატრონი, როგორღაც მეტისმეტად მსუბუქი მეჩვენებო“(გვ.62) (დედანში ერთგან „ნაცარყლაპია“ (გვ.60) წერია, მეორეგან - „ნაცრიყლაპია“) (გვ.62).

თარგმანი: “Master Natsarkekia, you seem awfully light for a man with such strength.” (გვ.62) (თარგმანი ს. წერეთლისა) მთარგმნელი გვერდს უვლის დედანს და საქმეს იმარტივებს. თარგმანში არც „ნაცრიყლაპია“ ნახსენები და არც „ჩხირით მებრძოლი“.

დედანი: „დევმა...მოამზადა ერთი უშველებელი გუნდა, უზარმაზარ კეცში ჩადო, ცეცხლს მიუფიცხა და ნაცარქექიას უთხრა...“ (გვ.64).

თარგმანი: “Then he made a huge flat cake, put it into the hearth, warmed it with the fire and said to Natsarkekia...” (გვ. 63).

ს. წერეთელმა ქართული რეალია „კეცი“, რომელიც უეკვივალენტო, უთარგმნელი ერთეულია, თარგმნა, როგორც - **hearth**, რაც ნიშნავს „კერას“, ზოგადად კი - ბუხრის გარშემო ადგილს, იქ ცომის ჩადება და გამოცხობა ვერ მოხერხდება. ამიტომ, ჩვენი აზრით, „კეცი“ უთარგმნელად უნდა დარჩეს შიდატექსტობრივი კომენტარის დართვით: “He put Natsarkekia on the couch, heated the hearth and made the dough; put it in the ketsi, earthenware frying-pan, exposed it to the fire and said to Natsarkekia...” (ნ. ნათელაძის თარგმანი).

დედანი: „დევი ცხრა მთას იქით გადაიხვეწა. მისი სახლ-კარი და სიმდიდრე მთლიანად ნაცარქექიას დარჩა. ძმებიც იქ მიიყვანა და უთხრა...“ (გვ.66).

თარგმანი: "...the Giant escaped from the place immediately. The house of the Giant and all his wealth was left to Natsarkekia, so he went and brought his brothers to him. Then he said to them..." (გვ. 66). (თარგმანი ს. წერეთლისა).

მთარგმნელი თავს არიდებს ფრაზეოლოგიზმის - „ცხრა მთას იქით“- თარგმნას, რის გამოც მთლიანად იკარგება ქართული ხალხური ზღაპრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნიუანსი. „დევი ცხრა მთას იქით გადაიხვეწა...“ ს. წერეთელმა თარგმნა, როგორც "...the Giant escaped from the place immediately...", რაც ნიშნავს: დევი სასწრაფოდ გაიქცა იმ ადგილიდან. მთარგმნელს შეეძლო უბრალოდ მიეთითებინა მაინც, რომ დევი შორს გადაიხვეწა და ამით შეენარჩუნებინა დედნის შინაარსი.

ვფიქრობთ, ამ მონაკვეთის თარგმნა შემდეგნაირად აჯობებდა:

"The devi fled and ran over nine mountains. The house of the devi and all his fortune was left to Natsarkekia. He went to his brothers, took them to the devi's house and told them..."

სამწუხაროდ, ს. წერეთელმა თავი აარიდა ქართული ხალხური ზღაპრის ტრადიციული დასასრულის ფორმულის თარგმნასაც. ზოგადად თარგმანში ბევრი უზუსტობაა გაპარული. როგორც გ. წიბახაშვილი აღნიშნავს „...წარმატებებს აღწევს ის მთარგმნელი, რომელმაც ღვთით მომადლებული ნიჭი გაამდიდრა და გააძლიერა დარგის ღრმა ცოდნითა და უშურველი ცოდნით... იდეალური თარგმანი უნდა იყოს ორიგინალის სრულფასოვანი ასლი, ოღონდაც სხვაენოვანი“ (წიბახაშვილი 2000: 10). მართალია, ამის მიღწევა პრაქტიკულად შეუძლებელია, მაგრამ დედანთან მიახლოება, მისი მნიშვნელოვანი კომპონენტების შენარჩუნება პროფესიონალი მთარგმნელისათვის არ უნდა იყოს რთული.

„კომბლე“- ”Knobsticker“

(თარგმნა ზაზა კოშკაძემ)

პოპულარული ქართული ხალხური ზღაპარი „კომბლე“ ერთი ალალ-მართალი და გამრჯე კაცის შესახებ გვიამბობს. ზღაპრის პერსონაჟი, რომელმაც ცხვრები დაკარგა და მათ სამეზნელად მიდის, უსამართლობასთან „ანგარიშის გასწორებას“

ძალისმიერი მეთოდით – კომბლით აპირებს. ზღაპარში დამნაშავე, უქომაგო, ბოროტი მეგლია. ასეთი „ანგარიშის გასწორება“ სამართლიანობად აღიქმება და ადამიანებში (განსაკუთრებით მცირეწლოვნებში, ვისთვისაც ეს ზღაპარია განკუთვნილი), დადებით ემოციებს იწვევს (გაფრინდაშვილი 2014: 71). ზღაპარი თავისი მთავარი პერსონაჟით დასაწყისშივე იქცევს მკითხველის ყურადღებას: „იყო და არა იყო რა, იყო ერთი კაცი, რომელსაც „კომბლეს“ ეძახდნენ. „კომბლე“ იმიტომ ერქვა, რომ კომბლებს თლიდა და ჭერში აწყობდა“ (გვ. 84).

დედნიდან ამოღებულია მნიშვნელოვანი ფრაზა: „... ვინც მის ცხვრებს შესჭამდა, თავში ჩასცხოვდა.“ კომბლე ფუნქციური სახელია - ანუ ერთდროულად პერსონაჟის სახელიცაა და დახასიათებაც. დედანში კი არ ჩანს კომბლეს მოქმედების მოტივაცია, რატომ თლის იგი კომბლებს. თავად დედანი არ არის სრულყოფილი, იგი სუსტი და დაუხვეწავია, ასეთი ვარიანტის თარგმნა კი როგორც გ. წიბახაშვილი აღნიშნავს: „...წამებიაანია კონკრეტულად ამ ნაწარმოებისთვისაც და, საერთოდ, ეროვნული ზღაპრის ავტორიტეტისთვისაც“ (წიბახაშვილი 2000: 39). დანაკლისი თავლშისაცემია თარგმანშიც: "Once upon a time there was Knobsticker. Knobsticker, he was called because he'd hewed knobsticks and stored them in the attic" (გვ.84).

ზაზა კოშკაძე ცდილობს ფუნქციური სახელის თარგმნას „კომბლე“- „Knobsticker“, თუმცა მისი მნიშვნელობა მაინც გაუგებარი რჩება. „Knobstick“- ნიშნავს კომბალს, რა სემანტიკურ დატვირთვას ატარებს ამ სიტყვისათვის მიმატებული ბოლოსართი "er"? აბსოლუტურად გაუგებარია, რისი შემოკლებული ფორმაა "he'd hewed", he had hewed - თუ მთარგმნელი ამ ფორმას გულისხმობს, გრამატიკულად დრო არასწორად აქვს შერჩეული: წარსული სრული დრო - კომბლემ კომბლები გამოთალა. ამ შემთხვევაში ზღაპრისთვის დამახასიათებელი მოქმედების ინტენსივობა არ ჩანს, რადგან კომბლე კომბლებს თლიდა და ჭერში აწყობდა. თუ მთარგმნელი გულისხმობს he would hewed, რაც აზრობრივად უფრო სწორი იქნებოდა, რადგან would - წარსულში რეგულარულად შესრულებულ ქმედებას გამოხატავს, მაგრამ აქ უკვე გრამატიკული შეცდომაა დაშვებული, სიტყვა- would -ს არ უნდა მოჰყვებოდეს ზმნა წარსულ დროში. ასე რომ, მთლიანად ეს მონაკვეთი, აზრობრივად გაუმართავია და წინადადებაც არასწორად აგებული. ვფიქრობთ, პერსონაჟის

მოქმედების გადმოსაცემად უმჯობესი იქნებოდა წარსული მარტივი დროის გამოყენება.

დედანში კომბლეს ორი ცხვარი ჰყავდა: „მას ორი ცხვარი ჰყავდა“ (გვ. 84), თარგმანში კი სამი ჰყავს: „Knobsticker had three sheep.“ (84), თუმცა მოგვიანებით კომბლეს ორ ცხვარს მესამეც შეემატება: „-მე არ მეშინია თქვენი კომბლესიო!- შესძახა მგელმა და სამივე გადაყლაპა“ (გვ. 90).

საბალახოდ წასულ ცხვრებს გზად მელია შემოხვდათ. მელიამ ჰკითხა:

„- ცხვრებო, ცხვრებო, ვისი ხართო?

- კომბლესიო.“

თარგმანი: „-Sheep, who is your owner?

- Knobsticker“ (გვ.87).

როგორც ცნობილია, ლიტერატურის ყველა ჟანრს თავისი გამორჩეული სტილისმიერი ნიშანი აქვს. ზღაპრის სტილისტიკაში ერთ-ერთი ასეთი ნიშანია განმეორებები. როგორც დ. ფანჯიკიძე აღნიშნავს, განმეორებები „კომპოზიციურად და ინტონაციურად კრავს ზღაპარს და თარგმანშიც აუცილებელია ამ სტილისმიერი ნიშნის ზუსტი რეპროდუცირება“ (ფანჯიკიძე 1988: 172). ეს არ არის გათვალისწინებული ზ. კოშკაძის თარგმანებში, მიუხედავად იმისა, რომ განმეორებების ადეკვატურად გადატანა თარგმანში არანაირ სირთულეს არ წარმოადგენს.

ცხვრების საძებნელად წასულ კომბლეს გზად მელია შემოხვდა. კომბლემ ჰკითხა: „- მელიავ, ჩემი ცხვრები არ გინახავსო?

- არა, ჩემმა მზემაო!“ (გვ.91).

თარგმანი: “ -Fox, have you seen my sheep?

- No, I swear on the sun” (გვ.91).

ამ მონაკვეთში ყურადღებას იქცევს ფიცის ფორმულის თარგმანი: „**ჩემმა მზემაო**“ ზ. კოშკაძემ შემდეგნაირად თარგმნა: I swear on the sun.

როგორც ც. ბარბაქაძე აღნიშნავს, მზე, როგორც არქეტიპული ფუძე, საინტერესო სიტყვაწარმოებას ქმნის ქართულში. „მზის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია დროის აღნიშვნაა... მეტაფორულად მზე საათია, ამქვეყნად ყველაფერი დროში და დროით ცხოვრობს... ყველაფერს თავისი დრო აქვს... ის დრო, რომელიც მზით აღირიცხება, არის სიცოცხლე, ამიტომ ასეთ შემთხვევაში მზე – დროა და ეს უდრის სიცოცხლეს.

სწორედ ეს სემანტიკა ჩანს ფიცის ფორმულებში: შენს მზეს ვფიცავ... რაც ნიშნავს: შენს სიცოცხლეს ვფიცავ... ჩემმა მზემ, შენმა მზემ, ჩემს მზეს ვფიცავ...” (ბარბაქაძე: 2010). სამწუხაროდ, თარგმანში ფიცის ფორმულა (მისი სემანტიკა) და მზის არქექტიპულობა არ ჩანს. ზ. კოშკაძე ხატოვანი გამოთქმის კალკირებას ცდილობს, რასაც უაზრობამდე მიჰყავს. ქართული ფრაზეოლოგიზმის შინაარსის გადმოცემა ან ანალოგიური ფრაზეოლოგიური ერთეულით ჩანაცვლება უფრო მიზანშეწონილად მიგვაჩნია.

ამრიგად, ზ. კოშკაძის მიერ შესრულებულ თარგმანში მრავალი უზუსტობაა გაპარული. მთარგმნელი თავს არიდებს რეალიების, დასაწყისისა და დასასრულის ფორმულების თარგმნას, მრავლადაა აზრობრივად და სტილისტურად დაუხვეწავი წინადადებები.

„რწყილი და ჭიანჭველა” - “The Flea and the Ant”

(თარგმნა მეგი ჯამასპიშვილმა)

„რწყილი და ჭიანჭველა” კუმულაციური ზღაპარია. კომპოზიციურად ძალზე საინტერესოა ზღაპრის მოქმედების ჯაჭვისებურად ასხმის ხერხი, რაც ერთსა და იმავე მოქმედების მრავალგზის განმეორებაში მდგომარეობს, ვიდრე ამ გზით ასხმული ჯაჭვი არ გაწყდება ან უკუღმა არ დაიშლება. ზღაპარი აგებულია მოკლე, ერთტიპობრივ ფრაზეებზე, რომლებიც ფორმულებს უახლოვდება.

„რწყილი და ჭიანჭველა“, როგორც გ. წიბახაშვილი აღნიშნავს, უაღრესად თავისებური ნაწარმოებია. „ჟანრობრივად ეს არის პროზაული და რიტმულ-მელოდიურად ორგანიზებული ტექსტების მონაცვლეობითი თანამიმდევრობა“ (წიბახაშვილი 2000: 131). „რწყილისა და ჭიანჭველას” მოქმედების განვითარებას საფუძვლად უდევს რწყილის სურვილის შეუსრულებლობა. ყოველი ახალი გამოჩენისას რწყილი ახალ საგანს ითხოვს. ტრადიციით შემუშავებული ნორმის თანახმად, ზღაპარში ადგილი აქვს რეტარდაციას - ერთხელ ნათქვამის თავიდან გამეორებას, რისთვისაც გამოყენებულია რიტმული ან ნაწილობრივ შერითმული მიმართვები პერსონაჟებისადმი. ეს ადგილები თავისი ფორმის წყალობით სასიამოვნო

მოსასმენია. მათი ხშირი განმეორებით ნათქვამი მსმენლის მეხსიერებაში მტკიცდება. ამდენად, დედნისეული სახის შენარჩუნება თარგმანში მნიშვნელოვანია.

სამწუხაროდ, ამ შემთხვევაშიც ქართული ტექსტი გადაკეთებული და დასახვეწია. მასში ბევრი ლოგიკური დეტალია ამოღებული. თვალსაჩინოებისათვის მოვიყვანთ რამოდენიმე მაგალითს.

დედანი: „რწყილი ახტა - გადახტა; ჭიანჭველა ახტა - წყალში ჩავარდა.

შეეხვეწა რწყილს:

- ძმობილო, მიშველე რამე, ნუ დამახრჩობო!

რწყილი ახტა, დახტა, მივიდა ღორთან და სთხოვა...” (გვ. 42).

თარგმანი: “The flea jumped over the stream easily. The ant tried, but fell into the water.

- Help me, my friend. I’m drowning!

The flea wanted to help his friend and went to the pig” (გვ.42).

„რწყილი ახტა, დახტა, მივიდა ღორთან და სთხოვა” - ნათარგმნია, როგორც - The flea wanted to help his friend and went to the pig - თარგმანის პწკარედი: რწყილს უნდოდა მეგობრის დახმარება და ღორთან წავიდა. მთარგმნელს საერთოდ ამოუღია ზღაპრის ტიპობრივი ფრაზა-ფორმულები - „რწყილი ახტა, დახტა”- (არადა მისი ინგლისურად თარგმნა არანაირ სირთულეს არ წარმოადგენს). ამის გამო დედნისეული ტექსტის თანამიმდევრული რიტმული წყობა-მელოდიურობა მთლიანად დაიკარგა.

ეს მონაკვეთი შეიძლება შემდეგნაირად თარგმნილიყო: The flea jumped up and down and came up to a pig...

დედანი: „რწყილი ახტა, დახტა, მივიდა მუხასთან და სთხოვა:

- მუხავ, მომე რკო,

რკოს მივუტან ღორს,

ღორი მომცემს ჯაგარსა,

დავგრეხ თოკსა-ბაწარსა,

ჩავუგდებ და ამოვიყვან

ჩემს ძმობილ ჭიანჭველასა“ (გვ.45).

თარგმანი: “The Flea went to the oak and asked:

-Dear oak, please, give me your acorn. I'll give the acorn to the pig; the pig will give me some bristle. I'll make a rope; throw it into the water and save my friend.” (გვ. 45). აქ ერთი უზუსტობაა: დედნისაგან განსხვავებით, თარგმანში რწყილის საუბარი გალექსილი არაა, მთარგმნელს პროზაული სტილი აურჩევია მთელ თარგმანში (დედანშიც არის გაპარული ანალოგიური უზუსტობა (გვ. 48; 49). აშკარაა, რომ მთარგმნელმა საქმე გაიიოლა და ტექსტი თვითნებურად გადააკეთა.

მთარგმნელი რწყილს- **Flea**- ხან დიდი ასოთი წერს, ხან -პატარათი. იმავეს იმეორებს სხვა შემთხვევაშიც. მაგალითად: “Oak answered: ”But you haven't helped me to get rid of the crow” (გვ.45.) ერთ შემთხვევაში **მუხა** მ. ჯამასპიშილმა თარგმნა the oak, მეორე შემთხვევაში კი - უკვე Oak- არტიკლის გარეშე და დიდი ასოთი (როგორც საკუთარი სახელი). მთარგმნელი ვერ გარკვეულა, როგორ გადმოგვეცეს ამბავი. სამწუხაროდ, მსგავსი შეცდომები თარგმანში მრავლადაა.

თარგმანი: ”Dear oak, please, give me your acorn- რაც ნიშნავს- მომეცი შენი რკო. აქ კუთვნილებითი ნაცვალსახელის (your acorn) ნაცვლად ჯობდა, განუსაზღვრელი რაოდენობის აღმნიშვნელი სიტყვა გამოგვეყენებინა - some acorns - მომეცი ცოტა რკო. ჩვენი აზრით, ეს ვარიანტი იმ თვალსაზრისით იქნებოდა უკეთესი, რომ დედანში არ ჩანს, რამდენ რკოს ითხოვს ღორი, ან რამდენ რკოს მისცემს მუხა რწყილს, ყოველ შემთხვევაში, ერთი რკო მაინც არ იგულისხმება.

დედანი: „ - ყვავო, ეხსენ მუხასა,

მუხა მომცემს რკოსა...” (გვ.46).

თარგმანი: “- Crow, crow, leave the oak and fly away, please. The oak will give me an acorn ...”(გვ.46). The oak will give me an acorn სიტყვასიტყვით ასე ითარგმნება: ყვავი მომცემს ერთ რკოს. „an acorn” - ის მაგივრად აქაც ჯობდა some acorns. a, an განუსაზღვრელი არტიკლია (*indefinite article*) და მხოლოდით რიცხვში მყოფი თვლადი არსებითი სახელების წინ გამოიყენება. ეს არტიკლი წარმოიშვა სიტყვა one-დან, რაც ერთს ნიშნავს და მის შინაარსობრივ დატვირთვას ინარჩუნებს. ანუ, განუსაზღვრელ არტიკლს იმ არსებითი სახელების წინ ვიყენებთ, რომლებიც ერთ, ჩვეულებრივ, რიგით საგანს აღნიშნავს ან როდესაც საგანი, რომელზეც ვლაპარაკობთ, არ არის ნაცნობი ან პირველად ვახსენებთ. ამ შემთხვევაში სიტყვა რკო უკვე რამდენიმეჯერ იყო ნახსენები ტექსტში და მეორე, ერთი რკო - არ იგულისხმება

დედანში (როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ). ამიტომ არტიკლი an აქ არ გამოგვადგება. მთარგმნელს სიტყვასიტყვით უთარგმნია დედანი - მუხა მომცემს რკოსა. რკო, როგორც ქართულ ვარიანტშია მხ. რიცხვში, თარგმანშიც ასევეა გადმოტანილი და მივიღეთ აზრობრივი უზუსტობა.

მსგავსი შეცდომები მრავლადაა, მაგალითად:

„- კრუხო, მომე წიწილი,
წიწილს მივგვრი ყვავსა,
ყვავი დათმობს მუხასა,
მუხა მომცემს რკოსა,
რკოს მივუტან ღორსა,
ღორი მომცემს ჯაგარსა,
დავგრეხ თოკსა-ბაწარსა,
ჩავუგდებ და ამოვიყვან
ჩემს ძმობილ ჭიანჭველასა“ (გვ.47).

თარგმანი: “My dear hen, give me a chicken, please. I’ll give the chicken to the crow. The crow will leave the oak. The oak will give an acorn, I’ll give the acorn to the pig, and the pig will give me a bristle I’ll make a rope, throw it into the water and save my friend“(გვ.47).

მთარგმნელი იმავე შეცდომებს იმეორებს: an acorn, the acorn, a bristle მხ. რიცხვში დედნის შინაარსს ზუსტად ვერ გადმოსცემს. რკო და ჯაგარი კრებითი სახელებია და ზუსტად ერთი რკო და ერთი ჯაგარი არ იგულისხმება.

დედანი: „- კატავ, დაეხსენ თავგსა,
თავგი დათმობს ორმოსა,
ორმო მომცემს ფეტვსა,
ფეტვს მივუტან კრუხსა...“ (გვ.50).

თარგმანი: “Help me, please, let the mouse go and the mouse will leave the hole, the hole will give me some millet I’ll give it to hen...“(გვ.50). let the mouse go - ითარგმნება, როგორც - „გაუშვი თავგი“; დედანში კი გვაქვს - „კატავ, დაეხსენ თავგსა“ - ანუ ნუ აწუხებ თავგს, დაეხსენ - არ ნიშნავს, რომ კატას დაჭერილი ჰყავს თავგი და რწყილი მის გაშვებას სთხოვს. დედანში ვკითხულობთ: „კატავ დაეხსენ თავგსა, თავგი დათმობს ორმოსა...“ თავისთავად იბადება კითხვა: თუ თავგი დაჭერილია, ორმოს

როგორ შეაწუხებს? ამ შემთხვევაში იკარგება შემდეგი მოქმედების აზრი. მთარგმნელი ვერ ჩასწვდა დედნის შინაარსს (ორიგინალის მცდარად გაგებამ თარგმანი კიდევ უფრო დაამახინჯა).

თარგმანი: “- Dear pig, give me some bristle I’ll make a rope, throw it into the water and save my friend the ant” (გვ. 43).

დედანი: „ - ღორო, მომე ჯაგარი,
დავგრეხ თოკსა-ბაწარსა,
ჩავუგდებ და ამოვიყვან
ჩემს ძმობილ ჭიანჭველასა“ (გვ. 43).

„ჩემს ძმობილ ჭიანჭველასა“ - ითარგმნა, როგორც my friend the ant - მაგრამ მხოლოდ ამ ერთ შემთხვევაში. როგორც ვიცით, რწილი ყველა პერსონაჟთან საუბრისას ერთსა და იმავე ტექსტს იმეორებს:

„ჩავუგდებ და ამოვიყვან
ჩემს ძმობილ ჭიანჭველასა.“

საინტერესოა, რატომ ამოაგდო სიტყვა ჭიანჭველა მთარგმნელმა დანარჩენ 7 შემთხვევაში. ყველგან ნათარგმნია, როგორც “I’ll make a rope, throw it into the water and save my friend - ანუ გავაკეთებ თოკს, გადავუგდებ და ამოვიყვან ჩემს მეგობარს.

დედანში დაკარგულია ერთი მნიშვნელოვანი დეტალი - „ჭიანჭველა ხავსს მოსჭიდებოდა“ (მას შემდეგ, რაც ის წყალში ჩავარდა, სანამ რწილი თოკს იშოვიდა, ჭიანჭველა ხავსს მოეჭიდა და სწორედ ასე გადარჩა, საწინააღმდეგო შემთხვევაში მას წყალი წაიღებდა).

სამწუხაროა, რომ უცხოელი მკითხველი სწორედ დედნის ამ დაუხვეწავი ვარიანტით გაეცნობა ქართული ზღაპრის ერთ-ერთ თვალსაჩინო ნიმუშს „რწილსა და ჭიანჭველას“. ვფიქრობთ, სასურველი იქნებოდა თარგმანის წყაროდ იაკობ გოგებაშვილის მიერ ჩაწერილი ვარიანტის გამოყენება.

„მზეთუნახავი“- “Beauty”

(თარგმნა ლევან ხარბელიამ)

ზღაპარი „მზეთუნახავი“ მთავარი გმირის დახასიათებით იწყება: „იყო და არა იყო რა, იყო ერთი მზეთუნახავი. მზეს ეუბნებოდა: შენ ჩადი, მე ამოვალ. ამ ქალის არსებობა ცხრათავიანი ბაყბაყდევის გარდა დედამიწის ზურგზე არავინ იცოდა“ (გვ. 144).

თარგმანი: “Once upon a time there lived a beautiful woman. She was called Beauty. She used to tell the sun: “I can shine instead of you! Nobody knew about this woman except monster” (გვ. 144).

ინგლისური სინტაგმა „beautiful woman“, რაც მშვენიერ, ლამაზ ქალს ნიშნავს, ქართული „მზეთუნახავის“ შინაარსს გადმოგვცემს. ხოლო რაც შეეხება მთარგმნელისეულ ცხრათავიანი ბაყბაყ დევის ვერსიას - monster - უმჯობესი იქნებოდა, ბაყბაყდევი უცვლელად დაეტოვებინა მთარგმნელს (მით უფრო, რომ ამის ტრადიცია არსებობს!) და მისი მნიშვნელობა სქოლიოში განემარტა. **ბაყბაყდევი** — ქართულ მითოლოგიაში ბოროტ საწყისს განასახიერებს და უცხოელ მკითხველს ქართული ზღაპრის პერსონაჟი მრავალთავიან არსებად უნდა გაეცნო. საჭირო იყო მთარგმნელს ისიც მიეთითებინა, რომ დევი ცხრათავიანია და ერთ-ერთი გმირი მას შერკინებისას რვა თავს მოჰკვეთს და მეცხრეს დაუტოვებს. **მონსტრი** ძალიან გამარტივებული ფორმაა, **ბაყბაყდევი** კი კონკრეტული პერსონაჟია ქართულ ნაივურ დისკურსში.

დედანი: „ერთხელ სამი ძმა სანადიროდ წავიდა. გზაში შემოაღამდათ და ერთ საყდარს შეაფარეს თავი, სადაც ცხრათავიანი დევი დახვდათ. ძმები შეეხებნენ მას. დევმა ორი ძმა მოკლა. უმცროსმა კი მას რვაჯერ მოჰკვეთა თავი. მეცხრე თავი შეეხვეწა: ოღონდ ნუ მომკლავ და ბედსა გწევო“ (გვ. 145).

თარგმანი: “Once three brothers were hunting and stayed till night. They saw a castle and went to sleep there. Unfortunately a monster lived there. When he saw them, he got very angry and ate two of the brothers, but the youngest one was the strongest. He cut the monster’s head eight time, and wanted to out it again, but the monster said: - Don’t kill me

and I'll tell you something. I know a beautiful woman, nobody knows where she lives" (გვ. 145).

დედანში ვკითხულობთ: უმცროსმა კი მას რვაჯერ მოჰკვეთა თავი (დედანიც გაუმართავია, რვაჯერ კი არ მოჰკვეთა თავი, რვა თავი მოჰკვეთა). შესაძლოა, სწორედ დედნის გაუმართაობამ დააბნია მთარგმნელი, თუმცა უნდა ითქვას, რომ კვალიფიციური მთარგმნელი დედნის ხარვეზის გასწორებას თარგმანში უნდა ეცადოს.

თარგმანში გვაქვს: "He cut the monster's head eight time, and wanted to out it again, but the monster said"- სიტყვასიტყვით ეს წინადადება შემდეგნაირად ითარგმნება: მან მოჰკვეთა მონსტრს თავი რვაჯერ და უნდოდა კიდევ, მაგრამ მონსტრმა უთხრა... რისი თქმა უნდა მთარგმნელს – მონსტრს რვაჯერ მოჰკვეთეს თავი (ამ შემთხვევაში უნდა იყოს eight times), თუ რვა თავი მოჰკვეთეს? თუმცა თარგმანში არსად არის ნახსენები, რომ მას რამდენიმე თავი ჰქონდა.

„ბიჭმა არ მოჰკვეთა თავი. დევმა უთხრა: - ამ სოფლის ბოლოს კოშკში ერთი ქალი ცხოვრობს. მისი ნაწნავები მიწას სწვდება. როდესაც მიხვალ, ხელი ნაწნავებში მოავლე და უთხარი: შენ - ცოლი და მე - ქმარიო"(გვ. 147).

თარგმანი: "So go this way and you will see two plaits, touch them and say: "You are my wife and I am your husband" (გვ.147). ამ წინადადების აზრი ასე შეიძლება გავიგოთ: წადი ამ გზით. დაინახავ ორ ნაწნავს. ხელი შეახე და უთხარი: შენ ხარ ჩემი ცოლი, მე ვარ შენი ქმარიო. თარგმანი რამდენადმე განსხვავებული შინაარსისაა და დედანს ზუსტად არ გამოხატავს, გაუგებარია, ეს მზეთუნახავი სად იმყოფება ან ეს ნაწნავები ვის ეკუთვნის, რადგან მთარგმნელმა ამოიღო დედნიდან მნიშვნელოვანი დეტალი: „ამ სოფლის ბოლოს კოშკში ერთი ქალი ცხოვრობს. მისი ნაწნავები მიწას სწვდება“. სწორედ ამიტომ ადაპტირებული და ნათარგმნი ტექსტი გაუგებარია. ბიჭი სთავაზობს მზეთუნახავს: „შენ - ცოლი და მე - ქმარიო“. თარგმანში კი ვკითხულობთ: "You are my wife and I am your husband" - შენ ჩემი ცოლი ხარ, მე კი შენი ქმარი ვარ. ამიტომ ეს ნიუანსი თარგმანში შემდეგნაირად უნდა გადასულიყო: Be my wife and I'll be your husband. თარგმანის მიხედვით, დევი ბიჭს ეუბნება – შეეხე ნაწნავებსო - touch them and say, რაც აზრობრივად არასწორია. ზღაპრის პირველწყაროს მიხედვით, ბიჭი

მაგრად უნდა მოსჭიდებოდა ქალის ნაწნავებს და ხელი არ გაეშვა, სანამ ცოლობაზე არ დაითანხმებდა. მხოლოდ ხელის შეხებით მას ვერაფერს აიძულებდა.

დედანი: „ბევრი იარა, თუ ცოტა, იმ კოშკს მიადგა, სადაც მზეთუნახავი ცხოვრობდა. ქალს ეძინა. სარკმლიდან ნაწნავები ჰქონდა ჩამოშვებული. ბიჭმა, დევის რჩევით, ნაწნავებს მაგრად ჩაავლო ხელი. ქალმა იგრძნო და გამოეღვიძა. სცადა ადგომა, მაგრამ ვერ შეძლო. მიხვდა, რომ ვიღაცას თმით ეჭირა და ჩამოსძახა: შენ ძმა და მე დაო. ბიჭმა კი მიუგო: შენ - ცოლი და მე - ქმარიო. ქალი დათანხმდა. გავიდა ხანი. ცოლ-ქმარი ტკბილად და ბედნიერად ცხოვრობდა“ (გვ.147). ეს მონაკვეთი თარგმანში შეკვეცილია:

“The boy liked it and went to find the beautiful woman. He saw two plaits, pushed them and said:

-You are my wife and I am your husband.

She answered:

-You are my brother and I am your sister.

- No, you are my wife and I am your husband, - said the boy.

So they got married and lived happily together” (გვ. 147).

მთარგმნელმა ბევრ მნიშვნელოვან ნიუანსს აუარა გვერდი. მაგალითად, დედანში ვკითხულობთ: „ბევრი იარა, თუ ცოტა, იმ კოშკს მიადგა, სადაც მზეთუნახავი ცხოვრობდა. ქალს ეძინა. სარკმლიდან ნაწნავები ჰქონდა ჩამოშვებული“. თარგმანში კი გვაქვს: “The boy liked it and went to find the beautiful woman. He saw two plaits, pushed them and said...” - ანუ ბიჭს მოეწონა ის (რა მოეწონა, გაუგებარია) და წავიდა მზეთუნახავის მოსაძებნად. მან დაინახა ორი ნაწნავი, მოსწია და უთხრა... ამკარაა, რომ დედნისეული ტექსტი და თარგმანი ერთმანეთს არ ემთხვევა. გამოტოვებულია აგრეთვე ის ეპიზოდიც, სადაც ქალი დათანხმდა ვაჟს ცოლობაზე. გარდა ამისა, თარგმანში შეცდომაა გაპარული: მოსწია და უთხრა ნათარგმნია- pushed them and said. push მიწოლას, ხელის კვრას, დარტყმას ნიშნავს და არ მოქაჩვას. უნდა იყოს pull.

ზღაპრის მიხედვით ერთ დღეს ქმარმა მოისურვა სანადიროდ წასვლა. მზეთუნახავმა ურჩია: „მთაში ხეტიალს, სჯობს, ინატრე, რა ცხოველიც გინდა, ჩვენს ეზოში გავაჩენო. ქმარმა იუარა: მე მთაში ხეტიალი უფრო მიხარიაო! გადაიკიდა თოფ-

იარაღი და წასასვლელად მოემზადა. დამშვიდობებისას მეუღლემ ამოიგლიჯა თმის ერთი ღერი, მისცა ქმარს და უთხრა: თუ დაკარგავ, უბედურება მოგველისო” (გვ.148).

თარგმანი: “Do not go in the mountains, I can bring here any animals and hunt in our yard.

- I want to go and hunt in the mountains, where I can chase deer.

He took his gun and left the house. Beauty gave him a golden hair.

-Keep it to be protected and be careful “(გვ. 148).

თარგმანის მიხედვით, ბიჭი გამოთქვამს სანადიროდ წასვლის სურვილს, რათა ირემს გამოეკიდოს- I want to go and hunt in the mountains, where I can chase deer.

დედანში კი ირემი საერთოდ არ არის ნახსენები: „მე მთაში ხეტიალი უფრო მიხარია”. გამოდის, რომ მთარგმნელმა ეს ადგილი თვითნებურად ჩაუმატა, რისი საჭიროებაც ნამდვილად არ იყო.

ზღაპრის ამავე მონაკვეთის თარგმანში კიდევ ერთი შეუსაბამობაა: ”He took his gun and left the house. Beauty gave him a golden hair” - თარგმანის პწკარედი ასეთია: მან აიღო იარაღი და წავიდა, მზეთუნახავმა მისცა მას ოქროს თმა. გამოდის, რომ ბიჭს მზეთუნახავმა წასვლის შემდეგ მისცა თმა. თარგმანი იმის გამოა გაუგებარი, რომ მთარგმნელმა გამოტოვა მნიშვნელოვანი დეტალი - დამშვიდობებისას მეუღლემ ამოიგლიჯა თმის ერთი ღერი, მისცა ქმარს და უთხრა: თუ დაკარგავ, უბედურება მოგველისო. შესაბამისად, თარგმანში ასევე ბუნდოვანია, რატომ უნდა გაუფრთხილდეს ბიჭი ამ თმას: “Keep it to be protected and be careful...”- შეინახე და ფრთხილად იყავი; როგორც ვხედავთ, მთარგმნელი თვითნებურად ცვლის დედანს, ისე, რომ მოქმედების აზრი იკარგება.

ანალოგიურ უზუსტობებს ვაწყდებით შემდეგ მონაკვეთშიც: „მეზობელ სახელმწიფოში ერთი ხელმწიფე ცხოვრობდა, რომელსაც ლამაზი ვაჟი ჰყავდა“ (გვ.150).

თარგმანი: “A king and his handsome son lived in the kingdom” (გვ.150). თარგმანის მიხედვით, მეფე და მისი ლამაზი ვაჟი ცხოვრობდნენ სამეფოში. გაუგებარია, რომელ მეფეზეა საუბარი. დედანში კი მითითებულია, რომ ის მეზობელი სამეფოს მეფეა, რომელსაც ვაჟი ჰყავს.

მეფეს ოქროსთმიანი ქალის პოვნაში დედაბერი ეხმარება: „დედაბერმა ერთი ჯაგლაგი ცხენი და ურემი ითხოვა და გაუდგა გზას. როცა მზეთუნახავის სახლს მიაღწა, უკვე შეღამებული იყო. მასპინძლებს სთხოვა, ღამე გამათევინეთო. ცოლ-ქმარმა დედაბერი კარგად მიიღო“ (გვ.152).

შევადაროთ თარგმანს: “The old woman went to the place where the woman and her husband lived. He asked them to let him stay one night. But the old woman had a plan” (გვ.152).

თარგმანის პწკარედი ასეთია: მოხუცი ქალი წავიდა იმ ადგილისაკენ, სადაც ცოლ-ქმარი ცხოვრობდა და სთხოვა, ერთი ღამე გამათევინეთო. მაგრამ მოხუც ქალს ჰქონდა გეგმა - აშკარაა, რომ თარგმანი დედანს დაშორდა. (შეკვეცილი და დასახვეწია). ჯერ ერთი, გამოტოვებულია „დედაბერმა ერთი ჯაგლაგი ცხენი და ურემი ითხოვა და გაუდგა გზას“ (გვ.152) დედაბერს ცხენი და ურემი მზეთუნახავის წამოსაყვანად სჭირდებოდა. გარდა ამისა, თარგმანში მოხუცი ქალი რატომღაც მამრობითი სქესის ნაცვალსახელით არის ჩანაცვლებული: He asked them to let him stay one night. **He, him** მამრობითი სქესის ნაცვალსახელებია და გაუგებარია, მთარგმნელი რატომ იყენებს მათ, როცა ქალს გულისხმობს.

დედნში დედაბერმა ხაფანგი დაუგო ცოლ-ქმარს: „ორმოს ზევიდან ხალიჩა გადააფარა და ისევ სახლში შებრუნდა. ცოტა ხანში ცოლ-ქმარმა ეს ხალიჩა შენიშნა და სუფრა ზედ გაშალა. საუზმობისას ქმარი ჭურჭლიანად შიგ ორმოში ჩავარდა“ (გვ. 152).

თარგმანში გამოტოვებულია - „ცოტა ხანში ცოლ-ქმარმა ეს ხალიჩა შენიშნა და სუფრა ზედ გაშალა“: “In the morning he went outside and saw a big hole. He covered it with a carpet and waited. The boy came outside with meal and plates and suddenly fell into the hole” (გვ.152). სწორედ ამიტომ ჩავარდა ქმარი ორმოში.

დედნის შემდეგ მონაკვეთში ნათქვამია, რომ:

„ცოლი ძალიან შეწუხდა, მაგრამ ქმარს ვერაფერი უშველა. ცოტა ხნის შემდეგ დედაბერმა ქალს წყალთან ერთად ბანგი დააღვინა. მზეთუნახავს ძილი მოერია და ლოგინზე მიწვა. დედაბერმა მოიყვანა ურემი და ქალი ზედ დააწვინა. წასვლისას მის ქმარს ერთი თონე პური ჩაუყარა და გაუდგა გზას. დედაბერმა ქალი მეფეს მიჰგვარა“ (გვ.153). ზღაპარში განვითარებული მოვლენები თარგმანში შეკვეცილია: “His wife and

the old woman were trying to help him. Then he gave her something to drink. In few seconds the woman fell asleep. The next day she woke up in king's palace and began to cry” (გვ.153).

დედნის მიხედვით, ირკვევა, რომ: 1. ორმოში ჩავარდნილ ქმარს ცოლმა ვერაფერი უშველა, თარგმანში კი ცოლი და დედაბერი მის ამოყვანას ამაოდ ცდილობდნენ. 2. დედანში დედაბერმა ქალს ბანგი დააღვინა და ისე დააძინა, ხოლო თარგმანში მან ქალს რაღაც დააღვინა და დააძინა (არ არის დაკონკრეტებული, რით დააძინა). თარგმანში გამოტოვებულია დედაბრის მიერ მეფესთან ქალის ურმით მიყვანის ეპიზოდიც, მხოლოდ ის არის აღნიშნული, რომ ქალმა დაიძინა და მეფესთან გაიღვიძა. ამიტომ მკითხველისთვის გაურკვეველია, როგორ მოხვდა მზეთუნახავი მეფის სასახლეში.

მზეთუნახავის ქმარმა, მას შემდეგ, რაც მწყემსებმა ორმოდან ამოიყვანეს, იმ ხელმწიფის სასახლეში დაიწყო ბატების მწყემსად მუშაობა, სადაც უფლისწულს მისი მზეთუნახავი ცოლი ჰყავდა გამოკეტილი. ქმარმა ცოლის დაბრუნება გადაწყვიტა. „ვაი-ვაგლახით იშოვა ორი ცხენი, მოიყვანა და სახლთან დამალა. მზეთუნახავთან მხოლოდ ერთი დედაბერი ადიოდა. კაცი ამ დედაბერს ჩუმად შეუთანხმდა და ტანისამოსი გაუცვალა. შელამდა თუ არა, ცოლთან აიპარა. მცველებმა ვერაფერი გაიგეს. ცოლ-ქმარმა ერთმანეთის ნახვით ძალიან გაიხარა. დაბლა ჩამოვიდნენ, ცხენებს მოახტნენ და გაქუსლეს. მზეთუნახავისა და მისი ყოფილი ქმრის ამბავი მხოლოდ სასახლის კარის ერთმა არაბმა მცველმა გაიგო. მას მზეთუნახავზე დიდი ხანია თვალი ეჭირა. არაბი გაქცეულ ცოლ-ქმარს მაშინვე დაედევნა. დიდი ხნის დევნის შემდეგ, როგორც იქნა, დაეწია. არაბი კაცს ყელში სწვდა დასახრჩობად, მაგრამ მზეთუნახავმა მოასწრო, დანა ამოიღო და მას კისერში გაურჭო“ (გვ.156).

ზღაპრის ეს მონაკვეთი თარგმანში საგრძნობლად შეკვეცილია: “They decided to escape from the palace. The guard helped them to escape. One of the king's guards liked the woman very much and he followed them. He approached them and wanted to kill the men. The woman took a knife and killed the king's guard“(გვ.156). თარგმანის პწკარედი: მათ გადაწყვიტეს, გაქცეულიყვნენ. გაქცევაში მცველი დაეხმარა. მეფის ერთ-ერთ მცველს ძალიან მოწონდა ქალი და გამოეკიდა. ის მათ მიუახლოვდა და კაცის მოკვლას შეეცადა. ქალმა აიღო დანა და მოკლა მეფის მცველი. თარგმანში გაურკვეველია, როგორ დააღწია თავი ცოლ-ქმარმა მეფის სასახლეს. დედნის მიხედვით, ქმარს

ცოლთან შეღწევაში დაეხმარა ერთი დედაბერი, რომელიც მზეთუნახავთან ადიოდა ხოლმე. სწორედ მისი, და არა მცველის დახმარებით გამოაპარა მან თავისი ცოლი კოშკიდან. თარგმანში არ არის ნახსენები ისიც, რომ ცოლ-ქმარს დადევნებული მცველი არაბია, რომელიც მზეთუნახავის ქმრის დახრჩობას ცდილობდა. გარდა ამისა, გაუგებარია, ვის შეებრძოლა მცველი - ქალს თუ მის ქმარს. არაბი ქმრის მოკვლას შეეცადა, მაგრამ ცოლმა დაასწრო და დანით მოკლა არაბი. მთარგმნელმა იმდენად შეკვეცა დედანი, რომ თარგმანში თითქმის აღარაფერი დატოვა და ზღაპრის მისეული ვარიანტი შემოგვთავაზა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ლ. ხარბედიას თარგმანი ყველაზე სუსტია ჩვენ მიერ განხილულ თარგმანთა შორის. მასში მრავლადაა აზრობრივად და სტილისტურად გაუმართავი წინადადებები, მთარგმნელისეული გადახვევები, რაც, გარკვეულწილად, დედანმაც განაპირობა. ორიგინალში გამოტოვებულია მნიშვნელოვანი ნიუანსები, შესაბამისად, თხრობა მოკლებულია ლოგიკურობას. თარგმანი კი იმდენად შეკვეცილია, რომ არა თუ პატარა, ზრდასრულ მითხველსაც გაუჭირდება ზოგიერთი მონაკვეთის გააზრება.

„ასფურცელა“- "Aspurtsela"

(თარგმნა თამთა ჩეკურიშვილმა)

ზღაპარი „ასფურცელა“ მოგვითხრობს მთავარი პერსონაჟის- ასფურცელას თავგადასავალს, რომელიც ძმებისგან გამორჩეული, ყველაზე მოხერხებული და საზრიანი გმირია.

ზღაპრის მიხედვით, სამუშაოდ მიმავალ ასფურცელას ძმებს დედა არიგებს: „გზადაგზა ხახვის ნაფცქვენები დაყარეთ, თქვენი და ამ ნაფცქვენებს გამოჰყვება და მოგაგნებთო“ (გვ. 96).

თარგმანი: “She also gave them an onion. When they were on the road, they would throw onion peels down and their sister would follow the peels to find them easily“ (გვ. 96).

თარგმანში დედამ შვილებს მისცა ერთი ხახვი - “She also gave them an onion” - დედანში კი დედა შვილებს ხახვის ნაფცქვენების დაყრას ურჩევს: „გზადაგზა ხახვის ნაფცქვენები დაყარეთო“, მთარგმნელს დედანი სწორად არ აქვს გაგებული. რა თქმა

უნდა, აქ მხოლოდ ერთი ხახვი არ იგულისხმება, რაც არ გაითვალისწინა მთარგმნელმა და მრ. რიცხვის ნაცლად პირდაპირ მხ. რიცხვის ფორმით გადაიტანა ხახვის კრებითობითი შინაარსით გაგება, რამაც შეცვალა დედნისეული აზრი.

ზღაპრის შემდგომ ეპიზოდში ნათქვამია, რომ:

„გზაზე ერთი სოფელი იყო გასავლელი. იქ ასთავიანი დევი ცხოვრობდა, რომელსაც ჰყავდა მოხუცი დედა. დედაბერმა მიწაზე ხახვის ნაფცქვენები რომ შენიშნა, აკრიფა და თავის სახლთან დაყარა“ (გვ.98).

თარგმანში კი ვკითხულობთ: “There was a village on the road to pass. In this village there lived a Giant with his old mother. When he saw the peels of onion, he picked them up and dropped them on his way home” (გვ.98). გამოდის, რომ ხახვის ნაფცქვენები დევმა აკრიფა. არადა დედანში ეს დევის დედამ მოიმოქმედა. გარდა ამისა, ასთავიანი დევი თარგმანში გადასულია როგორც Giant - გოლიათი, რაც ნაკლებად შეესატყვისება დევს, a hundred-headed devi უფრო ზუსტი თარგმანი იქნებოდა.

სამწუხაროდ, ბევრი რამ დედანშიც გაუგებარია. დევის დედა ასფურცელას ძმებს ეუბნება: „ჩემი შვილის შიშით მაღლა ფრინველს ვერ გაუჭაჭანებია, დაბლა – ჭინჭველას, თქვენ როგორ გაბედეთო?“ (გვ.103), მაგრამ რა გაბედეს, არ ჩანს. ასევე ბუნდოვანია, რა ბედი ეწიათ ასფურცელას ძმებს. ზღაპრის მიხედვით, დევმა ისინი გომში დააძინა. თვითონ მეორე დილას, სანადიროდ წასვლის წინ დედას საგზალი სთხოვა. დედამ უთხრა: „- შვილო, დაბლა ორი კუტი პურია, წაიღეო. დევი ჩავიდა გომში, ერთი პური შეჭამა, მეორე ილლიაში ამოიჩარა და წავიდა“ (გვ.105). დედნის ეს ნაწილი ორაზროვანია, პური შეჭამა დევმა თუ ძმები?

თარგმანში კი პური საერთოდ არაა ნახსენები: “In the morning, when the giant got up, he asked his mother for meal. The mother said: “Take two dwarfs from the barn.” So the Giant ate one of the dwarfs, put the other in his sack and went hunting” (გვ. 105). ორი კუტი პური თარგმნილია, როგორც ორი ჯუჯა – two dwarfs - იგულისხმება ასფურცელას ძმები. დევმა ასფურცელას ძმები შეჭამა. ეს ის იშვიათი შემთხვევაა, როდესაც მთარგმნელი დედანში გაპარული უზუსტობის გამოსწორებას ცდილობს.

ზღაპარში მას შემდეგ, რაც ასფურცელას დედამ შვილები დაკარგა, მთელი დღე იჯდა და ტიროდა. ერთ დღეს უცხო კაცმა ჩამოიარა, ქალი ასეთ დღეში რომ ნახა, მისცა მას ვაშლი და ურჩია:

„ეს ვაშლი ას ნაწილად გაჭერი და დღეში თითო შეჭამე, აუცილებლად დაგეხმარებაო“ (გვ.107). დედანშიც ბოლომდე არ ჩანს, როგორ და რაში დაეხმარება ქალს ეს ვაშლი (ვაშლის შეჭმის შემდეგ მას ბიჭი გაუჩნდებოდა, რომლისთვისაც ასფურცელა უნდა დაერქმია, სწორედ ის ამოჰყრიდა დევის ჯავრს).

თარგმანში ვკითხულობთ:

“Cut this apple into a hundred pieces and eat one piece every day” (გვ.107). თარგმანის შინაარსი შემდეგია: გაჭერი ვაშლი ას ნაწილად და შეჭამე თითო ნაჭერი ყოველდღე. გამოტოვებულია მნიშვნელოვანი დეტალი, სწორედ ამიტომ დაიკარგა მოქმედების აზრი, რატომ უნდა ეჭამა ქალს ეს ვაშლი.

ასფურცელა დევის სახლში წავიდა და თავისი და-ძმები გამოიხსნა, მაგრამ ძმებმა უღალატეს და განაწყენებული ასფურცელა სახლიდან წავიდა: „ბევრი იარა თუ ცოტა იარა, სალამოს მივიდა მინდორში. იქ ერთი რცხილა იდგა. ბიჭი ხესთან შეჩერდა და გაისროლა მშვილდ-ისარი.“ (გვ. 121)

თარგმანი: “He walkd and walked and came up to a field. There was a big tree in the field. Aspurtsela stopped near the tree and shot an arrow in the air” (გვ. 121).

დედნისა და თარგმანის მიხედვით, გაუგებარია, რატომ გაისროლა ასფურცელამ ისარი, არ ჩანს მოქმედების მიზანი (მან არ იცოდა, საით წასულიყო, ამიტომ გაისროლა ისარი. სადაც დაეცემოდა, იქით წავიდოდა).

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ თამთა ჩეკურიშვილის მიერ შესრულებული თარგმანი ბევრად ჩამორჩება თავის პირველწყაროს. თარგმანში ბევრი აზრობრივად გაუმართავი (ორაზროვანი) მონაკვეთია, თუმცა ბევრი რამ დედანშიაც გაუგებარია, რამაც, გარკვეულწილად, თარგმანზეც იქონია გავლენა.

„ხუთკუნჭულა“- "Khutkunchula"

(თარგმნა ბერდია კუტუბიძემ)

ზღაპარი „ხუთკუნჭულა“, ისე როგორც სხვა ქართული ხალხური ზღაპრები, ემშაკობა-მოხერხებულობის მოტივზეა აგებული. ზღაპრის გმირი ხუთკუნჭულა ჭკვიანი, მაგრამ ღარიბი პერსონაჟია. ცხოვრებამ მას საარსებო საშუალებების მოპოვების და დოვლათის ხელში ჩაგდების იოლი ხერხი - ემშაკობა-მოხერხებულობა

და ბაყბაყდეების დამარცხება ასწავლა (გაფრინდაშვილი 2014:70). ზღაპარს აქვს ქართული ზღაპრისთვის დამახასიათებელი დასაწყისი: „იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა?“ - რაც თარგმანში ინგლისური ზღაპრის დასაწყისით არის ჩანაცვლებული. მთარგმნელის მიერ ტექსტი გადაკეთებულია და დედანს საკმაოდ დაშორებული. დედანში ვკითხულობთ: „იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა? იყო ცხრა ძმა. ცხრავე ისეთი ღარიბები იყვნენ, რომ იმათსაც ვერც არას ცეცხლი დაწვავდა და ვერც არას წყალი წაიღებდა. ნახევრად მშივრები იყვნენ“ (გვ.8).

თარგმანი: “Once upon a time there were nine brothers. They were so poor and hungry that they were starving most of the time“ (გვ.8).

„ცხრავე ისეთი ღარიბები იყვნენ, რომ იმათსაც ვერც არას ცეცხლი დაწვავდა და ვერც არას წყალი წაიღებდა. ნახევრად მშივრები იყვნენ“ ბ. კუტუბიძემ თარგმნა, როგორც: “They were so poor and hungry that they were starving most of the time.“ გამოდის, რომ ძმები ისეთი ღარიბები და მშივრები იყვნენ, რომ უმეტესად შიმშილობდნენ. თარგმანი გუმართავია და სცილდება დედნის შინაარსს. გარდა ამისა, დაიკარგა გამოთქმა - „ვერც არას ცეცხლი დაწვავდა და ვერც არას წყალი წაიღებდა.“ მართალია, მთარგმნელმა ფრაზეოლოგიურ გამოთქმას შესატყვისი ვერ მოუძებნა, მაგრამ შეეძლო შინაარსის გახსნა. ეს მონაკვეთი შეიძლება გვეთარგმნა ასე: They were very poor and were starving most of the time.

ზღაპრის მიხედვით, ხუთკუნჭულა და მისი ძმები დევს დაუდგნენ მოჯამაგირედ. დევს, რომელსაც ცხრა ქალი და აუარებელი საქონელი ჰყავდა, ხუთკუნჭულას და მისი ძმების დახოცვა უნდოდა, მაგრამ ვერ მოახერხა.

დედნის შემდგომ ეპიზოდში „ადგა ხუთკუნჭულა, მოიპარა დევის ქალების ტანისამოსი და ძმებს ლოგინში ჩააცვა, ძმების ტანისამოსი კი - დევის ქალებს და თავი მოიმძინარა“ (გვ. 15).

თარგმანი: “Khutkunchula jumped out of the bed, took the giant’s wives’ clothes and put them beside his brothers. Then he took his brothers’ clothes and put them next to the giant’s wives and kept silent, pretending to be sleeping” (გვ. 15).

თარგმანში ხუთკუნჭულამ დევის ქალებს გვერდით დაულაგა თავისი ძმების ტანსაცმელი, ხოლო ქალების ტანსაცმელი - თავის ძმებს. დედანში კი ხუთკუნჭულა

დევის ქალების ტანსაცმელს აცმევს თავის ძმებს, ხოლო თავისი ძმებისას – დევის ქალებს. სწორედ ამიტომ შეეშალა დევს და თავისი ქალები დახოცა.

ზღაპრის მიხედვით, ხუთკუნჭულამ და მისმა ძმებმა დევის სახლს თავი დააღწიეს და ხიდზე გადავიდნენ, რომელიც „დევის და ერთი ხელმწიფის საზღვარზე მდებარეობდა“ (გვ.19). დედანშივე წინადადება გაუმართავია (გაუგებარი და ბუნდოვანია), ხიდი დევის და ხელმწიფის საზღვარზე ვერ იქნებოდა. დასაზუსტებელია, რომ მოქმედება ხდება საზღვარზე, სამეფოსა და დევის მამულს (სამფლობელოს) შორის. თარგმანი სიტყვასიტყვით იმეორებს დედანს: “The bridge was on the border of the giant and a king“(გვ.19).

დედნის მიხედვით, დევი გაქცეულ ხუთკუნჭულას და მის ძმებს გამოეკიდა, მაგრამ ისინი უკვე სამშვიდობოს იყვნენ გასული: „დაბრუნდა დევი შინ კბილების კრაჭუნით“(გვ.19). კბილების კრაჭუნი იმის მიმანიშნებელია, რომ დევი განრისხებულია, ხოლო თარგმანის მიხედვით – The giant went back home disappointed – დაბრუნდა დევი შინ იმედგაცრუებული (disappointed -უიმედო, იმედდაკარგული, სასოწარკვეთილი).

ხიდზე გადასვლის შემდეგ ძმები უკვე ხელმწიფის სამეფოში აღმოჩნდნენ: „ძმებმა კი გზა განაგრძეს და ერთ სასახლეს მიაღწენ. ხუთკუნჭულამ უთხრა, ახლა ხელმწიფეს დავუდგეთ მოჯამაგირედო. ასეც მოიქცნენ. ბოროტ ძმებს შურდათ ხუთკუნჭულას მოხერხებულობა და მისი მოკვლა მოინდომეს“ (გვ.20).

სამწუხაროდ, დედანშიც ეს ადგილი გაუმართავია, თარგმანში ხომ მით უფრო – ყველაფერი არეულია: “The brothers went to the king to work for him. They decided to kill Khutkunchula” (გვ.20) თარგმანის შინაარსი შემდეგია: ძმები წავიდნენ მეფესთან სამუშაოდ. მათ გადაწყვიტეს ხუთკუნჭულას მოკვლა. ზღაპრის ამ მონაკვეთის შეჯერება-შედარებით ირკვევა, რომ თარგმანი დედანს არ ემთხვევა, გადაკეთებულია და თანაც ამოღებულია ერთი მნიშვნელოვანი დეტალი: არ ჩანს ის მომენტი, რომ სწორედ ხუთკუნჭულამ შესთავაზა ძმებს მეფესთან მუშაობის დაწყება. ასევე გაუგებარია, რა მიზეზით უნდათ ძმებს მისი მოკვლა (შურდათ მისი მოხერხებულობა). მოვლენათა თანამიმდევრობა დარღვეულია. მთარგმნელმა დედანი დაამახინჯა და ტექსტის ეს მონაკვეთი სრულიად უაზრო გახადა – მკითხველისათვის გაუგებარი ხდება პერსონაჟის (ან პერსონაჟების) ქმედებები. არადა,

როგორც გ. წიბახაშვილი აღნიშნავს, „ზღაპარში ყოველი დეტალი მნიშვნელოვანია და მათი გამოტოვება, გადაადგილება ან შეცვლა არღვევს მოვლენების განვითარების შინაგან კავშირსა და თანამიმდევრობას“ (წიბახაშვილი 2000: 113).

დედნის მიხედვით ხუთკუნჭულას ძმები ცდილობენ, მეფე დაარწმუნონ, რომ ხუთკუნჭულა დევთან გაგზავნოს: „ერთ დევს ერთი თხა ჰყავს. ის თხა გულთმისანია და, რასაც ნახავს, ან გაიგონებს, ყველაფერს იმეორებს. ხუთკუნჭულამ ის თხა რომ მოგგვაროთ, კარგი იქნებაო!“ (გვ.20).

თარგმანი: “- There is a giant who has a goat who is a fortuneteller. It can say everything that it sees and hears. If Khutkunchula brings you that goat it will be good for you” (გვ.20).

თხასთან მიმართებით მართებული არ იქნება ნაცვალსახელი who-ს გამოყენება. შეიძლებოდა შემდეგნაირად გვეთარგმნა: There is a giant who has a goat, which is a fortuneteller.

თარგმნის თვალსაზრისით, საინტერესოა შემდეგი მონაკვეთიც: „ძმებმა ხელმწიფეს უთხრეს: - დიდებულო ხელმწიფევ, მაგ თხის პატრონს ისეთი ხალიჩა აქვს, რომ მისი ფასი დედამიწის ზურგზე არაფერია. რადგან ხუთკუნჭულამ თხა მოიყვანა, ხალიჩასაც მოიტანსო!“ (გვ. 27).

თარგმანი: “They told the king: -Your majesty, the giant also has a wonderful carpet. If Khutkunchula managed to take that goat he can bring that carpet too” (გვ. 27).

დედნის მიხედვით დევს აქვს ჯადოსნური ხალიჩა და არა მშვენიერი ხალიჩა, მაგრამ თარგმნილია wonderful carpet. ასევე გაუმართავია წინადადება ”If Khutkunchula managed to take that goat he can bring that carpet too”. ჯობდა ასე: If Khutkunchula managed to take the goat he can bring that carpet too.

დედნის შემდეგ მონაკვეთში მოქმედებათა ქრონოლოგიაა დარღვეული: „ხელმწიფემ ხუთკუნჭულა ისევ დაიბარა და უთხრა:

- უნდა წახვიდე და იმ დევს რომ ხალიჩა აქვს, ისიც მოიტანო!

სხვა რა გზა ჰქონდა ხუთკუნჭულას, ადგა და წავიდა. წასვლის წინ ხელმწიფეს ერთი მუჭა ნემს-მახათი სთხოვა. მისცეს და წავიდა“ (გვ.27).

ჯერ ნათქვამია, რომ ხუთკუნჭულა წავიდა ხალიჩის მოსატანად და შემდეგ ნემს-მახათი სთხოვა ხელმწიფეს. შესაბამისად, თარგმნილი ტექსტიც არალოგიკურია:

“The king called Khutkunchula and ordered him to bring the carpet to him. Khutkunchula agreed and went to the giant. He only asked for some needles” (გვ.27). თარგმანიდან გამომდინარე: ხუთკუნჭულა მეფეს დაეთანხმა და წავიდა დევთან. მან მხოლოდ რამდენიმე ნემსი ითხოვა - გამოდის, რომ ხუთკუნჭულამ დევს სთხოვა ნემსები და არა მეფეს.

მას შემდეგ, რაც ხუთკუნჭულამ მეფეს დევის თხა მოუყვანა და ხალიჩაც მოუტანა, ხელმწიფემ თავად დევის მოყვანაც მოინდომა: „ხელმწიფემ ისევ დაიბარა ხუთკუნჭულა და უთხრა:

-უნდა წახვიდე და ამ ხალიჩის პატრონიც აქ მოიყვანო!

-კარგიო, - მოახსენა, - მხოლოდ ერთი ხელი გლეხური ტანისამოსი და დურგლის იარაღები მიშოვეთო“ (გვ. 30).

თარგმანი: “The king called Khutkunchula and ordered:

-You have to go and bring me the owner of the carpet and the goat!

-Okay, - agreed Khutkunchula- but will you give me some peasant's clothes and carpenters' tools?” (გვ.31) გაუგებარია peasant's clothes -ის მნიშვნელობაც.

ზღაპრის მიხედვით, ხუთკუნჭულა დევის მეფესთან მოსაყვანად გაეშურა. როცა დევის მამულში მივიდა, ტყეში თავად მას შეხვდა. ხუთკუნჭულამ დევს თავისი ვინაობა დაუმალა (თავი დურგლად გაასაღა): „მე ერთი უბრალო დურგალი ვარ. იმ ვერანას ვეხმარებოდი, ჯერ მამუშავა, მერე კი გასამრჯელო არ მომცა და გამომადგო“ (გვ.33).

ამ მონაკვეთს ბ. კუტუბიძე შემდეგნაირად თარგმნის:

“- I worked for Khutkunchula and he didn't pay me and threw me out” (გვ. 33). თარგმანში არ ჩანს მნიშვნელოვანი დეტალი - გაუგებარია, რას საქმიანობდა დურგალი ხუთკუნჭულასთან. დედნის მიხედვით კი დურგალი ამბობს: „- მე ერთი უბრალო დურგალი ვარ“. ხუთკუნჭულამ თავისი ხელობით (დურგლობით) მოატყუა დევი და კიდობანში გამოამწყვდია: „ისეთ კიდობანს გაგიკეთებ... რომ შიგ ჩაჯდე და ფიცარიც ვერ გააგდებინო“ (გვ.33). დედნისეული „ვერანა“ თარგმანში გამოტოვებულია. „ვერანა“ წარმოშობით სპარსული წარმოშობის სიტყვაა და ცუდს, საძაგელს, ვიგინდარას ნიშნავს [<http://www.ena.ge/explanatory-online>]. მთარგმნელს შეეძლო უბრალოდ სიტყვის აზრი გადმოეცა.

ზღაპრის დასასრულს ხუთკუნჭულამ დევი მოტყუებით კიდობანში ჩასვა და მეფეს მოუყვანა. კიდობანს რომ ახადეს, გაგიჟებული დევი დაერია ხალხს და ყველა გადასანსლა. ხუთკუნჭულამ ჭადრის ხეზე ასვლით უშველა თავს. დევი მასთან ასვლას შეეცადა. ხუთკუნჭულამ კიდევ ერთხელ აჯობა ჭკუით დევს: „გულაღმა დაწექ, მე ქვას ჩამოვაგდებ, გულზე დაგეცემა და ამოხტებიო“- უთხრა ხუთკუნჭულამ. დაწვა დევი გულაღმა. ხუთკუნჭულამ ლოდი ჩამოაგდო, დევს გულზე დაეცა და მოკვდა. ხუთკუნჭულა ჩამოვიდა ხიდან, წავიდა დევის სახლში, დაეპატრონა მის ქონებას, ხელმწიფის ქონებაც შეუერთა და დაიწყო მეფური ცხოვრება“ (გვ.39).

თარგმანი: “The giant lay down on the ground. Khutkunchula threw the heavy stone and killed the giant. Khutkunchula breathed with relief. He became the king of the giant’s country. He always had bread and wine” (გვ.39).

ზღაპრის დასასრულის ეს მონაკვეთი თარგმანში დედანს დაშორებულია. შევადაროთ პწკარედი: დაწვა დევი მიწაზე. ხუთკუნჭულამ ჩამოაგდო მძიმე ქვა და მოკლა დევი. ხუთკუნჭულამ შვებით ამოისუნთქა. ”Khutkunchula breathed with relief ...” - ანუ ხუთკუნჭულამ შვებით ამოისუნთქა - ასეთი რამ დედანში არ გვაქვს, ეს უკვე მთარგმნელის ფანტაზიაა. თარგმანში გამოტოვებულია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი: ხუთკუნჭულა დევის ქონებასაც დაეპატრონა და მეფისასაც. თარგმანში კი: ”He became the king of the giant’s country” - ის (ხუთკუნჭულა) გახდა დევის სამფლობელოს მეფე.

ამრიგად, „ხუთკუნჭულას“ ბ. კუტუბიძისეულ თარგმანში, გარდა იმისა, რომ მოვლენათა თანამიმდევრობა დარღვეულია, შეკვეცილია დედანი, გამოტოვებულია ეპიზოდები, რომელთაც ტექსტში მკაფიოდ გამოხატული აზრობრივი და ემოციური დატვირთვა აქვთ, რის გამოც გაუგებარია პერსონაჟთა ესა თუ ის მოქმედება.

„ცეროდენა“- “Tiny”

(თარგმნა ირაკლი ცომაია)

ზღაპარი მოგვითხრობს პაწაწინა ბიჭზე, რომელიც ზომით ცერის ოდენაა, თუმცა მოხერხებულობითა და საზრიანობით გამოირჩევა. ჯერ კიდევ დედის

მუცელში მყოფი ცეროდენა ცდილობს დედის დახმარებას. „იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა? იყო ერთი ცოლ-ქმარი. ერთხელ კაცი ხნავდა. ცოლმა სადილი წაუღო: ხურჯინში მჭადები ეწყო, ქილით კი მაწონი ედგა. ქალი ორსულად იყო. შუა გზაზე მუცლიდან ხმა მოესმა: -დედი, მომეცი, მე ავიკიდებ ხურჯინსო“ (გვ.126).

თარგმანი: “Once upon a time there lived a husband and wife. The husband used to go and work in the field every day. His wife prepared him a meal and put it into a big bag to take to the field to feed her husband. She was pregnant.

Once on the way she heard a voice.

-Mom, Mom, please, let me take this bag” (გვ.126).

დასაწყისს - „იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა“, ისე როგორც სხვა არაერთ თარგმანში, აქაც მთარგმნელი ინგლისური ზღაპრის დასაწყისს უსადაგებს - “Once upon a time”. როგორც დ. ფანჯიკიძე შენიშნავს, პირველი ფრაზა არის ის პირველი ინფორმაცია, რომელიც აღძრავს უცხო სამყაროში შესვლის მოლოდინს და ამ ფრაზის სხვა ენის კლიშეთი შეცვლა, უპირველეს ყოვლისა, ამ მოლოდინს გააქარწყლებდა (ფანჯიკიძე 1988: 173). გარდა ამისა, თარგმანში უზუსტობაა. დედანში ვკითხულობთ: „ერთხელ კაცი ხნავდა...” - თარგმანის მიხედვით კი ქმარი ყოველდღე დადიოდა მინდორში სამუშაოდ- “The husband used to go and work in the field every day...” ვფიქრობთ, აჯობებდა ასე გვეთარგმნა: One day the husband went to plough his field.

თარგმანში არ ჩანს, იპოვეს თუ არა მშობლებმა ცეროდენა, მას შემდეგ, რაც ის ულლიდან გადმოვარდა და კამეჩის ნეხვში ჩავარდა. ამის გარკვევა დედანშიაც ჭირს: „უცებ მოიღრუბლა, დაიქუხა და კოკისპირული წვიმა წამოვიდა. კამეჩის ნეხვი წყალმა გაშალა და ჩვენი ცეროდენა უვნებლად ამოძვრა იქიდან. ცოტათი შესცივდა. ვაზის ძირში ცეცხლი დაანთო, მიუჯდა გვერდზე და თბებოდა“ (გვ. 128).

თარგმანში ეს ეპიზოდი კიდევ უფრო გაბუნდოვანებულია: “Suddenly the sky became grey with clouds and the rain started. Tiny appeared, he was alive. Tine was wet and cold. He made s fire to warm a bit” (გვ.128). თარგმანის შინაარსი ასეთია: უცებ ცა მოიღრუბლა და წვიმა დაიწყო. ცეროდენა გამოჩნდა, ის ცოცხალი იყო, სველი იყო და სციოდა. ცეროდენამ ცეცხლი დაანთო გასათბობად. იმის გამო, რომ თარგმანიდან

„კამეჩის ნეხვი წყალმა გაშალა“ ამოღებულია, ცეროდენას უეცარი გამოჩენა აუხსნელი რჩება.

ზღაპრის მიხედვით, კამეჩის ნეხვიდან ამოსული ცეროდენა მგელმა გადაყლაპა. მგელს ერთი ნაკბილარი ჰქონდა. ჩაჯდა იქ ცეროდენა და ჩხვლეტა დაუწყო. მგელმა უთხრა: „-ოლონდ გამოდი და ოქროსმატყლიან ერკემალს გაჩუქებო“ (გვ.129).

თარგმანში ოქროსმატყლიანი ერკემალი ნათარგმნია, როგორც golden lamb, რაც ოქროს ბატკანს ნიშნავს: "I will give you a golden lamb if you come out, said the wolf" (გვ.129). ერკემალი ზრდასრული (მამრობითი სქესის) ცხვარია, ამიტომ უფრო მართებული იქნებოდა მთარგმნელს - ram (და არა lamb) გამოეყენებინა: a ram with golden fleece.

თარგმანში კიდევ არაერთი მნიშვნელოვანი დეტალია ამოღებული. მაგალითად, ყაჩაღებისა და ცეროდენას ეპიზოდში: „იქვე ყაჩაღებმა ჩამოიარეს, საყდრის გატეხა უნდოდათ, მაგრამ კარი შიგნიდან იყო ჩაკეტილი და ვერაფერი მოახერხეს. ცეროდენა რომ დაინახეს, ძალიან გაუხარდათ.

- წამოდი, - უთხრეს ბიჭს - ფანჯრიდან გადაგვამთ საყდარში, კარები გაგვიღე და რასაც გამოვიტანთ, შენც გაგინაწილებთო.

- არა მცალია, ჩემს ერკემალს რა ვუყო, - უპასუხა ცეროდენამ - მგელი შემიჭამს, მარტო რომ დავტოვოო.

ყაჩაღები არ მოეშვნენ და როგორც იქნა, დაიყოლიეს, წაიყვანეს და გადასვეს ფანჯრიდან. ცეროდენამ გაულო კარი. როცა ყველაფერი გამოზიდეს, ბიჭმა უთხრა ყაჩაღებს: მომეცით ჩემი დაპირებული წილიო.

ყაჩაღებმა წილზე უარი უთხრეს და ერკემალიც წაართვეს. დარჩა ცეროდენა ცარიელი” (გვ.130).

თარგმანი: “He saw some robbers who wanted to rob a church but they could not get in. They asked Tiny to help them in and promised to share with him. But the robbers deceived Tiny and also took his golden lamb” (გვ. 131).

თარგმანის მიხედვით, ცეროდენამ შენიშნა ყაჩაღები, რომლებიც ტაძრის გამარცვას ცდილობდნენ, მაგრამ შიგნით ვერ შევიდნენ. მათ ცეროდენას დახმარება სთხოვეს და ნაქურდალის გაყოფას დაჰპირდნენ, მაგრამ მოატყუეს და მისი ოქროს ბატკანიც წაიყვანეს. აშკარაა, რომ თარგმანი დედანს დაშორებულია. დედანში

ცეროდენა ყაჩაღების წინადადებას დასთანხმდა და საყდრის კარი გაუღო. თარგმანში კი გაუგებარია, რატომ ვერ შეაღწიეს ყაჩაღებმა საყდარში - კარი იყო დაკეტილი; სწორედ ამიტომ დასჭირდათ ცეროდენას დახმარება, რომ ფანჯრიდან გადაესვათ. თარგმანში ასევე არ ჩანს, დაეხმარა თუ არა ცეროდენა მძარცველებს და გაქურდეს თუ არა მათ საყდარი.

მოტყუებულმა ცეროდენამ დასახმარებლად ხალხს უხმო: „ხალხი ყაჩაღებს გამოეკიდა, დახოცეს, ცეროდენას ოქროს ერკემალიც წაართვეს და ნაპარავი ნივთებიც დაიბრუნეს, ცხვარი კი ისევ ბიჭს მისცეს.

ჭირი იქა, ლხინი – აქა,

ქატო – იქა, ფქვილი – აქა“ (გვ.131). თარგმანში კი გვაქვს:

“The villagers rushed there and caught the robbers. All is well that ends well!” (გვ.131)- რაც ნიშნავს - მძარცველები სოფლის მაცხოვრებლებმა დაიჭირეს. დასასრულს კი ნათქვამია: ყველაფერი კარგია, რაც კარგად მთავრდება. თარგმანი იმდენად შეკვეცილია, რომ ზღაპრის დასასრული გაურკვეველი რჩება, კერძოდ, რა ბედი ეწია ზღაპრის მთავარ პერსონაჟს ან მის ერკემალს.

გარდა ამისა, მთარგმნელმა თავი აარიდა ქართული ზღაპრის დასასრულის ფორმულის თარგმნას – „ჭირი იქა, ლხინი-აქა, ქატო - იქა, ფქვილი – აქა” - საერთოდ ამოაგდო და ზღაპარი ინგლისური ანდაზით დაასრულა: “All is well that ends well” - ყველაფერი კარგია, რაც კარგად მთავრდება. ასე, რომ მთარგმნელმა დედნისეული ტექსტის სრული იგნორირება მოახდინა, რამაც ორიგინალის კოლორიტი, ლოკალური კულტურული სპეციფიკა და იდეური სტრუქტურა საგრძნობლად დააზარალა.

„წიქარა”- “Tsikara”

(თარგმნა ვატო ბილანიშვილმა)

ზღაპარი „წიქარა” ობოლი ბიჭისა და მისი საყვარელი ხარის ამბავს მოგვითხრობს. როგორც გ. წიბახაშვილი აღნიშნავს, სიტყვა „წიქარას” ეტიმოლოგია ბუნდოვანია: „ერთნი მას წითელ ფერს უკავშირებენ, მეორენი - ქარზე წინ, უსწრაფესად რბოლას ვარაუდობენ. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში

ახსნილია სიტყვა „წიქი“, რაც „სადამოს ბინდს“ ნიშნავს... ამავე ლექსიკონში „წიქარა“ „წითელი ხარის სახელად“ არის მიჩნეული” (**წიბახაშვილი 200: 102**). მართალია, გ. წიბახაშვილს ხარის ფერის „სადამოს ბინდთან“ მიმსგავსება უფრო ლოგიკურად და პოეტურად მიაჩნია, მაგრამ შესაძლოა, პერსონაჟის სახელი სწორედ მის სწრაფად რბოლას უკავშირდებოდეს. „წიქარამ“ ხომ სწორედ თავისი სისწრაფითა და მოხერხებულობით გადაარჩინა მეგობარი.

ზღაპრის მიხედვით, პატარა ბიჭს დედა მოუკვდა და მამამ მეორე ცოლი მოიყვანა. „დედინაცვალი ერთი ავი და აშარი ქალი გამოდგა. გერს მუდამ სცემდა და ცეცხლის კალოში აყენებდა“ (გვ.67).

თარგმანში ავი და აშარი ნათარგმნია, როგორც **wicked, peevish woman**. Wicked - ავი, peevish - ბუზღუნა, ფიცხი, ჭირვეული: "His stepmother was a wicked, peevish woman" (გვ.67), რაც სავსებით მართებულია, მაგრამ გერისადმი დედინაცვლის აგრესიული დამოკიდებულება (რისხვა) პირდაპირი მნიშვნელობით არის გაგებული- „გერს მუდამ სცემდა და ცეცხლის კალოში აყენებდა“ ვ. ბილანიშვილმა თარგმნა – "She always beat her stepson and made him stand near the fire", რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს - ყოველთვის სცემდა და აიძულებდა ცეცხლთან ახლოს მდგარიყო. ხატოვანი გამოთქმის კალკირებამ მას აზრობრივი დატვირთვა დაუკარგა. იგივე შეიძლება ითქვას მეორე ფრაზეოლოგიური ერთეულის თარგმანზეც: „ჩემი და თქვენი ჭირიც წაიღო“ (გვ.73) - "Let us now express our sorrow" - თარგმანის შინაარსი ასეთია: მოდით, ჩვენი მწუხარება გამოვხატოთ. თარგმანი აზრობრივად დაშორდა დედანს, რადგან „ჩემი და თქვენი ჭირიც წაიღო“ ნიშნავს -**მოკვდა, გარდაიცვალა** (იტყვიან მასზე, ვისაც სიკვდილი მაინცდამაინც არ დანანებია) [<http://www.ena.ge/explanatory-online>]. ვფიქრობთ, მთარგმნელს ორივე ფრაზეოლოგიზმი ადეკვატური შესატყვისით უნდა გადმოეცა, ან უბრალოდ შინაარსი გაეხსნა.

დედინაცვალს გერისა და მისი ხარის - წიქარას თავიდან მოშორება სურდა. მან ქმარი აიძულა, წიქარა დაეკლა, რამაც ბიჭი საგონებელში ჩააგდო. წიქარამ ბიჭს ურჩია: „წადი, წამოიღე ერთი სალესავი, ერთი სავარცხელი და ერთი დოქი წყალი. შემაჯექი ზურგზე და გავიპაროთ“ (გვ.70). თარგმანი:

"Go, take an oilstone, a comb, and a bottle of water. Let's escape" (გვ.70).

ერთ დოქი წყალი თარგმნილია - a bottle of water - ერთი ბოთლი წყალი. დოქი შეიძლება გვეთარგმნა, როგორც - jug.

„დედინაცვალმა გერის დაკარგვა არად ჩააგდო, მაგრამ როცა ქმარმა უთხრა, წიქარაც თან წაუყვანიაო, ერთ წყეულ ღორს გადააჯდა და გამოეკიდა. მირბის წიქარა, მთარბენინებს პატარა მეგობარს, მისდევს ეშვებდალესილი ღორი” (გვ. 71).

თარგმანში კი ვკითხულობთ: “His stepmother didn’t worry at all about losing her stepson. Tsikara rushed with the boy and the sharp – tusked pig with his stepmother ran behind them”(გვ.71).

თარგმანის შინაარსი ასეთია: დედინაცვალს არ ადარდებდა გერის დაკარგვა. წიქარა გაიქცა ბიჭთან ერთად და ეშვებდალესილი ღორი დედინაცვალთან ერთად გამოეკიდა. საიდან გაჩნდა უცებ ეს ღორი? მკითხველი, ალბათ, ვერ მიხვდება, რა მოხდა წიქარასა და ბიჭის გაქცევის შემდეგ. ეს თარგმანი ყველანაირ ლოგიკას მოკლებულია.

მთარგმნელი მეტისმეტად თავისუფლად ეპყრობა დედინსეულ ტექსტს, თვითნებურად კვეცს და ავრცობს მას. მაგალითად, დედანში გვაქვს:

„ჭრის ღორი, ჭრის, რაც ძალი და ღონე აქვს კლდეში საფეხურებს და ადის ზემოთ. შუამდე რომ მივიდა, დაუსხლტა ფეხი და უფსკრულში ჩაინთქა. დედინაცვალს თან ჩაიყოლა” (გვ. 73). თარგმანი:

”The pig began cutting steps into the rock with all its power and began climbing the rock. When it was in the middle of the rock suddenly it slipped and disappeared into the abyss” (გვ.73).

თარგმანში არ ჩანს, რა ბედი ეწია დედინაცვალს. ამოღებულია მნიშვნელოვანი დეტალი: ღორს, რომელმაც კლდის საფეხურები ამოჭრა და კლდეზე ზემოთ ადიოდა, კლდის შუამდე მისულს ფეხი დაუსხლტა და უფსკრულში ჩაინთქა და დედინაცვალს თან ჩაიყოლა.

დედინაცვლისა და ღორის დაღუპვის შემდეგ „წიქარა და ბიჭი სამშვიდობოს გავიდნენ. ხარმა მეგობარი ტრიალ მინდორზე გაიყვანა. იქ ერთი ალვის ხე იდგა, მისი კენწერო ცასა სწვდებოდა. შესვა ზედ, მისცა ორი სალამური: ერთი - საჭირვარამო, ერთი - სალხინო და უთხრა...” (გვ. 74). თარგმანი კი ასე იწყება:

”Nonetheless, the boy and Tsikara were full of hope.

Tsikara took the boy in to the field where there was a sky-high Lombardy poplar tree, **he took him there** and gave him two pipes, one for an emergency, one for happiness, and said...”(გვ.74). თარგმანში ნათქვამია, რომ მიუხედავად ამისა, ბიჭი და წიქარა იმედიანად იყვნენ - ასეთი რამ დედანში არ გვაქვს. თარგმანში ერთი და იგივე წინადადება მეორდება. **Tsikara took the boy** in to the field where there was a sky-high Lombardy poplar tree, **he took him there** and gave him two pipes. უფრო გამართული თარგმანი იქნებოდა: Tsikara took the boy into the field where there was a sky-high lombardy poplar tree, put him on the tree, gave two pipes, one for emergency and the other for happiness, and said to the boy...

ზღაპრის მიხედვით, „ხელმწიფის კაცებმა წაიყვანეს მძინარე ბიჭი და ჩასვეს ცხრაკლიტულში” (გვ.76).

თარგმანი: ” The king’s servants put him in prison” (გვ.76).

თარგმანში ცხრაკლიტული გადასულია, როგორც-prison - ციხე. ცხრაკლიტული ცხრა დაკეტილი კარის იქით მდებარე, საიდუმლო და მიუვალი ადგილია, [<http://www.ena.ge/explanatory-online>]. ზღაპრის რეალია რომ არ დაკარგულიყო, უმჯობესი იქნებოდა nine locks- დედნისეული რეალიაც უფრო ნათელი გახდებოდა და პერსონაჟის შემდეგი ქმედებაც - მოგვიანებით თითოეული კარი წიქარამ რქებით უნდა შეამტვრიოს. უცხოელი მკითხველისთვის გაუგებარი იქნება, ციხეში რატომ ამტვრევს ხარი მაინცდამაინც 9 კარს. სასურველი იქნებოდა იმის განმარტება, რომ ქართულ ზღაპარში (და არა მარტო ზღაპარში) რიცხვი „ცხრა” გამორჩეული ეპიკური რიცხვია. „ცხრა” სიმბოლურად ბევრის, მრავლის მნიშვნელობით იხმარება. მაგ: ცხრა მთას იქით - ანუ ძალიან შორს.

ცხრაკლიტულში გამოკეტლმა ბიჭმა დასახმარებლად წიქარას უხმო (საჭირვარამო სალამურზე დაუკრა): „წიქარამ გაიგონა თუ არა სალამურის გულსაკლავი ხმა, მაშინვე გაეშურა მეგობრისაკენ. გააფთრებული ეცა რქებით ცხრაკლიტულის კარს და დაუწყო მტვრევა. რვა კარი გატეხა, მაგრამ მეცხრეს რომ მიაღწა, ცალი რქა მოსტყდა!” (გვ. 79).

თარგმანი: “As soon as Tsikara heard the sound he rushed to the boy. He fiercely attacked the door of the prison with his horns and started breaking it down. He broke 8 doors but when he was about to break the 9th one he lost one horn”(გვ.79). თარგმანის შინაარსი

ასეთია: როგორც კი წიქარამ გაიგონა ხმა, მაშინვე გაეშურა ბიჭისკენ. გააფთრებული ციხის კარს რქებით ეცა და დაუწყო მტვრევა. შეამტვრია რვა კარი, და, როცა მეცხრე კარს ამტვრევდა, ერთი რქა დაკარგა. რადგან მთარგმნელი თავს არიდებს დედნისეული რეალიების გადმოტანას თარგმანში, მკითხველისთვის გაუგებარია ცხრა კარის გაღების არსი.

დატყვევებული ბიჭი მერცხალს ალვის ხეზე დარჩენილი სალამურების მოტანას სთხოვს და ლექსით მიმართავს, რომელშიც მთელი მისი განწყობა, სევდანაღველია გადმოცემული:

„- საით მიფრინავ მერცხალო,
საითკენ მიეშურები?
მინდორთ რომ ალვის ხე ხარობს,
ცივნი წყარონიც დიანო,
პეპლებიც იქა სხდებიან,
ტურფად ჭრელ მხრებსა შლიანო,
შეიყრებიან ჩიტები,
ყვავილნი შეკრბებიანო,
წიქარაც იმათთან მოდის,
იქ დაინახავ, ღვთიანო!
სალამურებიც იქ არის,
უჩემოდ დალპებიანო...
გაფრინდი, აქ მომიტანე
ჩემო ლამაზო მხრიანო” (გვ.78).

ვ. ბილანიშვილი ცდილობს ზუსტად გადმოსცეს ლექსის აზრი, მაგრამ თარგმანი ვერ ტოვებს სრულყოფილების შთაბეჭდილებას:

“Where are you flying swallow?
Where are you heading to?
Lombardy poplar blossoms in the field,
springs bubbles
dancing Butterflies
Splendidly opening their wings,

birds gather
flowers sway
Tsikara comes to them
You can see him there
There is a pipe too
Useless without me,
Fly, bring it to me
Beautiful and sweet” (გვ.78).

თარგმანში სტრიქონთა რაოდენობა დაცულია. მთარგმნელი ცდილობს, გადაიტანოს პოეტური მეტყველება, რასაც ხშირ შემთხვევაში ვერ ახერხებს. თარგმანს უფრო აღწერითი სახე აქვს.

როგორც ი. მერაბიშვილი აღნიშნავს, პოეტური ტექსტი ადამიანის სამეტყველო აქტის ის ურთულესი მოვლენაა, რომელშიც განსაკუთრებული სიძლიერით მჟღავნდება ავტორის შემოქმედებითი ნიჭი, ხელოვნების ნიმუშის შექმნა, მხატვრული ეფექტის უზრუნველყოფა ღრმა აზრისა და დიდი განცდის სხარტი პოეტური ფორმით გადმოცემა, შინაარსის ხატოვნება და მუსიკალური დინამიზმი, სივრცისა და დროის სურათის წარმოქმნა და მრავალი სხვა. პოეზიის თუ, ზოგადად, მხატვრული ტექსტის კვლევისას ორი ძირითადი მომენტი გასათვალისწინებელი. ესაა ტექსტი – როგორც სამეტყველო აქტის შედეგი და მეორე, ტექსტი – როგორც მხატვრული შემოქმედების ნაყოფი. პოეტურ ტექსტში ეს მოვლენა განსაკუთრებული სიძლიერითაა წარმოდგენილი (მერაბიშვილი 2005: 55).

აქედან გამომდინარე, თარგმანში დედნისეული სალექსო სტრიქონების მხატვრული მხარე მიახლოებითაა, ცხადია, თარგმნილი ტექსტი დედნის რითმას, რიტმს, მხატვრულ გამომსახველობითსა და მიმართვის ფორმებს ზედმიწევნით ვერ მოიცავს, მაგრამ ძირითადად დედნისეული შინაარსი, ასე თუ ისე, შენარჩუნებულია.

ზემოგანხილული უახლესი თარგმანების საფუძველზე, საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ მთარგმნელები (ს. წერეთელი, თ. ჩეკურიშვილი, ზ. კოშკაძე, ლ. ხარბედია, ი. ცომაია, მ. ჯამასპიშვილი, ბ. კუტუბიძე, ვ. ბილანიშვილი, მ. იმნაიშვილი) ღრმად ვერ ჩასწვდნენ ქართული ხალხური ზღაპრის ნიუანსებს, ეროვნულ რეალიებსა და კოლორიტს, რამაც გამოიწვია ზღაპრის დამახინჯებით აღქმა და თარგმნა.

ზღაპრებში ბევრი უზუსტობაა გაპარული. სამწუხაროდ, ეს თარგმანები ვერ მიიტანს უცხოელ მკითხველამდე ქართული ხალხური ზღაპრის ხიბლსა და სპეციფიკას.

თარგმნა ხელოვნებაა, რაც სათარგმნი მასალის ღრმად შეცნობას, გათავისებას და ოსტატობას მოითხოვს. ვ. კოტეტიშვილის აზრით, „პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი მხოლოდ საკუთარი თავის წინაშე არიან პასუხისმგებელნი, მთარგმნელი კი - საზოგადოებრიობის წინაშე. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, თავიდანვე უნდა ავწონ-დავწონოთ საკუთარი შესაძლებლობები და მხოლოდ ამის შემდეგ შევუდგეთ მთარგმნელობით მთიანეთს“ (კოტეტიშვილი 2007: 38).

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ადაპტირებულია არათუ თარგმანი, არამედ დედანი - სწორედ ეს არის მთავარი მიზეზი იმისა, რომ თარგმანი სრულყოფილად ვერ გადმოსცემს პირველწყაროს. ის, რომ დედანი გამიზნულად გამარტივდა, არ არის შემთხვევითი, რადგან როგორც აღვნიშნეთ, ზღაპრები ემიგრანტი ბაშეებისთვის არის განკუთვნილი. ამ პროექტის მიზანი იმ ენობრივი და კულტურული ფესვების შენარჩუნებაა, რაც უცხოეთში იმიგრირებული ოჯახების შვილებს ძალიან სჭირდებათ. გარდა ამისა, ეს თარგმანები ემიგრაციაში მყოფ ქართველ ბავშვებს სამშობლოსთან დაახლოებაში უნდა დაეხმაროს. მაგრამ საქმე ისაა, როგორ არის გამარტივებული, რამდენად არის შენარჩუნებული ზღაპრის იდეა, მთავარი სათქმელი, მხატვრული საშუალებები და სხვ.

თარგმანში ზოგჯერ თავს იჩენს დედნისეული ტექსტის რომელიმე ადგილის გამოტოვება ან პირიქით – ჩამატება. ეს ზოგჯერ იძულებით, ენათა სისტემური სხვაობით არის განპირობებული. გარდა ამისა, დიდი მნიშვნელობა აქვს მკითხველის განსხვავებულ გემოვნებას, კულტურას, ფსიქიკას, ინდივიდუალურ აღქმასაც. ჩვენ სინანულს გამოვთქვამთ ზემოგაანალიზებული კრებულის მთარგმნელების და ზღაპრების გამომცემელთა გამო, რადგან ამ სახის კრებულის გამოცემა მეტ პასუხისმგებლობასა და პროფესიონალიზმს მოითხოვს.

დასასრულს ისევ ვ. კოტეტიშვილის სიტყვებს მოვიშველიებთ და აღვნიშნავთ, რომ „...მთარგმნელობა დიდ ზნეობრივ სიმაღლეს მოითხოვს. ლიტერატურული ნაწარმოები, რომელიც თავის ქვეყანაში სულიერ ფასეულობასა და ეროვნულ განძს წარმოადგენს, შენ რა უფლება გაქვს გააუფასურო, ხელჰყო მისი ღირსება?

მთარგმნელობა დიდი პასუხისმგებლობაა საკაცობრიო კულტურის წინაშე”
(კოტეტიშვილი 2014: 16).

დასკვნა

ნაშრომის დასკვნით ნაწილში შეჯამებულია ჩატარებული კვლევის შედეგები, შეფასებულია ქართული ხალხური ზღაპრების ინგლისური თარგმანები და მიმდინარე ეტაპზე თარგმანის ამ სფეროში არსებული მდგომარეობა:

1. ქართული ხალხური ზღაპრების ინგლისური თარგმანები საქართველოში მწელად მოსაძიებელია; ჩვენთვის ხელმისაწვდომი კრებულებისა და ცალკეულ გამოცემათა თანახმად, ქართული ხალხური ზღაპრების პირველ, მარჯორი უორდროპისეულ თარგმანებთან სხვა თარგმანებს თითქმის საუკუნე, ზოგს მეტი დრო აშორებს.

2. ქართული ხალხური ზღაპრები ნათარგმნი აქვთ როგორც ქართველ, ისე ბრიტანელ მთარგმნელებს; არსებობს როგორც დედნის სრული, ისე ადაპტირებული თარგმანები; მთარგმნელები ერთი და იმავე ზღაპრის სხვადასხვა ვერსიებით სარგებლობენ; ითარგმნება როგორც პოპულარული, ისე ნაკლებად ცნობილი ზღაპრები; მთარგმნელთა შორის არიან, როგორც პროფესიონალი, ისე დამწყები მთარგმნელები, რაც თარგმანების ხარისხზე აისახება.

3. მთარგმნელებს განსაკუთრებული სირთულეების წინაშე აყენებს ზღაპრის ეროვნული კოლორიტის მატარებელი კომპონენტები - სათაური (პერსონაჟთა ფუნქციური სახელები), დასაწყისისა და დასასრული ფორმულების ქართული კლიშეები; ე.წ. უთარგმნელი, უეკვივალენტო ლექსიკა - ყოფითი თუ ზღაპრული რეალიები, ანთროპონიმიკა, ფრაზეოლოგიური ერთეულები და სხვ..

4. ქართული ხალხური ზღაპრის თარგმნის ძირითადი ხერხებია ტრანსკრიფცია/ტრანსლიტერაცია, კალკირება, სემანტიკური ეკვივალენტით/ფუნქციური ანალოგიით თარგმნა. აქტიურად გამოიყენება აღწერითი თარგმანი (შიდა ან გარეტექსტობრივი კომენტირება). მთარგმნელებს ზოგჯერ ეკვივალენტის არარსებობის გამო უთარგმნელი ლექსიკის გვერდის ავლაც უწევთ. რაც, ძირითადად, უზუსტობების თავიდან აცილებით არის განპირობებული. შეინიშნება სათარგმნი ტექსტისადმი მთარგმნელთა მეთოდოლოგიურ მიდგომათა სიახლოვე და განსხვავებები.

5. ქართული ხალხური ზღაპრების თარგმანების დედანთან შეპირისპირებამ ნათლად დაგვანახა, რომ თარგმანთა ხარვეზების, მათში გაპარული უზუსტობების მიზეზი არა მხოლოდ ქართულ და ინგლისურ ენებს, არამედ აზრთა და გრძნობათა

ვერბალური გადმოცემის ხერხებს შორის არსებული განსხვავებაცაა და ხშირად მთარგმნელთა თვითნებობის შედეგიც არის. თარგმანებზე დაკვირვებამ იმაშიც დაგვარწმუნა, რომ მთარგმნელის პროფესიონალიზმზეც ბევრი რამ არის დამოკიდებული.

6. თითოეული მთარგმნელის დამსახურება ქართული ხალხური ზღაპრების თარგმნის და, შესაბამისად, ქართული ეროვნული კულტურის პოპულარიზაციის საქმეში განსხვავებულია:

- მარჯორი უორდროპი დიდი პასუხისმგებლობითა და სიფრთხილთ ეკიდება სათარგმნ ტექსტს, ცდილობს ინგლისურენოვან მკითხველს უდანაკარგოდ მიაწოდოს ის, რაც ქართულ ყოფას, წეს-ჩვეულებებსა და ტრადიციებს უკავშირდება, იშვიათად უვლის გვერდს სათარგმნელ სიტყვას და დედნის შინაარსთან ერთად მისი მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების შენარჩუნებაზეც ზრუნავს. გამომდინარე იქიდან, რომ ქართული ხალხური ზღაპრების ინგლისური თარგმანების ამ პირველი ნიმუშებთან საუკუნეზე მეტი გვაშორებს, დღეისათვის ისინი საყურადღებოა, როგორც მნიშვნელოვანი ისტორიული და ლიტერატურული ფაქტი.

- მეორე ბრიტანელი მთარგმნელის დევიდ ჯ. ჰანტის მიერ სამოცი ზღაპრის თარგმნისას გაწეული რთული და შრომატევადი სამუშაო თავისთავად საყურადღებო და მისასალმებელია, მაგრამ მის თარგმანებზე დაკვირვებამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ თარგმანი უნდა შესრულდეს უშუალოდ პირველწყაროდან, რათა შენარჩუნებული იქნას დედნის ენობრივ-სტილისტური თავისებურებები, ეროვნული კოლორიტი, თუმცა თარგმანის თარგმანსაც თავისი ღირებულება და დანიშნულება აქვს, მაგრამ უფრო ნაკლები, ვიდრე უშუალოდ დედნიდან შესრულებულ თარგმანს. მიგვაჩნია, რომ ხარვეზების მიუხედავად, იდ. ჯ. ჰანტის თარგმანები საინტერესო და ინფორმაციული იქნება ქართველი და ინგლისურენოვანი ფოლკლორის სპეციალისტებისა და ასევე დაინტერესებული მკითხველისათვის.

- პატარა მკითხველისათვის განკუთვნილი ქართული ხალხური ზღაპრების ნუგზარ რუხაძისეული თარგმანები შესრულებულია ზღაპრის შესატყვისი მარტივი, სადა ენით. უმეტესწილად დედნის აზრიც შენარჩუნებულია, მაგრამ ქართული ენის ფრაზეოლოგიური სიმდიდრე და რეალიები მწირად არის წარმოდგენილი. მათი

კითხვისას იგრძნობა ინგლისური ენის კვალიფიციური ცოდნა და დიდი სურვილი, მკითხველი ქართული ხალხური ზღაპრის სიბრძნეს აზიაროს.

- იგივე შეიძლება ითქვას ნინო ცისკარიშვილისეულ თარგმანებზეც, რომელთაც ადვილად გასაგები ინგლისური ლექსიკით, მოკლე, მარტივი წინადადებებით შეჰყავს პატარა მკითხველი ქართული ხალხური ზღაპრის ჯადოსნურ სამყაროში.

- არჩილ ხანთაძისეული თარგმანები, რომლებიც დედანთან ერთად არის დასტამბული, მკითხველს ამოსავალ ტექსტთან თარგმანების შედარების საშუალებას აძლევს და სასიამოვნოდ იკითხება; გამოირჩევა აზრობრივ-შინაარსობრივი სიზუსტითა და მხატვრულ-ესთეტიკური დონით, თუმცა ხარვეზებისგან არც ისინია დაზღვეული.

- ქართველი ემიგრანტი ბავშვებისთვის განკუთვნილ ქართული ხალხური ზღაპრების ინგლისური თარგმანების ბოლო, უახლეს გამოცემაში (2012) თვალშისაცემია სათარგმნი ტექსტებისადმი მთარგმნელთა (ს. წერეთელი, თ. ჩეკურიშვილი, ზ. კოშკაძე, ლ. ხარბედია, ი. ცომაია, მ. ჯამასპიშვილი, ბ. კუტუბიძე, ვ. ბილანიშვილი, მ. იმნაიშვილი) არაკომპეტენტური მიდგომა და თარგმანში ხელგაუწაფაობა. თარგმანებში მრავლადაა უზუსტობა, დამახინჯებული ან საერთოდ დაკარგულია არაერთი მნიშვნელოვანი ნიუანსი. რის გამოც ეს თარგმანები ვერ გადმოცემს ქართული ხალხური ზღაპრის ხიბლსა და თვითმყოფადობას.

7. და ბოლოს, ქართული ხალხური ზღაპრების ინგლისურ თარგმანთა ექვსი კრებულის არსებობა მნიშვნელოვანი ფაქტია და ჩვენი ზღაპრების მიმართ ქართველ და უცხოელ მთარგმნელთა ერთიან ინტერესზე მეტყველებს. მათში დასტამბული თარგმანები საყურადღებო მასალაა მხატვრული თარგმანის მკვლევართათვის, მაგრამ საკმარისი არ არის იმისათვის, რომ დაინტერესებულ მკითხველსა თუ სპეციალისტს სრულყოფილი შთაბეჭდილება შეუქმნას ქართული ხალხური ზღაპრის თავისებურებებზე, მათ იდეურ-მხატვრული ღირებულებებზე. ამიტომ უფრო ხარისხიანად და მეტი ინტენსიობით უნდა ითარგმნოს. ამ საქმეში მოკრძალებული წვლილის შეტანას შევეცადეთ „ნაცარქექიას“ ჩვენეული თარგმანით (იხ. დანართი გვ. 193).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბულაძე 1973: აბულაძე ი., ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1973.
2. არაბული 2002: არაბული ა., რედაქტორის წინათქმა, იხ. კრებ. ქართული ფოლკლორი, 1 (XVII), თბ., 2002.
3. არაბული 2006: არაბული ა., ფოლკლორისტიკა - 2004, ქართული ფოლკლორი 2006 №3 (XIX), თბ., 2006.
4. ასათიანი 2003 (1): ასათიანი გ., სათავეებთან, თბ., 2003. იხ. გ. ასათიანი, ოთხტომეული, ტ. 2, თბ., 2003.
5. აღნიაშვილი 1979: აღნიაშვილი ვლ. ქართული ხალხური ზღაპრები, „ნაკადული“, თბ., 1979.
6. ასათიანი 2003(2): ასათიანი გ., კირილე და ნაცარქექია, იხ. გ. ასათიანი, ოთხტომეული, ტ. II. ვ. გიგაშვილის რედაქციით, თბ., 2003.
7. ბარბაქაძე 2010: ბარბაქაძე ც., მზის სემიოტიკა პოეზიაში <https://semioticsjournal.wordpress.com/tag>
8. ბარნოვი 1989: ბარნოვი გ., ფოლკლორი და თვითმოქმედება, იხ. გ. ბარნოვი, წერილები, ა. ჩხაიძის რედაქციით, თბ., 1989.
9. ბაქრაძე 1990: ბაქრაძე ა., მკვახე შეძახილი, იხ. ა. ბაქრაძე, რწმენა, თბ., 1990.
10. გამსახურდია 1965 (1): გამსახურდია კ., თარგმანი და ენის სიწმინდე, იხ. კ. გამსახურდია, რჩეული თხზულებანი, რვატომეული, ტ. VII, თბ., 1965.
11. გამსახურდია 1965 (2): გამსახურდია კ., მთარგმნელის ოსტატობისათვის, იხ. კ. გამსახურდია, რჩეული თხზულებანი, რვატომეული, ტ. VII, თბ., 1965.
12. გამსახურდია 1991: გამსახურდია ზ., „მკვახე შეძახილის“ ექო (ღია წერილი აკაკი ბაქრაძისადმი), იხ. ზ. გამსახურდია, წერილები, ესსეები, თბ., 1991.
13. გაფრინდაშვილი 2014: გაფრინდაშვილი რ., ფსიქოლოგია ქართულ ფოლკლორში (ცრურწმენები, ზღაპრები და თქმები, ანეგდოტები, ანდაზები) მ. ბანძელაძის რედაქციით. თბ., 2014.
14. გაჩეჩილაძე 1959: გაჩეჩილაძე გ., მხატვრული თარგმანის თეორიის საკითხები, თბ., 1959.
15. გაჩეჩილაძე 1934: გაჩეჩილაძე გ., მხატვრული თარგმანის ისტორიისათვის დასავლეთსა და რუსეთში, ჟ. „მნათობი“ N1, თბ., 1960.

16. **გელოვანი 1986:** გელოვანი ა., რუნების პოეტურ სამყაროში, იხ. გერმანული მითები, თქმულებები და ბალადები, გერმანულიდან თარგმნა, შეადგინა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ა. გელოვანმა, „ნაკადული“, თბ., 1986.
17. **გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე 1961:** გიგინეიშვილი ი., თოფურია ვ., ქავთარაძე ი., ქართული დიალექტოლოგია, I (დიალექტთა განხილვა, ტექსტები, ლექსიკონი), თბ., 1961.
18. **გორდეზიანი 1995:** გორდეზიანი ე., ფოლკლორული ტექსტის თარგმნის პრობლემები (ქართული ზღაპრების რუსული თარგმანების ლექსიკურ-სტილისტური ანალიზი, საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი), თბ., 1995.
19. **გოცირიძე 1978:** გოცირიძე დ., ქართული სათაურის სტრუქტურულ-ფუნქციონალური განვითარების საკითხისათვის, კრებ. ზოგადი და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საკითხები, თბ., 1978.
20. **გოცირიძე 1980:** გოცირიძე დ., სათაურის საკითხისათვის უცხოურ ენათმეცნიერებაში, ახალგაზრდა მეცნიერ-ფილოლოგთა რესპუბლიკური კონფერენციის მასალები, თბ., 1980.
21. **ზანდუკელი 1980:** ზანდუკელი ფ., წერილები საბავშვო ფოლკლორზე, თბ., 1980.
22. **თაყაიშვილი 1961:** თაყაიშვილი ა. ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები, თბ., 1961.
23. **„თარგმნე ქართული ზღაპრები ინგლისურად“ (langate.ge) 2012:** „თარგმნე ქართული ზღაპრები ინგლისურად“ 2012 წელს ქართული საზოგადოებისათვის ამერიკული საგანმანათლებლო ცენტრის- LanGate და ამერიკის მეგობართა კლუბის მიერ შეთავაზებული კონკურსი. იხ. [neus.aris.ge/education/sciencelib/1510-ikonkursi Targmne](http://neus.aris.ge/education/sciencelib/1510-ikonkursi_Targmne) „ნაცარქექია“, „ასფურცელა“, „კომბლე“ qartuli inglisurad. htin
24. **თაქთაქიშვილი-ურუშაძე 1957 (ა):** თაქთაქიშვილი-ურუშაძე ლ., მარჯორი უორდროპი. ჟ. „მნათობი“, თბ., 1957, N1.
25. **თაქთაქიშვილი-ურუშაძე 1957 (ბ):** თაქთაქიშვილი-ურუშაძე ლ., ილია ჭავჭავაძე და მისი ინგლისელი მეგობარი. ჟ. „მნათობი“, N10, თბ., 1957,
26. **თაქთაქიშვილი-ურუშაძე 1960:** თაქთაქიშვილი-ურუშაძე ლ., მარჯორი უორდროპი და ქართული საზოგადოება (დაბადების 90 და გარდაცვალების 50 წლისთავის გამო), ჟ. „მნათობი“, N1, 1960.

27. **თაქთაქიშვილი-ურუშაძე 1958:** თაქთაქიშვილი-ურუშაძე ლ., ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილების“ ინგლისური თარგმანი, ჟ. „ცისკარი“, N5, 1958.
28. **თაქთაქიშვილი-ურუშაძე 1962:** თაქთაქიშვილი-ურუშაძე ლ., ქართულიდან ინგლისურ ენაზე თარგმნის პირველი ცდა, ჟ. „ცისკარი“, N7, 1962.
29. **თაქთაქიშვილი-ურუშაძე 1965:** თაქთაქიშვილი-ურუშაძე ლ., „მარჯორი უორდ-როპი“, თბ., 1965.
30. **თაყაიშვილი 1996:** თაყაიშვილი ე., ლიტერატურული ზღაპარი და მისი თარგმნის პრობლემები, თბ., 1996 (ავტორეფერატი).
31. **იორამიშვილი 2011:** იორამიშვილი ქ., ქორწინების ისტორია გერმანულ ზღაპარში, ჟ. „საისტორიო ვერტიკალები“, N23, თბ., 2011.
32. **იყო და არა იყო რა 1976:** ქართული ხალხური ზღაპრები, გამომცემლობა „ნაკადული“, თბ., 1976.
33. **კოტეტიშვილი 2004:** კოტეტიშვილი ვ., აღმოსავლურ-დასავლური დივანი, მესამე გამოცემა, გამომცემლობა „დიოგენე“, თბ., 2004.
34. **კოტეტიშვილი 2007:** კოტეტიშვილი ვ., მხატვრული თარგმანის მასტერკლასი, 1 თავი, საუბრები მთარგმნელობით ხელოვნებაზე, თარგმანის რაობა და სახეობანი, გამომცემლობა „დიოგენე“, თბ., 2007.
35. **ლუარსაბიშვილი 2012:** ლუარსაბიშვილი ვ., სათაურის პრობლემა თარგმანში, ჟ. სემიოტიკა, 2012. <http://semioticsjournal.wordpress.com/2012/04/21>
36. **მერაბიშვილი 2005:** მერაბიშვილი ი., პოეტური თარგმანის ლინგვისტიკა, თბ., 2005.
37. **მთარგ-ის ამოცანა 2001:** მთარგმნელის ამოცანა, წიგნ. თარგმანის ლექსიკონი, თბ., 2001.
38. **მჭედლიშვილი 1996:** მჭედლიშვილი ჯ. ი., ინგლისურ-ქართული ლექსიკონი. ა. ლომთაძის რედაქციით, გამომცემლობა „მერანი“, თბ., 1996.
39. **ნეიმანი 1978:** ნეიმანი ა., ქართულ სინონიმთა ლექსიკონი. მე-3 გამოცემა. თბ., 1978.
40. **ორბელიანი 1965:** სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი ოთხ ტომად, ტ. IV. ლექსიკონი ქართული. ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ილია აბულაძემ ა. შანიძისა და ი. აბულაძის რედაქციით. თბ., 1965.
41. **ოძელი 1998:** ოძელი მ. ქართულ-საზღვარგარეთული ლიტერატურული ურთიერთობების კვლევის ისტორია, ელგუჯა ხინთიბიძის რედაქციით. თსუ ქართულ-

საზღვარგარეთული ლიტერატურული ურთიერთობების ს/კ ლაბორატორია, თბ., 2011.

42. **ოძელი 2008:** ოძელი მ., ლიტერატურათმცოდნეობითი კომპეტენციები, თბ., 2008.

43. **პო 1989:** ედგარ ალან პო, პოეტებსა და პოეზიაზე, კომპოზიციის ფილოსოფია, წიგნში: ესეები, ინგლისურიდან თარგმნეს პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა, „მერანი“, თბ., 1989.

44. **პროპი 1984:** პროპი ვ., ზღაპრის მორფოლოგია. თბ., გამომცემლობა „მეცნიერება“, 1984.

45. **რევიშვილი 1977(ა):** რევიშვილი შ., ქართული ზღაპრის გერმანული ეკვივალენტი იანსენ ენიკელის „მსოფლიო ქრონიკაში“ (XIII ს.), ჟურნალი „მაცნე“ (ენისა და ლიტერატურის სერია, N3), თბ., 1977.

46. **რევიშვილი 1977 (ბ):** რევიშვილი შ., გერმანულ-ქართული ეტიუდები, თბ., 1977.

47. **სკულტე 1992:** სკულტე, ინგლისური ბავშვებისათვის. პირველი ნაწილი, 1992.

48. **საყვარელიძე 2001:** საყვარელიძე ნ., თარგმანის თეორიის საკითხები (ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ასპექტები), თბ., 2001.

49. **ფანჯიკიძე 1988:** ფანჯიკიძე დ., თარგმანის თეორია და პრაქტიკა, გამომცემლობა „განათლება“, თბ., 1988.

50. **ფანჯიკიძე 1995:** ფანჯიკიძე დ., თარგმანის ახალი თეორიები და სტილის ეკვივალენტობის პრობლემა, გამომცემლობა „განათლება“, თბ., 1995.

51. **ფანჯიკიძე 1998:** ფანჯიკიძე დ., „თარგმანის ახალი თეორიები და სტილის ეკვივალენტურობის პრობლემა“, თბ., „განათლება“, 1988.

52. **ფანჯიკიძე 2005:** ფანჯიკიძე დ., ქართული თარგმანის ისტორიის საკითხები. თბ., 2005.

53. **ფანჯიკიძე 2003:** ფანჯიკიძე დ., ენა, თარგმანი, მკითხველი. თბ., 2003.

54. **ფარეშიშვილი 2013:** ფარეშიშვილი მ., საგაზეთო სტატიების სათაურების თარგმნის პრაგმატიკული ასპექტები ფრანგულ და ქართულ ენებში, თბ., 2013 (დისერტაცია), <http://www.iliauni.edu.ge/files/PDF3/disertacia>.

55. **ფრუიძე 1978:** ფრუიძე ლ., ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 3, თბ., 1978.

56. **„ქხე“ 1940:** ქართული ხალხური ეპოსი, ს. ყუბანეიშვილის რედაქციით, „საბლიტგამი“, თბ., 1940.

57. **ქეგლ. 1950-1964:** ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (რვატომეული), არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. I-VIII. თბ., 1950-1964.
58. **ქურდოვანიძე 2001:** ქურდოვანიძე თ., ქართული ფოლკლორი, თბ., გამომცემლობა „მერანი, 2001.
59. **ქართული ზღაპრები 2012:** ქართული ზღაპრები, ქართულ-ინგლისური გამოცემა, გამომცემლობა „ლეთა“, თბ., 2012.
60. **ქართული ხალხური ზღაპრები 1996:** ქართული ხალხური ზღაპრების კრებული, გამომცემლობა „იდეალი“, თბ., 1996.
61. **ღლონტი 1989:** ღლონტი ალ., ქართული ხალხური ნოველის საკითხები, თბ., 1989.
62. **შარაძე 1984:** შარაძე გ., ინგლის-საქართველოს ისტორიული ურთიერთობის ფესვები და ქართველოლოგიის აღმოცენება ინგლისში. იხ. გ. შარაძე, ბედნიერებისა და სათნოების საუნჯე (უორდროპები და საქართველო), გ. ბედინეიშვილის რედაქციით, თბ., 1984.
63. **შტოიერი 2012:** შტოიერი შ., მარჯორი უორდროპის მოგვიანებით მიკვლეული თარგმანები, თბ., 2012[დისერტაცია]. <http://www.iliauni.edu.ge/index.php?>
64. **ჩიქოვანი 1964:** ჩიქოვანი მ., „მე-17 საუკუნეში ჩაწერილი ქართული ზღაპრები“. მ. ჩიქოვანის რედაქციით, მრავალთავი I. თბ., 1964.
65. **ჩიქოვანი 1938:** ჩიქოვანი მ., შესავალი წერილი წიგნისა: ქართული ხალხური ზღაპრები, თბ., 1938.
66. **ჩიქოვანი 1947:** ჩიქოვანი მ., მიჯაჭვული ამირანი, თბ., 1947.
67. **ჩიქოვანი 1946:** ჩიქოვანი მ., ქართული ფოლკლორი, თბ., 1946.
68. **ჩოლოყაშვილი 2004:** ჩოლოყაშვილი რ., უძველეს რწმენა-წარმოდგენათა კვალი ხალხურ ზღაპრულ ეპოსში, თბ., 2004.
69. **ჩოლოყაშვილი 1999:** ჩოლოყაშვილი რ., ლიტერატურული ძიებანი №20, ცხოველთა შესახებ ზღაპრების მხატვრული ანალიზი.
70. **ჩუბინაშვილი 1984:** ჩუბინაშვილი დ., ქართულ-რუსული ლექსიკონი, მეორე გამოცემა, ა. შანიძის რედაქციით. თბ., 1984.
71. **ჩუბინაშვილი 1961:** ჩუბინაშვილი ნ., ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, ალ. ღლონტის რედაქციითა და გამოკვლევით. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1961.

72. **ცანავა 2010:** ცანავა რ., აგრესია და რიტუალი. [www. semanticsjournalworldpress. com/2010/09/21](http://www.semioticsjournalworldpress.com/2010/09/21).
73. **ცანავა, გვერდწითელი 1994:** „მეგრული ზღაპრები და მითები“, შეადგინეს და ქართულ სალიტერატურო ენაზე გამართეს აპოლონ ცანავამ და გურამ გვერდწითელმა. გამომცემლობა „მერანი“. თბ., 1994.
74. **მაგნიძე 2014:** მაგნიძე ქ. თანამედროვე ინგლისური ენის საქმიანი მოლაპარაკების ფრაზეოლოგიური ფონდის თემატური სეგმენტაცია. დისერტაცია, 2014. http://www.atsu.edu.ge/geo/sadoqtoro%20disertacia/disertacia_dzagnidze.pdf
75. **წიბახაშვილი 2000:** წიბახაშვილი გ., თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები. დამხმარე სახელმძღვანელო, ო. ბაქანიძის რედაქციით. თსუ გამომცემლობა, თბ., 2000.
76. **ჭილაია...1984:** ჭილაია ა., ჭილაია რ., ლიტერატურათმცოდნეობის ცნებები, თბ., 1984.
77. **ხუთი ქართული ხალხური ზღაპარი 2012:** გამომცემლობა „შემეცნება“, თბ., 2012.
78. **„ხს“ 1963:** ხალხური სიბრძნე, I ტომი, შეადგინა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო მ. ჩიქოვანმა, „ნაკადული“, თბ. 1963.
79. **„ხზ“ 1992:** ხალხური ზღაპრები სამ წიგნად. I-II-III, მოამზადა და გამოსცა ა. ღლონტმა, გამომცემლობა „განათლება“, თბ., 1992.
80. **Boswell and Reaver 1962:** Boswell G. W., Reaver J.R., Language, Discourse and Translation. Amsterdam: John Benjamins Publishing Company, 1962.
81. **Baker 1992:** Baker M., “In other words: A Course of Translation”, London, 1992.
82. **Bestian 1962:** Bestian G., Editing the Days News, New-york (Fourth Edition), 1962.
83. **Dorson: 1972:** Dorson R.M. Folklore and Folklife. Chicago and London: The University of Chicago Press, 1972.
84. **Dundes 1965:** Dundes A., The Study of Folklore. New Jersey: Prentice-Hall, 1965.
85. **Georgian Folk tales: 1894:** “Georgian Folk tales”, translated by Marjory Wardrop, London, 1894. <http://www.sacred-texts.com/asia/geft/index.htm>.
86. **Georgian fairy Tales 2012:** Georgian fairy Tales, English-Georgian edition, Publishing House “LETA”, Tbilisi, 2012.

87. **Hunt 1999:** Georgian Folk Tales (60 Tales), The Collection compiled and translated into Russian by **N.L.Dolidze**. Translated from the Russian, and with a new Introduction by **D. G. Hunt**, Tbilisi, 1999.
88. **Khantadze 2012:** Five Georgian Folk Tales. Translated by Archil Khantadze. Publishing House „SHEMETSNEBA”, Tbilisi, 2012.
89. **Krystal 1989:** Krystal D., The Cambridge Encyclopedia of Language. Cambridge University Press, 1989.
90. **Longman Dictionary of Contemporary English** <http://www.ldoceonline.com/>
91. **Meyer 1913:** Meyer R., Deutsche Stilistik, München, 1913.
92. **Mchedlishvili 1996:** Mchedlishvili J., The Learner’s English-Georgian Dictionary, Editor-in-Chief A. Lomtadze, ”Merani Press”, Tbilisi, 1996.
93. **Nida 1964:** Nida Eugene A., Towards a science of Translating, Leiden, 1964.
94. **Norman G. Radder 1942:** Norman G. Radder, Newspaper Editing, Make-up and Headlines, New-York and London, 1942 (Second edition).
95. **Norton 1987:** Norton D.E., Through the Eyes of a Child: An Introduction to Children’s Literature. Colombus: Merrill Publishing Company, 1987.
96. **Newmark 1988:** Newmark P., A textbook of Translation. New York/London: Prentice Hall, 1988.
97. **Oxford Dictionaries** <http://www.oxforddictionaries.com/us> free online dictionary of British English and American English from Oxford.
98. **Odzeli 2001:** Odzeli M., Georgian Literature in European Scholarship, Amsterdam, 2001.
99. **Rukhadze 1974:** Georgian Folk Tales Translated by N.G.Rukhadze, Tbilisi, 1974.
100. **Thompson 1951:** Thompson S., The Folktale. New York: The Dryden Press, 1951.
101. **Tsiskarishvili 1992:** A Georgian folk tale ”Comble”, Translated by N. Tsiskarishvili, ”SAMSHOBLO”, Tbilisi, 1992.
102. **Tsiskarishvili: 1991:** A Georgian Folk Tale ”LAZYBONES”, Translated by **Nino Tsiskarishvili**. „SAMSHOBLO”, Tbilisi, 1991.
103. **Бархударов 1975:** Бархударов Н. С., Язык и перевод, М., 1975.
104. **Брауде 1977:** Брауде Л.Ю., К истории листвия «Литературная сказка». Известия АН СССР, т. 86, №3, М.,1977.

105. **Вирсаладзе 1976:** Вирсаладзе Е. Б., Грузинский охотничий миф и поэзия, М., 1976.
106. **Влахов, Флорин 1980:** Влахов С., Флорин С., "Непереводимое в переводе", М., 1980.
107. **Волошинов 1929:** Волошинов В.И., Марксизм и философия языка, М., 1929.
108. **Виноградов 1947:** Виноградов В. В., Фразеологические сочетания, М., 1947.
109. **Верещагин 1990:** Верещагин Е. М., Костомаров В.Г., Язык и культура: Лингвострановедение в преподавании русского языка как иностранного. М., 1990.
110. **Гоциридзе 1981:** Гоциридзе Д.З., Принципы типологической интерпретации фазовых текстов, Тб., 1981.
111. **Глонти 1984:** Сокровища грузинского народного творчества. Грузинские народные новеллы. Перевод с грузинского, Составление, обработка, редакция, предисловия и примечания профессора А. А.Глонти, Издание 3-е. «Мерани», Тб., 1984.
112. **Грузинские народные сказки 1985:** Грузинские народные сказки и мифы, Тб., 1985.
113. **Грузинские народные сказки 1971:** Грузинские народные сказки, Сто сказок, Переводы Н. Долидзе, Изд. «Мерани», Тб., 1971.
114. **Комиссаров 1980:** Комиссаров В.Н., Лингвистика перевода.М.,1980.
115. **Комиссаров 1997:** Комиссаров В.Н., Коммуникативные концепции перевода, М., 1997.
116. **Комиссаров 1999:** Комиссаров В.Н., Общая теория перевода, М., 1999.
117. **Комиссаров 2002:** Комиссаров В.Н., Современное Переводоведение, М., 2002.
118. **Крупнов 1976:**Крупнов В.Н., В творческой лаборатории переводчика, М., 1976.
119. **Кунин 1970:** Кунин А.В., Английская фразеология, Мю, 1970.
120. **Латишев, Семёнов 2003:** Латишев Л., К.,Семёнов А.Л., «Перевод, теория, практика и методика преподавания», Мю, 2003.
121. **Левин 1962:** Левин Ю.Д., Об историзме в подходе к истории перевода. Вкн.: Мастерство перевода, Мю, 1962.
122. **Лотман 1985:** Лотман Ю., Биография-живоелицо, //Новый мир, 1985. №2. www.gumer.info/bibliotek-Buks/Literat/lotman/biogr.php).
123. **Мелетинский 1994:** Мелетинский Е., О литературных архетипах. М., 1994.
124. **Мелетинский 1958:** Мелетинский Е., Герой волшебной сказки, Происхождение образа, Мю, 1958.
125. **Мелетинский 1976:** Мелетинский В. М., Поэтика мифа, М., 1976.

126. **Миськевич ...1981:** Миськевич Г. И., Хаустова Ю. Ф., “От термина к слову (регион)“. Терминология и культура речи (сборник), М., “Наука“, 1981.
127. **Пропп 1984:** Пропп В.Я., Русская сказка. Л.: Изд-во Л., 1984.
128. **Померанцева 1965:** Померанцева Э. В., Судьбы русской народной сказки, М., 1965.
129. **Росельс 1955:** Росельс ВЛ., Вопросы художественного перевода, М., 1955.
130. **Рецкер 1974:** Рецкер Я. И., Теория перевода и переводческая практика, М., “Международные отношения“, 1974.
131. **Сапорта 1979:** Сапорта С., “Применение лингвистики в изучении поэтического языка“. В новое зарубежной лингвистике (сборник), 1979, выпуск 9, Лингвостилистика, М., “Прогресс», 1979.
132. **Сдобников, Петрова 2006:** Сдобников В.В., Петрова О.В., Теория перевода, М., Восток-Запад, 2006.
133. **Томахин 1988:** Томахин Г. Д., Реалии-американизмы: Пособие по страноведению, М., Высшая школа, 1988.
134. **Федоров 1983:** Федоров А. В., Искусство перевода и жизнь литературы. Очерки. Л., 1983.
135. **Федоров 1958:** Федоров А.Ф., Введение в теорию перевода. Изд. 2-е. М., 1958.
136. **Федоров 1941;** Федоров А.В., О художественном переводе. Л., 1941.
137. **Федоров 1953;** Федоров А.В., Введение в теорию перевода. Лингвистический очерк, Л., 1953.
138. **Федоров 1963:** Федоров А. В., Язык и стиль художественного произведения, М., 1963.
139. **Федоров А. 1971:** Федоров А. В., Очерки общей и сопоставительной стилистики, М., 1971.
140. **Федоров 1989:** Федоров А. В., Основы общей теории перевода. М., Высшая школа, 1983.
141. **Швейцер 1973:** Швейцер А.Д., Перевод и лингвистика. О газетно-информационном и военно-публицистическом переводе, М., 1973.

142. http://www.iliauni.edu.ge/files/PDF3/disertacia_1.pdf
143. <http://www.ena.ge/explanatory-online>
144. <http://en.wikipedia.org/wiki/Lie>
145. <http://www.ldoceonline.com/dictionary/poker>
146. http://www.en.wikipedia.org/wiki/Bandora_instrument
147. <http://www.oxforddictionaries.com/us>
148. <http://www.ldoceonline.com/>
149. <http://www.georgianweb.com/language/rus/skaski/>
150. <http://www.phrases.org.uk/meanings/29800.html>

ზღაპარი „ნაცარქექია“ და მისი ჩვენეული ინგლისური თარგმანი

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 2012 წელს ამერიკულმა საგანმანათლებლო ცენტრმა „ლანგეიტმა“ და ამერიკის მეგობართა კლუბმა ქართველ საზოგადოებას შესთავაზა კონკურსი: „თარგმნე ქართული ზღაპრები ინგლისურად“ (langate.ge), რომელშიც ჩვენც მივიღეთ მონაწილეობა და ცენტრის მიერ შერჩეული სამი ზღაპრიდან („კომბლე“, „ნაცარქექია“, „ასფურცელა“) ვთარგმნეთ „ნაცარქექია“.

აღნიშნული კონკურსი ერთგვარი სტიმული აღმოჩნდა იმისათვის, რომ გვეთარგმნა და ინგლისურენოვან მკითხველამდე მიგვეტანა ჩვენი ეროვნული საგანძურის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიმუში და, რა თქმა უნდა, ჩვენი მთარგმნელობითი შესაძლებლობებიც მოგვესინჯა.

მოგეხსენებათ, თარგმანზე მუშაობა ურთულესი, მაგრამ უაღრესად საინტერესო პროცესია. მთარგმნელი ვალდებულია, „მთლიანად და მაქსიმალურად ზუსტად გადმოსცეს დედნის შინაარსი და შეინარჩუნოს ორიგინალის ტექსტში აქტივიზირებული ექსპრესიული ლექსიკა თარგმანის ენის ტიპიზებული სტილისტური ან მოზაიკური ხერხების გამომსახველობითი საშუალებების გამოყენებით“ (მთარგმნელის ამოცანა 2001: 136), რაც პრაქტიკულად საკმაოდ რთული განსახორციელებელია. „მთარგმნელის წინაშე ხშირად დგება საკითხი, რამდენად ემთხვევა ფუნქციითა და ღირებულებით მის მიერ შერჩეული ენობრივი საშუალებები დედნისას, რამდენად შეძლებს ის თარგმანის მკითხველამდე დედნის სათქმელის სრულყოფილად მიტანას“ (მთარგმნელის ამოცანა 2001: 30) და მრავალი სხვ.

როგორც დ. ფანჯიკიძე აღნიშნავს, თარგმნის პროცესში „მთარგმნელი განუწყვეტლად იბრძვის ორი ენის შესაყარზე, არც ერთ ენას არ უშვებს მხედველობის არიდან, ერთმანეთს უპირისპირებს მათ კანონებს, ჩადის თითოეულის სიღრმეში“ (ფანჯიკიძე 2005: 31), რაც მისგან გულმოდგინებასა და უდიდეს შრომისმოყვარეობას მოითხოვს.

ჩვენს შემთხვევაში საქმე იმით სულაც არ იყო გაიოლებული, რომ უნდა გვეთარგმნა ჩვენს მშობლიურ ენაზე შესრულებული დედანი. სინამდვილეში ეს მეტ პასუხისმგებლობას გვაკისრებდა, რადგან უცხო მკითხველისთვის უნდა გაგვეცნო

მისთვის თითქმის უცნობი კულტურული სამყარო თავისი პერსონაჟებით, მსოფლმხედველობით, რეალიებითა თუ ქართულ ყოფასთან დაკავშირებული სხვა მრავალი ნიუანსით.

ხალხური სიტყვიერების ნიმუშები, ერთი შეხედვით, შინაარსობრივად საკმაოდ მარტივია და ენობრივად – სადა, მაგრამ თუ მათ ჩავუღრმავდებით, მრავლად აღმოვაჩენთ რთულ სახე-სიმბოლოს. ისინი ზღაპრის სხვა კომპონენტებთან ერთად ქმნიან იმ ზღაპრულ სამყაროს, რომელიც დღემდე ასე იზიდავს მკითხველს.

ჩვენი არჩევანი („ნაცარქექიას“ თარგმნა) მისი ძირითადი იდეით („ხერხი სჯობია ღონესა“- პრინციპით) იყო განპირობებული – მოხერხებულობა ჩვენისთანა მცირერიცხოვანი ერისთვის დღესაც აქტუალურია. ზღაპარში ხერხი გონების ძალის დემონსტრირებასა და საბოლოო გამარჯვებას მოასწავებს. სწორედ გონებისა და რაციონალიზმის გამო ითვლება ნაცარქექია გამორჩეულ პერსონაჟად, რომელიც გადის ჩვეული გარემოდან, მიდის სახიფათო, უცნობ გზაზე და გადარჩება.

როგორც გ. ასათიანი აღნიშნავს (ასათიანი: 2003), „ნაცარქექია“ არა მხოლოდ სიზარმაცისა და ბაქიაობის, არამედ ჭკუისა და მოხერხების განსახიერებაცაა. იგი ახერხებს დევის მოტყუებასა და დამარცხებას. იგი ქართული ხასიათის შემადგენელი ელემენტია. როგორც არაერთგზის ითქვა, ეს ხასიათი მეტად რთული და მრავალფეროვანია. „ის ერთი მთლიანი ქვისგან არ გამოუთლიათ. შეიძლება ითქვას, რომ ეს უფრო მოზაიკური ხასიათია, ვიდრე სკულპტურული და ამ თავისებურ მოზაიკაში ყოველი კენჭის გამოკლება უთუოდ გააღარიბებდა საერთო კომპოზიციას, საბედისწეროდ დაარღვევდა ფერთა შეთანხმებულ გამმას, შეუვსებულ ხარვეზად დაეტყობოდა ჩანაფიქრის მთლიანობას“ (ბაქრაძე 1990: 60).

ძნელი სათქმელია, რომელ ეპოქაში ან ათასწლეულში შეიქმნა ნაცარქექია, როგორც ზღაპარი და ტიპაჟი. როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, საკუთრივ ქართული ხალხური გმირის ხასიათი ათასწლეულების მანძილზე გამოიძერწა და ჩამოიქნა. ნაცარქექიაზე განსხვავებული მოსაზრებები არსებობს – ზოგი მიიჩნევს, რომ მიწიერი და უბრალო ტიპია, ზოგიერთი კი მისი ხასიათის განზოგადებას ცდილობს. ქართველი კრიტიკოსების აკაკი ბაქრაძის (ბაქრაძე 1990: 60) და გურამ ასათიანის (ასათიანი: 2003) დაკვირვებით, ზღაპრის გმირის ხასიათის გაშლა მთელ

ერზეც შეიძლება გავრცელდეს, მაგალითად, ის თვისებები, რაც ნაცარქექიას, როგორც ზღაპრის ხალხურ გმირს აქვს, ერისთვის შესაძლოა, მეტად ძვირფასი აღმოჩნდეს.

უსაქმურისა და ზარმაცის ნილაბი ნაცარქექიას იმისთვის სჭირდება, რომ ჭკუითა და ემშაკობით აჯობოს მასზე უფრო ძლიერ არსებას. აკაკი ბაქრაძის ფორმულირებით, „სიზარმაცე და ბაქიაობა მისტიფიკაციაა, მომარჯვებული იმისთვის, რომ მტერმა ნაცარქექიას ნამდვილი თვისება ვერ ამოიცნოს. ახლა უფრო შორს წავიდეთ: განა ნაცარქექიასა და დევის ურთიერთობაში საქართველოს ისტორიული ცხოვრების მოდელი არ ჩანს? საქართველოს მთელი მისი გრძელი ისტორიის მანძილზე არასოდეს ჰქონია ურთიერთობა მის ტოლ სახელმწიფოსთან, იგი ყოველთვის მსოფლიო გოლიათებს ედგა პირისპირ. ამ უთანასწორო ბრძოლაში რა უშველიდა საქართველოს თუ არა ჭკუა, გამჭრიახობა, მოქნილობა და ემშაკობა. ქართველმა ხალხმა ნაცარქექიას სახით ამგვარი იდეალი შექმნა. მტრის მოსატყუებლად ზარმაცისა და ბაქიას ნილაბი აიფარა” (ბაქრაძე 1990:154). ზ. გამსახურდიამ აკაკი ბაქრაძის ეს მოსაზრება ნაწილობრივ გაიზიარა, ბევრ რამეში დაეთანხმა, მაგრამ მისი სახე-სიმბოლო უფრო განავრცო და უნივერსალურ მეზრძოლად მიიჩნია. იგი წერს: „ნაცარქექია ქართველი ოდისევსია, იგი ახერხებს ციკლოპის მოტყუებასა და დამარცხებას, ოღონდ კარგი იქნება, თუ მის შესახებ მსჯელობას განვაავითარებთ და მასში მხოლოდ პოლიტიკურ მეზრძოლსა და დიპლომატს კი არ დავინახავთ, არამედ სულიერ პლანში მეზრძოლს- უნივერსალურ ბოროტებასთან. იგი მედიატორია და მოაზროვნე, იგი ჭვრეტითი ნატურაა (ნაცარი აზრის სიმბოლოდ იშიფრება ყველა ზღაპარში). აქედანაა მისი გარეგანი პასივობა. ამ თვალსაზრისით იგი ზეეროვნული სახეა, ზოგადსაკაცობრიო სახე. ბოლოს ნაცარქექიას პარალელები გვხვდება მსოფლიოს ყველა ხალხთა ლიტერატურასა და ფოლკლორში. ასე რომ, მარტოოდენ ქართული ხასიათის ძიება ნაცარქექიაში გაგვიჭირდება” (გამსახურდია 1991: 560).

იმ კულტურულ-სოციალურ გარემოში, სადაც „ნაცარქექია“ შეიქმნა, ადამიანებს ძალიან აწუხებდათ ძალმომრეობის პრობლემა. ხალხის გენიამ გამოსავალი ძალის საპირისპირო გონებისაკენ მიმართა და შეიქმნა მკაფიო კონტრასტი: ძალა და გონება. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზღაპრისეული გონების მატარებელი პიროვნება დაბალი

სოციალური ფენის წარმომადგენელია და, ზოგადად, ქართულ ეროვნულ ხასიათს გამოხატავს.

„ნაცარქექიას“ თარგმნის პროცესში ტექსტობრივ თავისებურებებთან ერთად, რა თქმა უნდა, ამ გარემოებების გათვალისწინებაც მოგვიხდა, თუმცა ჩვენი ძირითადი ამოცანა მაინც ზღაპრის ორიგინალური ბუნების, მისი ეროვნული კოლორიტის შეძლებისდაგვარად შენარჩუნება იყო. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს – ქართული ხალხური ზღაპრის ეროვნული კოლორიტის გამომხატველი ფრაზეოლოგიზმები („ცხრა მთას იქით...“, „ცხრათავიანი დევი...“) ვთარგმნეთ, ხოლო რეალიები, როგორიცაა „დევი“, „კეცი“, თვით ზღაპრის სახელწოდება „ნაცარქექია“.... ინგლისურ ენაზე უთარგმნელად გადავიტანეთ. მაგალითად:

“There was, and there was not at all what can be the best of God, there was one lazy man. All the time he sat by the hearth holding a stick and digging in the cinder, so people called him Natsarkekia -a person who digs in cinder.“

ა) „ნაცარქექია“, როგორც ვიცით, მეტსახელია და ამიტომ, უცხოელი მკითხველისთვის გაუგებარი რომ არ აღმოჩნდეს, მისი მნიშვნელობის განმარტება ტექსტშივე ვცადეთ.

ბ) დევი: „შეშინდა დევი, ეს მართლაც უძლეველი კაცი ჩანსო, - თქვა გულში და გაღმა ნაპირზე გავიდა, მორჩილად ეახლა ნაცარქექიას, დაილუნა და მხარზე შეისვა.“

The devi was startled. ‘He seems to be a really unconquerable fellow,’ said he in his heart. He crossed the river, came to Natsarkekia obediently, bent and put him on his shoulder.

გ) ცხრათავიანი დევი:

„თურმე ეს მდინარეცა და ადგილიც ცხრათავიანი დევის სამფლობელო ყოფილა.“

”It appeared that both the river and land belonged to a nine-headed giant called devi.“

გ) კეცი:

„...ნაცარქექია ტახტზე დასვა, თვითონ კერა გაახურა და ცომი მოზილა. გააკეთა ერთი უშველელები ხმიადი, ჩადო კეცში, ცეცხლს მიუფიცხა და ნაცარქექიას უთხრა...“

“He put Natsarkekia on the couch, heated the hearth and made the dough; put it in the ketsi, earthenware frying-pan, exposed it to the fire and said to Natsarkekia...”

მიზანშეწონილად ჩავთვალეთ უთარგმნელად გადატანილი „კეცის“ მნიშვნელობის ტექსტშივე განმარტება, რათა მკითხველისთვის უფრო ადვილად წასაკითხი ყოფილიყო ზღაპარი.

დ) ცხრა მთას იქით: „ ... დაჰკრა დევმა ფეხი და ცხრა მთას იქით გადაიხვეწა;“

“The devi fled and ran over nine mountains.”

ე) ბაბაყური, ხაბირიკა: „– აი, შე ქინქლავ, შენა! ერთი არ მებრალებოდე და გიჩვენებდი, ვინცა ვარ. მაგრამ იცოდე, თუ ჭკუით არ იქნები, ასეთ თავხედობას მეორედ აღარ გაპატიებ. შე ბრიყვო და ბაბაყურო, ხაბირიკა არ გაგიგონია, ნაცრიყლაპია, ჩხირით მებრძოლი? მე სწორედ ისა ვარო! არ მინდა ქვეყანა დავაქციო, თორემ ისეთი ღონე მაქვს, დედამიწას რომ ხელი მოვავლო, ზეცას შევტყორცნი და ნაცარმტვრად ვაქცევო...“.

“Hey you mosquito! Were not I sorry for you I would show you who I am. But, mind that unless you come to your reason, I will not forgive your impudence next time. You stupid and dumb head have not you heard of Khabirika, a cinder-swallower, who fights with his stick? I am that fellow! I do not want to destroy the world, but otherwise with the strength I have I could grab the earth, throw it to the heaven and bring it to dust and ashes...”

ვ) ჩოხა, გუდა:

„... მობეზრდათ ძმებს მისი უსაქმურობა და ერთ მშვენიერ დღეს მართლაც გააგდეს სახლიდან. ერთი ხბოს გუდა ნაცრით გაუტენეს და ზურგზე აჰკიდეს, ხელში ჩხირი მისცეს, ჩოხის კალთაში საგზლად ჭყინტი ყველი გამოუხვიეს და გაისტუმრეს...”

„...Bored with his idleness, one beautiful day, his brothers kicked him out of the house. They filled a bag made of calf's skin with cinder, put it on his back, gave him a stick, folded a newly made cheese in the hem of his chokha* to have something to eat on the road and sent him away.

ტექსტში „ჩოხა“ უთარგმნელად დავტოვეთ, ხოლო მისი განმარტების (მამაკაცის ტრადიციული ტანსაცმელი) სქოლიოში მითითება ვამჯობინეთ. რაც შეეხება „გუდას“, რომლის ზუსტი ინგლისური ეკვივალენტი არ არსებობს, საერთოდ გვერდი ავუარეთ და თარგმანი რომ ქართული რეალიებით არ გადაგვეტვირთა, მხოლოდ მათი განმარტებით შემოვიფარგლეთ (როგორც ხბოს ტყავისგან დამზადებული ჩანთა).

გავითვალისწინეთ ქართული ხალხური ზღაპრის დასაწყისისა და დასასრულის სპეციფიკაც. ზღაპრის დასაწყისის ძალზე საინტერესო და ორიგინალური ფორმულა „იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა....“ შემდეგნაირად ვთარგმნეთ:

“There was, and there was not at all what can be the best of God, there was one lazy man.”

თარგმნისას შევეცადეთ, ზედმიწევნით ზუსტად გადმოგვეცა მისი აზრი და სიბრძნე (რომ ღვთის უკეთესი ამ ქვეყანაზე არაფერია). როგორც უკვე აღვნიშნეთ,

ხშირ შემთხვევაში ზღაპრის დასაწყისის ამ ფორმულის თარგმნას მთარგმნელები თავს არიდებენ და ცდილობენ, ინგლისური ზღაპრის დასაწყისის ტრადიციული ფორმულის გამოყენებას იმ მიზეზით, რომ მკითხველისთვის გაუგებარი იქნება. ეს მეთოდი უმართებულოდ მიგვაჩნია, რადგან თუ არ ვთარგმნეთ, მას ვერასდროს გაეცნობა უცხოელი მკითხველი.

ქართული ზღაპრის ტრადიციულ დასასრულს ნაკლებად ვხვდებით ინგლისურ თარგმანებში, რაც, ვფიქრობთ, ზუსტი ეკვივალენტის არარსებობით არის განპირობებული. სირთულის მიუხედავად, მაინც ვცადეთ მისი თარგმნა და ძირითადი აქცენტი ეროვნული კოლორიტის შენარჩუნებაზე გადავიტანეთ.

„ჭირი იქა, ლხინი აქა,

ქატო იქა, ფქვილი აქა“ შემდეგნაირად გადავთარგმნეთ:

“Woe there, feast here,

Bran there, flour here.“

ჩვენი აზრით, მთარგმნელი ვალდებულია უცხოენოვან მკითხველამდე მიიტანოს ქართული ზღაპრის დასასრულში ჩადებული სიბრძნე - ქართველი ხალხის სწრაფვა სიკეთის, ჰარმონიისა და სრულყოფილებისაკენ. სწორედ ამას ემსახურება ზღაპრის დასასრულის ფორმულები.

ამრიგად, „ნაცარქექიას“ თარგმნისას მაქსიმალურად შევეცადეთ ეროვნული კოლორიტის შენარჩუნებას. იმ მოსაზრებით, რომ ზღაპრის მკითხველები, ძირითადად, ბავშვები არიან, აგრეთვე მკითხველისთვის ზღაპარი რომ მოსაწყენი და რთული წასაკითხი არ ყოფილიყო, შეგნებულად მოვერიდეთ თარგმანის ტექსტის გადატვირთვას უთარგმნელი ქართული სიტყვებითა და სქოლიოებით. შევეცადეთ, მაქსიმალურად ზუსტად გადმოგვეცა ზღაპრის დასაწყისისა და დასასრულის აზრი და სიბრძნე.

როგორც უკვე აღინიშნა, „ნაცარქექია“ მეოცე საკუნის მიწურულს რუსულიდან (სხვა 59 ქართულ ხალხურ ზღაპართან ერთად) დევიდ ჯ. ჰანტმა (Hunt 1999: 181-183) თარგმნა, რომელიც გამოსცა გამომცემლობა „მერანმა“ 1999 წელს. მასთან შედარებით უფრო ადრეული თარგმანი ეკუთვნის ნ. ცისკარიშვილს (Tsiskarishvili 1991: 3-6).

აქვე დავძენთ, რომ „ნაცარქექიას“ ინგლისური თარგმანი ჩვენი პირველი ცდაა მხატვრულ თარგმანში, ამიტომ ყოველი საქმიანი შენიშვნა დიდ დახმარებას გაგვიწევს მთარგმნელობითი საქმიანობის სრულყოფილებაში.

გთავაზობთ „ნაცარქექიას“ ჩვენეული თარგმანის სრულ ტექსტს.

Natsarkekia (თარგმანი ნ. ნათელაძისა)

There was, and there was not at all what can be the best of God, there was one lazy man. All the time he sat by the hearth holding a stick and digging in the cinder, so people called him Natsarkekia -a person who digs in cinder.

Natsarkekia had brothers, who were good family men.

‘Hey man, you are sitting all the time by the cinder, don’t you want to eat or drink?’ they told him every day. ‘Stand up, work, try to find something and bring it home, or else we will not be able to keep you anymore and will kick you out of the house.’

But Natsarkekia would not listen to his brothers’ threats. Bored with his idleness, one beautiful day, his brothers kicked him out of the house. They filled a bag made of calf’s skin with cinder, put it on his back, gave him a stick, folded a newly made cheese in the hem of his chokha* to have something to eat on the road and sent him away. At the same time they warned him:

‘Leave the borders of our country, stay away from our eyes, or else we will not let you stay alive.’

‘All right, I will try to go as far as possible,’ said Natsarkekia and went away.

After he had walked some distance, he reached a huge river. Natsarkekia got scared to cross the river and lay down at the river bank, hoping someone would come and take him to the other side.

It appeared that both the river and land belonged to a nine-headed giant called devi. In the evening the devi approached the river bank from the other side and started drinking water.

Natsarkekia saw him and cried with a hoarse voice:

‘Hey, who are you? Come to me, put me on your shoulder and take me to the other side of the river, I do not want to get my feet wet!’

The devi was very surprised. 'For fear of me even giants dare not walk here. Who can that chinchraka* be shouting at me like that?' 'Who are you, what kind of a being and how dare you call me like that?'

Natsarkecia was a big boaster and braggart. He could boast so much that a man would think he could tear down mountains. He put his arms akimbo and called the devi:

'Hey you mosquito! Were not I sorry for you I would show you who I am. But, mind that unless you come to your reason, I will not forgive your impudence next time. You stupid and dumb head have not you heard of Khabirika, a cinder-swallower, who fights with his stick? I am that fellow! I do not want to destroy the world, but otherwise with the strength I have I could grab the earth, throw it to the heaven and bring it to dust and ashes. If you wish let us compete and find out who is stronger! You take a stone there, I will take one here. Let us squeeze it. The one that will squeeze out water will be the winner.'

The devi took a stone, squeezed it and brought it to ashes, but could not squeeze any water out.

Natsarkecia bent, as if he was taking a stone, took a newly made cheese, which was wrapped in the hem of his chokha, pressed it with his hand and squeezed out a lot of water.

The devi was amazed. 'Who is that fellow?'

'Now, let us compete in running,' Natsarkecia shouted, 'let us run on the river bank, you - on that side, I - on this side, the one who will raise bigger puff of dust will be the winner.'

The devi started jogging cracking the stones on the river bank but he could not lift up any dust. How could he raise any dust from stones on the river bank, anyway?!

In the meantime, Natsarkecia undid the bundle with cinder, started running and throwing cinder around. He made such a big puff of dust that the devi was not able to see anything anymore.

The devi was startled. 'He seems to be a really unconquerable fellow,' said he in his heart. He crossed the river, came to Natsarkecia obediently, bent and put him on his shoulder. When they were in the middle of the river, at last the devi dared to ask Natsarkecia:

'Mister Khabirika, cinder-swallower, who fights with his stick, you seem too light for the man of your strength.'

'What? Light? Ha, ha, ha,' said Natsarkecia laughing. 'If you knew how heavy I am you would not have said such a silly thing. The God is holding me with invisible ropes, for the earth cannot bear my weight, or else my weight would force you into the underworld.'

The devi doubted that this tiny Natsarkecia could have so much weight and asked him courteously.

'Could you tell the God to loosen the ropes just a little bit? I want to see how heavy you are.'

‘The Merciful Lord, please, loosen the ropes a little to stop this stupid and ribald talking nonsense!’ Natsarkecia shouted in the air, at the same time taking out stealthily a dried cornel stick, which he stuck in the devi’s neck. The devi, who thought all the weight of the heaven was lying on his shoulders, was filled with terror not to be forced into the underworld and entreated him:

‘Please, tell the God to lift you again, or else I will not be able to bear that anymore.’

Natsarkecia removed the stick and the devi straightened his back again.

‘Do you believe now that I am very heavy?’ Natsarkecia asked.

‘You are really too heavy,’ the devi replied and invited him to his house. He put Natsarkecia on the couch, heated the hearth and made the dough; put it in the ketsi, earthenware frying-pan, exposed it to the fire and said to Natsarkecia:

‘If you please, watch this bread not to burn it, I will go to the wood and bring some prey with me.’

The devi went. When the one side of the bread has become brownish, Natsarkecia thought that it was time to turn it over and started hustling around the ketsi by a poker. While he was trying to do that, the ketsi overturned and Natsarkecia appeared under it. Floundering, breathing heavily, sighing Natsarkecia was trying to get out but could not move it. He got tired and turned pale with fear.

When the devi came and saw Natsarkecia lying like that, he looked at him in amazement, and asked: ‘What has happened to you?’

‘Nothing has happened,’ returned Natsarkecia angrily. ‘I have had a little stomachache and put a hot ketsi on it. I feel already well, come and take it.’

The devi removed the ketsi from him and Natsarkecia got up.

The bread was baked; they cooked the prey and sat down to supper. During the meal, the devi sneezed and threw his guest up in the ceiling. Frightened to death Natsarkecia clutched to the beam and started floundering.

‘What are you doing there?’ asked the devi.

‘What am I doing? I want to take out this switch and whip you, how dare you sneeze in my presence?!’

‘Oh God, who can be that man?!’ the devi was amazed. ‘I hardly lifted such a big beam up to the pillars, and he calls it switch and is going to take it out. I must go away from here, lest he should do me some ill and not let me stay alive.’ The devi fled and ran over nine mountains.

The house of the devi and all his fortune was left to Natsarkecia. He went to his brothers, took them to the devi’s house and told them:

‘Brothers, you kicked me out of your house, you reproached me all the time that I did not bring anything to the family. Now, take this house and fortune from me, let everything be yours, but please do not begrudge me a piece of bread and disallow me to dig in the cinder.’

Natsarkekia gave the devi’s house and fortune to his brothers, took a stick, sat himself down near the hearth and started digging in the cinder again.

Woe there, feast here,

Bran there, flour here.

Footnotes:

*chinchraka - a small bird

*chokha- a traditional male dress

ნაცარქექია

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ზარმაცი კაცი. მთელი დღე კერასთან იჯდა, ხელში ჩხირი ეჭირა და ნაცარს ქექავდა. ამიტომ ხალხმა ნაცარქექია შეარქვა.

ნაცარქექიას კარგი მეოჯახე ძმები ჰყავდა.

-კაცო, სულ რომ ნაცარს უზიხარ, ან ჭამა არ გინდა, ან სმა, – ეუბნებოდნენ ყოველდღე, – ადექი, გაისარჯე, იქეთ მიდექ, აქეთ მოდექ და ოჯახში რამე შემოიტანე, თორემ იცოდე, ჩვენ შენი რჩენის თავი აღარა გვაქვს და სახლიდან გაგაგდებთო.

ნაცარქექია ძმების მუქარას ერთ ყურში რომ შეუშვებდა, მეორიდან გამოუშვებდა. მობეზრდათ ძმებს მისი უსაქმურობა და ერთ მშვენიერ დღეს მართლაც გააგდეს სახლიდან. ერთი ხბოს გუდა ნაცრით გაუტენეს და ზურგზე აჰკიდეს, ხელში ჩხირი მისცეს, ჩოხის კალთაში საგზლად ჭყინტი ყველი გამოუხვიეს და გაისტუმრეს. თან გააფრთხილეს:

-ამ ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გაშორდი, აქ არ დაგიგულოთ, თორემ ცოცხალს არ გაგიშვებთო.

-კარგიტო, – უთხრა ნაცარქექიამ, – ვეცდები, რაც შეიძლება შორს წავიდეო, – და გაუდგა გზას.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ბოლოს ერთ უშველებელ მდინარეს მიადგა. შეეშინდა ნაცარქექიას წყალში გასვლისა და მდინარის პირას მხარეთემოზე წამოწვა, – იქნებ ვინმემ გამოიაროს და გამიყვანოსო.

თურმე ეს მდინარეცა და ადგილიც ცხრათავიანი დევის სამფლობელო ყოფილა. საღამო ხანზე მოადგა დევი გაღმა ნაპირიდან მდინარეს და დაუწყო წყალს ხვრეპა.

დაინახა ნაცარქექიამ და რიხიანად გასძახა:

-ჰეი, რომელი ხარ, ახლავე აქ გამოდი, მხარზე შემისვი და გაღმა გამიყვანე, ფეხის დასველება მეზარებაო!

დევს ძალიან გაუკვირდა, აქ ჩემი შიშით გოლიათებს ვერ გაუვლია და ეს ჭინჭრაქა რის პატრონია, ამას რომ მიზედავსო, და გამოსძახა: ვინა ხარ, რა სულიერი ხარ და მაგ თავხედობას როგორ მიზედავო?

ნაცარქექია დიდი მკვებარა და ბაქიბუქაც იყო. შორიდან ისეთ ტრაბახს ატეხდა, რომ კაცს გორის მდრეკავი ეგონებოდა. შემოიყარა დოინჯი და გასძახა დევს:

აი, შე ქინქლავ, შენა! ერთი არ მებრალეობდე და გიჩვენებდი, ვინცა ვარ. მაგრამ იცოდე, თუ ჭკუით არ იქნები, ასეთ თავხედობას მეორედ აღარ გაპატიებ. შე ბრიყვო და ბაბაყურო, ხაბირიკა არ გაგიგონია, ნაცრიყლაპია, ჩხირით მებრძოლი? მე სწორედ ისა ვარო! არ მინდა ქვეყანა დავაქციო, თორემ ისეთი ღონე მაქვს, დედამიწას რომ ხელი მოვაწვლო, ზეცას შევტყორცნი და ნაცარ-მტვრად ვაქცევო. თუ გინდა შევეჯიბროთ და ერთმანეთი ღონეში გამოვცადოთ! შენ მანდ აილე ქვა, მე აქ ავიღებ, მოვუჭიროთ ორივემ ხელი და, ვინც წვენი გაადინოს, გამარჯვებულის იცნოსო.

აიღო დევმა ქვა, მოუჭირა ხელი და სულ დაფშვნა, მაგრამ წვენი ვერ გამოადინა.

დაიხარა ნაცარქექია, ვითომ ქვას ვიღებო, ამოიღო ჩოხის კალთაში გამოხვეული ჭყინტი ყველი, მოუჭირა ხელი და წვენი სულ წურწურით გაადინა.

გაუკვირდა დევს, ეს ვინა ყოფილაო?!

-აბა, ახლა სირბილში გამოვცადოთ ერთმანეთი, – გასძახა ნაცარქექიამ, – გავიქცეთ რიყეზე შენ მაქეთ, მე აქეთ – და ვინც მეტ მტვერსა და კორიანტელს აადენს, ბიჭიც ის იყოს და ქუდიც იმას ეხუროსო!

გამუნძულდა დევი იქითა ნაპირზე და რიყის ქვებს სულ ხრაშახრუში დააწყებინა, მაგრამ მტვერი ვერა და ვერ აადინა. რიყის ქვებს ან რა მტვერი აუვიდოდა!

ნაცარქექიამ კი მოიხსნა ნაცრიანი გუდა, გაკუნკულდა ნაპირზე და თან ნაცარი მიმოაბნია. ისეთი მტვერი და კორიანტელი დააყენა, რომ დევმა ვედარაფერი დაინახა.

შეშინდა დევი, ეს მართლაც უძლეველი კაცი ჩანსო, – თქვა გულში და გაღმა ნაპირზე გავიდა, მორჩილად ეახლა ნაცარქექიას, დაიღუნა და მხარზე შეისვა. შუა მდინარეში რომ შევიდნენ, დევმა, როგორც იქნა, გაუბედა და ჰკითხა:

-ბატონო, ხაბირიკავ, ნაცრიყლაპიავ და ჩხირით მებრძოლო, ასეთი ღონის პატრონი, როგორღაც მეტისმეტად მსუბუქი მეჩვენებო.

-რაო? მსუბუქიო? ხა, ხა, ხა, – გადაიხარხარა ნაცარქექიამ, – შენ რომ ჩემი სიმძიმის ამბავი იცოდე, მაგ სისულელეს აღარ წამოროშავდი. რაკი დედამიწას ჩემი ტარება უჭირს, ცაში ღმერთს უხილავი თოკით ვუჭერივარ, თორემ ჩემი სიმძიმე ქვესკნელში ჩაგიტანდაო.

დევს ეჭვი შეეპარა, ამ ერთ ციცქნას ისეთი რა სიმძიმე უნდა ჰქონდესო, და ნაცარქექიას მოკრძალებით უთხრა:

-აბა, ასძახე ღმერთს, რომ სულ ოდნავ გაუშვას თოკს, მინდა შენი სიმძიმე გავიგოო.

-ღმერთო მწყალობელო, აბა, ცოტათი მოუშვი თოკი, რომ ამ ბრიყვსა და ავციას ენა დავამოკლებინო! – ასძახა ცისკენ ნაცარქექიამ, ჩუმად კი ამოიღო შვინდის გამხმარი ჩხირი და დევს კისერში დააჭირა.

დევს ეგონა, მთელი ზეცა ზედ დამაწვაო და შეშინებულმა, მართლა ქვესკნელში არ ჩამაძვრინოსო, ხვეწნა დაუწყო:

-შენი ჭირიმე, უთხარი ღმერთს, ისევ აგწიოს, თორემ მეტის ატანა აღარ შემიძლიაო.

მოაშორა ნაცარქექიამ ჩხირი და დევიც ისევ გაიმართა წელში.

-ახლა ხომ დარწმუნდი, რა სიმძიმეც მქონიაო? – ჰკითხა ნაცარქექიამ.

-მართლაც მეტისმეტად მძიმე ყოფილხარო, – უპასუხა დევმა და შინ მიიპატიჟა. ნაცარქექია ტახტზე დასვა, თვითონ კერა გაახურა და ცომი მოზილა. გააკეთა ერთი უშველებელი გუნდა, ჩადო კეცში, ცეცხლს მიუფიცხა და ნაცარქექიას უთხრა:

-თუ უკაცრავად არ ვიყო, ამ პურზე თვალი გეჭიროს, რომ არ დაიწვას, მე ტყეში წავალ და სავახშმოდ ბარემ ნანადირევსაც მოვიტანო.

დევმა წავიდა. ხშიადს ცალი გვერდი რომ დაეზრაწა, ნაცარქექიამ იფიქრა, ახლა კი გადამრუნების დროაო, და დაუწყო საკეცით წვალეზა. წვალეზა-წვალეზაში კეცი წამოიქცა და ნაცარქექია ქვეშ მოიყოლა. წვალეზს ნაცარქექია, აფხარკალებს ფეხებს, ხვრეშის, ოხრავს, ქშინავს, მაგრამ კეცს ძვრას ვერ უშვრება. დაიღალა და შეშინებულმა ფერიც დაკარგა.

მოვიდა დევმა და, ნაცარქექია რომ ამ ყოფაში დაინახა, გაკვირვებულმა ჰკითხა, – რა დაგმართნიაო?

-რა უნდა დამმართნოდან? – შეუტია ნაცარქექიამ, – ცოტათი მუცელი წამომტკივდა და ცხელი კეცი დავიდევნი. ახლა უკვე კარგად ვარ, მოდი და ამაცალეო.

დევმა კეცი ააცალა და ნაცარქექიაც წამოდგა.

ხშიადი გამოცხვა, ნანადირევიც მოხარშეს და ვახშამს შემოუსხდნენ. პურის ჭამაში დევმა ცხვირი დააცემინა და სტუმარი ჭერში შეაგდო. გულგახეთქილი ნაცარქექია კოჭს ჩაეჭიდა და ფხარკალი დაიწყო.

-მანდ რას აკეთებო? – ჰკითხა დევმა.

-რას ვაკეთებ და, აი ეს წკეპლა უნდა გამოვიღო და გვერდები აგიჭრელო, როგორ გაბედე ჩემთან ცხვირის დაცემინებაო?!

-ღმერთო, ეს ვინა ყოფილა?! – გაოცდა დევი, ამოდენა კოჭი მე ძლივს ბოძებზე ავიტანე და ეს კი წკეპლას ემახის და გამოდრობას უპირებსო. აქაურობას თუ არ გავეცალე, ერთხელაც იქნება, რამეს მიშარებს და ცოცხალი ვეღარ გადავურჩებიო. – დაჰკრა დევმა ფეხი და ცხრა მთას იქით გადაიხვეწა.

დევის სახლ-კარი და სიმდიდრე მთლიანად ნაცარქექიას დარჩა, წავიდა, ძმებიც იქ მიიყვანა და უთხრა:

-ძმებო, სიზარმაცისთვის თქვენ სახლიდან გამაგდეთ, სულ იმას მაყვედრიდით, ოჯახში არაფერი შემოგაქვსო. აი, ახლა ჩემს წილად ეს სახლ-კარი და ქონება-ცხოვრება შემომაქვს, ეს ყველაფერი თქვენთვის დამითმია, ოღონდ ლუკმაპურს ნუღარ დამაყვედრით და ნურც ნაცრის ქექვას დამიშლითო.

გადაულოცა ნაცარქექიამ დევის სახლი და სიმდიდრე ძმებს, თვითონ კი აიღო ჩხირი, მიუჯდა კერას და ისევ ნაცრის ქექვა დაიწყო.

ჭირი იქა, ლხინი აქა,

ქატო იქა, ფქვილი აქა.